პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 84 კვირა, 23 იანვარი 1927 წ. № 84

## მოხვდა... აეწვა

სპეციალური



ბიუროკრატიული

ბიუროკრატი გამგე: (რომელიც დღეისწორს „ტარტაროზი"-ს № 83-ში ყველას ზრდილობიანად ეპყ[illegible] და „ტარტაროზი"-ს დღევანდელ ნომრის შიშით) ოჰ! ეს რა არის!? მაინც გამომჭიმეს?!?

შიკრიკი და დამლაგებელი (ხედავენ და იცინიან): აჰა, იგი შენ... გიამოს... შეგერგოს...

# დაწინაურება

დაზგის მუშა სტეფანე უროშვილი დააწინაურეს. ის დანიშნეს ერთ-ერთ წარმოებაში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

სტეფანე ქარხანაში შეგნებულ და მუყაით მუშად ითვლებოდა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებშიაც კარგად ერკვევა. ისე რომ ზემოხსენებულმა წარმოებამ მისი სახით საიმედო გულშემატკივარი და ბეჯითი მუშაკი შეიძინა.

მაგრამ ამ საკითხს ცოტათი სხვანაირად უყურებდა წარმოების გამგე-დირექტორი გაბრიელ ქიანური. მისი აზრით, მუშების დაწინაურება სახელმწიფო მრეწველობის დაქვეითების მომასწავებელია:

— რა გაეგება ტლანქ მუშას ისეთი „ტონკოსტებისა“, როგორიც არის სტატისტიკა, ეკონომიკა და საერთოდ მეცნიერული მეთოდები, რაც აუცილებლად საჭიროა წარმოების აღსადგენად? მას მიეცი ურო, გაქონილი ბლუზა და დააყენე დაზგასთან, ღუმელთან, მანქანასთან. თანაც გაუწიე კარგი ხელმძღვანელობა და შეიძლება რამე გაგიკეთოს. აქ კი ათასი რთული საკითხებია გადასაწყვეტი, მათ მეცნიერულად შესასწავლად საჭიროა განათლება. ერთი სიტყვით, სპეცობა. აი, თუნდაც ეს უროშვილი ავიღოთ: დამინიშნეს დამამზადებელ განყოფილების ხელმძღვანელად! მისმა აქ შემოსვლამ გადატრიალება უნდა მოახდინოს ცხვირი უნდა ჩაყოს ჩემს საქმეებში და დამიწყოს „ლაი-ლაი“ წარმოების გამუშურების შესახებ! ხე, ხე, ხე! პოდუმაეშ, ბოლშოი სპეც!..



გაბრიელ ქიანური, ფართო სავარძელში იჯდა

ასე ფიქრობდა გაბრიელ ქიანური. ფართო სავარძელში იჯდა და უკმაყოფილოდ იჩეჩავდა მხრებს, როცა მის კარებთან მთხოვნელების ჩამწკრივებულ. რიგს სტეფანეც მიემატა და შიკრიკს დაავალა ეცნობებია გამგისათვის მისი მოსვლა.

— მეითმინეთ, ამხანაგო, გამგეს არ სცალია, ნაბრძანები მაქვს ორ საათამდის არავინ შეუშვა,—დიდი სამუშაო მაქვსო.

ამ ორი საათის ლოდინში კი მთხოვნელების თვალწინ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაინც გაიელვებდა ხოლმე გამგის „დიდი მუშაობის“ ნიმუშები. მაგალითად, სხვებთან ერთად სტეფანემაც კარგად დაინახა, თუ როგორი თამამი კისკისით შეგოგმანდა მის კაბინეტში მემანქანე ქალი, რომელმაც კარებში შესვლისთანავე შესძახა:

— გავრიკი! შენს სარკეში ჩასახედად შემოველ, პრიჩოსკა უნდა გავისწორო, შენ წარმოიდგინე, შენი ნაყიდი კონტრაბანდი პუდრა და ჩულქები ნასტაიაშჩი არა ყოფილა, აი შენ თვითონ ნახე, ხელი წამისვი ამ ლოყაზე, როგორ ჩამოდის?—ი, პრიტომ, პრატივნი ზაპახ, პანიუხაი, ესლი ნე ვერიშ!..

გასაღების ჭუჭრუტანიდან შიკრიკმა ალბათ ზოგიერთ ჩვეულ საქახაობასაც მოჰკრა თვალი, რადგან ის ცუღლუტური ღიმილით ეშმაკურად აქნევდა თავს. მაგრამ, რა იცის შიკრიკმა?

პოდუმაეშ, ბოლშოი სპეც!



სტეფანე გაკვირვებით უცქეროდა კაბინეტის მორთულობას

„სამსახურის საქმეების“ გამო დიდხანს იმასლაათეს მემანქანე ქალმა და გამგემ, რომლის დროსაც ხშირად ისმოდა სიტყვები: სადილი „ორიანტში“, „ვიქტორია“. ოპერა და სხვა სიტყვები. ერთი სიტყვით, მაღალმეცნიერული ეკონომიურ-სტატისტიკურ-მატერიალისტური მოსაზრებანი, რასაც, გაბრიელ ქიანურის სიტყვით, „ვერ მოსწვდება“ დაზგის მუშა.

ორ საათზე ყავის მირთმევისას შიკრიკმა მოახსენა გამგეს, რომ იცდის სტეფანე უროშვილი.

— სთხოვე!

სტეფანეს შესვლას გაბრიელი ნაძალადევი აღტაცებით შეხვდა—ფეხზე ადგა და ორივე ხელი მაგრად ჩამოართვა.




ეს ოთახი თქვენთვის დავამზადეთ.

— ძალიან მოხარული, ძალიან მოხარული ვარ, დაბრძანდით, შიკრიკს ვეტყვი, ყავას მოგიტანთ, შემდეგ კი ერთად დავათვალიეროთ ჩვენი დაწესებულება. გაგაცნობთ ყველას და ყველაფერს... გაბრიელმა ზარი დარეკა და შემოსულ შიკრიკს ყავას უკვეთავდა, მაგრამ სტეფანეს გადაჭრილი უარის შემდეგ, გასცა განკარგულება:



საბინაო საქმეები არ მასვენებს მე არც ძილში;
ჩაფლული ვარ, როგორც ვირთხა ბნელ სარდაფში პურის ფქვილში.
საბინაო საქმეების აქეთ გორა, იქით გორა...
თვით არა მაქვს ჩემთვის ბინა, — და სხვას მივცე მე როგორა?!?!!!

— გამოუცხადეთ მთხოვნელებს, რომ გადაუდებელ საქმის გამო დღეს ვერავის მივიღებ. საქმეთა მმართველს კი გადაეცით—დანიშნოს თანამშრომლების საჩქარო კრება—სერიოზული საკითხის განსახილველად.

კარიდორიდან უკმაყოფილო ბუზღუნი და საყვედური მოისმა, საიდანაც გაბრიელმა გაარჩია შემდეგი სიტყვები:—„ესაა შრომის ნაყოფიერების ასაწევად მუშაობა?“ „ბიუროკრატიზმი“, „დაუდევრობა“ და სხვა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. კარიდორში კი ასტყდა აქეთ-იქით სირბილი, ქალების კისკისი და ხმაურობა.

— უპირველეს ყოვლისა,—მიმართა ჭიანურმა სტეფანეს,—საჭიროა იცოდეთ, რომელი თანამდებობის პირი რომელ ოთახშია მოთავსებული. მაგალითად, ეს არის ჩემი კაბინეტი,—თუმცა ღარიბულადაა მოწყობილი, მაგრამ, რას იზამ, მომჭირნეობის რეჟიმია!.. ის მეორე ოთახი კი სათათბირო ოთახია, ეს სავარძლები და ნოხებიც თუმცა რამედ ღირს, მაგრამ მაინც ცოტაა და მომავალ ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია ახალი დგამის შეძენა ჩემი კაბინეტისათვის.

სტეფანე გაკვირვებით უცქეროდა კაბინეტის მორთულობას: რბილი და ძვირფასი სავარძლები, ნოხები, სალაფარდები, საწიგნე თაროები, უზარ-მაზარი სარკე და სხვა სამუზეუმო მოსართავები ერთმანეთს სცვლიდა. სტეფანე ძალაუნებურად შეეკითხა ჭიანურს:

— რისთვისაა საჭირო ამხელა ოთახები, ამდენი მოსართავები?

— ხე, ხე, ხე! შრომის ნაყოფიერების ასაწევად, ჩემო მეგობარო, ხომ იცით. თუ მომუშავეს პირობები ხელს არ უწყობს, შრომის ნაყოფიერებაც ეცემა. აი, როგორც ქარხანაში ხელსაწყო იარაღების გაუმჯობესებაა,—ხე, ხე, ხე! ახლა მე თქვენ გაჩვენებთ ჩემი თანაშემწის, ე. ი. საქმეთა მმართველის კაბინეტს.

აჩვენა. რა თქმა უნდა, გამგის კაბინეტთან კი სად მივიდოდა, მაგრამ მაინც ჩინებულად იყო მოწყობილი. შემდეგ ჭიანურმა ჩამოატარა სტეფანე გრძელ კარიდორში, სადაც სათითაოთ უღებდა კარებს და „აცნობდა“ სტეფანეს დაწესებულებას:—ეს არის საინფორმაციო განყოფილება, ეს—ადმინისტრატიული ქვეგანყოფილება, ეს—სამნეო ნაწილის გამგის ოთახი, ეს—ჩაის ასადუღებელი და ცოცხების შესანახი ოთახი, აი იქ, გვერდზე—პალტოების დასაკიდი ოთახი, ეს კი... ჭიანურმა შეიხედა პატარა, ყუთისოდენა წვირიან და ჭერჩამომტვრეულ „ოთახში“, რომელსაც ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა და ნახევრად ბნელოდა. შიგ იდგა პატარა გახრეკილი მაგიდა და ორი „ტაბურეტი“. კუთხეში კი დირეზე—პატარა ნავთის ლამპა იდგა.

— ეს ოთახი თქვენთვის დავამზადეთ. ამ მაგიდაზე ქაღალდებს გადაგიფარებენ და მოგიტანენ აგრეთვე საჭირო დავთრებსა და სთვლელს. თუმცა ცოტათი პატარაა, მაგრამ, ხომ იცით, ბინების სივიწროვეა,—თუ სიბნელე იქნება, მაგ ლამპას აანთებთ. ელექტრონის გამოყვანა გვინდოდა, მაგრამ ძვირად ჯდებოდა,—მომჭირნეობის რეჟიმია, ყაირათი გვმართებს. ჰო, მართლა, ამ ელექტრონზე მომაგონდა... ჭიანურმა დაუძახა სამნეო ნაწილის გამგეს და მისცა „დაკვრითი“ დავალება:

— ჩემს კაბინეტში ლიუსტრა კარგად ვერ ანათებს, ნამეტანი უშნოც არის. საჭიროა გამოსცვალოთ,—გამოართვით მოლარეს საჭირო ფული და ტ. ე. მ. ს.-ის მაღაზიაში შეიძინე ერთი დიდი ლიუსტრა.—ამის შემდეგ კვლავ სტეფანეს მიუბრუნდა:

— მაშ ასე, დღეიდან თქვენც ჩვენი ოჯახის წევრი ხართ,—ხე, ხე, ხე! ახლა წამოდით და გაგაცნობთ ჩვენს თანამშრომლებს, საგანგებო კრება თქვენთვის დავნიშნე.

სტეფანე ანგარიშ მიუცემლად გაჰყვა. ჭიანურმა ის წარუდგინა საერთო კრებას და თანამშრომლებს მიმართა „ცეცხლოვანი“ სიტყვით, რომელიც ასე დაათავა:

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი დაწინაურებული ამხანაგი ჩვენთან ერთად ჩაებმება საალმშენებლო მუშაობაში და ხელს შეგვიწყობს შრომის ნაყოფიერების აწევისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

სტეფანემ კი თავის მოკლე და მჭრელი საპასუხო სიტყვა ასე დაათავა:

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,—იმედს არ გაგიცრუებთ, როგორც აქამდე, ისე ამას იქითაც, მთელის ძალღონით ვიმუშავებ შრომის ნაყოფიერების ასაწევად, ხოლო, რაც შეეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, ამას კი თქვენგან დავიწყებ!

კრება მქუხარე ტაშით შეხვდა სტეფანეს.

გაბრიელ ჭიანური კი გაშტერებული დარჩა და თითებით ჟილეტის ღილების თვლა დაიწყო.

ჩახმახი.

# სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო

საჩქაროდ

### თბილისის № უწყების სამეურნეო განყოფილებას

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გუშინ უბედურ შემთხვევით გამოწვეულმა სტიქიამ კინაღამ ჩანთქა ჩვენი წამოწყება, რაც დაწვრილებით აღწერილია ამასთან ერთად დართულ აქტში. ვინაიდან ჩვენი წამოწყება განსაკუთრებული ხასიათისაა, მოსალოდნელია კელავ განმეორდეს ასეთი უბედურება, ამიტომ გთხოვთ, რათა ამას წინად მოთხოვნილი გამაფრთხილებელი ხელსაწყოები და ცეცხლის ბალონები საჩქაროდ იქნას გადმოგზავნილი.

დანართი: მოხსენებული აქტი.

წამოწყების გამგე ალფა.
თანაშემწე ომეგა.

12 მარტი 1926 წ.
№ 123
ქ. ახალბარი.

საჩქაროდ.

### თბილისის № უწყების სამეურნეო განყოფილებას

ა. წ. 12 მარტის თარიღით № 123 ჩემს მიერ გამოგზავნილი იყო მომართვა, რომელშიდაც ვითხოვდი გამაფრთხილებელ ხელსაწყოების და ცეცხლის საქრობ ბალონების საჩქაროდ გამოგზავნას. მიუხედავად იმისა, რომ მომართვა გამოგზავნილია ერთი თვის უკან, არც პასუხი და არც მოთხოვნილი საგნები ჩვენ არ მიგვიღია.

გთხოვთ, რათა აღნიშნული საგნები საჩქაროდ გამოგვეგზავნოს, წინაალმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობას თავიდან ვიხსნით.

წამოწყების გამგე ალფა.
თანაშემწე ომეგა.

15 აპრილი 1926 წ.
№ 214
ქ. ახალბარი.

### ახაბარის წამოწყების გამგეს

თანახმად თქვენი მომართვისა 15 აპრ. № 214 გატყობინებთ, რომ როგორც მთავარ საწყობიდან მიღებულ ცნობებიდან გამოირკვა, თქვენს მიერ მოთხოვნილი ცეცხლის გამძლე პურპლეულობა საწყობში არ აღმოჩნდა. არის მხოლოდ ბროლის „გრაფინკა", ასეთივე „პადნოსით" და ცალი ჭიქა, რომლებიც აქ კაბინეტისათვის არ გამოდგა და სწორედ შესაფერისია თქვენთვის. უკეთესის შეძენას, მომჭირნეობის რეჟიმის გამო, წარმოება თქვენთვის ვერ იკისრებს. მიტომ წინადადებე გეძლევათ დაკმაყოფილდეთ ამით. ამასთან ერთად გეგზაენებათ აღნიშნული საგნები

უფროსი იქსი.
საქმისმწარმოებელი იგრეკი.

9 ივნისი 1926 წ.
№ 9158913/54789
ქ. თბილისი.

### თბილისის № უწყების სამეურნეო განყოფილებას

თანახმად თქვენი მომართვისა 9 ივნ. 9158913/54789. მოგახსენებთ, რომ თქვენ', მიერ გამოგზავნილი გრაფინკა, პადნოსი და ჭიქა მივიღეთ. უკეთ რომ ვთქვათ, მივიღეთ მათი ნამსხვრევები. ამასთან ერთად გაუწყებთ, რომ აღნიშნული საგნები ჩვენ სრულებითაც არ მოგვითხოვნია და რითი იყო გამოწვეული მათი გამოგზავნა, ჩვენთვის გაუგებარია. გიგზავნით რა თქვენს მიერ გამოგზავნილ საგნების ნამსხვრევებს, გთხოვთ დამოგვიგზავნოთ ცეცხლის გამაფრთხილებელი ხელსაწყოები და ბალონები.

წამოწყების გამგე ალფა.
თანაშემწე ომეგა.

15 ივნისი 1926 წ.
№ 270
ქ. ახალბარი.



სურათი, რომელიც უსიტყვოდაც მეტყველია და ყველაფრის მთქმელი.

## ახალბარის წამოწყების გამგეს

თქვენი მომართვა 15 ივნ. № 217 ნათლად ამტკიცებს, თუ რა საშინელი არევ-დარევაა თქვენს წამოწყებაში. წინადადება გეძლევათ, დამტვრეული ჰურჰლეულობის საფასური, სახელდობრ 20 მ. და 27 კ. დაუყოვნებლივ შემოტანოთ სალაროში, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს და თქვენც გადაყენებული იქნებით სამსახურიდან. გარდა ამისა ჩვენთვის სრულებით გამოურკვეველია, თუ რა ბალონებზე და გამაფრთხილებელ ხელსაწყოებზეა ლაპარაკი. გევალებათ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ამის შესახებ დაწვრილებითი და დასაბუთებული ცნობები და საერთოდ გეძლევათ სასტიკი საყვედური მიწერ-მოწერის გაჭიანურების ნიადაგზე.

უფროსი იქსი.

საქმისმწარმოებელი იგრეკი.

20 ოქტომბერი 1926 წ.
№ 151789170/70580
ქ. თბილისი

საჩქაროდ.

## თბილისის № უწყების სამეურნეო განყოფილებას

თანახმად თქვენი მოწერილობისა 20 ოქტ. 151789170/70580 პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ახალბარის წამოწყება საფრთხეშია. ყოველ წუთში მოსალოდნელია უბედურება. ამის შესახებ ყველა დაწვრილებით ცნობები მოყვანილი იყო ჩემს მიერ გამოგზავნილ მომართვასთან 12 მარტ. № 123 დართულ აქტში, რომლის ასლს ამასთან ერთად გირდგენთ. რაც შეეხება დამტვრეულ ჰურჰლეულობის საფასურის 20 მ. და 27 კ. გადახდას, გატყობინებთ, რომ ჰურჰლეულობა ჩვენ მიერ მიღებულ იქნა დამტვრეულ მდგომარეობაში და ამაში, როგორც მე, ისე სხვა ჩემს თანამშრომლებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისთ. კვლავ გთხოვთ ხელსაწყოების და ბალონების საჩქაროდ გამოგზავნას.

დანართი: აქტის ასლი..

წამოწყების გამგე ალფა.
თანაშემწე ომეგა.

2 ნოემბერი 1926 წ.
№ 301
ქ. ახალბარი.

იმას, რომ
ხრა მუშა
ქი თაჲისი
მოთხოვნილება მთავ-
კონფერენ-
წევრებით
გერმანიის
მოღვაწეო-
მთავრობა
გამოიყენეს
რათა მა-
თი მუშათა
საშუალება
პრაქტიკუ-

ლითაც ჩადენილია ბოროტმოქმედება. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია

### ცეცხლი ქ. ახალბარში

20 დეკემბერს, დღის 12 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ახალბარის შედარებით ერთ დიდ წარმოებას. მიუხედავად მუშებისა და ადმინისტრაციის ენერგიული ზომებისა, ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა. ქარხანა დაიწვა სრულებით. არის ადამიანის მსხვერპლიც. ზარალი დიდია.

მადის და
ში დიდი
პირველი
ბი დააპა
დადგენი
ძის შესა
ბაში ნათ
და ქონდა
სასა.ართ
სამი დეპუ
ისინი კი
ლი აილო
„კურიერ
და უფლე
რეში და

საჩქაროდ.

## ახალბარის წამოწყების გამგეს

თანახმად თქვენი მომართვისა 1 დეკემბ. № 301 გამაფრთხილებელი ხელსაწყოები და ცეცხლის საქრობი ბალონები გეგზავნებათ დღესვე. ამასთან ერთად გეძლევათ სასტიკი წინადადება, რათა დამტვრეულ ჰურჰლეულობის საფასური 20 მ. და 27 კაპ. დღესვე გადმოგზავნოთ თბილისის სალაროში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებით წარმოებიდან და დაპატიმრებული.

უფროსი იქსი.

საქმისმწარმოებელი იგრეკი.

4 იანვარი 1927 წ.
№ 2678903457/112345
ქ. თბილისი.

ცნობები მოკრიბა და გამოქვეყნა
სინემატო-მ.

## ყველგან და ყოველთვის

### ანუ ბიუროკრატი... თავის კაბინეტში



ხა-ხა-ხა-ხა... ყველას მე გავაძრე ხ ქა.
არხეინად ვზივარ აქაც, როგორც იქა.
ორი კაბინეტი მაქვს და კიდეც მინდა.
აქ წამოვალ, თუკი ყოფნა იქ მომწყინდა.
დავჯდები და სანამ დავისვენებ აქ მე,—
თავისთავად იქ ხომ გაკეთდება საქმე?!

# „აშიპკა“



(ქუჩაში გეო ხვდება აკოფას და ნხიარულად შესძახებს)

**გეო**—ბარილუს ჯკოფჯან, ბარილუს. გაიგე ხაბარი?

**აკოფა**—ჰა, რა ხაბარია, ვაჟიშვილი ხომ არ მაგმატებია ამ სიბერის დროსა?

**გეო**—რის ვაჟიშვილი, რის ფლანი. იფრო მეტია, იფრო სურიოზნი რამეა დალგაჟდანი რადოსტია. ჰო, მართლა, მე კინალამ დამავიწყდა, რომ შენ ახალ მოდნი კამუნისტი ხარ, იმათ პლატფორმაზე შამდგარხარ რალა, საჩუსტვია უშვრები და ჰამაც პარტიაში გინდა შახვიდე. ახარ მართალია. პარტიაში არ შაგიშვეს, ჰამა გარედან მაგათი ხარე გიჰერია რალა, მითომ და რა არი ახალი ვეიაჲნიის კაცი ხარ, მარაქაში ერევი, ბუნტოვჩიკოფ შენცა. ეე, მუთა ტო, ახარ შენი თითილბაზობა მაგათაც გაიგეს და, ანგარიში ქნეს—ასმა აკოფა ჩვენი ხარე იმიტო იჰერს, რომ რაც ჩასტნი სობსტვენია ჩამოვართვით, მითომ უკან წაიღოსო. შენი ნათქომია რალა. ტარტაროზში ფეჩატნათ ჩაგიგდია.

ეგ არი რალა, ამწვანდა პაპას ბოსტანი, მითომ ისეთი უმნი რამე გამოხველ, რომ მაგისთანა საკენკით ბალშევიკების მოტყუება მოინდომე. თუო, მე საჩუსტვია გიხამთო, პლატფორმაზე დავდგები—რიჟი პამაგაი გაგიხდებითო რალა და თქვენ კი რაც ჩამამართვით აბრატნი მიყავითო. ახარ იმიტო იყო რომა ოქროს ბლუდზე დაგილაგეს ყველაფერი—აკოფჯან, აჰა მიირთვი, ოღონდ ღრძილებში ძვალი კი არ შაგერჰოსო?!

**აკოფა**—ახარ, რა ჰაკარაკზე ამდგარხარ? ჩემი ბლატფორმაზე დადგომა რაზუმნი შაგია, შენ იმას ვერ მიხვდები, შენ თავით არა ფიქროფ, ძველი აჰკებით უყურეფ ცხოვრებასა: შენი ანგარიში ჯიბეა, ჩოთქია, იგოისცკი სტრემლენიაა. მე მაგაზე დიდი ხანია, ხელი ავიღე, რაზუმენია ვქენი, ვნახე მაგათი მარიფათი, თავით ვიფიქრე და უბეჟდენია გავაკეთე თუ ჰუზურში ახრიზამანი მაგათია შადექ აკოფ, შადექ პლატფორმაზე—ყველა გზები აქეთ მიდის, შენც სწორეთ იარე, ხრამში არ ჩავარდე, თოლ, ვა ცუდი ვქენი? ნახე რალა, თელი მილეთი მაგათ პლატფორმაზე შამდგარა, ერთათ ბუნტობენ, ერთათ სტრაიტელსტვო აკეთებენ. ჰამა, ამას შენ როგორ მიხვდები, თავი ცვეტნოი კაპუსტას მიგიგავს. შენ სხვა თქვი, შენი სურიოზნი ხაბარი გამაგებინე, ამოხმი რალა, დაიწყე.

**გეო**—ჰო, იმას გებნებოდი. მაშ არ შაგიტყვია? ასმა ვაენი უნდა იყოსო.

**აკოფა**—ეეჰ, ჰაკარაკ მიხოსი ტო, ახარ ჰორების ზანდუკი ნუ გახსენი და! რის ვაენი, რის ბოზბაში, ყველა გვცემს და იძახიან თუ ასმა უსავეცკოთ ჩვენ ვერ გავძლებთ, ჰაა, დაკა ხელი—შავრიგდეთო, ჰაჰა ჩვენ არ ვჩქარობთ: ჯერ გვეხვეწონ, სარფა მეტი იქნება.

**გეო**— ვა, გიჟეს? მე ჩემი ყურით გამიგონია თითონ სტარში ბალშევიკმა თქო თუ, დიდი ვაენი უნდა ვქნათო, ეს კი აქ მებნება თუ ჰორიაო. ვა ბნელა? მკითხე რალა,—პადრობნათ გითხრა:

**აკოფა**—ჰაა, დაუკარ!

**გეო**—ფითოევის ტრიატიხო იცი? აი, იქ პარტინი ზასედანია ქნეს, სულ დიდი, გლავნი ბალშევიკები იყვნენ. მეც სლუჩაინათ დავესწარი: ბუფეჩიკ იაგორას ლიმონათის ბოთლიკები შაუტანე რალა, და კარებიდან ტაინათ შავიხედე. ის ერთი. სულ დიდი ბალშევიკი, რომელიც არ იყო, იმან დიდი რეჩი ამობდა თუ: ტავარიშჩი, მი დოლჟნა აბიავიტ ბეზპაშჩადნი ვაინა ბიუროკრატიზმაო, ეს ბურჟუაზნი სენია და უნდა სავსემათ მოვსპოთო, ყველანი პოსტზე უნდა ვიყოთო და კაპიტალიზმს ნება არ უნდა მივცეთ, რომა ჩვენში იმან თავისი ასტატკა ქნასო. მართალია ბიუროკრატიზმი სილნი ვრაგია, ჰამა ჩვენც მაგრათ უნდა დავხდეთო. ამ ომში უნდა ჩვენ გავიმარჯოთო.

ვა, რას იცინი ბემურაზ? გებნები ჩემი ყურით გამიგონია მეთქი.

**აკოფა**—(სიცილით) მერე? გაგიხარდა?

**გეო**— ვა. გამიხარდა რომელია? რა დაგიმალო ცა გამეხსნა, კრილატი გავხდი, გულში იმედმა გამიჩუჩუნა და ზაკლუჩენიებიც გავაკეთე. ვამოფ თუ: ეს ბიუროკრატიზმი ამერიკაა, კაპიტალიზმიც ალბათ ანგლია იქნება, რახან იმათ ომს უცხადებენ, ჰუზურში არა რომ პასლესტვიაც იასნია: იმათი გამარჯვება ნეპრემენი საქმეა, მთელი ტეხნიჩესკი ნაუკა იმათ ხელშია, ზარბაზნებ, ბომბები, პულემტრი, რამე. ზნაჩიტ. საქმე ალჩუს მოდის. ჩვენი ჰამქრის მასკვლავი ამოსულა და ჩემი იმენიებიც ისევ ჩემს ხელში ჩავარდება მეთქი. ახარ რამტოლიც მეტი ვიფიქროფ, იმტელი უბეჟდენია მოდის რალა, ყველაფერს ჩოთქში ვაგდეფ. შენ კი იძახი თუო, ცვეტნოვი კაპუსტა ხარო, ახარ მაგასაც მალე ვნახავთ კაპუსტა ვიქნები თუ მარკოვი. შენ ის მითხარ როგორ გუნებაზე დაგაყენა ამ ხაბარმა? ჰაა, დაბრავოლცათ არ მიდიხარ?

**აკოფა**—ალხეისათ!

**გეო**—ვა, რა ბუზუსტრაშნი რამე გამხდარხარ, ახმახ, შენ იმათ ეომები? ისე შამფურივით აგაგებენ შტიკაზე, რომ სულ კიშკები წინ დაგილაგონ. მააშ!

**აკოფა**— (სიცილით) იცი რა გითხრა გეოჯან? შენ მართლა გამოთაყვანებულხარ, წიწილასავით სიზმარში ფეტვი მოგლანდებია და ისეთ აშიპკაში ვარდები, რომ ფას ყველა შენი სმეშნოი პრიკლუჩენიები. ახარ ბემურაზ, თუ არ იცი იკითხე, შაიტყვე, სლავარში ჩიახედე მარაქაში ჩავარდი: ბიუროკრატიზმი ამერიკა და ანგლია კი არ


„ბრძოლის ველი"

[illegible] გამგეს.

განცხადება.

[illegible] თანახმად კანონის ა, გთხოვთ მომცეთ სპეც-ტანსაცმელი: წინსაფარი და ერთი წყვილი ფეხსაცმელები.

აგრეთვე ერთი-ცოცხი, იატაკის მოსაწმენდი ჩვარი/ძველი ტომარი/ და ნაგვის გადასატანი ყუთი.

„10" მაისი 1926წ. დამლაგებელი:

(ეს განცხადება შემთხვევით ჩაუვარდა ტარტაროზს ხელში და აქვეყნებს, როგორც ბიუროკრატიზმის ნიმუშს. განცხადება მიცემულია 1926 წ. 10 მაისს. ახლაც კიდევ მსვლელობაშია ეს საქმე. უახლოესი რეზოლიუცია აღნიშნულია 1927 წ. 18 იანვარს).

---

არის, ის ძველი ჩინოვნიკური ჩვეულებებია, დაუდევრობაა, გულგრილობაა, სამსახურში ორგულობა, საქმეების გაჭიანურებაა. ამისთანა რამეებს რაბოჩი გასუდარსტვა არ უშვებს, ასმა ხალხის საზარალოაო, ასეთ ჩინოვნიკებს ბალშევიკები ებრძვიან, ასობენათ ამ ბოლო დროს ბესპაჩადნი ომს უცხადებენ და ზნაჩიტ, რომ გაიმარჯვებენ კიდეც. ახარ შენ რომ სიტყვები გაგიგონია ამერიკანცკი ვაენი კი არ არის, ეს ფიგურალნი ვირაჟენიაა, ხარაქტერნი გამოთქმაა. ლოზუნგია. ვა, რაზუმეიცა, რომ მეც დაბრავოლცათ წავალ და ვეომები ბიუროკრატებს, შენისთანა ლიპიანებს. ჰაა, ფერ-ფური ნუ მიგდის პაშჩადა არ იქნება. შენც ბიუროკრატი ხარ, და ესვე ფარსადანს ტილიფონში დაუკრამ და ვეტყვი, რომ ჩაგაგდოს ტარტაროზის სპეციალნი ნუმერში, ამ კარტიჭკით კი ჩეკაც ადვილად გიპოვნის და ჩემისთანა დაბრავოლცებიცა.

**გეგო**—(მკვდრის ფერი ადგება, ენა ებმის და შიშითა და დარცხვენით ლუღლუღებს) აკოფჯან, ახარ ჩემა მზემ მიხუმრია, ვთქვი თუ ამ დილა-ჰუზმოზე ერთი ზაბავნი შტუკას ვქნამ მეთქი, გავაცინეფ მეთქი რალა აკოფას, მართალია ახალი უბეჟდენიის კაცი გახდა, ჰამა ჩვენი ჯიგარი კიდევ ექნება მეთქი. თუ ძველი პურმარილი გწამს, თუ საქმე მართლა ასეა, ნურავის ეტყვი თუ მეც ბიუროკრატი ვარ. ნურც ფარსადანის პირში ჩამაგდეფ, მიმიქარია, რალა აშიპკა მოქნია, იზვინენია მიყავი. (თან გარბის და თავისთვის ბუზღუნებს:) კდევ თაფლ'ში ჩამიფურთხეს რალა, კოვზი ისემეში ჩამივარდა.

**აკოფა**—დერუი ემუ, ნე პუსკაიტ, ბიუროკრატი სპეციალნი ნუმერ ტარტაროზ ნუჟნა ბრასაიტ.

ფარსადან.

# როგორ მუშაობს



მემანქანე პროტექციანტკა



მემანქანე მეორე ხარისხისა

## გულწრფელი რჩევა

— ჰოო, გამარჯობა შენი პლატონ — მიესალმა ბენო პლატონს, მხარზე ხელი დაჰკრა და ხელი ჩამოართვა.

პლატონი შრომის ბირჟიდან მოდიოდა და ცუდ ხასიათზე იყო.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია იმისი თქმა, თუ რატომ იყო შრომის ბირჟიდან მომავალი პლატონი ცუდ ხასიათზე:

ვფიქრობთ — ამას ყველა მიხვდება... ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თავისი კავშირის სექციამ იგი დღესაც ვერ გაგზავნა სამუშაოზე.

ვინ იცის: შეიძლება ესეც იყო მიზეზი მისი დაღვრემილობისა, მაგრამ ასეთი უარით ხომ იგი არა ერთხელ გამოუსტუმრებიათ შრომის ბირჟიდან, არა, აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს...

მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებს ეს მიზეზი. ჩვენ გვირჩევნია ყური დავუგდოთ პლატონის და ბენოს საუბარს:

ბენო: კაცო, კიდევ ბირჟაში დადიხარ და კიდევ უმუშევარი ხარ?

პლატონი: რა ვქნა, ძმაო, რა!?. შენსავით ბედი არა მაქვს და რა უნდა ვქნა? შენ, მგონი, ერთი კვირა არც კი ყოფილხარ ბირჟაში, — უცბად მოგცეს სამსახური; მე კი დღევანდლამდის ორი წელიწადი შემისრულდა რაც იქ დავდივარ. რიგში დგომით ფეხის ძვლები ჩამტვრეული მაქვს.

ბენო: იუბილე არ გადაგიხდია? ხა-ხა-ხა-ხა.

პლატონი: ლუკმალუ შრომის ბირჟამ უნდა გადამიხადოს; მგონი ჩემსავით დიდ სტაჟიანი უმუშევარი სხვა არ ეყოლება. ესეც ჩემი ბედი. „თუ კაცსა ბედი არა აქვს, გასტანჯავს წუთი სოფელი“, ალბად ასე იტყოდა დავით გურამიშვილი რომ ახლა ცოცხალი იყოს და ჩემს მდგომარეობას იცნობდეს.

ბენო: ბედი რა შუაშია აქ?

პლატონი: ბედია მა რა იხრობაა აბა! ამდენი ხანია ერთი სამსახური ვერ ვიშოვე; შენ კი ხომ გახსოვს როგორ მალე მოხვდი სამსახურში და ისიც ასეთში!

ბენო: მერწმუნე შენ გგონია, რომ მე შრომის ბირჟამ მიშოვნა სამსახური?.. ხა-ხა-ხა-ხა... ოი, წმიდაო გულუბრყვილობავ... ჩემო პლატონ, შენ თუ შრომის ბირჟას უცადე თუ როდის გიშოვნის იგი სამსახურს, — ისე მოკვდები, რომ სამსახური არ გეღირსება. მონახე „კაბიანი“ სამსახურიც გაჩნდება შენთვის.

პლატონი: მაშ შრომის ბირჟა რა მაქნისია?

ბენო: ერთი შენც დაიწყე რაღა. ის არ სჯობია, რომ ჯერ სამსახურში მიიღონ და გაატარონ და მერე ფორმალობის დაცვის მიზნით, ბირჟაში ქაღალდი გაგზავნონ და ბირჟამ ერთდა იმავე დღეს კიდეც აგიყვანოს აღრიცხვაზე და კიდეც გაგზავნოს სამსახურში? დიახ! ერთსა და იმავე დროს ჩაწერაც ხდება და სამსახურში გაგზავნაც.

პლატონი: სად ჯანაბაში უნდა ვიშოვო „კაბიანი“, როცა უმუშევარი ვარ და ერთი ლამაზი ქალი არ მიცნობს?

ბენო: ნაცნობობაა საჭირო.

პლატონი: ამ ბირჟაში ყველა ჩემსავით საცოდავები დადიან, სხვაგან მე არ დავდივარ და როგორ უნდა მყავდეს ნაცნობობა?! სამსახურში რომ ვიყო, ნაცნობობაც მექნებოდა და ლამაზ პროტექტორშასაც ვიშოვნიდი.

ბენო: სამსახურში რომ, იყო, მაშინ არც პროტექცია დაგჭირდებოდა!

პლატონი: მაგიც მართალია... მაშ საშველი აღარ მქონებია, და ის არის!

ბენო: რა ვიცი რა? შენი საქმე შენ უფრო იცი. მე გეუბნები ჩემი გამოცდილებიდან, რომ შრომის ბირჟიდან ხეირს ნუ გამოელი. იშოვნე ვინმე ლამაზი ქალი პროტექტორშათ და სამსახურში ხელად ამოჰყოფ თავს... უკაცრავად... მშვიდობით, მეხუთე ნომერი ტრამვაი მოდის და მეჩქარება...



სანამ თანამდებობა ამ კაცს ჰქონდა პატარა, —
იგი „ფორდ“-მა ატარა.



მემანქანე პირველი ხარისხისა.

მიდიოდა პლატონი და როცა ლამაზი ქალი შეხვდებოდა ქუჩაში, გაჩერდებოდა, უცქერდა და ფიქრობდა:

— ნეტავი ჩემი ნაცნობი იყოს... ნეტავი ჩემი პროტექტორშა იყოს... რა ბედნიერია ის, ვისიც პროტექტორშა ხარ... ვინ იცის, იქნებ ეხლა მიდის რომელიმე გამგესთან, რომ თავისი ნაცნობი სამსახურში მოაწყოს... საწყალი ჩვენი ბიძია; რას გახდება იგი ამდენ ლამაზ ქალების წინააღმდეგ? ცხადია ვერაფერს; ამიტომაც არის, რომ საშველი არ გვამადგა... ნეტავი ის ლამაზი ქალი, ეგერ რომ მიდის, ჩემი ცოლი იყოს, — ხელად ვიშოვნიდი სამსახურს; განა რომელიმე „დიდი კაცი" უარს ეტყვის მაგას რამეზე?! არც დასაძრახია ისინიც, ვინაც ასეთ ლამაზებს პატივს სცემენ და მათ ნაცნობებს სამსახურში აწყობენ... ჰო, ნეტავი ჩემი ცოლი იყოს-მეთქი... მარა განა მასეთი ლამაზი ქალი გამყვება ცოლად ჩემისთანა საცოდავს? ჰმ! ჩემო სულელო თავო და ჩემო ამხანაგო პლატონ... არა გაქვს საშველი...

მაგრამ, აი, დედა ეტირება მგონი ყველას... ისე მოუვა ჩვენს ბიძიას პატივი და ღირსება... ბრძოლა, ბრძოლა ბიუროკრატიზმს — პროტექციონიზმს. გავსძლებ, გავსძლებ და პროტექციით სამსახურში არ ჩავდგები...

გაციებული ხელები პირზე მიიდო და ამონასუნთქი ორთქლით თბობა დაუწყო.

ბინჯარი.

# იგემა!




მიცვალებული ბიუროკრატი (საიქიოში ღმერთის კანცელარიის კარების წინ) აი ეხლა კი მივხვდი, თუ რა ცუდი ყოფილა ბიუროკრატიზმი... მეც ასე მეწერა კაბინეტის კარებზე.



როცა გამგედ დანიშნეს, — ის გადაჯდა „ფიატ"-ში... დადიოდა ბაღში... კლუბში და თეატრში...



და შემდეგ კი როდესაც გახდა ის თავმჯდომარე, — „მერსედეს"-ით სეირნობს... მუდამ შიგ არის მჯდომარე.

# დავიწყება



ვორონცოვი: ნეტავი კიდევ რამდენხანს მომიწევს ცდა, მინამ ჩემს ალაგას დავინახავდე იმას, ვისი მიზეზითაც უკვე რამდენიმე წელიწადია რაც ძირს ჩამომაგდეს.

# საფუძვლიანი შიში



— რა გვეშველება! ახალი გამგე დაუნიშნავთ ჩვენთვის... იგი მოვა და ყველას დაგვითხოვს თანდათანობით და ჩვენს ალაგას თავის ნაცნობებს და ნათესავებს მიიღებს.

## „№ 84“

(წერილი ბათომიდან)

— დასწყევლოს ეშმაკმა! რას არ მოიგონებენ ეგ ოჯახ დაქცეულები?! დღე-ღამ შიშში როგორ უნდა იყო კაცი? სთქვა თავისთვის ალფესიმ და „ტარტაროზის“ № 82 გაბრაზებით გადაისროლა კალათში.

აგერ სამი წელია ალფესი საქმეთა მმართველია ამ დარგში და ერთხელაც არავის კალამს არ აგებია. მართალია მითქმა-მოთქმა კი იყო, ერთხელ მუშ-გლეხინმაც მიაქცია მას ყურადღება, მაგრამ ეს ყველა საიდუმლოდ მოხდა „ტარტაროზს“ კი არა, გაზეთის მეოთხე გვერდსაც არაფერი უთქვამს მის შესახებ.

— როგორმე თავი უნდა შევიკავო, იმ ორ კვირას ყველასთან უნდა გამოვიცვალო, როგორმე უნდა ავიცდინო „ტარტაროზის“ რისხვა, თორემ, შენი მტერია გლახათ მომდგებიან—გაიფიქრა ალფესიმ და საქმეებს სინჯვა დაუწყო.

— ამხანაგო საქმეთა მმართველო, ამ საწყალ ქალს საჩივარი ჰქონდა ერთ კაცთან; საქმე აქ არის გადმოგზავნილი: თუ შეიძლება მოგვეცით პასუხი რა მდგომარეობაში იმყოფება საქმე,—შეეკითხა ერთი პატარა ტანის ქალი ალფესის, რომელსაც გვერდით შავებში შემოსილი ბავშიანი ქალი ედგა. ალფესიმ უკმაყოფილო სახით ახედა მოსულებს, რაღაც ერ დაუჯდა მათი ფიზიანომია და თავი უხმოდ ჩაღუნა.

— ამხანაგო თუ შეიძლება გავიგოთ? კიდევ შეეკითხა მოსული.

— გითხარი რომ არ მოსულა მაგის საქმე მეთქი!—წყრომით უპასუხა ალფესიმ.

— არაფერიც არ გითქვამს ამხანაგო. მაგრამ ესეც რომ არ იყოს ჩვენ ვიცით რომ საქმე აქ არის მოსული,—უფრო თამამად უთხრა მოსულმა.

— მე თქვენ გეუბნებით: არ მოსულა მეთქი; მომცილდით!—ისეთი ხმით შეჰყვირა ალფესიმ, რომ ქალები შეკრთენ... და გარედ გავიდენ.

— არა დღეს ცუდად მოვექეცი იმ ქალებს მგონი!? თავი რომ ვერ შევიკავე. მაინც ის ქალი რომ არ მომეშვა? ამხანაგო და ამხანაგო, დამიჩემა. არა, ერთი მითხარით, სადაური მისი ამხანაგი მე ვიყავი?!—ფიქრობდა ალფესი და ბოლთას სცემდა.

ნომერი 84 გამოვიდა. დიდი და პატარა მოედვა ბუზივით მას: თითქოს ბიუროკრატების იუბილეაო—ისე იყო ჟურნალი გავსებული მათი სურათებით და ამბებით.

ალფესიმ მოუთმენლად გაეშურა „ტარტაროზის“ საყიდლად. მართალია: სამი შაური გადაიხადა, მაგრამ როგორც კი თავისი სურათი ნახა შიგ, ჟურნალი მაშინვე დახია და გადაჰყარა.

მიხვდა რაც ეწერებოდა შიგ. თვალებზე ხელი აიფარა და შინისაკენ მოკურცხლა.

მერმე რა მოხდა არ ვიცით... მხოლოდ ალფესი ერთხელ შრომის ბირჟის კარებს ათვალიერებდა და ს. პაიქაძეს ადგილს სთხოვდა.

ბ. იბოლდ.

# „...მოსაზრებით“



— გავიგე რომ თქვენთან თავისუფალი ადგილი ყოფილა და გთხოვთ მიმიღოთ სამსახურში.

გამგე: (თავისთვის სახეზე, გაზეთის აფარებით). დასწყევლოს ღმერთმა, საიდან გაიგებენ... რასა ჰგავს ეს ოჯახ-ქორი. (ქალს): არავითარი ადგილი არა გვაქვს... და გთხოვთ ნუ გვაწუხებთ.

— გავიგე რომ თქვენთან თავისუფალი ადგილი ყოფილა და გთხოვთ მიმიღოთ სამსახურში.

გამგე: (როგორც კი ქალს თვალს მოჰკრავს, მაშინვე წამოვარდება და შესთავაზებს დასაჯდომათ თავის სავარძელს) როგორ გაიგეთ, ქალ-ბატონო... დიახ! არის და რომც არ იყოს თქვენთვის მაინც გავაჩენდი (თავისთვის ჩაილაპარაკებს) რა მშვენიერია... უჰ!..

# ქალ-ბატონი პროტექცია

— ხო-ხო-ხო-ხო-ხო!.. ხი-ხი-ხი-ხი-ხი!.. ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

ვუდახარ ტარანტრახტარანანის (ერთ-ერთი ტრესტის შემოკლებული სახელი გახლავთ) გამგის კაბინეტში იდგა ერთი დაუსრულებელი გულიანი როხროხი და ჟრიამული.

რბილ სავარძელში თავისუფლად „ელაგა“ ტრესტის გამგე პროკლე (არც იმდენათ მოკლე, რამდენადაც მსხვილი) ბიუროკრატის ძე ბატკურტუმაშვილი.

მაგიდის იქიდან კი მას თავს ადგენ ტრესტის ზავორგი მაქსიმე მიქიმოქიას ძე ლაქმაქიშვილი და საქმეთა მმართველი, იგივე კანცელარიის გამგე ხარიტონ ხახუტის ძე ყრონტხრინწიანიძე, რომლებიც გამგის ხორხოლს კვერცხდადებულ დედლის კარკალს ხმააყოლებულ ქათმებივით თავიანთ ხირხიცსა და ხარხარსაც ზედ აყოლებდენ.

კარი გაიღო და ოთახში ანცი ნიავის მოწოლაზე ტყის დამოქნარებასავით შემოშრიალდა ნახევრად ტიტველი, ხოლო ნახევრად სიფრიფანა ზიზილ-პიპილებით, ოთხი-ხუთი ხელი სხვადასხვა ფერის სალებავითა და სხვადასხვა ფრინველების ნაირ-ნაირი ფერის ფრთებით მორთულ-მოკაზმული ახოვანი ტანის ბანოვანი, პროტექცია ჩიტნიკარტის ასული კოპწიანიძისა.

ხორხოლი და ჟრიამული მყის შესწყდა, როგორც ქალს წინაშე შეუსაბამო საქციელი.

პროკლე ადგილზე შემოკლდა, ხოლო ზავორგი და კანცგამგე მოკრძალებიანი გაოცების გამომხატველ კითხვითი ნიშნებათ გადაიქცენ და მაგიდის იქით-აქეთ კარტოფილის სანთლებათ აენთენ.

ქალბატონმა პროტექციამ კისერი ჩიტ-მაჭკვიერასავით გადაგრიხა ჯერ ერთი, მერე—მეორე მხრით და ზავორგსა და კანცგამგეს შორეული ვარსკვლავის ჭიატივით თვითეულს თითო ღიმილი სტყორცნა, რაიცა მდაბიო ენაზე მისალმებას ნიშნავდა, და თანაც იმას კიდევ, რომ ისინი აქ პროტექციისთვის მაინცა და მაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდენ.

— დაბრძანდით, ქალბატონო პროტექცია!—სახის ღრეცით შეევედრა ქალს ბატკურტუმაშვილი და თავისი ქონით ამოვსებული დიდრონი თვალები წყვილი სადგისის წვერებივით წამახვილებულ პროტექციას თვალებს ზედ წამოაგო.

— დაჯდომა არ მინდა, პროკ!...

ყელის გრეხითა და სადგისების ორ ნიბლიასავით ქუთუთოებში მიხაბვით მიუგო ქალმა.

პროტექცია რომ სახელს შეუმოკლებდა პროკლეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ზავორგსა და კანცგამგეს უნდა მოეტეხათ თავიანთი ჯიუტობა. ამათაც, მიიღეს რა გამგის თვალებით შესაფერი ინსტრუქციები, მაგიდას ფიცხლავ განშორდენ და კაბინეტიდან—ერთი მარცხნივ, ხოლო მე-

# ვარჯიშობა



ბიუროკრატი ეჩვევა ახალი დატის წერას.

ორე მარჯვნივ—გავიდენ თავთავიანთ ოთახებში.

— პროკ!—დაარღვია ჩამომდგარი სიჩუმე ქალბატონმა პროტექციამ.

— ია კ ვაშიმ უსლუგამ!..

— ტიტ მოლოტიტის საქმეზე მოვედი. ხვალიდანვე უნდა ჩანიშნო; გესმის?!—მოკლეთ მოსჭრა ქალბატონმა პროტექციამ და წინდისჩხირივით გრძელი ფრჩხილგაპრიალებული სალოკი თითი ზე კაკალ ცხვირის მუშტივით მსხვილ წვერზე დაადო ბატკურტუმაშვილს. დაადო და თანაც დაუცაცუნა, თითქოს პიონერი ბარაბანს ურტყამსო.

— სლუშაიუს!—გაიღლლაბა, გაიბნიდა და გადნა პროკლე ქალის წინაშე, თითქოს ცეცხლზე შემოდგმულ ტაფაში დუმის ნაჭერი ჩააგდესო.

— კარგი!.. ვეცდები!—ძლივს მოახერხა მან საქმის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით ცოტათი შეშფოთებულმა.

— „ვეტცელი“ კი არა, „ოტელ ნოი“!... გესმის? ხვალვე!... უეჭველად!... უსათუოდ!—სეტყვასავით დააყარა ერთმანეთში არეული ირონია და ბრძანება გაბურახებულ ბატკურტუმაშვილს ამით კიდევ უფრო წათამამებულმა ქალმა და კარებისაკენ გაიწია.

მდინარის ზვირთთა ქუჩაზე ატივტივებულ ნაფოტივით გაიტაცა მიმავალმა პროტექციამ ახალ დადგმულ ზვინივით სავსე ბატკურტუმაშვილი, რომელმაც ქალი კარებამდის მიაცილა. აქ ქალი ერთხელ კიდევ შესდგა ბატკურტუმაშვილის წინაშე, წელში ვაზივით მოიგრიხა, თეთრ კბილებს ფარდა დიდის სიკეკლუციით ახადა და მტევანში გადატეხილი ხელთათმანიდან ნახევრად ამოტიტვლებული ხელის ზურგი ბატკურტუმაშვილს წამოუბზიკა ჩვეულებრივი პროშტისათვის.

ბატკურტუმაშვილი ამ უკანასკნელ ბედნიერებას დიდი ხნის ნამწყურვალევი ცხოველივით დაეწაფა და ტუჩებით ხანგრძლივად ზედ მიადნა.

ღმერთმა უშველოს მეკარეს, რომელმაც თავისი იქ დგომის მელავნებით ბატკურტუმაშვილი გამოარკვია, ხოლო, როცა ქალი კაბინეტს გაშორდა, კარები თავაზიანი სიწყნარით მოხურა გამგის წინაშე დამაახურების უეჭვო იმედით.

გაბრუებული პროკლე მაგიდასთან თავის ადგილს მიუახლოვდა და სავარძელში ჩალაგდა.

კაბინეტში ჯერ კიდევ ტრიალებდა სალებავისა, ლორიგანის, „დუხის“ და ქალის ოფლისაგან შეზავებული ნჭორი.

ბატკურტუმაშვილმა ელექტრონის ფოლაქს თითი დააჭირა. კარი გაიღო და კანცელარიის გამგე წარმოსდგა გამგის წინაშე.

— ექსპედიტორი მშვიდობაძე შეამოკლე; სალიკვიდაციო და სხვა შეუმზადე და გაისტუმრე!..

კანცგამგე სიტყვის უთქმელად გავიდა.

პროკლემ ახლა მეორე ფოლაქს დააჭირა თითი და კაბინეტში ზავორგი შემოლასლასდა.

— მოახდინეთ შესაფერი განკარგულება და, ვისთანაც საჭიროა შეთანხმება, ახლად დათხოვნილ ექსპედიტორ მშვიდობაძის ადგილზე ტიტ მოლოტიტის დანიშვნის შესახებ. შედეგი კი მე მაცნობეთ დასადასტურებლად!..

---

პატარახანს უკან სახეგაბრწყინვებული ზავორგი და კანცგამგე ისევ წარმოსდგენ გამგის წინაშე და წინ დაუდვეს ტიტ მოლოტიტის ექსპედიტორის თანამდებობაზე მიღების აქტი დასადასტურებლად.

და რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა აქტი დამტკიცებულ იქნა გამგის მიერ ხელის მოწერითა და სათანადო ბეჭდის დასმით, ბატკურტუმაშვილის კაბინეტში ისევ გაისმა გულისა და ყურის წამღები ხორხოლი, ხარხარი და ხრინწიანი ხიცხიცი.

**ონისიმე.**

# დაკარგული „საქმე“

ხაჯალოვმა სამილიციო უბნის უფროსს მიართვა თხოვნა:

**ჩემს ბალკონში მკვდარი კატა გდია და გთხოვთ გამოგვიგზავნოთ სანიტარული ექიმი საქმის გამოსარკვევად და ოქმის შესადგენლად.**

კომისარმა რეზოლიუცია წააწერა: **„მიიღეთ სასტიკი ზომები კანონის ფარგლებში“.**

ხაჯალოვი სიხარულისაგან შევარდენივით გაფრინდა შინ და ცოლს მიახარა—სასტიკი ზომებია მიღებული.

სანიტარულმა ექიმმა, როცა გადაიკითხა ხაჯალოვის განცხადება, ჩაიცინა და წააწერა: **„ყველაფერი მოგონილი სიცრუე და ჭორია“.**

მეორე დღეს დილით, როცა ადრე ადგა ხაჯალოვი და მკვდარ კატას მიაკითხა თუ გადაუგდიათო, მის გაკვირვებას საღვარი არ ჰქონდა—კატასთან ერთად დამხრჩვალი ძაღლიც ეგდო და თითქოს ხაჯალოვის კბენა უნდაო, კბილები დაელრიჯა.

როგორც კი შევიდა თავის კაბინეტში კომისარი, ხაჯალოვმა განცხადება მიართვა. ამ განცხადებასაც ისეთივე რეზოლიუცია წააწერა კომისარმა, როგორც პირველს.

მთელი დღე არსად წასულა ხაჯალოვი; ეზოდან ფეხი არ გადაუდგამს,—სანიტარულ ექიმს ელოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ მოდიოდა. ღამის თორმეტ საათამდი არ დაუძინია, იმედს მაინც არ ჰკარგავდა, მაგრამ ამაოდ.

ჩვეულებისამებრ ადრე ადგა და ბალკონზე გამოვიდა, რომ ენახა კატა და ძაღლი... და, ოი, საკვირველო საშინელებავ—გაებათ კანაფი სვეტიდან სვეტზე და ზედ მკვდარი ვირთხები ისე ჩამოეკიდათ, თითქოს გურჯაანელ ჩურჩხელებს აშრობენო, ან კიდევ, თითქოს, ილიუმინაციის შუშებიაო...

მირბოდა კომისარიატისაკენ ხაჯალოვი. სახეზე ისე ეტყობოდა გაბრაზება, რომ გამვლელებს შეშლილი ეგონათ და ყველა გზას უთმობდა. ერთ ალაგას ფეხი წამოჰკრა კედლიდან პირდაპირ ტროტუარზე გამოყვანილ ბოლის სადენ მილს და ისე მაგრა დაეცა, რომ მის მკერდიდან რამდენიმე სამგლოვიარო სალიუტი მოისმინა.

როცა ხაჯალოვი ამ მდგომარეობაში იყო, კომისარს სანიტარული ექიმი ელაპარაკებოდა:

— ხაჯალოვი სტყუის—იგი სახლის-პატრონია და მდგმურებს ჭორებს უგონებს. ყველა ეს მისი ნამოქმედარია.

როცა სანიტარული ექიმი შიშმალა მოსახვევში, ხაჯალოვი კომისარიატის კარებში შედიოდა.

— ამხანაგო, კომისარო!

— რა გნებავთ „ამხანაგო“ სახლის-პატრონო?!

— აბა, ბატონო, თუნდაც ჩემს ხარჯზე ავტომობილს მოგართმევ, და წამობრძანდით, თვითონ თქვენ ნახეთ რას მიშვრებიან.

— ჰმ! თქვენ დაჩვეულნი ბრძანდებით ქრთამებს...

— მაშ თქვენი ავტომობილით წამობრძანდებით?

— ჩემი წამოსვლა რა საჭიროა, როცა სანიტარულმა ექიმმა, სთქვა რომ შენ სტყუი.

— არა, ბატონო, არა, როგორც დღეს დილით თქვენ ბაბუაჩემის საფლავზე სანთელი არ დაგინთიათ, ისე იმას ჩემი სახლი არ უნახავს. ის ექიმი თქვენ გატყუილებს; აბა წამობრძანდით და დარწმუნდებით ამაში.

კომისარი გაჰყვა.

— დამნაშავე, ყველა მისი ჩამდენი არის ეს ჩემი მდგმური ბანძლალოვი.

— ეს გვარი გამიგონია!—სთქვა კომისარმა.

— რატომაც არ გაგიგონია,—მოისმა ხმა და კარები გაიღო, გამოვიდა თვითონ ბანძლალოვი,—მე ვარ ბანძლალოვი. ხუთი სახლი ჩამომართვეს და ორი ქარხანა.

— მერე ჩემი რა ბრალია!—ცხარობდა ხაჯალოვი.

— მერე-და ამისათვის უნდა მიუყარო სახლის-პატრონს დამხრჩვალი ძაღლი, კატა და ეს ვირთხები?—შეეკითხა ბანძლალოვს კომისარი.

— კი მაგრამ თქვენ რა იცით, რომ ეს მე ვქენი და არა მან თვითონ?

— კომისარი დაფიქრდა.

— მმდდა... მართალია; ეს პირდაპირ სასამართლოს საქმეა.—სთქვა ბოლოს მან.

— სწორედაც რომ სასამართლოს საქმეა!—დაუმატა ბანძლალოვმა.

— რად მღუპავ, კომისარო, რათა? არ გებრალები?—ჰყვიროდა თავგატეხილივით ხაჯალოვი.

— რას ნიშნავს გღუპავ?

— რასა ნიშნავს, კაცო, და სასამართლო ორ-სამ წელიწადში არ გაარჩევს ამ საქმეს!

ფეშანგი ფაშვბერტყაძე.

# „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა“

უჩრეჟდენში მივდიოდი მე ნელა.
გზაზე შევდეგ, ავტომ გზა შემინელა.
იმ ავტოში გამგე იჯდა ვერაგი
და კრახმალით მოუჩანდა პერანგი.
სამსახურში რომ შევაღე კარები—
მომაძახეს:—შენ სად მოიპარები!?
შენ ხომ იცი,—დაგითხოვა გამგემა;
ამ ბოლო დროს შრომის ბირჟა გაგემა.
„და მივიღე მე ქაღალდის ხვეული.
უკანონოთ ვიყავი დათხოული...
გავიქეცი გამგესთან საჩივლელად,
და ყალობა წარუდგინე მე ხელად.
ერთიც ვნახოთ... შეხე რა ტუტუცია!
წააწერა: „ატკაზ“—რეზოლიუცია,
უფრო მაღლა შეუყევი მე ნელა,
თუმც კომისრის გამონახვა მეძნელა.
საჩივარზე მანც დაწერა „ატკაზი“,
„თანაც მომცა მე ასეთი ნაკაზი:
— განზე, განზე, შენი მესტა იცოდე,
აწი შენს თავს ბეზრაბოტნი უწოდე“
წამოვედი მისგან გულ დასერილი
და მუშგლეხინს მიუტანე წერილი.
მუშგლეხინმა განიხილა ყალობა
და უშველოს... იმან მომცა წყალობა,
უკანონოდ მიცნო მან დათხოული,
სთქვა:—„მიგიღონ უკან, არის დროული“.
გამოვბრუნდი, მივაკითხე გამგესა,
იმან კიდევ ცეცხლი მიუარესა...
—„ვერ მიგიღებთ, მეგობარო, ველარა“!
ამის გამგონს გულზე შემომეყარა...
მივაკითხე ადგილკომს და ერკაკას,
შევებრალე განაღამცა ერთ კაკალს?..
დამიწერეს მათაც რეზოლიუცია:
—„პროფკავშირო უქენ ეგზეკუცია“.
პროფკავშირში გაუყევი მე ნელა,
სიარულმა თვალები დამიბნელა;
პროფკავშირში ვნახე უპრავდელია,
ღიღინობდა: „ოდელია, დელია“.
მივაძახე:—მტკვარში გადავარდები,
თუ ეს საქმე აქვე არ მოგვარდება!—
წაიკითხა მიმოწერა მანაცა,
შემომძახა:—ნუ გეშინის, დამაცა,
მიმოწერას უნდა რეზოლიუცია!“—
და დასწერა... (შეხეთ რა ტუტუცია)...
გამომიშვა. წამოვედი უგონო,
გავიძახდი:—ახლა რა მოვიგონო?
მტკვრის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწამე(!)
ვთქვი: „რაღაი ასე ულვთოდ ვეწამე,

## ერთმანეთს მიუსამძიმრეს



— ქოტი... მე ბიუროკრატობისათვის დამითხოვეს, მაგრამ შენ რაღას გერჩოდენ?

— მე ბიუროკრატებს ვებრძოდი... და ამიტომაც ბიუროკრატებმა დამითხოვეს.

# რომანსი

### („დავრდომილი სნეული“-ს ხმაზე)

**ძლვნად გაპითურებულ ბიუროკრატს.**

სანამ მქონდა ძალღონე,
შენც კი გახსოვს, მატრონე,
შეგხვედი და მომეწონე,
ჩემს გულს დაეპატრონე!

მატრონე, ხომ სწორია.
„კოტი“ და „ლორიგანი“,
გიყვარდა „ვიქტორია“,
„შარი“ და „უბიგანი“.

მუდამ შენთვის თავს ვსდებდი,
ჰვალებში გიყურებდი.
რასაც მოვისურვებდი
არაფერს ვიშურებდი.

მოიგონე, მატრონე,
მე გაფიცებ დედაშენს.
ის დღე—ჩემს კაბინეტში
რომ ვიჯექით მე და შენ.

დილიდან სალამომდე
რომ გვქონდა მასლაათი...
შენ რომ „ნიშნად“ წაიღე
ჩემი ოქროს საათი.

წაიღე და როდესაც,
ეშხით კართან მეჩერდი...
ერთ კოცნაში, რომ მთხოვე
ჩემი ოქროს ბეჭედი.

ჩემთან ყოფნას ნატრობდი,
ტრფობის ცეცხლით მათრობდი:
მუდამ ასე ამბობდი:
„ძველ ცოლს მიეც რაზვოდი“.

კაბინეტში არავის
არ უშვებდენ შენს გარდა,
(ჩემი ცოლი ეგონეთ)...
მოსვლა ხშირად გიყვარდა.

მე იმაზე ვდარდობდი,
შენ რომ არ დამკარგოდი;
ჩემს ცოლზე რომ ბრაზობდი,—
შენთვის მასაც გავშორდი.

შენთვის ცოლი დავკარგე,
ცოლი ალალ-მართალი.
ეხლა აღარც ერთი მყავს,
— არც ძველი, არც ახალი.

ეხლა რა ვქნა, მატრონე,
ციხეში ვარ მარტო მე;
უნუგეშო, ეული,
დავრდომილი, სნეული.

შენი ეშხით დასჯილი,—
აქ ვარ შენი ვასილი...
მოიგონე განვლილი...
მომიტანე სადილი.

**ბუშტი.**

რატომ უდგე ჩემს პერსონას მუდამ მტრად,
საიქიოს იქნებ მოვხდე ბულალტრად...
მართლაც, მტკვარში მოვადინე გრაგვანი,
ავაყენე ტალღებში ურაგანი.
ვიხრჩობოდი... დამინახა მე ხელად
წყალში დამახრჩობ ობშესტვოის მოხელემ.
გადმომძახა:—„თევზებს რომ უვარდები,
ნუ გგონიე მაქ ია და ვარდები.
მე გიშველი, მოიცადე მანდაკი!
ჯერ უფროსებს უნდა მიეცე პატაკი“.
სანამ იგი საპატაკოდ ვიდოდა,—
თქვენ ხომ იცით თუ რა მომივიდოდა?!.
ერთი სიტყვით... მე დავიხრჩვი, სხვა რაღა,
ვოლოკიტამ სამუდამოთ დამღალა.
აგვიანებს ფოსტა საიქიოდან,
ამის წესით მე ცრემლები მდიოდა:
თურმე აქაც ჩამოსულა სამიწე,
ეს მუდრეგი—ეს ბიურო კრატიძე!..

**ალარ-ალარსაძე.**




1. იგი შევიდა დაწესებულებაში უმანკოდ და ქალწულად მომღიმარი, უდარდელი და გულუბრყვილო სახით. 2. რეგისტრატორი პირველი შეეხო მას, დაასვა ბეჭედი და საქმეთა მმართველს გადაუგზავნა. 3. დიდხანს „ხეტიალობდა" იგი განყოფილებიდან განყოფილებაში. 4. დასკვნისათვის ხელში ჩაუვარდა [illegible] [illegible] დიდხანს „[illegible]" იგი. 5. შემდეგ [illegible] განხილვისათვის კომისიაში. 6. ნახევარი წლი[illegible] [illegible] [illegible] [illegible] 7. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და 8. [illegible] [illegible].

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 85 კვირა, 30 იანვარი 1927 წ. № 85

## ვერ გაძვრება




ტარტაროზი: არჩევნებში ველარ გავლენ: ბობოლა და ძმანი მისი.
გადმოჰყარეთ ტომარაში, როგორც ნეხვი უვარგისი!

# ქ-ნი პროტექცია და შრომის ბირჟა



ქ-ნი პროტექცია (შრომის ბირჟას დაცინვით): [illegible]: მანამ შენ ერთს უმუშევარს მოაწყობდე სამსახურში, მე ოცდახუთს მოვაწყობ!

# საბჭოთა გადარჩევა

## სამზადისი მეორე განაკში

— გაიგე ახალი ამბავი, მამაო ანთიმოზ?

— რის შესახებ?

— საბჭოების გადარჩევის შესახებ.

— მერე ჩვენ რა, მე და შენ, ჩემო გიტო, სულ არ შეგვეხება ეს საქმე.

— ვითომდა რატომ არ შეგვეხება? განა შენთვის სულ ერთია, თუ ვინ იქნება საბჭოში? ჩემთვის კი სრულიადაც არ არის სულ ერთი. პირველათ მეც ასე ვფიქრობდი: ალია და ოსმანა—ორივე თათარია, დიმიტირი იქნება საბჭოს თავმჯდომარე თუ სტეფანე, სულ ერთია, ორივე კომუნისტებია და ჩემისთანა პატიოსან ხალხს, რომელსაც ალალ-მართალი გზით, ღვთის შეწევნითა და ბატონის წყალობით—ცოტაოდენი ქონი დაგვდებია მუცელზე, ცოტა მეტი მიწა-ადგილი შეგვიძენია და ერთი-ორიოდე გროშიც გვაქვს ღარიბ გლეხებზე გასესხებული, რათა ცოტაოდენი სარგებელი ვნახოთ და ერთნაირი თანხა შემოვინახოთ შავი დღისთვის, არც ერთი არ დაგვაყრის ხეირს—გადასახადსაც მეტს შემოგვაწერს, ღალაზედაც ჩვენ გაგვაგდებს პირველ რიგში და არც სასოფლო ტყიდან შეშასა და ხე-ტყის მასალის გამოტანის უფლებას მოგვცემს-მეთქი; გარდა ამისა, მეგონა, რომ ამ ბოგანო და გაუნათლებელი ხალხის უფლება ამდენხანს ვერ გასძლებდა ჩვენში—ასე ამბობდენ ჭკვიანი და განათლებული კაცები—მენშევიკები და მეფის ერთგული, გამოცდილი ჩინოვნიკები. ამბობდენ და მეც მჯეროდა მათი სიტყვები,

— ახლა აღარ გჯერა?

—სანახევროთ, იქნება სამეოთხედათაც.

— მიზეზი?

— მიზეზი ისაა, მამაო ანთიმოზ, რომ უკვე ხუთ წელზე მეტია ესენი განაგებენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ბედი და იღბალი მაგათ ხელში არის და არც არის რაიმე ნიშანი, რომ მათ რაიმე საფრთხე მოელოდეთ ახლო მომავალში. ასე რომ, ჩემო ანთიმოზ, სულიერო მამავ და ღვთის მაგიერო ადამიანო, ჩვენ თანდათანობით სამარის კარებს უახლოვდებით; ხომ იცი, კაცის ცხოვრება როგორ ხანმოკლეა. ასე რომ, ჩემს მერმე ნიკოლოზიც რომ ადგეს საფლავიდან და ძველი წყობილება აღადგინოს სავსებით, აქედან მე ხეირს ველარ ვნახავ, საიქიოს ქადასა და ნაზუქს არვინ გამომიგზავნის.

— არ ვარგა ჩემო შვილო, იმედისა და სასოების დაკარგვა. მოთმინებითა შენითა...

— მოიპოვე სასუფეველი ღვთისაო!—ასე სწერია, რასაკვირველია, სამღვთო წერილში. მაგრამ მოთმენასაც ხომ საზღვარი აქვს!

— მაშ აჯანყებას ხომ არ აპირებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

— ღმერთმა დამიფაროს! როცა ავჯანყდით, რა ხეირი ვნახეთ! მოგვაყენეს კომსომოლები და სულ ბღლ:ვერი აგვადინეს სურგზე. არა, მამაო ანთიმოზ, უკვე ვისწავლე ჭკუა და იარაღს ხელს არასოდეს მოვკიდებ ჟორდანიამ კი არა, თვით ამერიკის პრეზიდენტმაც რომ გამომიგზავნოს კაცები.

— მაშ, რა გინდა, პარტიაში ჩაწერას ხომ არ აპირებ ამ სიბერის დროს?

— მერე, ვინ არის ჩამწერი! მე კი არა, საწყალი სერაფიონიც არ მიიღეს პარტიაში, როდესაც მენშევიკების გვარდიაში იყავი და სომხების გლეხებს ებრძოდი ბორჩალოს მაზ.. ერთი. ფუთი მატყლი წაართვი ერთ გლეხს და იმით შენი-დის მზითევი გამოაწყეო. მე ხომ, რა თქმა უნდა, ახლოსაც არ გამიკარებენ!

— დიდება შენდა უფალო! საიდან იციან ყველაფერი ამ ეშმაკის კერძებმა! როგორ ახსოვთ ყველაფერი, თუ ვის

[illegible]

# „მ ა რ ა გ ი“



— რას დგეხარ აქა და უდარაჯებ?

მეეზოვე: ნაბრძანები გვაქვს კომისარისაგან, რომ თუ ელექტრონი ჩაქრეს, მაშინ ნავთის ლამპა აუკიდეთო... მეც ვდგევარ და ველოდები, რამეთუ არ ვიცი, როდის ჩაქრება ელექტრონი.

---

რა ჩაუდენია ამ ათი, ოცი და ოცდა ათი წლის წინათ! მაშინ ხომ ესენი აქ არ იყვნენ!

— აქ იყვნენ, აბა ტრაპიზონიდან ხომ არ მოსულან! აქ იყვნენ, ჩუმათ აკეთებდენ თავიანთ საქმეს და ჩვენს ცხოვრებასაც ფსიზლად ადევნებდენ თურმე თვალყურს.

— ჰოდა, თუ ასეა, არჩევნებში არ მიგვაღებინებენ მონაწილეობას!

— რაღა ლაპარაკი უნდა!

— ხოდა, მე მართალი ვყოფილვარ; ხომ გითხარი— ეს არჩევნებია თუ რაღაც ჯანდაბა, ჩვენ არ გვეხება —მეთქი!

— თუ არ გვეხება, ჩვენ უნდა შევეხოთ! სიქა უნდა გავიძროთ და როგორმე უნდა გავძვრეთ საბჭოში.

— თუ გაძრომაზეა საქმე, შენი რა მოგახსენო და მე კი ადვილად გავძვრები; უქმელობით ისე დავწვრილდი, რომ წერეთლის მწევარს დავემზგავსე. მე უკვე მქონდა ამის შესახებ მოლაპარაკება კალისტრატესთან, ხომ იცი, როგორც გაქნილია ის არჩევნებში, რა დიდი გამოცდილება აქვს; მე მინდა მისი გამოცდილება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ... აქ ყველაფერი მოხერხებაზეა დამოკიდებული, უნდა ვიფიქროთ და მოვახერხოთ რამე!

— როგორია შენი გეგმა?

— მეტათ მარტივი: საჭიროა ცოტაოდენი ხარჯების გაწევა! პირდაპირ ქრთამს, რასაკვირველია, არავინ გამოგვართმევს; ამან შეიძლება უფრო შეგვიშალოს ხელი! მაგრამ პურ-მარილზე, წითელ ღვინოზე და შემწვარ ვარიებზე, მგონი უარს არავინ იტყვის. მოკლეთ რომ ვსთქვა, მე გავლენიანი კაცების დასაპატიჟებლათ ათი თუმანი მაქვს გადადებული, ათსაც გალაქტიონი გადაიხდის... შენ რამდენს გადასდებ ამ საქმისთვის, მამაო ანთიმოზ?

— ბევრი ბევრი, სამი თუმანი გავიმეტო! მეტი რომც მინდოდეს, არ გამაჩნია; ისიც ბლაღოჩინის ცოლს უნდა დავესესხო.

— საქმე გაჩარხულია; დღეის სწორს ვმართავთ წვეულებას! უნდა მოვიპატიჟო ყველა გავლენიანი გლეხები. საბაბიც კარგი მაქვს—სწორეთ იმ დღეს ჩემს შვილს—პორფირეს—მოველი ქალაქიდან.,

## არჩევნების შემდეგ

— ყველაფერს მოველოდი, მაგრამ პურ-მარილს თუ ასე დაგვიფასებდენ, ეს თოკიდან გაწყვეტილები,—ეს კი ვერ წარმომედგინა, ჩემო ანთიმოზ!

— მე კი, თავიდანვე ვფიქრობდი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა! სიზმარიც ცუდი მქონდა ნახული!

— სიზმარი რათ, გინდა, მამაო ანთმოზ, როდესაც ცხადათ ვხედავ ჩემი დასაფსები თვალებით, რომ ჩვენი საქმე დაღუპულია სამუდამოთ! მეგონა პურ-მარილით საქმეს გავაკეთებდი და რამდენიმე ჩვენს მომხრეს მაინც გავაძვრენდით საბჭოში. ხარჯიც ბევრი გავწიეთ, ბევრიც ვილაპარაკეთ, ბევრიც ვეხვეწეთ ვისაც ეს შეეხებოდა; მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისე ლაზათიანად გაგვლანძღეს საარჩევნო კრებაზე, რომ ბრაზისაგან სისხლი ყელში მომადგა: რაები არ სთქვეს, რა სახელით არ მოგვნათლეს!— თქვენო სოფლის წურბელები ხართო, თქვენო ღარიბი გლეხების ნაოფლარით იკვებებით, მენშევიკების მზეს ფიცულობთ, ნიკოლოზის მარჯვენა ხელი იყავით და რომ დაგცლოდათ, ჩვენს სოფელში წირვა - ლოცვას რუსულათ დაიწყებდითო...

— ეხ მახლას! კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა! ჩვენი საქმე, გამოსწორების მაგიერ კიდევ უფრო წავახდინეთ, თავიც შევირცხვინეთ და ფულებიც უქმათ გადავყარეთ.

— ეს ყველაფერი კალისტრატეს ბრალია, ჩემო ანთიმოზ! გადამეკიდა, გინდა თუ არა, გლეხებს ორი ვუყოთ, დავპატიჟოთ, დავათროთ, გზაკვალი აურიოთ, რამენაირად სიაში შევატანინოთ ჩვენი თავიო. მეც ავყევი მის ფეხის ხმას და უფსკრულში კი გადავიჩეხე!

— არა, კაი ოინი კი ვუყავით მე და ჩემმა ღმერთმა! ისე გამოძღენ, რომ ძლივს იძროდენ. არჩევნებზე კი იმდენი გვლანძღეს, სანამ დაიღლებოდენ.

— ახია ჩვენზე! კაცი რომ შენს ტყავში არ დადგები, ამაზე უარესსაც უნდა მოელოდე! რატომ არ ვიცოდით, რომ ხალხი ის აღარ არის, რაც წინეთ იყო, როდესაც ქოთანსავით, საითაც გინდოდა იქით მოაბამდი ყურს. ამ წყეულმა ბოლშევიკებმა იმდენი უჩიჩინეს ჩვენს გლეხებს, სანამ პოლიტიკა მთლიანათ არ შეასწავლეს! ახლა მათ ჩვენზე უკეთ აქვთ შეგნებული თავიანთი ძალა, ჩვენი აღარაფერი სჯერათ.

გავბრიყვდით და შევჯექ ვირსა,
გადმომაგდო მდრიკა ძირსა.
კულაკებს და სამღვდლო პირებს,
ქვეყნის საქმე ვინ აკისრა!
ტყვილ-უბრალოდ გავისარჯეთ
გამოვცალეთ ჩვენი ქისა.
გლეხები ვეღარ მოვიმხრეთ,
ხალხმა საბჭო არ გვაღირსა.
ამის შემდეგ ჩვენი ყოფა
ორი გროშიც აღარ ღირსა.
თავი თავათ შევირცხვინეთ,
სიმწრის ოფლი ჩამოგვდისა.

**კოლონა.**

# მაგარი ხელი

„ინგლისელების მიერ შუა ჩინეთის დატოვებას აწერენ, როგორც ინგლისის „მაგარი ხელი“-ს პოლიტიკის დასაწყისს“.



აი ერთად-ერთი შემთხვევა, როცა ინგლისის „მაგარი ხელი“ ამართლებს თავის სახელწოდებას მით, რომ ჩინეთიდან გაჰყავს თავისი მამულიშვილნი.

# ავი ძაღლი

როგორც იქნა, წვითა და დაგვით, უფრო კი ქ-ნ პროტექციის დახმარებით, ვიშოვე სამსახური. ვიყავ ღარიბი, არაფერი მებადა: არც კაბა, არც თავსახური; პირველი ჯამაგირით მაინც ვიყიდე: ღვინო კახური, ოტკა, რომი; დავპატიჟე ქ-ნი პროტექცია (ავადაც ვარ—ერთ ფილტვში მაქვს ინფექცია), „ადგილკომი“, გამგე, თინა, ელი, „უპრავდელი“... შემდეგ ავიღე სამი თვის ავანსი; გამგე არ გამოდგა ნავსი (პირიქით, მეტად უხვია, გამსახლისაკენ თუ არ გადაუხვია...) სამი საათით ავიღე „ოტპუსკი... გავიარე ვერის „სპუსკი“... დეზერტირკა (სახლში მივატოვე „სტირკა“), „წითელი ვაჭრის“ მაღაზია...

გამოვბრუნდი,—შემეფეთა ძაღლი, ჯიშით ნაგაზია... შემომბღვირა, შეუბღვირე, გამიცხელდა შიშით კეფა, არც აცხელა, არც აცივა, ამიტეხა მაგრათ ყეფა; ამივარდა გულის ძგერა... კანკალით გავიარე ვერა. პალტო მინდოდა მეყიდა. ავირჩიე „სერი“ ფერი, „პოდკარაკული“, დავიმშვიდე ამით გული. გახვეული დავიჭირე ფრთხილად ხელში, სწრაფათ ჩავჯექ იქვე ეტლში... აქეთ-იქით ვიხედები, ჯერ შორს არის ჩემი სახლი; მელანდება ისევ ძაღლი; შევუხვიე ერთ ნაცნობთან. ჩამოვკარი ნელა ზარი... მოხედვა ვერ მოვასწარი,—რომ ძაღლი მწვდა მე კაბაში... და ავტეხე იქ განგაში; მოუქნიე პალტო გახვეული, რომელიც იქნა დახეული... ჯერ მეგონა ძაღლი გაჩეული.

ამივარდა ისტერიკა და ცრემლები ვღვარე მწარე... სულ ძუნძულით გავიარე სახლის ეზოს არე-მარე... გამობრძანდა მეეზოვე... მოვუყევი გასაჭირი... თქვენც არ მომიკვდეთ,—ზედაც არ შემხედა: სწრაფლ იბრუნა უკან

# ორი კუჭი



უმუშევარი (თავის ყოფილ გამგეს—ბიუროკრატს): თქვენ მე უკანონოდ დამითხოვეთ და ჩემს ალაგას მიიღეთ თავისი ნაცნობი... თქვენ არ გამოგიცდიათ, რა არის შიმშილი.

ბიუროკრატი: როგორ არ გამომიცდია: შარშან ესენტუკში სააგარაკოთ ვიყავი წასული და ექიმებმა ამიკრძალეს გაძღომა,—მაშინ ვიგრძენი, თუ რა ყოფილა შიმშილი.

---

ძირი... ჩემს ყვირილზე გამოცვინდნენ ყველა მდგმურები და აცქვიტეს ყურები. შევეკითხე აჩქარებით:

— ხომ არ იცით პატრონის გვარი?

— არა!—მითხრეს მათ უარი...

მიველ სახლში. გავხდი ავად, მომცა სიცხე (პირზე ბუდრი ველარ წავიცხე). სიცხისაგან ამიტყდა ბოდვა: ევოლიუცია... კონტრ-რევოლიუცია... ბანდიტიზმი... „ბეზპრიზორიზმი"... ძველი დრო... მიმინო, მწევარ-მეძებარი... თავად-აზნაურობა... უპატრონო ძაღლთა შობა არის უგუნურობა... მესიზმრება ღამით... ძაღლი, ლომია... ორი თვე ვეგდე ლოგინში. სამსახურში გავაკეთე „რეჟიმეკანომია"...

კაკოს ბიცოლა.

# გზაც იქით ჰქონია...



სირანუშა: ბულდან, ახარ ის მიწაგასახეთქი ჩვენი ქალი სათინიკა ხამი დღეა სახლში ალარ მოსულა. წადი, მოძებნე სადმე.

ბულდანა: ვა, გიჟეს! ამტოლი ხანია ვჩალიშობთ, ვერ გავათხოვეთ; ევები დაბრავოლნათ წაიყვანა ვინმემ; თოლ ჰყავდეს, რალა! რათ უნდა მოვძებნო?!

## „კატას-ტროფია“

ესეც შენი რისკოვანი პუტეშესტვია!..

მაინც ვერ ავცდი რალა შარსა და ბალას. პასლოვიცაში ნათქვამია თუ გავექეცი ღოლოსაო, შამხვდა ღობის ბოლოსაო. მეც ჰუზურში ასე დამემართა: კრუშენიის შიშით პოეზდში არ ჩავჯექი, რალაც კატას-ტროფია ყოფილა რალა და იმას მოვერიდე, გორში ვირით წაველი—გეგონებოდა იესო ქრისტე იერუსალიმში მიდისო, ჰამა ამ ვირზედაც კატას-ტროფია არ მომივიდა? ვა, ესეც ყისმათია რალა!

რაო, გორში რა მინდოდა? უეზდნოვის სუდში წაველი რალა, აი ჩემი ჯანჯალი ქალალდის გამოისობითა! ვა, არც ეგ გაგიგონია? ეეე, შენც ტილიფონის ცენტრალნი სტანციასავით ხომ არ დაყრუებულხარ, რომ ალარაფერი გაგიგია, მაშ ყური მიგდე:

ამ ნათლილების კვირას, იარმუკაში ფუთობით ქალალდი ვიყიდე, დუქნისთვის ტოპრაკები გავაკეთე გაყიდულ შეშვიდს შიგა ვწონამდი. ერთიც ვნახოთ მუშტარს ბრინჯი აუწონე და ტოპრაკში ვყრი. დავხედე, ზედ ჩემი გვარი აწერია:—„საქო თუთიყუშიანც, ზაიავლენია ნაროდნი სუდია“.

ვა, ვიცანი:

ეს ის ქალალდი იყო, რომელიც რომ ამ ოთხი წლის წინათ სუდში შამიტანია, ბაყალ გიგუას უჩიოდა რალა. ხომ იცი, გორის ახლოს რომ ბაღი მქონდა, იმას მივყიდე და ბოლოს ფულზე ატკაზი დამარტყა—თუო, სავეცკის ზაკონით მამულის გაყიდვა არ შაიძლებაო. ახში იმტოლი ყალ მაყალი გამიკეთა, რომ ბოლოს სუდის პირში მივეცი.

ეს ზაივლენიაც მაშინ შავიტანე.

ადვაკატმა მირჩია თუ ჯერაო პატარა სუდში შაიტანეო და თუ იქ პრავილნი რეშენია არა ქნეს, მერე ვერხოვნი სუდთან წადიო. ვებნები—ყურუმსალ, ეგ სადაური ჰკვაა, კანც პატარა სუდებში არ ვეწვალო, ჰაზირ პირდაპირ თავიდან დავიწყო მეთქი?

თუო, ეგრე უფრო გაწვალებენ, საქმეს გააჭიანურებენო.

ჭიანური, არა დიპლიპიტო არ გინდა, შენ სხვა მუცლის გვრემა გაქვს, მეტი რასხოდები გინდა მაქნევინო მეთქი.. ნუ, სლოვომ არ დაუჯერე რალა და პირდაპირ ვერხოვნი სუდში შავიტანე ჩემი ზაივლენია.

ის რომელიც პირველი ჩინოვნიკი არ იყო? ქალალდებს ნუმრებსა და ფეჩატს ვინც არტყამს რალა, ყნილაჯში ატარებს—მებნება თუ:

— აქ დადე, ჯერ ოჩერედში უნდა ჩავაყენოო, მერე ნუმერს დავაწერ და გლავნი ლეგისტრატორს გადავცემ, ის სხვა ადელენიაში გადაგზავნისო, მერე ის უჩასკის ადელენიაც თავის მესტა ნაზნაჩენიას მოუნახავსო და ბოლოს ახში სუდის ხელშიც ჩავარდებაო.

— ვებნები, ახპერ, ეს ქალალდი კრუგასვეტსკი პუტეშესტვენიკად კი არ მინდა, ჯიგარი მეწვის, მეჩქარება, ჩემი სობსტვენი სხვამ წამართო და მალე უნდა მიშველონ, ოჩერედში რას აყენეფ, აქაც ხომ სინდიკატის მალაზია არ არის, ან ადელენიებში რა უნდა, მამიტანია, თოლ გაუშვი რალა პირდაპირ სუდიასთან.

— უოჩერედოთ გაშვება არ შამიძლიანო. ჰამაც კარგათ დამტუქსა, ნატაციები წამიკითხა და ეს ქალალდი სუკნოს ქვეშ ამოდო. იმ დღეს აქეთ, ფეხებიდან გავცვდი სუდებში სიარულით და ჩემი ქალალდი ველარ ვიპოვე. მებნებოდნენ ფლან-განყოფილებაში გავგზავნეთ, ფსტანს გადავეცით, ჯანდაბას წავიდა, დოზანასთან მიდის. დაიკარგა რალა, დაიკრგა უგეშოთ. ეს ბემურაზი გიგუა კი ჩემ ბაღში ალხეინათ გაიჭიმა.

ეს ოთხი წელიწადი ისე გავიდა, რომ ჩემი ზაიავლენია პუტეშესტვიაში იყო და მეც იმის გზას მივდევდი; ჰამაც იმედი მქონდა, ვა, ზაკონი ჩემსაც რათ წამართმევს მეთქი.



აოლა ეხლა ეს ტოპრაკი რო არა ვხაიე? ცა გამეხსნა რალა, სიხარულისაგან თელვათობა გამითენდა. უყურეფ. ამ ჩემ ქაღალდს—ყველა უგლაოში წითელი მელნით იმ-ტოლა რამეებია აჰიჰყნილი, გეგონება შახსეი-ვახსეში ყოფილაო. ერთგან აწერია: „უარი ეთქვას“, მეორეგან: „გამოსაძიებლათ გაიგზავნოს“ მესამეგან ფლანი, მეოთხეგან ფსტანი, ვინ მოსთელის. სულ ბოლოში კი იასნათ ეწერა:

— „უკან დაუბრუნდეს. არქივისთვის. საქმე მოისპოს“.

გამიხარდა. ბალი ჩემთვის უკან დაუბრუნებიათ და აქამდისინ ვერ გავიგე მეთქი. მაშინვე დუქანი დავკეტე და სახლში გავრბივარ. ჩემ ცოლ სათენიკას ვახარეფ:

— სათენიკ, იძლევიან, იძლევიან!..

— ჰაა, რას იძლევიან ქაა?

ბალს უკან იძლევიან, იმათი რეშენია ხელში მაქვს, სლუჩაისათ ვიპოვე მეთქი.

სიხარულისგნით, კინალამ ერთმანეთი დავკვნიტეთ რალა. იმ საღამოს სავეტი ვქენით თუ გორის უეზდნოვი სუდში ჩავსულიყავ და იქიდან ისპოლნიტის ლისტი ამეღო. სათენიკა მებნება: ამ საღამოსვე ვაგზელზე წადიო!

ვა, ამ ვაგზლის ხსენებაზე, ორივენი არ გავშეშდით, შიშისგნით ციცინის კვერცხის ტონა გავხდით რალა, მოგვაგონდა, ორივეს ერთად მოგვაგონდა, რომა ამ ბოლო დროს რკინის გზაზე რაღაცა კატას-ტროფია გაჩენილა და სულ პოეზდებს ამტვრევს.

— ადამიანო, რა წამიყვანს, პოეზდში რა ჩამსვამს, ჯერ კიდევ ჯეჰელობაში წილი მიძევს, მზიან ქვეყანას მინდა უყურო, ვინ იცის იქნება კიდევ რამე ბედი მიწერია. შენ კი მებნები ვაგზალზე წადიო! ვა, ბემურაზ, პოეზდში რო ჩავჯდე, ერთიც ენახო, სწორედ ის კატას-ტროფია მამივიდეს და პირდაპირ, უპერესადკოთ, უბაშფორთოდ საიქიოს გავქანდე. არ მინდა თოლ, ის ბალი ისევ გიგუასა ჰქონდეს მეთქი.

სათენიკამ ცოტა ფიქრის მერე გაიცინა და მებნება თუთ:

— საქოჯან, რა ისპუგიტი მიყავი, დავთრები ამირიე, და კინალამ დამავიწყდაო.

— ჰაა, რა დაგავიწყდა?

— რა და ისა, რომ ის რაღაცა ბემურაზი კატას-ტროფიაა, გორის იქეთა ხარეს გაჩენილა, და კრუშენიებსაც ტუნელს იქით აკეთებსო. მააშ, არ იცი, კატას-ტროფია ყველგან ხომ არ იქნება? ის სენია, ბალეზნია, საცა გაჩნდება პასლესტვიაც იქა აქვსო. გორამდე პუტი სალია, აქ ასეთი ბალეზნი არ იცისო.

—ქვეაში შამივიდა!.. ახარ, ბევრი ვიფიქრე და გორის აქეთ კრუშენიის სლუჩია ვერ მოვიგონე. ზნაჩიტ, ეს კატას-ტროფიის ბალეზნი აქეთ არ არის მეთქი. რეშენია ვქენით და მეორე დილას უნდა წავსულიყავი... იმ ღამეს რო დავწექით, სათენიკამ დაიძინა, მე კი ფიქრებმა ამიყოლია და უცბად მამაგონდა რომა ამას წინათ ძეგვის ხიდზეც კრუშენია ქნის. შიშმა ამიტანა, ჰამა, პირჯვარი დავიწერე, რომ ჯერ წასული არ ვიყავი. სათენიკას ვაღვიძეფ და ვებნები:

— სათენიკ, გაიღვიძე?

— ჰო რა იყო?

— არ შამიძლიან სათენიკ!

უი ქა, თუ არ შაგიძლიან? მაშ ქვეყანაზე რაღა უნდა ვთქო?

— ვა, ახარ ჯერ გაიგე რას გებნები და! პოეზდით წასვლა არ შამიძლიან, აღარ გახსოვს, ის ბემურაზი კატასტროფია ძეგვთანაც რომ გაჩნდა? სათენიკასაც შეეშინდა. ბოლოს მოვიგონეთ, რომა ჩვენი ნათლიმამა მეფურგუნე სტეპკუა მეტეხიდან ჩამოვიდა და მეორე დღეს უკანვე მიდიოდა.. როცა გათენდა, მოვძებნე, აბისნენია უყავი და იმან თავისი ფურგუნით წამიყვანა მეტეხამდის იქიდან კი, მეზობლის ვირი დამიქირავა და ისე გამგზავნა.

გორის სუდში ჩემი ქაღალდი რომ ნახეს, სიცილით მუცლები ეტკინათ: რა სმეშნოვი კუპეცი ყოფილხარო! უკან ვინ დაგიბრუნებს, მამული სახელმწიფოა და იმის გაყიდვა არ შაიძლებაო, ახარ აქ რომ სწერია „უკან დაუბრუნდეს“, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ქაღალდი უკან დავაბრუნეთ და არქივში ჩავაგდეთო. ალბათ ამ არქივიდან სტოროჟმა ქაღალდები გაყიდა და შენი ზაიულენია სლუჩაინად ისევ შენ დაგიბრუნდაო.

გამამისტუმრეს რალა!

სწორედ პრიკლუჩენიაც აქ გადამხდა ჰაა!.. ვირით უკან რო ვბრუნდები და სოფელს მოუახლოვდი, ის ბემურაზი ვირის პატრონი უკან ჩამორჩა და მე კი გზაში საქონლის ნახირი შემეჩეხა, ერთი ბულა ხარი მოვიდა და ამ ჩემ ვირსა სუნამს. მე ვადევნეფ და ვებნები:

— პოშოლ სკატინა, ახარ მაგ ვირ მანდ, რო სუნამ, რომელი ლორიგანცკის დუხი ვგონია? მოსცილდი რალა გაიაროს! ბან ჩუნის? არ ეშვება, ხან ზედ ახტება, ხან რქებით უტევს, სოდს არ აძლევს რალა. უცბად ჯიბიდან წითელი ბალდადი ამოვიღე და გავშალე. ვა, დაფრთხა ეს ხარი. გაგიჟდა ერთი დაიფშრუკუნა, და ჯერ ფეხებით მიწის თხრა დაიწყო და მერე სრაზუმ ისე დამეტაკა, რომ რქებით ამილო ფუტბოლისი მაიჩიკივით შიგ შუა ტლაპოში ბრაგვანი მომადინა. ეს ვირიც გაავორა და ისევ მე მამიბრუნდა. ისე მაბურთაეა, ისე მჩეჩქვა, რომ უკანა ნაწილი ატბივნოვი კატლეტათ გამიხადა. ღმერთმა უშველოს. ვირის პატრონს, ის ზამეშველა თორემ იქვე გამათავებდა.

ჩემ ნათლიმამასთან ცოცხალ-კვდარი მიმიყვანეს. იქ კი ანწლში ჩამაწვინეს და ცოტა რომ გამოვიშუშე. ფურგუნით აქ წამომიღეს.

იმას აქეთ ავათა ვარ და სულ ამ წამალ ხანებში დადივარ. ჰამაც ვაგინებ ამ ქაღალდების გამყიდავსა, იმას რომ ის ჩემი ჯანჯალი ზაიულენია არ გაეყიდნა, მეც ეს აპასნოსტი არ მამიეიდოდა!..

— ეა, მაშ ნესჩასტია არ არის? კაცი პოეზდში ვერ ჩაჯდე—კატასტროფიააო, კონკით ვერ წახვიდე აქაც კატასტროფიააო, ავტომობილში და ჰაეროპლანში ვერ დაჯდე აქ კი რაღაც ჰაპარიააო. ამათი შიშით ვირზე შაჯდე და ვირზედაც კრუშენიები და კატას-ტროფიები მოგივიდეს? ვა ეს რა ვეკი დაგვიდგა, ეს რა ზაჰრუმალა დრო მოგვივიდა, სპასენია აღარ არის?

ფარსადან.

# მემანქანე ქალები

— გეყოფა კატია, ახლა მე მინდა.
— შენ მეორე კუთხეში წადი.
— მეორე კუთხეში არ იცი, რომ მანქანა დგას?

და ხშირად ორი საათი უნდებოდა მათს პირი-სახისა და თმების ძილაგ-ძოლაგებას.

შემდეგ მთელ დღეს განუწყვეტლად ისმოდა მანქანების ჩახი-ჩუხი.

რას ბეჭდავდნენ?

— ამხანაგო ასია, დამიბეჭდეთ საჩქაროდ ეს დანართი.

ასიამ ჯერ წაიკითხა დანართი:

„ამასთანავე გაუწყებთ, რომ ტყავ-ტრესტის მაღაზიიდან წაღებულია თქვენ მიერ“...

და ასიაც ჰბეჭდავს.

„...., რომ ტყავ-ტრესტში... რომ მშვენიერი ლაკიროვანი ტუფლებია, ნეტა რა ღირება... დღეს წავალ... მაგრამ დღეს არა, როცა ჯამაგირს“!..

ასია ერკვევა, უეცრად იღებს მანქანიდან ქაღალდს, გაბრაზებული აფურთხებს იქით, ჰხევს ქაღალდს და ხელახლა იწყებს ბეჭვდას.

ამ დროს მეორე მხრიდან მოისმის გაბრაზება და ძლიერი გადმოფურთხება, რომელიც ასიას კაბას ეცემა.

— რას იფურთხები, კატია—ცხარობს ასია: განა დუქინობით მიწყვია ჩერვონცები, რომ სხვა კაბა ვიყიდო, თვეში ოცდათორმეტი მანეთი მაქვს ჯამაგირი.

კატია ბოდიშს იხდის და უხსნის ასიას, რომ შპალიერის მაგიერ დანართში შლიაპა ჩაწერა.

ორივემ ისევ განაგრძეს ბეჭვდა.

კატიამ შპალიერიდან ისევ შლიაპაზე გადაუხვია, ხოლო ასიამ მოიხსენია შიგ დაფურთხებული კაბა, რის გამოც ორივენი ერთდროს მიჰხვდნენ შეცდომას და ერთსა და იმავე დროსვე გადააფურთხეს ერთმანეთისაკენ სიბრაზისაგან. ორივემ ბოდიში მოიხადა, რომ ერთმანეთს მიაფურთხეს.

— უკაცრავად კიდევ შემცდა.
— მეც შემცდა.

ამ დროს შემოდის საქმის მწარმოებელი,

—ამხანაგო ასია, აქამდე ვერ დაბეჭდე ეგ ორი სიტყვა?

— უკაცრავად, ბატონო კოწია, ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე და თქვენი შეწუხებაც არ მინდოდა.

— მეც ასე ბატონო კოწია, მიუგო კატიამაც.

— რა ვერ გაარჩიეთ, რა?

სთქვა კოწიამ და უნდა ჩაეხედნა მანქანაში ჩადებულ ქაღალდში, მაგრამ ქაღალდები უეცრად ამოსძვრა მანქანას და ელვის სისწრაფით მიეცა განადგურებას.

— აბა მიჩვენეთ, რა ვერ გაარჩიეთ,—ჰკითხა კოწიამ.

— ახლა გავარჩიეთ, ბატონო და ამ წუთს მოგართმევთ.

კოწია წავიდა.

კიდევ კარგა ხანმა გაიარა, და ის იყო, უნდა ხელახლა შესულიყო კოწია მემანქანე ქალებთან, მაგრამ მათ ბედზე კოწიას პრეზიდიუმის სხდომაზე დაუძახეს და იქ წავიდა.

ოთხის ნახევარმა დაჰკრა, კოწია კიდევ არსად სჩანდა და ქალები უმალ წამოიშალნენ.

— დილაზე დავასრულებ ამ ქაღალდს.

სთქვა ასიამ.

— მეც დილაზე დავასრულებ, დასვენებულ თავით უფრო კარგა დავბეჭდავ.

სთქვა კატიამაც და დაიწყეს ფაცა-ფუცით ჩაცმა.

კუთხესთან აღარ წაისვეს პუდრი.

ყველა თავის მანქანასთან წაითხუპნა, წაიგლისა გასწორდა და ნახევარ წამის განმავლობაში მიყრუვდა ოთახი.

**ფეშანგი ფაშვბერტყაძე.**



ბიუროკრატი: გადავრჩი, გადვჭვიტანე. ტარტაროზმა უკვე გამოსცა სპეციალური ნომერი ჩემზე და აწი მოვისვენებ!

ტარტაროზი: ტყვილა გგონია,—ყოველ ნომერში იქნება შენი და შენი ძმათა „საქმენი საგმირონი“.

# საარჩევნო „კამპანია"



## ხარჯმა ფუჭად ჩაუარა

საბჭოს თავმჯდომარემ ივანემ, როგორც კი გაიგო იწყება საბჭოების ხელახალი არჩევნები, თავი მოუყარა ყველა თავის მეგობრებს, გააწყო კარგი სუფრა და ღვინით სავსე ჰიქით ხელში დაიწყო მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ.

— ხალხნო, აი თქვენ კარგათ იცით, რომ უკე სამი წელიწადია ჩვენი ხალხის ნდობითა საბჭოს თავმჯდომარეთ ვართ. ჰო-და ამ ხნის განმავლობაში, თქვენი ჭირიმე, აბა ერთმა ვინმემ თქვით, რომ ამენა სოფლისა და გლეხების საკეთილდღეოთ არ ვმუშაობდი.

— ვერა, ვერა ივანე, ვერა მე და ჩემა ღმერთმა ვერავინ ვერაფერს იტყვის ცუდსა—შესძახა მიხომ, რომელიც სულ ერთავად ივანესთან ატარებდა დროებას.

— მართალია, შენი ჭირიმე, ზოგს არ მოეწონებარ, იმისათვის, რომა მე ისინი არ მომწონან რადგანაც ამ სამი წლის განმავლობაში ერთხელ არავის უთქვამს ჩემთვისა. რომ აჰა ივანე, და ერთი ტაქანი ღვინო დალიეო, შენ ჩვენთვის მუშაობო. მაგრამ ეჰ თქვენ კარგათ მიცნობთ! თქვენს ოჯახებში ხომ ბევრჯელ მიმიღია პურ-მარილი და აბა ერთხელ მაინც ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ მეღალატოს პურ-მარილისათვის?

— არა, არა.—შესძახეს სტუმრებმა.

— მართლაც და, მე და ჩემა ღმერთმა მადლიანი, პურ მარილიანი კაცია, ჩვენი ივანე—ხმა მაღლა წამოიძახა გიგამ—აბა, ერთი მითხარით ამაზე კაი კაცი ვინ უნდა ავირჩიოთ საბჭოში!?

— მართალია, მართალი.—შესძახეს ყველა სტუმრებმა.

— არა ხალხნო, მე კი იმას არა გთხოვეთ, რომა საბჭოში ისევ მე ამირჩიოთ—განაგრძო ივანემ—მე დავიღალე თქვენი ჭირიმეთ ამდენი მუშაობით; ახლა სხვამ უნდა იმუშაოს... მაგრამ, რაც იცით ჩემ კაი კაცობის შესახებ ერთი ორი სიტყვა მაინც უნდა სთქვათ... ამით ჩვენი პურ-მარილი დაუვიწყარი იქნება.

— მაშ, მაშ.—სათქვა ახალგაზრდა ლექსიამ და ულვაშებზე გადისვა ხელი.

ივანე დარწმუნებული იყო, რომ მას ისევ აირჩევდენ საბჭოში. ამიტომ ყველას ლმობიერათ და სიყვარულით ეპყრობოდა.

მაგრამ მოსტყუვდა. არჩევნების დროს მას არავინ ხელი არ აუწია. იმათაც, ვისაც გაუმართა სუფრა, უღალატეს ივანეს და მისი საბჭოში არჩევის წინააღმდეგ აწიეს ხელი.

ის კი არა ლექსიამ იმდენათაც კი უღალატა ივანეს მეგობრობასა და მის პურ-მარილსა, რომ შესდგა მაღლობზე და რაც კი ბოროტმოქმედება ჩაედინა ივანეს, ყველაფერი სთქვა.

ივანემ უიმედოთ ჩაირტყა თავში ხელი და თავისთვის წაიდუდუნა:

— აფსუს, ჩემო ინდაურო და ღვინო, რა ტყუილ-უბრალოთ გავმართე სადილი და გავიღე ამდენი ხარჯი.

საბჭოში კი გლეხებმა აირჩიეს, ახალგაზრდა, წითელ არმიიდან განთავისუფლებული ლექსია.

**ვან—ნან.**



სოფლელი: ამ ოხერს ნეტავი ასე ესმის „პირი სოფლისაკენ?“

# „ხამი კაცი“

— ეი, სად მიდიხარ, ხომ ხედავ, კარებზე რა აწერია?—ეცა დარაჯი სოფლიდან ჩამოსულ გლეხს—ექვთიმეს, როდესაც ამ უკანასკნელმა მოინდომა დაწესებულების გამგის კაბინეტში შესვლა.

— რა სწერია?— გაიკვირვა ექვთიმემ.

— **„დაუკითხავად შესვლა აკრძალულია“-ო.**

— შე კაი კაცო, მეც იმიტომ მივდივარ, მინდა ვკითხო: შეიძლება თუ არა შესვლა.

— მაგას მე ვკითხავ, შენ აქ დამიცადე. ჯერ გამგე მაინც არ იღებს.

ექვთიმემ დაიცადა. იცადა სულ ორი—სამი საათი და როცა გამგე კაბინეტიდან გამოვიდა, ექვთიმე უკვე ღრმა ძილში იყო. ან რა გასაკვირალია: სოფლიდან ჩამოსულ კაცს თბილ შენობაში ორი—სამი საათის ლოდინში ჩაეძინა.

ექვთიმე გამოაღვიძა დამლაგებელმა.

— ეი შენ, ძმობილო, ადექი, თორემ ეს არის ნაგავს კინაღამ მიგატანე, ხომ ხედავ ვხვეტავ. მუშაობა გათავდა.

იმ ღამეს ექვთიმემ გლეხთა სასახლეში მოისვენა. ლექციაც მოისმინა ბიუროკრატიზმის შესახებ და ფრიად აღელდა ამ არა სიმპატიურ მოვლენის გამო. დილას იგი ისევ მიადგა ნაცნობ დაწესებულების გამგის კაბინეტს, სადაც საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. გამგე მოვიდა ჩვეულებრივ დროს, დაახლოებით 12 საათზე. იგი მეტად დაღლილი სახით გამოიყურებოდა და დარაჯს უბრძანა:

— დღეს მეტად ბევრი საქმეები მაქვს და კაბინეტში არავინ შემოუშვა. მოხსენებას ვწერ.

დარაჯი დადგა კარებთან და ექვთიმეს შეუბღვირა:

— დღეს გამგე ვერ მიგიღებს,— საქმეები აქვს.

— კი მაგრამ მე სახლში მიმეჩქარება; თუ ძმა ხარ მომიხერხე რამენაირად... მაგიერ პატივს კი გცემ სულ ცოტა სათხოვარი მაქვს.—შეევედრა ექვთიმე.

— არ შემიძლიან, ამხანაგო. ნაბრძანები მაქვს არავინ შეუშვა.

კარგა ხანს გასტანა ასეთმა საუბარმა, მაგრამ დარაჯი არ დანებდა. ამასობაში შემოვიდა ერთი კოხტად ჩაცმული ქალი.

— **ბალ ჭალიჩ აქ არის?—იკითხა მან.**

— აქ არის, მაგრამ არ იღებს... ვეღარ მოასწრო დამთავრება დარაჯმა, რომ კოპწია ქალი უკვე შევიდა გამგის კაბინეტში.

ქალი გამოვიდა ერთი საათის შემდეგ და კმაყოფილი ღიმილით წავიდა.

— ალბად ძალიან კარგი ხასიათის არის ეს გამგე, რომ ეს ქალი ასე კმაყოფილი გამოუშვა?—შეეკითხა ექვთიმე დარაჯს.

— დიდებული ხასიათისაა... როცა კარგ ხასიათზეა.— ჩაიბურტყუნა დარაჯმა.

— აბა ახლა მე შემიშვი თუ ძმა ხარ.

— რას ამბობ, კაცო, გინდა სამსახურიდან დამითხოვოს?

— რატომ, შე კაი კაცო? ის ქალი ხომ გამოვიდა?

— მერე და ისეთ ლამაზი ქალის შემდეგ, რომ შენ შეგხედოს, იცი რა ხასიათზე დადგება?!

გაისმა ზარის წკარუნი. დარაჯი კაბინეტში შევიდა და ისევ გამობრუნდა.

— არა ძმაო, შენი გულისთვის კინაღამ დამითხოვა. არავინ შემოუშვა, დაღლილი ვარ და თანაც სამუშაო მაქვსო.

ექვთიმე დაღვრემილი წამოვიდა და გადასწყვიტა სადილის შემდეგ ბინაზე მისულიყო გამგესთან.

ასეც მოიქცა.

— შინ ბრძანდება? ჰკითხა მან გამგის მოსამსახურე ქალს, როცა მან შესავალის კარები გააღო.

— შინ არის... რა გნებავთ?

— ნახვა მინდა მისი, ცოტა საქმე მაქვს.

— სადილობს. შემდეგ მობრძანდით.

ექვთიმე გამობრუნდა და ერთი საათის შემდეგ ისევ მიაკითხა.

— სძინავს.—იყო პასუხი.—შემდეგ შემოიარეთ.

ექვთიმე ისევ ქუჩაში გამოვიდა. ორი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა.

— გაზეთებს კითხულობს, თქვენ შესახებ უთხარი, მაგრამ შემდეგ მოვიდესო.

ექვთიმე ისევ ქუჩაში გამოვიდა.

— აბა კითხეთ თუ მიმიღებს,—კითხა მან ერთი საათის შემდეგ მოსამსახურე ქალს. ქალი შებრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა.

# სიცრუის ფეხები



ქმარი: კუჩიდან დაგინახე როცა სახლში მოვდიოდი, შენ ვიღაცა გკოცნიდა.
ცოლი: სტყუი... არავინ არ იყო... როგორ დაგვინახავდი, როცა ფანჯარაზე ფარდა იყო ჩამოფარებული!?

---

— ტანზე იცვამს. თეატრში მიდის. დილას მოვიდესო.

ექვთიმე გაბრაზებული წამოვიდა. დილას ისევ მიადგა გამგი ბინას.

— არ ამდგარა!—იყო პასუხი.

წავიდა. მობრუნდა.

სძინავს.

კიდევ წავიდა, კიდევ მობრუნდა.

საუზმობს. დაწესებულებაში მომაკითხოსო შემოგითვალათ.

ექვთიმე საშინელი გულწყრომით გაუდგა გზას. „ეს პირდაპირ აუტანელია,—ესაუბრებოდა იგი თავის-თავს,—ერთი თხოვნის გულისთვის ამდენი ვიცადო... ვინაა ეს გამგე „ალბათ ძველი ჩინოვნიკია, თვარა ახალი მაგას არ იკადრებსო".

— გამგე მოვიდა?—იკითხა მან, როცა კაბინეტს მიადგა.

— მოვიდა, მაგრამ ჯერ არ იღებს..

— მაშ როდის?

— ორ საათზე.

გავიდა ორი საათი. დარაჯი კაბინეტში შევიდა და გამობრუნებისას ექვთიმეს მიუბრუნდა.

— ხვალ შემოიაროსო, ამხანაგო. დღეს მთხოვნელებს არ იღებს.

ექვთიმეს თავში სისხლი აუვარდა. ამის მოთმენა მან შეუძლებლად მიიჩნია და გაბრაზებული კაბინეტის კარებს მივარდა. დარაჯი წინ აეტუზა და გზა გადაუღობა.

— გზა მიტიე!—შესძახა ექვთიმემ და დარაჯს ეცა. გაიმართა ბრძოლა, რომლიდანაც ექვთიმე გამოვიდა გამარჯვებული, თუმცა ცხვირიდან სისხლი უხვად გადმოსდიოდა. აპილპილებული ექვთიმე კარებს ეცა და კაბინეტში შევარდა მუშტმოღერებული.

— რა ქენი კაცო, საქმე გააკეთე? სად იყავი ამდენხანს. გაგიტკბა განა ქალაქში ყოფნა?—ეუბნებოდა ერთი თვის შემდეგ სოფელში დაბრუნებულ ექვთიმეს ცოლი.

— გავაკეთე კი არა, ის არ გინდა! ბიუროკრატი ყოფილა.

—ვინ?

— გამგე.

— **რომელი გამგე?**

— დაწესებულების.

— რომელი დაწესებულების?

— რომლის და იმის, სადაც ვიყავი. ვერც საქმე გავაკეთე და ოცი დღეც ჩამაჯინეს ამ საქმეზე.

— რა საქმეზე?

ექვთიმე მოუყვა ცოლს იმ ამბავს, რომელზედაც მე უკვე გიამბეთ. მხოლოდ ის დაუმატა, რომ იგი გამსახლში ჩასვეს დარაჯის ცემის და გამგის შეურაცყოფის გამო.

— ასეა ხამი კაცი რომ ქალაქში წავა,—დაუმატა დაღვრემილმა ექვთიმემ.

**ტერსიტი.**

---

№ 87 „ტარტაროზი" № 87
სპეციალური სამკურნალო ნომერია

გამოიწერეთ გაზ. „მუშა" და „ტარტაროზი"

# სამართლიანი დაცინვა



პირველი: შენ რა კაცი ხარ,—„მუშა“ და „ტარტაროზი“ არ გაქვს გამოწერილი?

მეორე (თავისთვის): მართალს ამბობს... მაგრამ ჯერ ხომ კიდევ მიიღება თებერვლისათვის გაზ. „მუშა“-ზე ხელისმოწერა! ხვალვე გამოვიწერ და სირცხვილიდან ამოვალ!

# არტისტთა ყრილობა

უწვერო და ულვაშმოპარსული ხალხი იკრიბება მესამე სართულის ერთ დარბაზში. განწყობილება საქეიფოა, ხოლო ატმოსფერა ცივი.

**ქურიძე** (ეულათ მონათლული)—ე.ე...ე...ე! ამხანაგებო, გესმით?! მეიწიეთ ახლოს გესმით... და ეეე...ეე...ე. გესმით, ვავხსნათ ყრილობა, გესმით და ევირჩიოთ საპატიო პრეზიდიუმი, საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია, რეზოლიუციების შემმუშავებელი კომისია, დღის წესრიგის განსახილველი კომისია, სადილების მომწყობი კომისია...ე...ე...ე. გესმით გამთბობი კომისია, გამშველებელი კომისია..

**გუგუშვილი**—რავა, ყრუული გინდა თუ?!

**თავმჯდომარის მაგიერ ეული**—ამხანაგი გუგუშვილი... (ხმაურია ხელოვნების). ამხანაგი გუგუშვილი (ხმას აუწევს) გუგუშვილი, ფრანგიშვილი, ზარდალიშვილი... გუგუშვილი უუუ!... ამხანაგებო, გესმით თქვენ ალბათ იცით... გესმით?!

— **კოტე ფოცხვერაშვილი**, ჩვენ არაფერი არ გვესმის.

**ნიკო გვარაძე** (კოტე ფოცხვერაშვილს)—ნამეტანი მაღლა გაქვს ყურები და ვერ მოაწევს შენამდე ეს ხმაური.

თავმჯდომარე—რა იცით კაცო, თქვენ გესმით?... იცით?..

**პატარაია**—რას ჩაგვაცივდი—არც ვიცი რამ და არც მინდა ვიცოდე, ისედაც იოლათ გავალ.

**მომხსენებელი**. ხელოვნების მუშაკნო! (თავისთვის: ნეტავი სუფლიორი მომცა ახლა!) ხელოვნების მუშაკნო! ჩვენი მუშაობა, რომელიც მოდის ვითარცა აღელვებული ოკეანეს შხეფი და აპკრებს ხელოვნების სიმაღლეების დაჭერას... (ავიწყდება)... გოსკინპრომი... რუსთაველის თეატრი... მუშათა თეატრი...: კინო-სურათებში არავის გამოეყავართ... ტიპაჟი უნდა ვეძიოთ ლამაზ ქალებშიო. ხმები დადის, თითქოს ლამაზ ქალებს ათამაშებენ ვისაც როგორ უნდა გოსკინპრომშიო... მე არავინ არაფერს მიმაკარა. ნეტაი მეც ვიყო იქინე მოწყობილი; ერთ ორ გოგონას გავხდიდი (ხმები: გაწყენს ყმაწვილო)... კინო არტისტკათ გავხდიდი მეთქი; სხვა არაფერი იფიქროთ... ნეტაი მომცა თვეში ათასი მანეთი, კაი ოთახი და ახალი პალტო, სინდის გეფიცებით... ჰოო, იმას ვამბობდი: მაგენს დაუჯინიათ ტიპაჟი, ტიპაჟიო.

**თავმჯდომარე** (გამოფხიზლდება)—რაო ტირაჟიო?! კაცო გესმით, ტირაჟი მომგებიანი სესხის წელს, გათამაშებულ იქნება მოსკოვის გუბერნიაში მიმდინარე წლის 30 თებერვლიდან, გესმით?!

**(შესტოვი იცინის; ვენაძე—სტირის).**

**შურა დუდუჩავა**.—ამხანაგებო, ეს არის საკითხიდან თემატიური გადახვევა, რაც ჩვენთვის, როგორ მარქსისტულათ მოაზროვნეთათვის იდეოლოგიურათ მიუღებელია. მე მინდა ერთი ოთხიოდე საათი ვილაპარაკო ფორმაზე და შინაარსზე. რა არის ფორმა... უკაცრავათ, ახლა გამახსენდა და თუ არ ვსთქვი, დამავიწყდება: აქ ლაპარაკობდენ ტიპაჟზე.

**ხმა ადგილებიდან**—ჩვენ ყველა ტიპები ვართ.

**შურა**.—ჰო, მარა ზოგმა აქ ტიპაჟი —ტირაჟათ გაიგონა. ეს სიტყვა ფორმაა, მაგრამ მასში იდეოლოგიურათ სხვა შინაარსია. ევილოთ თუ გინდათ ჩვენი თეატრების რეპერტუარი. ქართულათ არავინ არა სწერს დრამებს.

**ნოე ზომლეთელი**.—მეიცათ... ააა! ხვალიდან შეუდგები დრამების წერას, მაგენი თუ კითხვაში ამივიდენ ეს ულაში...

**აკაკი ვასაძე**—კორპორაციის დავალებით მე მინდა აქ განვაცხადო, რომ თანამედროვე სათეატრო ძიებათა გზები, რომლებიც ერთ დროს თავს იყრიდენ პარნასის მთაზე, დღეს გაიყარნენ. ჩვენი კორპორაცია მთლიანი შეხვდა ასეთ მოვლენას და ძმური მიწოლით გაგვაქვს საქმე. მართალია ჩვენ წარმოდგენებზე აღარ დადის ძველებურათ ბევრი ხალხი. მაგრამ ვინც არ მოდის, ვაი მის პატრონს. მართალია მე ლაპარაკი გვარიანათ მეხერხება, მაგრამ ერთი აკაკი ხორავაც ნახეთ.— აკაკი-ჯან ეხლა, შენ სთქვი...

**ხორავა** (ბარიტონით)—რომელიცა რომა აქ შეყრილი ხალხი ვართ...

**მანდილოსანი**—თავმჯდომარე, მეც მინდა, სიტყვა. ახლავე უნდა ვსთქვა, თორემ ვერ მოვითმენ!... სიტყვა! სიტყვა... სიტ.. (გული მისდის. დარბაზში ჩოჩქოლია. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს სცემს განსვენებულ წესიერებას. ფარდა ეშვება და ხელოვნება სცენიდან გადის სალაროსაკენ).

**დიტონი**

# ნაცარ-ქექია

„მაკდონალდმა სურვილი გამოსთქვა, რომ—კარგი იქნებოდა დამქირავებელნი მუშებს მონაწილეობას მიაღებინებდეს წარმოების მმართველობაში". (დეპეშებიდან).



მაკდონალდი (ბუტბუტებს თავისთვის):
შო-და ასე, უერთმანეთოთ არ ვარგხართ თქვენ არც ერთი.
დამიჯერეთ, დამერწმუნეთ, მართალს ვამბობ, თუ მწამს ღმერთი.
კაპიტალისტები:
რას მიჰქარავს და რას ლაყბობს ეს უტვინო ძველი კრუხი?
აგი ღირსიც კი არ არის, რომ ჩვენ გავსცეთ მას პასუხი.

# სამტრედია

ბიუროკრატიზმს ვეძებდი,
ვერ ვნახე დაკარგულიყო!
სადგურის უფროსს შევჩივლე:
აქ ხომ არ არის სულიკო?!
მან მორცხვად თავი დახარა,
(მის ტრფობით დადაგულიყო,
ვეღარ ვიცანი მცინარე,
მიხა მდივანი თუ იყო).
და მიპასუხა:—ჰაბუკო,
ჩემო უმცროსო ძამია!
ნუ თუ არ იცი,—ის ჩემთან,
არის სულ წელი სამია?
ერთად ვცხოვრობდით ძმასავით,—
დღესაც ერთი გვაქვს ქირია!
როგორც თევზს წყალი-მდინარე,
მე იგი ისე მჭირია.
უმისოდ ვეღარ ვიცოცხლებ,—
მოვკდები მისი დარდითა!
ახლა, ახალ წელს შევცქერი:
ლოცვით, კურთხევით, მადლითა".—
ესა სთქვა. პირი იბრუნა,.
კაბინეტისკენ წავიდა.
ვიფიქრე: მიხა მდივანი
ვინ მოგვაშოროს თავიდან?!..

ჭაგნელი ბზიკი.

# ნიმუში

— შევიდეთ შიგ; რისი გვეშინია?! განა ლოდინი არ კმარა?!—უთხრა გიგომ თედოს და შეაღო კარები.

მათ შესვლაზე ყურადღება არავის მოუქცევია. სხვებიც ბევრი იყო მოსული ცნობის მისაღებად.

გიგო და თედო ათვალიერებდენ მოსამსახურეებს, თუ რომელ მათგანთან მიიტანეს ოთხი თვის უკან თხოვნა.

— აი, მან მიიღო მაშინ ჩვენი ქაღალდი! ძლივს-და იცნო თედომ რეგისტრატორი ქალი.

მიმართეთ მდივანს!—მოკლედ ჩაილაპარაკა რეგისტრატორმა ქალმა, რომელიც რედიკულის სარკეში იცქირებოდა და სახეზე ნაოჭებს ისწორებდა.

— მდივანი რომელ ოთახშია?—შეეკითხა თედო:

— აი იქ!—და ხელი კი არც ერთ ოთახისაკენ არ გაუშვერია.

— შე დალოცვილო, თუ სიკეთეს შვრები, ბარემ გარკვევით გვითხარი... სარკეში ცქერას მერმედაც მიესწრები; გვასწავლე ბარემ ქრისტიანულად.

— თქვენ რომ ტეტია იყოთ და არაფერი იცოდეთ, ყველაფერი მე უნდა გასწავლოთ?!—შემოუტია რეგისტრატორმა და მუშაობას შეუდგა.

— კიდევ კარგი, რომ ჩემი გაბრაზებით მუშაობას შეუდექით, თორემ კიდევ დიდხანს არ მოგაგონდებოდათ საქმე!—ჩაილაპარაკა თედომ და ის იყო გარედ გამოდიოდა, რომ შიკრიკმა უთხრა:

— წამოდით, მე გაჩვენებ მდივნის ოთახს.

— ჩვენი ქაღალდი თქვენთან ყოფილა!

— რის შესახებ?

— აი იმის შესახებ, რომ კულაკმა გვამუშავა და...

— აჰა, ვიცი, ვიცი, თქვენ ამ საქმის შესახებ დიდი ხანია დადიხართ. ნუ თუ ამდენხანს არ მოგვარდა ეს საქმე?.. თქვენი ქაღალდი ალბად საქმისმწარმოებელს ექნება და მას მიმართეთ.

— აკი ვიყავით იქა და გვითხრეს, რომ მდივანთან არისო!

— თქვენ იყავით რეგისტრატორთან მე კი საქმის მწარმოებელთან გზავნი...

— რა ვიცი, რა! ხან იქით გვგზავნი და ხან აქეთ, ხან ერთთან და ხან მეორესთან!—უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკა წამოსვლისას გიგომ.

— მაშ როგორ გგონიათ; თქვენი საქმის გარდა, სხვა საქმე ჩვენ არა გვაქვს... მოდი-და ასეთ ხალხში სოციალიზმის დამყარებას შეუდექი. ტყვილა ვიმტვრევთ თავს!—ნაღვლიანად გაიფიქრა მდივანმა, თავი ჩააქნია და ზარი დარეკა.

— მიხო, შენა ხარ? მადლობა ღმერთს,—იქნებ ეხლა გვეშველოს—გაუხარდათ თედოს და გიგოს, როცა საქმის მწარმოებელი მათი ახლობელ სოფლელი აღმოჩნდა.

— ჰო, თქვენი საქმე მახსოვს... დიდი ხანი არ არის, რაც გამგეს გადავეცი; ალბად მას ეცოდინება მისი ბედიღბალი. მიმართეთ გამგეს.

გამგე კაბინეტში იჯდა, როცა თედო და გიგო შევიდენ მასთან და კარების ახლოს გაჩერდენ. მართალია: სალამი მისცეს, მაგრამ გამგეს პასუხი არ გაუცია. არ გაუცია იმიტომ, რომ ქაღალდებს რეზოლიუციებს აწერდა და თითქოს ვერც კი შეამჩნია მათი სალამის მიცემა.

დიდხანს იდგენ გიგო და თედო უხმოდ და უცდიდენ, თუ როდის მოიცლიდა მათთვის გამგე. როცა შეატყვეს, რომ გამგე ყურადღების მიქცევას ჯერ კიდევ დიდხანს არ აპირებდა,—თედო შეეკითხა:

— უკაცრავად... შეიძლება?

— ?!!

— უკაცრავად, ჩვენ ამ ოთხი თვის უკან განცხადება შემოვიტანეთ და, თუ შეიძლება, პასუხი მოგვეცით.

— ?!!?!

— უკაცრავად! თუ შეიძლება, გვითხარით, როგორ არის ჩვენი განცხადების საქმე?

ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ... დიალ!.. აჰა, ქსენია ხარ? როგორ გრძნობ თავს წუხანდელის შემდეგ?.. თავი გტკივა?.. ეგ არაფერია. როდის მოხვედი სამსახურში? თორმეტ საათზე?.. ხა-ხა-ხა-ხა... მე ეხლა მოვედი... ამეღამ?.. რა მიდის ოპერაში?.. კარმენი? კარგი, აუცილებლად მოვალ... ჰოო, მაგეთები არ იყოს; ხომ იცი, იქვიანი კაცი ვარ... რა გაცინებს?!. დიალ! დიალ! ხუთს მოვკლავ... მაგრად... ათასჯერ... რაო? განა ეს ბევრია? არც კი მეყოფა... ნუ თუ არ იცი ჩემი ტემპერამენტი?... არც იმდენი? აბა ვნახოთ, ოპერის შემდეგ... კი... აუცილებლად... ხა-ხა-ხა-ხა... მაგრად ტუჩებში ათი ათასჯერ... ნახვამდის...

ტელეფონის მილი ჩამოჰკიდა,—და, თითქოს ეხლა შეამჩნიაო, თედო და გიგო, ამათკენ შემობრუნდა.

— ჰო, თქვენ რა გინდაო?.. აჰა, მომაგონდა... ვიცი... მიმართეთ საქმეთა მმართველს; თქვენი ქაღალდი მას გადავუგზავნე...

— ვიყავით მასთან და თქვენთან გამოგვაგზავნა...

— ვისთან იყავით?

— აი იქ, ჩვენი მიხო რომ არის!

— ეჰს! რა უვიცი ხალხი ხართ; თქვენი მიხო საქმის მწარმოებელია; მე კი საქმეთა მმართველთან გზავნი; წადით მასთან; აი იქ, მეორე ოთახშია...

— არ შეიძლება, ეხლა არ ღებულობს; დაიცადეთ!—უთხრა კარებთან მდგომმა შიკრიკმა...

ერთი საათის ცდის შემდეგ, თედო და გიგო შევიდნენ საქმეთა მმართველთან, რომელმაც მაშინვე მიაძახა:

— თქვენი ქაღალდი რეგისტრატორს გავუგზავნე რეზოლიუციით; მიმართეთ მას და მიიღებთ საბოლოო პასუხს.

ალტაცებულნი გამოვარდნენ თედო და გიგო და გაიქცენ ისევ რეგისტრატორ ქალთან; მაგრამ რეგისტრატორ ქალს ქუდი უკვე დაეხურა და, თუმცაღა ხუთმეტი წუთი კიდევ უკლდა მუშაობის გათავებას, სახლში წასასვლელად ემზადებოდა.

— თუ შეიძლება... აი ეხლა გადმოუგზავნიათ თქვენთან ჩვენი ქაღალდი!—ვედრებით მიმართეს თედომ და გიგომ რეგისტრატორ ქალს.

— დღეს არაფერი არ შეიძლება! მუშაობა უკვე გათავდა, ხვალ მოდით!

— კი, მაგრამ ჩვენ სოფლიდან ვართ ჩამოსულნი და...

— მით უკეთესი! ქალაქში გაიარ-გამოიარეთ და ქალაქს გაეცნობით... ხვალ მოდით.

ზორბა.

# Вне Грузии 28 коп.

ნიშნობაში თავი დავაპატიჟებინე ერთ ჩემს ნაცნობს, —ადგილების სივიწროვეაო.—გადმომიკრა სიტყვა, მაგრამ მე ეს ხუმრობად ჩამოვართვი.

დიდი მზადება მქონდა. უზმოდ გავატარე მთელი დღე. ვამბობდი: ხარჯი რაღად გავსწიო!...

იმდენი ვჭამო, რომ მთელი კვირის განმავლობაში აღარაფერი მომინდეს...

ხელში მეჭირა იატაკის სარეცხი ჩოთქი და გულმოდგინედ ვსწმენდდი ჩემს „პარადნი კოსტიუმს", რომელიც მისი არსებობის ხუთი წლის თავზე ხუთ ადგილას არის დაკერებული. ერთი სიტყვით. რაღა ბევრი გავაგრძელო, გამოვეწყვე „უკანასკნელ მოდაზე" (სწორედ რომ უკანასკნელს).

საღამოს 7 თუ 8 საათი იქნებოდა, რომ გამოვედი ქუჩაში და გავემართე იქითკენ, სადაც მე არავინ მიცდიდა, მაგრამ მე მიხაროდა. გზაში ყოველთვის თვალწინ მედგა გაშლილი სუფრა, რომელიც მზის მაჩვენებელ ვარსკვლავივით წინ მიძღოდა. ვზომავდი სუფრის რომელ კუთხესთან დავმჯდარიყავი, რომ კარგი ნაჭრები არ ამცდენოდა. ამ ფიქრებში ვიყავი გართული რომ გაისმა **ხმა: პაპიროსსს!...**

ჰე, ჯანი გავარდეს. ერთხელ მაინც ვიყიდი პაპიროსს. ყოველთვის სხვისას ვეწევი... სათაკილოც არის, ნიშნობაში სხვას ვეხვეწო:—შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ერთი პაპიროზი. ერთი კიდევ... ერთი კიდევ.. იქნებ ვინმემ არ მომითმინოს და შეურაცხყოფა მომაყენოს?!. თანაც იქ, ქალიშვილებთან რომ საეშხოდ გაუხსნელ კოლოფს ამოვიღებ, გავხსნი და გავაბოლებ... ამას რაღა შეედრება...

ამოვყარე ჯიბიდან რაც ფული მქონდა, დავთვალე, სწორედ 27 კაპეიკია, არც მეტი არც ნაკლები.

— მომეცით „სავეტსკი",—რიხიანად ვუთხარი მეპაპიროსეს და ხელში ჩაუჩხრიალე შავი ფულები. იმ ულმერთომ მაშინვე, ხელისშეხებისთანავე შეატყო, რომ აკლდა.

— ამხანაგო, ერთი კაპეიკი გვიბოძეთ.

— რისი კაპეიკი?

— რისი და სპილენძის, თუ გინდათ, ბრინჯაოსი. ავიღე ხელში კოლოფი და დავაკვირდი... ვკითხულობ: „25 ცალი—ფასი 27 კ., ვნე გრუზიი 28 კ." ქეზი მოვიბი და შევუტიე:

— თქვენ, ამხანაგო, ალბად კითხვა იცით: აქ სწერია 25 ცალი—27 კაპეიკი.

— თუ კაცი ხარ, ფასს ნუ მასწავლი, წითელი ასოებით რომ ფასია დაწერილი, აი ის არის კანონიერი.

— შენ იქნებ რუსული თვითონ არ გესმის, წითელი ასოებით სწერია: ვნე გრუზიი 28 კ., ანუ ქართულად, რომ გადავთარგმნოდ „საქართველოს გარედ ღირს 28 კაპეიკი" მე შენ გეკითხები:—ვარ თუ არა მე საქართველოში?

— სადაც გინდა იქ იყავი, ყველა ასე ყიდის ასე ყიდულობს, თუ გინდა იყიდე,—თუ არა და, არავინ გაძალებს.

— ამ დროს პაპიროსის ყუთს მოადგა ერთი ფრიად მორთულ-მოკაზმული „რაინდი". თვითონ თუ არა, მისი პორტფელი დიდი პასუხისმგებლობით გამოიყურებოდა. მან „ვაჟნად" დაუყარა მეპაპიროსეს 28 კაპეიკი, აიღო „სოვეტსკი" და ისევ „ვაჟნად" გასწია. ერთი სიტყვით, დამისხა ცეცხლზე ნავთი.

— ეხლა ხომ გაიგე ფასი? აგერ კი იყიდა პატიოსანმა კაცმა, მაგრამ ლაპარაკით არ აუღია ყველაფერი. შე კაცო პირველად ხომ არ ყიდულობ? (ეს კი იყო მართალი, მაგრამ როდი შევიფერე).

რომ დავინახე არაფერი გადის,გადმოვაბრუნე კოლოფი, წავუკითხე: „პროდაჟა პო ცენე ვიშე ობოზნაჩენნოი კარაეტსია პო ზაკონუ" და ავმეტყველდი მჭერმეტყველურად (ვიფიქრე უცხო სიტყვებით იქნებ შევაშინო მეთქი):

— თქვენისთანა ელემენტები მართლაც სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. თქვენ უთხრით ძირს რევოლიუციონურ კანონიერებას, ინდუსტრიალიზაციას, ტრაქტორიზაციას, სოციალიზაციას, მუნიციპალიზაციას, ცივილიზაციას,—კიდევ მინდოდა ერთი „ზაცია" მეთქვა, მაგრამ მეპაპიროსემ შემაწყვეტინა:

# თავის ქება კიტრად,--კიტრი კაპიკად



— შენი წერილი წავიკითხე ჟურნალში; არა უშავს რა,—მაგრამ თავს ძალიან იქებ.
— ეს იმიტომ, რომ სხვა არავინ მაქებს.

# ს უ ფ ს ა

თუ გინდათ ნახოთ: კრივი,
აყალ-მაყალი, ჩხუბი,—
მოდით და ინახულეთ
ჩვენი მუშათა კლუბი.
ყველა იქ იყრის თავსა,
არ გვყოფნის დასაჯდომი.
საშას და პარმენს შორის
არის აქ ხშირად ომი.
ერთმანეთს ეჯიბრება:
ნარდი, ბაქარა, ხლუსტი.
პარმენი გაგვიკოტრდა,
გამდიდრდა საშა სუსტი.
ნარდის თამაშში საშას
პარმენი წაეჩხუბა;
პირველს დაეხა პალტო,
და მეორეს კი შუბა.
ტარტაროზ ისევ შენ თუ
კლუბს მოაშორებთ ამათ,—
და შენს პატივის-ცემას
გადვიხდით ჩვენ ერთს სამად.

სუფსიელი ბიჭი.

# თ ე ლ ა ვ ი

ამბები გასაოცარნი
ხდება თელავის მხარეში;
ბევრს ნახავთ გულით საცინარს
ჩვენს „ერთგულ" თავმჯდომარეში.
ავტო აქვს სამსახურისთვის
საკუთარს ბრძანებლობაში;
მეტად მშვენივრად იყენებს
ხშირ-ხშირად ნადირობაში.
ჩაისხამს შიგ ძმა-ბიჭებსა
დაკაზმულ ხანჯალ-თოფითა
და გაუტევენ ტყისაკენ
მანქანას მეცხრე ხოდითა.
თოფი ჰქუხს, ავტო მიფრინავს,
ისმის ზათქი და ბრიალი,
გაქელეს ნახნავ-ნათესი,
გახადეს ოხერ-ტიალი.
მაგრამ უმტყუნა ავტომა,
ვერ შესძლო ტყე-ღრეს ყიალი,
გაფიცვა გამოაცხადა,
შესწყვიტა ბორბალთ ტრიალი.
თბილისის სახელოსნოში
ამჟამად „აპაჩინკებენ"
მის სახარჯო ფულს თელავში
გლეხთა კისრიდან იღებენ.

ხურდივან.

— კარგი ერთი, შეაჩერე „ტროიკა" და! რა გითხრა იცი?!—რევოლიუციონური ყველაფერი მიყვარს და ამიტომაც წითელ ფერს ვსცემ პატივს, მე მჯერა, რომ შავი კონტრ-რევოლიუციაა, წითელი კი რევოლიუცია, წითლად ჩემს კოლოფს აწერია 28 კაპეიკი, მეც რევოლიუციას ვერ ვუღალატებ,—ჩაიცინა მეპაპიროსემ.

— შენ ვის იღებ სასაცილოდ,—შევუტიე და ეხლა „იზმებით" დავუწყე ლაპარაკი:

— ეს არის შოვინიზმი, ბიუროკრატიზმი, კონტრ-რევოლიუციონიზმი, პროტექციონიზმი...

— ერთ კაპეიკს გაჩუქებ და თავი დამანებე.

— ვის უნდა შენი კაპეიკი, იქნებ ფიქრობ, რომ მე კაპეიკი არ მაქვს? საქმე პრინციპშია, მე კანონიერება მალაპარაკებს, პრინციპიალურად მეტს არ მოგცემ.

— კარგი, კარგი კაცო, მუშტრები ნუ დამიფრთხე, წაიღე...

დამავიწყდა ყოველგვარი კანონიერება ყოველგვარი „იზმი" და „ზაცია", დავატანე კოლოფს ხელი და შურდულივით გავექანე,—ვაი თუ ჩემს მისვლამდი ნიშნობა შესჭამეს-თქო.

ხევეირ-ბენ-შეიხ.

# ევროპიული მასკარადი

## სინამდვილეში



## ნიღაბ-ქვეშ



ალმასკომის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩა ქ. 68

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 86 კვირა, 6 თებერვალი 1927 წ. № 86

## სისტემის ბრალია



**კულაკი** (ვაჭარსა და მღვდელს): თქვე ოჯახდაქცეულებო, თქვენს სიცოცხლეში არაფერი გიჭამიათ თუ რა ჭირს, ასე ბურთივით მაღლა რომ გვისვრის ეს სასწორი?

**ვაჭარი:** ბევრიც ვჭამეთ, მაგრამ რა! ახლა ხომ იცი, ამათ მეტრიჩესკი სისტემა შემოიღეს, რაიც იმას ნიშნავს, რომ მსუბუქს—ამძიმებს, მძიმეს კი ამსუბუქებს. თორემ ძველი სისტემა რომ იყოს, ოცი მუშაც კი ვერ მიზამდა ძვრას!

# ამაო ცდა



აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე კულაკი საბჭოში.

# არჩევნები და პრობლემა

მამალმა რომ საღამოს უკანასკნელათ დაიყივლა.ესაია თაბათაძემ 9 თვის ხბოს დანა გამოუსვა ყელში.

ვახშმათ მან მოიწვია მეზობელი გლეხები—ახალწელიწადს ვერ დაგპატიჟეთო—და სუფრაზე სიტყვა ჩამოაგდო არჩევნებზე:

— თქვენ ხომ ხშირად გესმით ახლა მელიორაცია, ელექტროფიკაცია, კანალიზაცია, ადმინისტრაციის დაახლოება ხალხთან, ემანსიპაცია. პრობლემა, კულაკობა, მაშინიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, მაკრატელი, კოოპერატიული დარაზმვა და სხვა.

— ქოჩორაშვილმა გითხრათ, რომ მელიორაციას ვატარებთო ე. ი. მელიორაცია არის მელია კაცი რომ იქნება; გაიძვერა, ფლიდი, გაუტანელი. ასეთი ხალხი უნდა მოვამრავლოთო. ესო საჭიროა, რომ ერთმანეთი უფრო გაველიტოთ. ადმინისტრაცია უნდა დაუახლოვოთ ხალხსო,—ეს თქვენც კი იცით:

ნიშნავს რომ მილიციონერი უნდა ჩაუსახლონ გლეხს და ჯარები დააყენონ სოფელში. მერე ველარ გაბედავთ ქალს არასასიამოვნო სიტყვა უთხრათ, რადგან იქვე მილიციონერი იქნება და სალდათი. ეს რა თქმა უნდა გამოიწვევს სახელმწიფოსაგან ხარჯების შემცირებას, ანუ ამას ეძახიან ეკონომიის რეჟიმს, რადგანაც თქვენ უნდა აჭამოთ და ასვათ ჩამოსახლებულებს. ქალთა ემანსიპაცია მაშინ განხორციელდება, რასაკვირველია. ქალს მიეცემა თავისუფლება და აგერ დღეს თუ შენი ცოლი შენთანაა, ხვალ ერთ სტუმარს ანუ მილიციონერს ჩაუგორდება ლოგინში და ზეგ მეორეს. ემანსიპაცია ნიშნავს ქალის სურვილების თავისუფლებას.



**„მათხოვარი“** (გამვლელ მოქალაქეებს): **ფული მაჩუქე, თორემ განახვებ სეირს—დაგავლებ ხელს და...**

ელექტროფიკაცია რაც არის—ეს ბავშმაც კი იცის. ეს არის ნავთის ხმარების აკრძალვა, სანამ ელექტრონს არ გაიყვანთ სახლში. კოოპერატიული დარაზმვა ნიშნავს, რომ გლეხები დარაზმდენ სახლებში, დარაზმულათ სჭამონ, იძინონ, გაიხადონ, ჩაიცვან და ითხოვონ ცოლები საერთოდ საერთო სარგებლობისათვის.

კულაკი ქართულათ მუშტს ჰქვია. ძირს კულაკებიო, ე.ი. ძირს დაუშვით მუშტები და ქვეიდან ამოსცხეთ ყველას ვინც წინაალმდეგი იქნება ჩვენიო. მაკრატელი კი იცით რაც არის. პრობლემა მისთანა რამეა, რომ ვსთქვა, ვაი თუ გაიგონ და დამიჭირონ... არ ვსთქვა ვაი თუ დაგვღუპონ. ეჰ ისევ ვიტყვი.

შემდეგ სუფრაზე დაიწყო სადღეგრძელოები და ესაია თაბუთაძე უკვე ადღეგრძელეს, როგორც ახალი საბჭოს თავმჯდომარე.

— აპა შენ იცი თუ მოგვაშორებ ამ მჩაგვრელებსო, ღალად-ჰყო ყოფილმა დიაკონმა დიანოზამ.

მასპინძელი ცასა სწვდებოდა სიხარულით.

საარჩევნო კრებიდან ესაია გაფითრებული დაბრუნდა. ეზოში პატრონმა მწოლიარე კაჭეჭიაც კი ვერ შენიშნა და ერთ მათგანს ბრმასავით წაედვა. კაცის ცოხნა არ შეუწყვეტია და მეცნიერულის სიდინჯით შეხვდა დინჯი კაცის ასეთ „ნახალობას“.

ცოლმა გაგო, რომ ესაია „პროვალებას“ დაუღუპავს დაწვრილებით, თუ რა მოხდა ამ საარჩევნო კრებაზე მოვახსენებ ტარტაროზს შემდეგ ნომერში. **დიეტონ.**

# სიზმრის ახსნა

**„გოსკინპრომი“** ნახო სიზმარში: თუ ცოლიანი ხარ—ხარ ეარგა, ოჯახური უსიამოვნება შეხვდეს (ცოლმა შენ დაგაბრალოს, რომ გერი პიკფორდი თვითონ არ არის); უცოლო თუ ხარ—სიამოვნება ნახო. ქალებისათვის საერთოდ—კარგია.

**„სამანიშვილის დედინაცვალი“** ნახო სიზმარში: კარგია; ცხადში საეჭვოა მისი ნახვა.

**„ორი მონადირე“** ნახო კინოში—ცუდი სიზმარი იცის.

**უკრუხო წიწილები** ნახო სიზმარში—„დურუჯსს“ ნიშნავს.

**ახმეტელი** ნახო—„საკუთარ დადგმას“ ნიშნავს.

**„მალშტრემი“** ნახო სიზმარში: ცუდია—არეულობას ნიშნავს.

**ოპერა** ნახო სიზმარში: ცუდია—ქესატობა მოგელის.

**ლიტერატურული სალამო** ნახო სიზმარში—მარტო ზილეთის ყიდვას ნიშნავს.

**მომღერლები** ნახო სიზმარში—მარტო ჰუმბერიძეს ნიშნავს.

**პოეტები** ნახო სიზმარში—მარტო რაყდენ გვეტაძეს ნიშნავს.

**„ცისფერი ყანწები“** ნახო სიზმარში: თავს უფრთხილდი, თვალი ადევნე ჯიბეს. საერთოდ მარჯვედიყავი ხიფათი მოგელის.

**ფუტურისტები** ნახო სიზმარში: თვალი ადევნე ბოთლს, თავში არ მოგხვდეს.

**სახელგამი** ნახო სიზმარში: ცუდია—პატივსაცემ მანდილოსანის სახელწოდების დღე დაგავიწყდეს.

**ფარნიევი** ნახო სიზმარში: არაუშავს—სადაც ხოში გქონდეს, იქ დაუცადე ტრამვაის.

**არ. რუხაძე** ნახო სიზმარში: არ გაუშვა, აღწერის ბარათი გამოართვი, შეავსე და აუწერავი დარჩება.

**ორბელიანის აბანო** ნახო სიზმარში: დიდ სიციცხეს ელოდე. ზოგჯერ (მთვრეზეა დამოკიდებული) გრიპსაც ნიშნავს.

**ხვედირ-შენ-შეო.**



დათვი (წუწუნავს): განა ღირდა ჩემი მოკვლა მაგ სურათისათვის.

# ლუკა მუჯირი

იშვიათი კაცია ლუკა მუჯირი.

თქვენ იგი ყველგან შეგხვდებათ.

ყველა იცნობს ლუკას.

ძალიან ხშირად ყველა ჩვენგანი ლუკა მუჯირი ვართ.

თქვენ დგეხართ და ელოდებით სხვას, მაგალითად: თქვენს შეყვარებულს. პაემანი გაქვთ დანიშნული წინასწარ დასახელებულ ალაგას. ჰო-და, როცა ამ სიცივეში ბტუზული ელოდებით სატრფოს, საიდანაც იქნება ჩამოგიქლის გვერდში ლუკა მუჯირი. თქვენ ვერც კი მოასწრებთ დამალვას, რომ იგი ხელს გამოგიწვდის და მოგესალმება:

— გამარჯობა... ვის ელოდები აქ?

— არავის... ისე,—უპასუხებთ ცივად და მოკლეთ, რომ მიხვდეს და წავიდეს, მაგრამ ლუკა გეუბნება:

— მეც შენსავით უსაქმოდ ვარ, სახლში ყოფნა მომწყინდა და გარედ გამოვედი... სხვა, როგორ გგონია ჩემბერლენის პოლიტიკა საფრანგეთს კარგს რამეს უქადის? (ლუკას ძალიან უყვარს მსოფლიო ამბებზე ლაპარაკი) არა მგონია, რომ კარგს უქადდეს.

— მეც ასე მგონია—ისევე ცივად ეთანხმებით ლუკას შეხედულებას ჩემბერლენის პოლიტიკაზე და გულში ამბობთ:

— კისერი უტეხია იმათაც და შენაც.

— მე მგონია: თუ გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო არმიამ, ჩან-ძო-ლინი აუცილებლად დამარცხდება.—ასეთია ლუკას ლოღიკა... და თქვენც ეთანხმებით:

— მეც ასე მგონია,—და გულში კი ვამბობ—წადი მომშორდი, ხელს ნუ მიშლი, ქალს ველოდები.

— გრიპის არ გეშინია, კაცო? ეგ რა საშინელება რამე ყოფილა?!

— ჰო, ამბობენ.

ამ დროს ლუკა დაინახავს ტრამვაის რამდენიმე რონოდას.

— ამ ფარნივმა კი ივარგა სწორედ! ხედავ რა მოძრაობაა? რამდენი ვაგონია ერთად?..

— ეს იმიტომ, რომ ვერის დაღმართზე ფურგონი გაჩერდებოდა. ტრამვაის მოძრაობას შეაჩერებდა და ყველა ვაგონები ეხლა მოდის გზის გაწმენდის შემდეგ—ვეუბნები ლუკას და ბოლოს ბრაზიც მოდის, რომ დაწვრილებით აუხსენი ლუკას ვაგონების სიმრავლის მიზეზი.

— კაცო, ამბობენ, რომ.—იწყებს ლუკა სხვა ამბავს, მაგრამ შენს თავში გაიელვებს:

— ეჰხ! ეს ოხერი თუ არ მივატოვე, თვითონ ვერ მიხვდება აქედან წასვლას—და ეუბნები:

— უკაცრავად ლუკა, მაგრამ მე მივდივარ.

— საით მიდიხარ?

— ო. რა ვუთხრა? ვაი თუ საითკენაც მე წავიდე, გზაც იქით ჰქონდეს მას?—გაიფიქრებ და იღბალს ტიენდობი.

— მე აქეთ მივდივარ... მშვიდობით.— ხელს ართმევ და ცალ ფეხს როგორც კი გადადგამ, ლუკა მოგაძახებს,

— დაიცადე, კაცო, მეც მაგ მხარეს მოვდივარ..

თქვენ უკვე მიდიხართ ქუჩაში თავის შეყვარებულთან ერთად და მიიჩქარით, რომ მყუდრო ადგილას ერომანეთს ეალერსოთ. ლუკა შორიდან გიცნობს და თქვენსკენ გად უხვევს, დაგეწევა და ხელს ჩამოგართმევს.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი,—უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკებთ და ცალი ღრანჭით გაუღიმებთ მომღიმარ ლუკას.

ლუკა თქვენ გაგყვებათ.

— ნუ სწუხდებით ლუკა; ბევრი გამოგვაცილე; აწი დაბრუნდით, თორემ უკან დაბრუნებისას ბევრი გზა გექნებათ გასავლელი.

— არაუშავს, ქალ-ბატონო, აი იქამდი... ჯერ ხომ ადრეა!

— დაგექცეს ოჯახი, შე უსინიდისო შენა,—ამბობთ თავის გულში შენ და შენი შეყვარებული.

ლუკა გრძელ ამბავს დაიწყებს, რომ ეყოს თქვენს სახლამდი.

— დაგპატიჟებდით, მაგრამ ღვინო არა მაქვს, და მარტო ჩაიზე როგორ გავბედო... ამიტომ, ჩემო ლუკა; მშვიდ...

— არაუშავს, რა; თუმცაღა მე არც ჩაი მინდა და არც ვახშამი, მაგრამ რაკი თქვენ ასე გეხათრებათ ჩემი, მე მოვდივარ ჩაიზე—და თქვენთან ერთად ლუკაც შემოდის სახლში.

რამოდენიმე ამხანაგები ერთად ხართ და თათბირი გაქვთ იმის შესახებ, თუ ვის ესტუმროთ სადილზე.

ერთ-ერთ თქვენგანს იცნობს ლუკა მუჯირი.

როგორც კი თვალი მოჰკრა თქვენს თავყრილობას ქუჩის მოსახვევიდან, ლუკა მაშინვე მიხვდა თქვენი საუბრის თემას.

— სადილი უკვე ვიშოვე,—გაიფიქრებს ლუკა, მოვა თქვენთან. ხელს ჩამოართმევს თავის ნაცნობს—თქვენს ერთ ამხანაგს, შემდეგ ცოტას შეჩერდება,—ჰგონია ნაცნობი სხვებს გააცნობს, მაგრამ რაკი შეატყობს ლუკა, რომ მისი ნაცნობი არ აპირებს მისთვის სხვების გაცნობას, თვითონ ეცნობა ყველას და სათითაოდ ხელს ართმევს:

— ლუკა მუჯირი... ლუკა მუჯირი... ლუკა მუჯირი..

— გადაგვეხირა ახლა ეს ოხერი; ჩამოგვეკიდება ძველ ტომარასავით და აღარ მოგვშორდება,—ფიქრობს მისი ნაცნობი.

— აბა წავიდეთ ყარამანისას—ამბობს ერთი.

— რომელი ყარამანია? სადილაძე ხომ არა? კითხულობს ლუკა მუჯირი.

— არა, სხვა არის—კრიჟანგაძე.

— ვიცნობ, ვიცნობ... ალმასკომში რომ მსახურობს; ჩემი კარგი ნაცნობია—ამბობს ლუკა.

— თქვენ სხვას ამბ... ყარამანი ალმასკომში არ მსახურობს...

— აჰა, მივხდი, მივხდი თქვენ რომელ ყარამანზედაც ამბობთ... იგი „იქ" მსახურობს...

თქვენთან მოდის ლუკა ყარამანისას.

— ბოდიშს ვიხდი: მე ჩემი ნაცნობი ყარამანი მეგონეთ როცა ესენი თქვენზე ლაპარაკობდენ,—და მეც წამოვყევი ამათ.—ბოდიშობს ლუკა უცნობ მასპინძლის წინაშე, თუმცაღა თავიდანვე იცოდა, რომ უცნობ ოჯახში მიდიოდა.

— როგორ გეკადრებათ... თუ არ ვიცნობდით ერთმანეთს. აწი ხომ კარგი ნაცნობები ვიქნებით.

— რა თქმა უნდა... ჭეშმარიტად... რასაკვირველია... აუცილებლად.—ადასტურებს ლუკა.

თქვენ ეტრფით ქალს და მასთან ზიხართ ლოჟაში. საკუთარი ლოჟა იყიდეთ, რომ ხელი არავის შეგიშალოს ქალს ეალერსოთ მოქმედების მსვლელობის დროს.

ანტრაქტის დროს ლუკა ქანდარიდან შუა პარტერში ჩამოვა და ზვერავს მთელ თეატრს.

თქვენ თვალს მოგკრავს ლოჟაში...

და ის არის, რომ სინათლე უნდა ჩაქრეს და სცენას ფარდა აეხადოს, რომ ლუკა მუჯირი შემოვა თქვენთან ლოჟაში და მოგესალმებათ.. და რაკი სინათლე ჩაქრება, თქვენს ლოჟაში რჩება...

ნერვები გეშლებათ... და იძულებული ხდებით ადრე დატოვოთ სპექტაკლი, თორემ ლუკა თქვენ არც წარმოდგენის დასრულების შემდეგ მოგშორდებათ... თქვენს შემდეგ ლუკა გამოიჭიმება „საკუთარ" ლოჟაში.

ლუკამ იცის სადილობის საათი და სწორედ იმ დროს ესტუმრება ნაცნობს.

ეს კიდევ არაფერია.

ლუკა აუცილებლად გაიგებს, თუ სად არის ქეიფი.

— სიმღერა ისმის; უკვე შეზარხოშებული არიან; შივალ, თითქოს ერთს ნაცნობს ვეძებ და... წავაწყდები კამპანიას.—გაიფიქრებს ლუკა შესავალის კარებთან.

— უკაცრავად; ნიკიფორე აქ ცხოვრობს?—ეკითხება ლუკა შეზარხოშებულ მასპინძელს, რომელიც გამოვა ლუკას დაკაკუნებაზე.

როგორც კი მასპინძელი კარს გამოაღებს, ლუკა შუა კარებში გაჩერდება, რომ იგი დაინახოს მისმა ნაცნობმა—სერგომ, რომელიც სტუმრად არის ამ ოჯახში.

— სერგო, შენ აქა ხარ, კაცო? საიდან სადაო?— „გაუკვირდება" ლუკას და შედის სახლში სერგოსთვის ხელის ჩამოსართმევად.

— დაბრძანდით, დაბრძანდით... სკამი მოართვით.—განკარგულებას გასცემს მასპინძელი...

— ამხანაგებო, გაიცანით.—აცხადებს ლუკას ნაცნობი და ლუკა სათითაოდ ყველას ეცნობა:

— ლუკა მუჯირი... ლუკა მუჯირი... ლუკა მუჯირი...

— დაბრძანდით... მიირთვით... ვადღეგრძელოთ.. უნდა დალიოთ.—ეუბნება მასპინძელი ლუკას.

— მედაჩემმა ღმერთმა, პირდაპირ საკვირველება არის! სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ქეიფს და დროს ტარებას წავაწყდები. სრულიად შემთხვევით—ნაცნობს ვეძებდი და ასეთ ძვირფას კამპანიას წავაწყდი და გავიცანი ძვირფასი მასპინძელი. კაცი კი მინახავს, მაგრამ ჩემისთანა იღბლიანი კი არ[illegible]. სადაც არ უნდა წავიდე, [illegible] ქეიფი მაინც მომაგნებს და არ მშორდება; პირდაპირ კვალდაკვალ დამდევს და ვერსად ვემალები!

— შენ კი არ დაგდევს, არამედ შენ დასდევ მას და დაეძებ მაძებარ ძაღლსავით.—„გაეხუმრა" სერგო.

— ხა-ხა-ხა-ხა... რა ხუმრობა იცი ჩემო სერგო! ჰო-და ამ ჩაის სტაქნით მე ვადღეგრძელებ ჩვენს ძვირფას მასპინძელს...

**ისელი.**

# რომელია მონადირე



**მარიკა:** ჩემი ბრალი არ არის რაც ამ ორ ძმას შორის მოხდა; მე არც ერთი და არც მეორე არ მინახავს. ასე ინება მხოლოდ წუწუნავამ.

# „ორი მონადირე"

ერთ საღამოს როგორც იქნა მოვიცალე და კინოში წაველი. ვნახე. „ორი მონადირე".

ძალიან კარგი სურათია: დათვები, მგლები, არწივი, შველი, ჯეირანი, კამეჩები, მიშა გელოვანი—ნამდვილი ზოოლოგიური ბაღია.

ტფილისში, სამწუხაროდ, ზოოლოგიური ბაღი არაა და კინო-სურათები ავსებენ ამ ნაკლს.

ამ სურათის შინარსი აღებულია ილია ელეფთერიძის მოთხრობიდან „ორი მონადირე".

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი მონადირე ძმა დიდი უბედური ხალხი ყოფილა.

პირველად მათზე ინადირა ილია ელეფთერიძემ.

შემდეგ ინადირა წუწუნავამ.

და ბოლოს ინადირა სახელგამმა.

სამჯერ მოკლეს ერთი უბედური ძმა და გული მტკივა. სიმართლე გითხრათ, გული უფრო იმიტომ მტკივა. რომ ერთხელაც არ ღირდა მისი მოკვლა.

—:—

— შინაარსი როგორია?—მკითხა მეორე დილით მეზობელმა ქალმა, რომელსაც საღამოთი უნდოდა წასვლა კინოში ამ სურათის სანახავად.

— შენაარსი?!

ვერაფერი უპასუხე. უნდა გამოვტყდე, არც ვიცოდი შინაარსი.

— რათ გინდათ შინაარსი!—ვუპასუხე ქალს.—ისე დაც კარგათ თამაშობენ არტისტები. თამარა კალანდაძე ნატურალურად წველის კამეჩს, მიშა გელოვანს კი თავისი ნამდვილი წვერულვაში აქვს. სურათის გადაღებამდე ორი თვის განმავლობაში არ იპარსავდა და სადალაქოში არ შესულა. ძალიან ხუჭუჭი თმა ჰქონია!

— მაშ სიყვარული არაა სურათში

ამ სიტყვებმა მომაგონა შინაარსი და გაბედულად ვუპასუხე:

— როგორ არა! მაგის მეტი არაფერია. სწორეთ მაგითია სურათი საინტერესო, რომ სიყვარულზეა. ხალხი გადარეული. ერთმანეთი არც უნახავთ და უყვართ. ორ მონადირეს ერთი ქალი უყვარს. ამ ქალს თუმცა ორივე ძმა ჰყავს ნახული, მაგრამ მათზე უფრო თავისი მეწველი კამეჩი უყვარს. ამის გამო კი ერთი ძმა მეორეს სასიკვდილო მახეს დაუგებს. იმ ქალს კამეჩი უყვარს, კამეჩს ბალახი უყვარს, ბალახს ტყე უყვარს, ტყეს დათვი უყვარს, დათვი წუწუნავას უყვარს, წუწუნავა სახკინმრეწვს უყვარს და ასე, დაუსრულებლად. ერთი სიტყვით, აქ კაცი ვერაფერს გაიგებ!..

—:—

რადგან მე თითონ დამაინტერესა „ორ მონადირე"-ში აღძრულმა სიყვარულის პრობლემამ, ერთ დღეს გავბედე და მიველი თვით წუწუნავასთან.

ძალიან ზრდილობიანი კაცი ყოფილა. როცა მასთან შეველი, რბილ სავარძელში იჯდა, გვერდით კი ჩვეულებრივი სკამი იდგა. სკამზე დაჯდომა არ შემომთავაზა, ალბად იმიტომ, რომ შევეცოდე—როგორ დავაჯინო ეს უცხო კაცი ამ გახრეკილ ფიცარზეო. ალბად დიდხანს ვიქნებოდი ფეხზე, რომ მე თითონ არ დავმჯდარიყავი. ერთი სიტყვით, ძალიან ზრდილობიანი კაცია. პირველი შეხედვიდანვე ეტყობა, რომ მესამე მონადირე თითონ არის.

— კარგათ დადგმული სურათია,—უთხარი მე,—მხოლოდ შინაარსია ცოტა აბურდულია.

წუწუნავამ ისე დაცინვით გადმომხედა:

— ვერ გავიგე, რატომ გადაემტერენ ერთმანეთს ძმები, როცა ქალი არც ერთსა და არც მეორეს არ წყალობს?

წუწუნავამ ისევ დაცინვით გადმომხედა:

— ახალი მიმართულება გახლავთ, ყმაწვილო,—ამიხსნა მან—კინემატოგრაფიაში... რა საჭიროა ყველაფერი იცოდეთ და ყველაფერი გაიგოთ... სურათის შინაარსი და იდეოლოგია ისეთივე ბუნდოვანი უნდა იქნეს, როგორც საერთოდ ჩვენ მიერ გადაღებული სურათები ეკრანზე ჩვენების დროს.

როგორ შემეძლო არ დამეჯერებია ასეთი ავტორიტეტისათვის, როგორიცაა წუწუნავა და გამოველი მისგან იმ გრძნობით, რომ მე ვარ ბუზი ამ კაცთან შედარებით და არ მესმის მრავალი რამ ისეთი, რაც მისთვის საანბანო ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მაგრამ ამ აუდიენციამ საოგე[illegible] გავხდი მეოთხე მონადირე. მინდა მოვკლა ჩემი კინემატოგრაფიული უვიცობა.

—:—

აი სწორედ ეხლა გავიგე, რომ შეგვემატა მეხუთე მონადირე. ეს გახლავთ თვით ილია ელეფთერიძე.

ილია ნადირობს თავის მოთხრობის ნამუსის გამოსასწორებლად.

ერთი სიტყვით საქართველოს მონადირეთა კავშირი საფრთხეშია. შესაძლებელია ახლო მომავალში წუწუნავას კავშირის ფილიალი გახდეს. **მის—მენდ.**

# „ჩემპიონი"

ტფილისის სადგურის უფროსი



**— ვიწვევ საჭიდაოთ და საცემად ყველა დაბალ მუშა-მოსამსახურეებს..**

# „დიდი ქეიფი“



— როგორც ეტყობა დიდი ქეიფი აქვთ; ალბად ქორწილია... რა ძვირფასი სუფრა იქნება გაშლილი! განუწყვეტლივ ისმის „მრავალ-ჟამიერ“.



ლიმონადის ბოთლიი.
და ზედ ცალი ყური.

ღორის თავის ქალა
ღვინო სდგას კახური.

ერთი ჭიქა ყველას
და რედისკა ორი.

ექვსი ძმა-ბიჭები
ტოლი, თანასწორი.

# ვაჭაკა მასკარადში

— აი, თელეთის მადლი გაუწყრეს ამ მასკარატნი ვეჩერების მამგონსა, როგორც მე იმან ხათაში ჩამაგდო და ზიაბროთ გამაკეთა! ვა, ქრისტიანო, ეს მოცლილი ხალხი ჩხირკედელობა შვრება, თავის ჭიას ახარებს რაღა, მოდნებს იგონებს და პუპუზ, ჩვენისთანა მიამიტებსაც ბოლოს შიგა შჩრიან. ასმა ცივი-ლიზა ციააო, არ უნდა ჩამორჩეთო, განათლებულ ხალხსა შაგში უნდა მიჰყვეთო!

ვა, გიჟეს! ეს ვილაცა ცივი ლიზაა, თუ ცხელი ლიზაა ჩვენთან რა უნდა, თოღ, თავის საქმე გააკეთოს რაღა, თავს შოუაროს, რას გადაგვრია ეს დარდაკი დედაკაცები?.. თუო, მონდა ობშჩიაო. ეხლა დვარიანცკები და მეშჩანცკები კამუნისტებმა მაასპოვეს და მთა და ბარი ურავნიტი ქნესო,—ზნაჩიტ, ეხლა ბალ-ვეჩრებიც ობშჩიაო, ყველამ უნდა უჩასტია მიიღოსო.

ამ ბემურაზ ჩემ სირანუშასაც ეგ უნდოდა;-ჭოჭინასავით ფეხი აიდგა და მარაქაში ჩავარდა! ჯერ ლოტოში გაეჩვია, მერე ჰაზარტნი რამეები დაიწყო, ბოლოს ყველა კლუბები და ტრიატრები დათრაქა. ამ ვეჩრებში ხომ ეჩრება და ეჩრება! ერთი სიტყვით, აბრაზოვანი გამიხდა რაღა!.,

ჰიმანუმეს? ბოლოს მეც არ გამაბრიყვა? ასმა ამტოლი ჩამორჩენა გვეყოფაო, მთელი დუნია გამაიცვალა, მოდნებს მისდევენ, ჩქარობენ ,ვინ იცის, ჩვენც რა მურაზი გვიწერია, ერთიც ვნახოთ, სრაზუმ აჯალი მოვიდეს და რაც გვაბადია, სხვას დარჩესო; ნასლედნიკი არა გვყავს, რაც აქამდე ისემე გიქნია—მოგიგია, ახლა უნდა ვჭამოთო. შაფათ დღესა, მასკარატნი ვეჩერია და ორივენი წავიდეთო. მე უჟე მასკა და ბალნოი პლატია იზათა მაქვსო.

ვებნები:—სირან, რასაც შენ ამოფ, ანგარიში სწორია, ტოჩი-ტოჩია, ჰამა ამ ვეჩრებისა არა მესმის, ნუ არ შინ-მალ-ალანი რომ იყოს, კიდევ ჰა, წავალ, ლაზათიანი რამეა, ვასტოჩნია ჰამ მესმის და ჰამაც მამწონს; ან ლოტო იყოს, ან კაი დასტა-საზანდრით ქეიფი. ესეც ჩემი ჰამფაა, მაგ მასკარატებისა რ მესმის მეთქი!

მასხარათ მაკეთებ-თუო: ეგ ყველაფერი მეშჩანცკიაო, ბაჰყალხანის რაზვლეჩენიააო, ის კი ცივი ლიციააო. ხუდოჟესტვენიაო, ესტენცკი ნასლაჟდენიას მიიღეფო... მაგისთანა ჰაკარაკ ზასტენჩივობას თავი დაანებე და წამამყეო.

— დედაკაცო, ახარ ზაჰლა რო მიგაქვს, შენი ჰაჰქარი არ უნდა. იცოდე. იქ ვინ იქნება მეთქი? იმან თუო:

მთელი შუაბაზარი მოდისო. ეს ბლაგატვარიტელნი მასკარატია და ბილეთები უჟე მოგვიტანესო, ერთი ლოჟა აგვილია, და შიგ უნდა ჩავსხდეთ ჩვენ, სიფრიფანანთ ელიშა-თავისი ცოლშვილითა, ყაზაზ იაგორას ქალი ასტლიკა, ჩილინდარ ფათარაკას ჯალაბი კეკელა, ჩასპანდიწყალობა—თავისი ცოლშვილითა და კიდევ სხვებიო. შენ რისა გერიდება, ისინი შენი ჰამფა და ჰამქარი არ არიანო? ეს ვეჩერი დიდი ნაინტერეს რამეა, ტანცი და გართობა ბევრი იქნება, სულ ახალი, ამერიკანცკი პრესტავლენიებსა ქნამენ და ჰამაც მე და ასტლიკა მასკებით ხალხში გავერევითო.

დაუჯერე.

შაფათ დღეს, ეს სირანა დიდ ზირთი-ფირთებში ჩავარდა, მზადება დაიწყო. ზიზილ-პაპილები და ქჟენები შაიბა, პრაკატით კაბა აილო და ისე მაირთო, გეგონება პერსიცკი პატარძალიაო. მეც კასტუმი გამიწმინდა და როცა ჩვენი ლოჟის კამპანამ გამაიარა, უჟე მზათ ვიყავით.

ვა! რაც მე იქა ვნახე, რაც მე იმ მასკარატმა პარაკონი გამხადა—ენა ვერ იტყვის, პერო ვერ დასწერს, გამგონი ვერ დაიჯერებს!.. რის ცირკი, რის პრაჟიხტოლი, რის ყეენობა! ყველაფერმა მიჰქაროს იმასთანა: შაველით თუ აოა, იქაურობა აბანო მეგონა, ეს ტიტლიკანა დედაკაცები ისე დახტიან, გეგონება ქარამხანააო, ზოგსა ცოკლე შალვალი აცვია, ზოგი სულ ტიტველაა და ზედ რაღაცა ზიზილ-პიპილები მიუკრავს, ერთის სიტყვით ყველას ინტერესნი ადგილებ გამოუჩენია, და სიფათი მასკებით დაუმალიათ ჰაა, არავინ გვიცნოსო. ნუ, მოკლეთ ყველაფერსა შვრებოდნენ რაღა, ტანცი, ვალსი, პესია, ყვავილები, ჰოელი ალალდები რამე იქაურობას იკლებდა.

ეშმიში გავხდი რაღა, დავთრები ამერია და ველარც კი შავამჩნიე სირანა და ასტლიკა როგორ შაერივნენ ამ

ა რ ჩ ე ვ



ჭ ი ნ




ე ხ

ჯოგში თავისი ბალნოი ტანისამოსით და მასკებითა. აქეთ იქიდან მებნებიან,—დაჯექ ვაჰაკ, ნახე განათლება, ცივი-ლიზა აციაო, შნო და ლაზათი სცოდნიათ, ჰამა სირცხვილი ნაშხირათ გაუყიდიათო. მე კი პაჟარმა შამიკეთა და ვებნები:

— ახარ დაჯექ რომელია, ის ბემურაზი სირანა რო გაგიშვიათ ამ ტიტლიკანა ხალხში, იმას ჭკვია დაეყრება? ამისთანა მასკარატები მე ბებუთოვის აბანოში მინახია. ჰამა სირანას მე იქ საქვეყხოთ რა შამაყვანიჭებდა მეთქი, იმან ამ ჯამბაზებში იტლინკოს და მე ჩემი თვალით უყურო? გამიშვით ეხლავე უნდა მოვნახო მეთქი.

ვაჰაკჯან, ეგ სირცხვილია. მეშჩანცკობაში ჩამოგართმევენ, დაჯექი და უყურეო. ახარ იმ სხვებსაც არა რომ თავისი პატრონები ჰყავთ. ჰამა სპაკოინათ უყურებენო...

დამსვეს ჰამა, თითქოს გახურებულ მაყალზე ვზივარო, ისეთმა პაჟარმა შამიკეთა ზრაზისგნითა! ახარ იმ ზემურაზ სირანუშასთანა მასკარატნები სხვებსაც ეცოთ და ველარ გავარჩიე თუ რომელი იყო. როცა იმათ პადრუჟკს კავალრები უყრიდნენ, მე სულ სირანა მეგონა და ჩემი მემართებოდა რევნოსტობისაგახა.

უცბათ, რალაცა იგრივი დაუკრეს და იძახიან თუო — ეხლა იქნება ახალმოდნის ტანცაობა—ტყუან—სტეპი, ტუ-სტეპიო.

— ვა, მტერმა ნახოს, რაც მე ვნახე; ქრისტიანებოჯან, ახარ ლოგინის მარიფათებს თუ ტანცაობა დაარქვეს, ნუ, ჩუმათ მაინც იტანცაონ რალა, ამ მილეთს რას აყურებინებენ? აქაო და მასკებით თვალები აუხვევიათ. მითომ ალარაფერი ჩანს? ახარ რო არ ჩამწკრივდნენ? ერთმანეთს თათრული ლავაშებივით მიკრენ და დაიწყეს ტოკვა და მიწოლ-მოწოლა. ბოლოს მუხლები ერთმანეთს მუხლებში და მუხლებ შუა ჩაუდვეს და ვანკა-სტანკასავით ხან აქეთ ვინც რო ძალიან ეკრობოდა, მეტ სტრასტნობას იჩენდა, ის მოსწონდათ: რა კარგათ ტანცაობსო.
ჩაუდვეს და ვანკა-სტანკასავით ხან აქეთ წაიქცევიან და იზნიქებიან, ხან იქით! ვინც რო ძალიან ეკრობოდა, მეტ სტრასტნობას იჩენდა. ის მოსწონდათ: რა კარგათ ტანცაობსო.

მე თვალს ვერ ვაშორეფ. ერთი, თითქმის დიგოლა შიშველი აყლაყუდა, ძალიან მადიანათ ეტანცავება ამ ტყუან სტეპს ერთ ქალსა, მითომ აფიცერი იყო რალა. ამ სიგრძე ისემე ეკიდა, ხმალი... ვხედავ, ეს ის კასტუმია, რომელიც რომ სირანამ ჩაიცვა, ჰამაც პახოტკა სირანასია! ველარ მოვითმინე, და ყვირილით მივვარდი:

— ეტო ნე კრასივი-პასტუპკა, სირან, შე ბემურაზო, აქ იმიტო წამომიყვანე, რომ ხალხში პუბლიჩნათ თავი მამჭრა? ნამუსი ალარა გაქვს, რეებსა შვრები მეთქი? ასტანოვკა ქნეს. მე ქალს ხელი ვსტაცე და უყვირი:

— ეხლავე მამენტალნათ ჩაიხადე ეგ ეშმაკის ტანისამოსი და თავი დაანებე მაგ რახბონიკსა მეთქი!

ქალმა ისპუგი ქნა და ყვირის, ზაშჩიტი მიყავიო. ის აფიცერი თვალებს მიბრიალებს, შუაში მიდგება და მებნება:

— შტო დურაკა სტროიშ, სუმაშეჩი, ხომ არ გინდა აქვე გაგათავოო.

ვებნები: ღრაჟდანინ, ეს მასკარატნი ქალი ჩემი ცოლია, რაც გიქნია თოლ, ჰალალი იყოს ეხლა მაინც გაუშვი, მეტის მოთმენა ალარ შამიძლიან მეთქი...

ხალხი შაიყარა... ჩოჩქოლი ქნეს. ის მასკარატნი კი იძახის თუო, უბერიტე ხულიგან, მაგის ცოლი არა ვარო.

მე ჩერეშჩურ გავპრაზდი, მასკაში ხელი ვტაცე და ჩამოვაძრე... ვა! ცივი ოფლი დამასხა, ასტალბნენია მამივიდა და გავშრი. სხვა ყოფილა! ჯეჯელი ქალია, აბრაზოვანი თვალები აქვს და ის ისე მიბლვერის, რომ ან ლემენცის ცოლია, ან ანგლიჩნისა.

— მინაოთში ვარ მეთქი!..

— ეს როგაიგო იმ აფიცერმა, ერთი მიყვირა, ერთი მილრიალა:

— კაკ სმეიტ ხაროშატ პარიატკა ქოფაკ. ბარან გაველო. იშიშვლა ხმალი და გამომიდევა არ დაიჯერეფ. ეხლაც ვიგონეფ და ვერ მამიგონებია თუ რომელმა ხატმა გადამარჩინა იმ ათვალსა, როგორ მოვფრინდი სახლში, ან ორი კვირა ენა ჩავარდნილი როგორ დამართნია...

სირანუშასათვის პრედუპრეჟდენია მიქნია, თუ კიდევ ჩემ სახლში მასკარატის სახელი უხსენებია, მაშინვე ზაქსში მივდივარ რაზვოდის მისაცემათ. ის ბიაბრო და აბიდაც მეყოფა.

ფარსადან.





# „ბიუჯეტი“

თქვენის აზრით, რამდენი მაქვს ჯამაგირი?.. მაინც, მაინც? არ იცით? ბევრი არაფერი—90 მანეთი, არც მეტი, არც ნაკლები. იყო დრო სვერხუროჩნათ ვმუშაობდი და ერთ ამდენს ვაკეთებდი, მაგრამ გამოაცხადეს დაკვრითი წესით ბრძოლა სვერხუროჩნების წინააღმდეგ. დაკვრითი წესი კი ისეთი რამეა, რომ ბერეგის! დაგკრავს და გავატიალებს. დამკრეს მეც ჯიბეზე და გამაგდებინეს ის თანხა, რომელიც სვერხუროჩნებიდან შემომდიოდა და რომელიც შეადგენდა ჩემ დეფიციტიან ბიუჯეტის საგრძნობ ნაწილს. ახალი ბიუჯეტი კი, ნუღარ იკითხავთ როგორ შემცირდა. არსებითად შემცირებული იყო საშემოსავლო ნაწილი. საგასავლო, როგორ ვთქვა, მაგრამ კიდევაც გადიდდა. იქნებ გაიკვირვოთ, მაგრამ ეს ასეა. საქმე მოხდა შემდეგნაირად:

სვერხუროჩნების შემოკლების შემდეგ მე ხელახლა შევადგინე ბიუჯეტი და დასამტკიცებლად წარუდგინე ჩემ ცოლ ელპიტეს. ელპიტემ იმსჯელა ამ საკითხის გარშემო და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „გადიდებულ იქნას საშემოსავლო ნაწილი 100 პროცენტით, საგასავლო—150 პროცენტით. დეფიციტი დაფარულ იქნას ჩემი ქმარის აფრასიონის ჯამაგირს გარეშე შემოსვლიდან, როგორიც არის: სვერხუროჩნების ისევ განახლება. მეორე სამსახურის შოვნა არსებულ სამსახურთან შეთანხმებით და შევსებით, სხვადასხვა გამოსარჩენ წყაროების გამონახვა იმავე აფრასიონის მიერ და სხ. საგასავლო ნაწილში მოხდეს შემცირება უთავბოლო ხარჯების, როგორიც არის მაგალითად: ჩემი ქმარის აფრასიონის მიერ თამბაქოს წევა; სამსახურში მივლინება და სახლში მოვლინება ტრამვაით (ფეხით იაროს), ამხანაგების დაპატიჟება რესტორანში, დილით სამსახურში საუზმობა და სხ. საგასავლო ნაწილში დაცულ და დამატებულ იქნას (სმა-ჭამას და ტანისამოსს გარდა) შემდეგი მუხლები:

**მუხლი პირველი:** შეძენილ იქნას ჩემთვის (ე. ი) ელპიტესთვის) კოვერკოტის საკოსტუმე და პალტო თავისი მოწყობილობით და მეჩით.

**მუხლი მეორე:** შეძენილ იქნას ლორიგან კოტი და დუხები ზაგრანიჩნი.

**მუხლი მესამე:** გადახდილ იქმნას ღლეობები ჩემი (ელპიტის), თამრიკოს (ჩვენი საყოფი გახლავთ), ტასიკოს, (ისიც ჩვენი ნაწარმოებია), გიგუშას (ტასიკოს ძმაა), ნიკუშას (გიგუშას ძმა), ქეთუშას (უკვე მიმხვდარი ხართ რომ ჩვენია) და ჩემი ქმარის აფრასიონის.

**მუხლი მეოთხე:** შეძენილ იქნას როიალი.

**მუხლი მეხუთე:** ნაყიდ იქნას რბილი ავეჯი—აბსტანოვკა.

**მუხლი მეექვსე:** გადასულ ვიქნათ ახალ ბინაში.

შემდეგ მისდევს მე-**7, 8, 9, 10** და სხვა უამრავი მუხლები. ჩვენ რომ თქვენთან ერთად იმ მუხლებს გამოვეკიდოთ, საკუთარი მუხლები არ აგვითავდება.

ასეთ ნაირად შესწორებული ხარჯთაღრიცხვა დამიბრუნდა მე; მე, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი წავედი ამ შესწორებების და კენჭის ყრის დროს სასტიკად შევიკავე თავი. მიუხედავათ ამისა, ბიუჯეტი მაინც იქნა მიღებული ელპიტის მიერ შეტანილ შესწორებებით.

— ნუ ჩტოჯ! ბიუჯეტის მიღება ერთია და მისი განხორციელება მეორე.

ეს აზრი გაუზიარე ელპიტის, მაგრამ მან არაფრად ჩააგდო ჩემი დასკვნა, მიიღო როგორც უბრალო საინფორმაციო მოხსენება,—ერთი სიტყვით მიიღო ცნობათ, მეტი არაფერი.

ასეთნაირად **ჩატარდა** საბიუჯეტო კამპანია. ჩატარდა, ასე ვთქვათ, დაკვრითი წესით. დაიწყო ბიუჯეტის განხორციელება **და** უპირველეს ყოვლისა, დაიწყო დღეობების ჩასატარებელი კამპანია.

თქვენ, ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს სახელის დღეობა, იმენინი-ცობა, ან კობა, ან როგორ არის იგი ჩვენში გავრცელებული. ამიტომ ამაზე ბევრს აღარ შევჩერდები.

დაუბრუნდეთ საკითხს: პირველი ჯერი იყო ელპიტის, მას უნდა გადაეხადა დღეობა. ეს ამბავი მე ცოტათი გამეხარდა და აი რატომ: ბევრი დღეობა გამიგონია და მინახავს, მაგრამ ელპიტობა მაინც არ გამიგონია და ვგონებ არც უნდა არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში მეშაქარლამეებს (საკანდიტროს პატრონებს) ასეთი სახელის დღეობა დავთარში არა აქვთ. როგორც შემდეგში შევხიშნე, ელპიტიმაც შეამჩნია ეს გარემოება, მაგრამ წარბიც არ შეიხარა. ერთ, ასე ვთქვათ, ფრიად უმშვენიერეს საღამოს ელპიტი მომიახლოვდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა, რომ ერთი კვირის შემდეგ არის „ვერა, ნადეჟდა, ლიუბოვის“ სახელის დღეობა.

— მერე შენ რა შუაში ხარ?!—ვკითხე მე.

— სწორედ რომ შუაში ვარ! ვითომ არ იცი! მე ხომ დღეობა უნდა გადავიხადო!

— კი მაგრამ შენ ხომ ელპიტი გქვია?!.

— უკაცრაოდ ბრძანდებით! ჩემი ნამდვილი სახელი არის ნადეჟდა.

— საიდან სადაო?!

— საიდან და დაბადებიდან: ელპიტი ნათვლის სახელია. ნამდვილი სახელი ჩემი გახლავს ნადეჟდა და გთხოვ აწი ნადეჟდა დამიძახო.

— მაგისთანა ნადეჟდა ნუ მოგეშალოს, კაი ნადეჟდა და იმედი შენ მომეცი!—ჩავილუღლუღე მე და გარედ გამოვედი.

— როგორც გინდა ისე თქვი, მომაძახა „ნადეჟდამ“ (იგივე ელპიტიმ), მე დღეობა უნდა გადავიხადო.

პატიოსანო მოქალაქენო! ნუ თუ საჭიროა თქვენთვის აგიხსნათ, თუ რას ნიშნავს ცოლის დაყენება? მე ვფიქრობ არა. ამას (ცოლის ამოჩემებას) გაიგებს ყოველი ცოლიანი კაცი, თუნდაც მას ერთი ცოლის მეტიც არ ყავდეს; მით უმეტეს უკეთესად გაიგებენ ამას ცოლები.

**ალლარ-ალლარხან.**

---

# სახელგამის თინი

სახელგამის წინ, რომელიც ოპერის თეატრის პირდაპირ იყო, მილეთის ხალხი ირეოდა.

ნუ თუ ამდენი მწერლები ჰყავს საქართველოს? ვიფიქრე მე და შთავინთქე ამ ბრბოში. დიდი ხნის ცურვის შემდეგ, როგორც იყო, მივცურდი სახელგამის დიდი საქმეების პატარა კაცთან, რომელმაც დამინახა თუ არა, შემომაჭყიტა თვალები და მომახალა:

— რა გინდა შენ?

— რა უნდა მინდოდეს, შენი ჭირიმე, წისქვილის ბორბლები ხომ არ მენდომება? ფული მინდა!

პატარა კაცმა მოკუმშა დიდი ხელი, გაფშიკა საჩვენებელი თითი და დააყირავა იატაკისკენ:

— აი აქ მოდი ხვალა და მიიღებ.

სიხარულისაგან დავფრთხი იქიდან და გავიქეცი. იმ ღამეს ვინ იცის რანაირი ქადები აღარა ვსჭამე გუნებაში?!

მეორე დღეს გავწიე დანიშნულებისამებრ.

რუსთაველის რესტორანიდან რო გავხედე სახელგამის წინ გაშლილ ტროტუარს, განსაცვიფრებელი სიცარიელე დავინახე.

— ადრეა—ვიფიქრე მე და ფეხს მოუკელ: რა მეჩქარება, არავინ არის, მშვიდათ მივალ, ყველა მოცლილი იქნება ჩემთვის და ფულს მივიღებ.

ნელის ნაბიჯით მივედი.

მივაწექ კარებს—დაკეტილია.

მეორე კარებსაც მივაწექი—ისიც დაკეტილია.

შევიხედე ფანჯრიდან—შიგ ჭაჭანება არ არის.

— ნუ თუ სახელგამი აქედან გაიპარა მხოლოდ იმისათვის, რომ მე ფული არ მომცეს?!

მერე კიდევ შევიხედე და საკვირველი სურათი დავინახე: ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე ჭაბმულ კანაფზე სახელგამის გაპარვის გამო საპროტესტოდ თავი ჩამოეხრჩოთ აუარებელ ვირთხებს, რომლებიც გამოსაცემად მიღებულ თხზულებებით იკვებებოდნენ.



— ბოშო, რა დაშავდება, რომ მრავალრიცხვოვან თაყვანისმცემელთა შორის მეც მიმილო? მე და ჩემმა ღმერთმა, შენი გულისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ!

...რ დაიღირიბ! საკუთარი სიცოცხლე კი არა, სახაზინო ფულები ვერ გაგიმეტებია ჩემთვის!

მეტი გზა აღარ იყო. დავტრიალდი: აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მივაყუდე ცეცხლზე კეცი, (როგორც ამბობს ხალხი) და გაუდექ სახელგამის კვალს.

— ღმერთო ჩემო! სახელგამი „ჩემო“-ში!

გასაკვირი ამბავი იყო ეს ჩემთვის.

ჩემოში შესვლისთანავე თვალი მოვკარ ჩემ სიგძე ასოებით დაწერილ პლაკატებს: „ფეხები გაიწმინდეთ“, „ძირს არ დააფურთხოთ“.

— სჩანს აქ გადმოსულა სახელგამი, თორემ ეს პლაკატი სხვა ვისთვის დასჭირდებოდათ! ვიფიქრე მე.

მოწიწებით ავიარე დიდი, ყვავილებით მორთული მარმარილოს კიბე და გულში ვფიქრობდი: „ნუ თუ მართლა აქ იქნება სახელგამი! ნუ თუ იმ აყარებელ ხალხს— საქართველოს პოეტებს რო ეძახიან—აქ მოუხდებათ სიარული?..“

და ავედი კიდეც მესამე სართულში.

არაფერზე ეტყობა, თუ სახელგამი მართლა აქ არის. მოწიწებით შევაღე კარი და დავინახე სუფთა, დაკრიალებული კარიდორი.—

— არა—ვიფიქრე მე—აქ არ იქნება სახელგამი. მომატყუეს. და დავბრუნდი უკან.

იმ დღეს ვერავინ დამარწმუნა, რომ სახელგამი მართლა ჩემოში იყო.

მეორე დღეს კი თვითონ წაველი და შესვლისთანავე დავინახე, რომ ორ პლაკატს მიმატებოდა მესამეც:

— ყვავილებს ნუ გააფუჭებთ!

აქ უკვე კვალი ვიგრძენ სახელგამისა.

ავედი და გაოედავვე გავიგე ბზუილი საფუტკრისა.. აყარებელი ხალხი ირეოდა. ყველას მიეგნო სახელგამისთვის. დაკრიალებული კარიდორი და სიწყნარე გადაფრენილიყვნენ იქიდან შორს. იატაკზე გაფენილ პაპიროსების ნამწვავების და დაფურთხეულების ქვეშ იატაკის კრიალის ძებნა ჩრდილოეთის პოლიუსის ძებნას ემგვანებოდა ნისლებში.

ეხლა მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

მივედი. დიდი ტანჯვების შემდეგ მივიღე ფული და უკან დაბრუნებისას, ვნახე, რომ ჩასაფურთხებელთან ჩემოს დაეყენებია განსაკუთრებული კაცი, რომელიც აქელელ-ჩამვლელთ მოუწოდებდა:

— ამხანაგო, მოდი აქ ჩააფურთხეო.

მარტო პლაკატი რას გააკეთებდა!

**ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.**

# ჯოჯოხეთის კუთხე

## სად წავა,—კუდი ხელში აქვთ!



თუ თქვენ გაინტერესებთ ამ უკუდო ძროხის ამბავი, ყური დაუგდეთ ზლვის-პილებს (ნატანები):



მეყასბეს გაექცა საკლავი, რომელსაც დაედევნა გრიგოლა ჯავახელი და კუდში ხელი სტაცა.



მარტო გრიგოლამ ვერ შესძლო კუდით საკლავის დაკავება და მოეშველა მეფურნე, რომელიც ჩამოეკიდა გრიგოლას წელზე.



დამფრთხალი ძროხა მაინც გარბოდა... და მისი კუდი უძლებდა ორი კაცის სიმძიმეს... მაგრამ მეყასბე დაეწია და მეფურნეს ზურგზე მოებღაუჭა.



ძროხის კუდმა ველარ გაუძლო და მოწყდა...

მიუხედავათ ასეთი გმირობისა, ეს ძროხა მაინც დაუმალავთ და გაუყიდნიათ.

## ლუკა კვარტდალიანი

დიახ! კვარტდალიანი და არა სხვა რამე (მაგ. კვანტალიანი). კვარტდალიანი ახალი გვარია ლუკასი, (მისი გვარი ღლონტია) და ეს სიტყვა წარმოსდგება ამნაირად: კვარტი დალია. მაშასადამე ლუკას ძალიან ჰყვარებია კვარტები (რასაკვირველია: არა ცარიელი კვარტები, არამედ ღვინით სავსე); ისე ჰყვარებიაა, რომ ღვინის სიყვარულით მას ცოლ-შვილი დავიწყებია და არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მართალია: ლუკა კვარტდალიანი შეყვარებულია და ისიც ასე ძლიერად, მაგრამ, როგორც გრანტი გვწერს:



იმას სულაც არ სჭირია
არც „ბოლნიცა", არც დოხტური.
ცოლსა და შვილს ურჩევნია
ათასწილად მას კახური.
რასაც ილებს თვითონა სჭამს,
ვით მსუნაგი მაშკა*) ორი...
(ლუკა არის ტრამვაიში
სულ უცროსი კონდუქტორი)

## გლეხ... თუ გლახკომი

„კირილეისონ" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: ამინ.

მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ რას იწერება იგი საჭამიასერიდან (გურია):

დღიდან თავისი არსებობისა გლეხკომს არაფერი არ გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ წარა-მარა ყველაფერზე არტყამს ბეჭედს.

ამიტომაც არის, საჭამიასერის გლეხკომის ბეჭედი, რომელიც აქვეა მოთავსებული მოსთქვამს:



სანამ ასოები მე მაჩნია ყველა,—
ფიცი არ მექნება მე ამათგან შველა,

ასე სტირის ბედშავი და საფუძვლიანიც არის მისი შიში. ვისაც მისი შებრალება აქვს, გლეხკომს გამოცვლის.

---

*) ვარსკვლავის ნაცვლად იგულისხმება ასო—დ.

**„კირილეისონ“** წინადადებას ხძლევა:—**ვინ არის მომხრე, რომ გლეხკომის სასადილოს ისიდორეს სასადილო ეწოდოს, ვინაიდან ისიდორეა ბატონ-პატრონი გლეხკომის სასადილოსი?**

ამ წინადადებას ერთხმად მხარს უჭერს გლეხკომის ყველა წევრები, რომლებსაც დაუდევრობითაც ისიდორემ უფლება მოიპოვა...

ვასრულებთ რა ამას, ჩვენ გავიმეორებთ „კირილეისონი“-ს სიტყვებს:

**ცოცხლებს არაფერს არგია,—**

**მკვდრებს კი საფლავში აკლია.**

და დავუმატებთ: ჭეშმარიდად... კირილეისონ... ამინ.

## ისევ-და-ისევ...

მართალია: არაერთხელ გვქონებია „ბედნიერება“ აღგვენიშნა ანალოგიური მოვლენები მასწავლებლების ცხოვრებიდან, მაგრამ, რადგან ისევ-და-ისევ ხდება ასეთი ამბები და... **კოხნარის თემის** (გურია) მასწავლებელი **გიორგი** მღერის:

**ისევ-და-ისევ ღვინითა...**

**დრო გავატაროთ ლხინითა,—**

ამიტომაც ისევ-და-ისევ ვუბრუნდებით ამ მოვლენას.

გიორგიმ შემდეგი პარალელური შედარება მოახდინა თაფლისა და ღვინოს შორის:

**ღვინო თაფლსავით ტკბილია...**
**მას ენაცვლოს, მხოლოდ მას**
**სუყველა გაკვეთილია.**

და ასეც ხდება ჯერ-ჯერობით:

**გაკვეთილების გაცდენა**
**მისგან ხომ ერთობ ხშირია!**

და ჩვენც ვეთანხმებით **ე. წიფნარელს:**

**მაგრამ უფრთხილდეს ყმაწვილი,—**
**არ მოიტეხოს ცხვირია.**

## „ოცდაერთი“

როცა სადგ. საჯავახოს თემის აღმასკომის წევრი **ალ. ნიკოლეშვილი** გლეხებს არ ღებულობს,—ახკორ **მემასხარაიშვილს** ჰგონია, რომ ეს არის ბიუროკრატიზმი. ცდება ავტორი... საქმეზე მოსულ გლეხებს ნიკოლეიშვილი იმიტომ ვერ ღებულობს, რომ კაცს არ სცალია, „დიდ საქმეშია“ გართული... და თუ თქვენ გაინტერესებს ეს „დიდი საქმე“ ყური დაუგდეთ ამავე **მემასხარაიშვილს**, რომელიც გვწერს:



**უზის სათამაშო დაზგას და არხეინად შეექცევა ოცდაერთის თამაშს.** და გასაკვირიც არ არის თუ:

**როცა მოვა მასთან მივა, როცა კი შეხედავს და განაძობს თამაშს.**

თუ ვინმე თავს მოაბეზრებს—წამოდი თემკომში და საქმე გააკეთეო,—იგი ეტყვის:

— **რა გაჩქარებს, კაცო; დაჯექი აქ და ისწავლე ოცდაერთის თამაში.**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე საბჭოთა არჩევნები ნიკოლეიშვილს მეტ დროს მისცემს ოცდაერთის სათამაშოთ.

## შელუდი

ახირებული კაცია **მემასხარაისშვილს**, იგი ვერ ისვენებს. სადგ. საჯავახოდან თავი ამოჰყო **ნიგორზლვაში...** და, ალბად, ეს იმიტომ, რომ რევოლვერის სროლა მოესმა. როდესაც შეეკითხა მთვრალ ვალიკო შანიძეს (მილიციელია):—რატომ გაისროლეთ?—პასუხათ მიიღო:

— **იმიტომ, რომ დიდი ხანია არ გამისვრია... მომენატრა... თანაც ვსინჯე... რა ვქნა, ძამაო, ვაჟკაცი ვარ... ჩვენ ვალდებული ვართ, სროლა არ დავივიწყოთ... თანაც იმიტომ გავისროლე, რომ თუ ახლა სადმე ქურდი ქურდობას შვრებოდა, ამ ჩემს გასროლაზე შეეშინდება და გაიქცევა... ესეც კაი საქმეა...**

და უკეთესი საქმე იქნება, თუ კი ადმინისტრაცია ვალიკოს გაანთავისუფლებს რევოლვერის ტარებისაგან.

## „კისერ-ტეხა“



ეგ არაფერია, რომ ავტოს საჭეს (რული) ქალი მართავს... თქვენ გაინტერესებს, თუ სად მიჰქრიან ეს მოქეიფენი? თქვენ გაინტერესებთ, თუ რა ბედი ეწევა ამათ? მართლაც საინტერესოა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ბათომიდან ამათ გაჰყვე მწვანე კონცხში, სადაც ესენი საქეიფოდ მიდიან.

თქვენ გეშინიათ,—რომ ეს ქალი სადმე ხრამში გადააგდებს ავტოს... თქვენი შიში საფუძვლიანია... და აჰა, გადატრიალდა... კიდევ კარგი რომ სავსე კვარტები არ დაიმტვრა... კიდევ კარგი, რომ მოქეიფენი ისე არ დაზიანებულან, რომ ქეიფის მადა დაჰკარგოდესთ... ეგ არაფერია, რომ მანქანა დაზარალდა—სახელმწიფო ზღვას— მადლობა უფალს—ამბობს **ზინდისელი...**

მაგრამ ეტყვიან კი მადლობას მოქეიფეებს, რომლებიც ასეთ საქმეებს სჩადიან?!

## „ძაღლის მედალი“

აი ეს მედალი სუფსელ მეყასბეებმა მიართვეს ადგილობრივ მილიციას, რომელმაც... მაგრამ რაღა ჩვენ ვილაპარაკოთ,—მოვუსმინოთ „ყვაჩის“:



**„ძაღლები მეყასბეებს სტაცებენ ხორცს. მეყასბეებმა დაიჭირეს ძაღლები, მოაბეს კუდზე ჟესტები და გაუშვეს ბაზარში. ატყდა აურ-ზაური. დაიმტვრა ბევრი კვერცხები. ხალხი დაფრთხა, მილიცია იძულებული იყო გამოსულიყო ძაღლების წინააღმდეგ იარაღით... დახოცეს ბევრი ძაღლები... ამის შემდეგ მეყასბეებმა მოიხვენეს... და მილიციას საპატივსაცემად გაუგზავნეს „ძაღლის მედალი“.**

# მგზავრები

დრამა სამ მოქმედებათ

„ესე ამბავი მეგრული
„ქართულად ნათარგმანები,
„ვით ნაკვერცხალი ობოლი
„ხელის-ხელ საგოგმანები,
„ჰპოვე და დრამად დავწერე
„ვქმენ საქმე საჭოჭმანები!..

სცენა წარმოადგენს ნოსირის ბაქანს. თავმოყრილია აუარებელი ძველი და ახალი მგზავრები. მოხსენებას აკეთებს სისო.

**სისო:** — ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ აქ იმყოფებიან ისეთი მგზავრებიც, რომელნიც სამი დღეა უცდიან მატარებელს!.. (ხმები: „მართალია, მართალი".) აივსო თმენის ფიალა. კანდუქტორების თავხედობას არა აქვს საზღვარი. ჩვენ უნდა მივიღოთ ამის შესახებ ენერგიული და გადამჭრელი ზომები, თორემ ვინ იცის რა უბედურება მოგველის, მით უმეტეს ამ ზამთრის სიცივეში... (ხმები: „მართალია, მართალი".) ამისათვის, ჩემი აზრით, საჭიროა მოვიხმოთ მოლარე; შეიძლება იმის ბრალიც იყოს კანდუქტორები რონოდის კარებს რომ არ აღებენ. (ხმები: „დაუძახოთ მოლარეს".. მოლარე გამოცხადდება. სისო ეუბნება მოლარეს) ჩვენი უბედურების მიზეზი შენ უნდა იყო. რით იმართლებ თავს!?

**მოლ.:** ჩემი რა ბრალია! მე მევალება: განსაზღვრულ ფასებში გავყიდო ბილეთები თავის დროზე და, ამას კი პირნათლად ვასრულებ!..

(ხმები: „შევეკითხოთ უფროსებს ტელეფონით, შევეკითხოთ!").

**სისო:** (რეკს)

**ხისო:** რაო?.. ნოსირი... ნოსირი...

**სისო:** მე კი არა შენ როტავ ვიღაცა ხარ... (უყვირის) არ გესმის, კაცო?...

**სისო:** (თავისთვის) ღმერთო მომკალი ქია! (იმას) ჩურჩუტი შენა ხარ და უფრო უარესი... (ხმები: „რაო?.. რა გითხრა?..") „ჩურჩუტიო მაგ რჯულ ძაღლმა". (მოშორდება ტელეფონს.) ამხ—ბო, ისევ ჩვენ უნდა შევებრძოლოთ კანდუქტორებს, სადაც არის მატარებელიც მალე მოვა, დაირაზმენით!..

(ხმები: „ან დავიხოცოთ, ან შევაღოთ რონოდის კარები").

**ქალები:** ჩვენც თქვენთან გავწყდებით, ძმებო.

**მღვდელი:** არ მოვკდეთ, შვილებო; პირდაპირ ეცით მატარებელს!... (თავისთვის) უფალო, დახოცე ესენი, რამეთუ უგებდე პანაშვიდსა ჯიბისათა ჩემისათვის!.. (ისმის სიმღერა).

მოდით შემოკრბით მგზავრნო ტანჯულნო, მედგარი ბრძოლით წინ-წინ გავსწიოთ; რონოდის კარებს ვეცეთ გმირულად, კანდუქტორები თლად გავაქციოთ!..

**ერთი მგზავრთაგანი:** მატარებელი მოდის, მატარებელი...

(ყველანი დაფაცურდებიან; ზოგი ჯოხს მოიმარჯვებს, ზოგი ქვას და ზოგნი კიდევ ხელებ დაკაპიწებულნი დადგებიან. შემოდის მატარებელი.).

**სისო:** ამხ—ბო, პირველ რონოდაზე მივიტანოთ იერიში... (ყველანი მიაწყდებიან რონოდის კარებს; კონდუქტორი ზემოდან დაუშენს მომარაგებულ ქვას, იმართება ხელჩართული ბრძოლა. მგზავრები, მიუხედავად მსხვერპლისა, შეამტვრევენ რონოდის კარებს და ზოგიერთები ახერხებენ შესვლას, მეტი ნაწილი კი დარჩება. მატარებელი გადის. ბრძოლის ადგილზე დარჩენილი მგზავრებთა შორის ჰყრია კონდუქტორების ქვებით ნაცემი აუარებელი თავგატეხილები. მათ შორის არის მღვდელიც).

პროკურატურის ცნობით ამერიკაში მაგარ სასმელებით მოვაჭრეებისაგან 30 მილიონი დოლარი ქრთამი აუღიათ ჩინოვნიკებს, რომლებსაც მფარველობას უწევს ხელისუფლება.
(გაზეთებიდან).



**საიდან და როგორ სულერთია ჩემთვის;**
**ეს ფულები ხომ კი ჩემს ჯიბეებს ერთვის!**

**მღვდელი,** (ვაი-ვაგლახით ორივე ხელებზე დაეყრდნობა და წამოიწევს, თავგატეხილთა დანახვაზე თვალები გაუბრწყინდება და წამოიძახებს): პანაშვიდი, შვილებო, ამათ, პანაშვიდი... (კვნესის). საერთო პანაშვიდი უფრო იაფად დაგიჯდებათ!... (იწყებს): შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო... დიდითა წყალობითა... გევედრებით ისმინე... უი-უი, ეშმაკებმა წაგიღეს... მგონი ვერ დავათავო პანაშვიდი; ნახევარი მომეცით, ნახევარი, შვილებო!.. (მომაკვდავი პირაღმა გადაბრუნდება, ხელებს ზეცად აღაპყრობს და იტყვის): უფალო, უძლურ ჰყოფილხარ შენ, ხოლი კონდუქტორები ძლიერნი, მაგრამ ძლიერი ყოველსა არსსა ზედა არის ტარტაროზი, და განრისხდეს. იგი კონდუქტორებსა ზედა და მიავლინოს მრისხანება მისი სახელისა მათისათა. ცხვირისათა.. ა..ა.მინ (კვდება).

**ტარტაროზის ნათლია.**



ბერი-ქედანს (ჩოხატაური) თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღეთ. თუ წერილი დაგვიანებით მნიშვნელობას არ ჰკარგავს, გავაცნობეთ და დავბეჭდავთ. განაგრძეთ მასალების მოწოდება.

**თუ კი, ძმაო, თქვენი დაბა,**
**რომელიც რომ გაიყინა,—**
**გამგის გოდება სილაჟვარდეში,**
**რომ დაიწვა გამგის ბინა**

დეე გათბეს შენი გული...
და განაგრძე ისევ წერა,
კვლავ გვაქვს შენი სიყვარული,
სხვისი ჭორი ნუ, ნუ გჯერა.

**პიმპილაურ პირაწვაძეს.** თქვენი ლექსი ასე იწყება:

**გამგის გოდება სილააჟვარდეში,**
**როგორც ნაწვიმარ ფუნაში ვარდი...**

და ამიტომაც ნუ გაიკვირვებ,
თუ ჩვენს გოდორში შენ თუ ჩავარდი.

**ავთანდილ ხონელს:** ომა გაედავე და გამოლმა შეგჩებაო,—სწორედ ასეა თქვენი საქმე. გავიგეთ საქმის ვითარება და... თქვენი წერილი გადავეცით... უფსკერო გოდორს შესანახავად.

**ისარს.** (ბათომი) ძალიან გრძელია და თანაც ვერ არის საფუძვლიანი. სინჯეთ გადამუშავება.

**სოფლელს** (სამება, შორაპნის მაზრა): კარგი სურვილია.

**სამებაში ჩამოსულა**
**მოცეკვავე მჭედლიძეო.**
**და ამბობს, რომ—უნდა გავხდე**
**აქ ვინმესი მე სიძეო.**

ამ ოთხი სტრიქონის შემდეგ თქვენი წერილი ცეკვის ისეთ „იშტაზე“ მოვიდა, რომ დაიწყო ცეკვა და პირდაპირ გოდორში ჩაიცეკვა.

**მ. გრძელს:** კიდევაც აშენდებოდა მათი ოჯახი, თუ თქვენ მათი სიძე გახდებოდით.

**ბორბუშას:** შემოიარეთ რედაქციაში.

**კაპლანს** (ასკანა): დაგვიანებულია.

**კუ-კუს:** მგონი არც თქვენ იცით, რისი თქმა გინდათ, და ჩვენ როგორ უნდა გავიგოთ?! იქნებ უფსკერო გოდორში გამოიცნონ თქვენი ამოცანა. იქ ხომ ბევრია თქვენი ტოლები.

**იტორიტოს** (ძიმითი): სწერეთ სხვა რამეზე. ხომ გაგიგონიათ: ყოველთვის ხაჭაპურის ჭამა მოსწყინდება კაცსო... (და მით უფრო მჭადის).

**უჯმაჯურას** (ჭიათურა: თქვენს წერილს ამშვენებს მხოლოდ ეს ერთი ადგილი:

**გარდა ამისა ამშვენებს**
**ორი ტკაველი ცხვირია.**

ჰო-და ისეთი ცხვირი, რომ არ ჰქონებოდა იმას, მაშინ თქვენი წერილიდან არც ზემოთმოთავსებული სტრიქონები წავიდოდა. ასე რომ მადლობის ღირსია იმისი ცხვირი.

რა მისი ბრალია, რომ თქვენ დამზლევე სალაროში ფული არ არის?!

**ჩორნას** (ზესტაფონი): თქვენი წერილი გადავიკითხეთ თავიდან ბოლომდი,—და ყველაზე უფრო მოგვეწონა პირველი ოთხი სტრიქონი:

**მოგესალმები, ტარტაროზ,**
**თუმც მომივიდა გვიანი,—**
**რადგან ეს მეპატივება,**
**არც მე ვარ სხვებზე ჭკვიანი.**

ჩვენ გეთანხმებით თქვენი საკუთარი თავის შეფასებაში.

**შ. იშხნელს** (სამტრედია): ორი ხაჭაპურით და ერთი შემწვარი დედალით რომ შეიძლებოდეს სამსახურის შოვნა, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო ქალ-ბატონ პროტექციის შეწუხება და არც შემწვარი გოჭი თავისი „ატრიბუტებით“.

**დათიკო ქედ—ლის.** შეასწორეთ, შეამოკლეთ, დასწერეთ ცალ გვერდზე და მოიტანეთ.

**გ. მექიას.** (სამტრედია) უფსკერო გოდორშიაც კი უარს ამბობენ თქვენი წერილის მიღებაზე, მაგრამ პროტექციით როგორც იქნა მიიღეს, ხოლო უკან დაგვიბრუნეს შემდეგი ოთხი სტრიქონი:

**მუშები მაგრად მუშაობს,**
**იძახიან: „ვირა-ვირა“...**
**ჯამაგირი რომ აიღონ**
**დასჭირდებათ ორი კვირა.**

**რედაქციისაგან:** ჟურნ. „ტარტაროზი“-ს № 82 შიმოთავსებული ჭაგნელი ბზიკის წერილი შეეხება არა სამტრედიის ქარხნის გამგეს, არამედ ფარდულის გამგეს.

„ტარტაროზი“-ს
შემდეგი ნომერი
სპეციალური
სამკურნალო ნომერია.

# ნატვრა




— ნეტავი მე ვიყო ეს საგანცხადებო ბოძი—ისე გამხ ვევდენ განცხადებებში, რომ ადვილად გადავიტანდი ამ ზამთრის სიცივეს უპალტოთ.

ალმასკომის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩი ქ. 68

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 87 კვირა, 13 თებერვალი 1927 წ. № 87

## მეზოგრული მარში

სპეციალური




სამკურნალო

ამხ. ანდრო დოლიძე (მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი): ამ მეჭეჭს მოვაშორებ ფეხს და შემდეგ უფრო ადვილად წავა წინ...

# ენციკლოპედიური სიტყვარი

**აბორტი** ქალური ავადმყოფობაა, ადვილი გზდასატანია—სამი-ოთხი დღის განმავლობაში ავადმყოფი ფეხზე წამოდგება; ხშირად ზოგიერთები მხოლოდ რამდენიმე საათი უწვებიან ლოგინზე ამ ავადმყოფობას. რადგან ეს სენი სასირცხვილოთ მიაჩნიათ, ამიტომ ხშირია შემთხვევა, როცა ავადმყოფი ექიმბაშებს უვარდებათ ხელში, საიდანაც უმეტესობა საიქიოსაკენ მიემგზავრება. აბორტი უწინდელ ხანებში უფრო გავრცელებული იყო ქმრიან ქალებში, რის მიზეზადაც ასახელებდნენ ოჯახის ეკონომიურ გაჭირვებას. ჩვენს დროში აბორტი ყველაზე უფრო გავრცელებულია გასათხოვარ, ანუ ე. წ. „შეყვარებულ" ქალებში, ახალგაზრდა ქალები ადვილად ავადმყოფდებიან ამ სენით; საკმარისია მათთვის ვაჟისადმი თანაგრძნობა, რომ ქალი დაავადდეს და რამდენიმე თვის შემდეგ გამოაჩნდეს ეს სენი. აბორტი ყველაზე უფრო ვრცელდება მთვარიან ღამეში, მაშასადამე: გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში. (იხ. „სიყვარული").

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ ერთგვარ არაჩვეულებრივობას: გაუთხოვარი ქალები არა თუ ერიდებიან ამ სენის გამომწვევ ავადმყოფობით დაავადებას (ანუ ფეხმძიმობას), არამედ, პირიქით: კიდევაც ცდილობენ. ცდილობენ იმიტომ, რომ **ალიმენტი** მიიღონ და აი სწორედ **ალიმენტის** წყალობით არის, რომ გაუთხოვარ ქალებში აბორტი კლებულობს. ამ გარემოებამ სტატისტიკა არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში—თითქოს გასათხოვარი ქალები ზნეობრივად თანდათანობით ფაქიზდებიან და მათში კლებულობს ე. წ. „უკანონო შვილიანობა".

**აპენდიციტი**, მართალია ეს ავადმყოფობა ორივე სქესს ემართება, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში იგი როგორც „მოდა" გავრცელებულია ქალებში (აპენდიციტი გადამდებია იმდენად, რამდენადაც იგი მოდაა). უნდა ითქვას, რომ იგი უფრო ვრცელდება „ბანოვანთა" ანუ „კეთილშობილ" მანდილოსნებს შორის. ეს ალბათ იმიტომ, რომ მათმა „კარგმა" და „ახლობელმა" ნაცნობმეგობრებმა ისინი ინახულონ საავადმყოფოში და შოკოლადის „ბამბანერკები" მიართვან. აი ამაში ნახულობენ აპენდიციტიანები „სიცოცხლის პოეზია"-ს. (აპენდიციტით, ანუ ბრმა წელის სატკივრებით დაავადებულია უმრავლესს შემთხვევებში „ბრმა" ქმრების ცოლები).

**ანთება** ყველაზე უფრო გავრცელებულია ახალგაზრდობაში, ეს იმ დროს, როცა ქალ-ვაჟი სიყვარულს იწყებენ. სიცხე ადის ორმოცდაორ გრადუსამდე; დაქორწინების რამოდენიმე ხნის შემდეგ სიცხე თანდათან კლებულობს და ჩამოდის ნულამდი, ე. ი. განქორწინებამდის.

ხშირად ანთება ზოგიერთ დიდ თანამდებობის პირებსაც ემართებათ, თუ მათ კაბინეტში (ან კაბინეტის ახლოს) მუშაობს თანამშრომელი ქალი (თუ გინდ მემანქანე).

**ისტერია** ანუ ნერვების აშლა გავრცელებულია ქმარიან ქალებში, უმეტეს შემთხვევაში, როცა ქმარი ცოტა ჯამაგირს ღებულობს, ჯამაგირის მიღება იგვიანებს, ან და ჯამაგირიდან ქმარს ბევრს უჭერენ სხვადასხვა გადასახადებს. ისტერიის გავრცელებას ტფილისში ხელს უწყობს აგრეთვე ტრამვაი იმით, რომ ადგილს ვერასოდეს ვერ იშოვნი შიგ და მოქალაქეს აგვიანდება სამსახურში თუ... პაემანზე.

**სიყვარული** არის თითქმის ყველაზე უფრო გავრცელებული ავადმყოფობა, რომლიდანაც წარმოსდგება ყოველგვარი ავათმყოფობა. ეს სენი ყველას თანაბრად ედება და დიდ მსხვერპლსაც თხოულობს. ყველაზე უფრო იგი ვრცელდება გაზაფხულ-ზაფხულის მთვარიან ღამეებში და აგარაკებზე (იხ. აბორტი). სიყვარულით დაავადებულთ არჩენენ სპეციალურ სამკურნალოში, რომლებიც ტფილისში მოთავსებული არიან ორთაჭალაში და მეტეხში (გამსახლები). სიყვარული არის დაუძინებელი მტერი სახაზინო ფულებისა.

**ციებ-ცხელება** ყველაზე უფრო გავრცელებული ავადმყოფობაა ჩვენში (და ყველგან). იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც არ იყოს შეპყრობილი ამ სენით. მაგალითად, შიკრიკს ეშინია დირექტორის,—მას აციებს და აცხელებს. მის გამგეს კი რევიზიის ეშინია და, მასაც აციებს და აცხელებს. საერთოდ ყოველგვარი მომჭირნეობა და შტატების შემცირება, აგრეთვე რევიზია და კონტროლი იწვევს ციებ-ცხელებას.

ციებ-ცხელებით შეპყრობილია თითქმის მთელი ბურჟუაზიული ევროპა; მიუხედავათ იმისა, რომ მესამე ინტერნაციონალის სამკურნალო დიდ დახმარებას უწევს, დაავადებული მაინც ვერ ინკურნება, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს „კომუნიზმის ბაცილები" (იხ. ბაცილები").

**ბაცილები** სხვადასხვა გვარია. ჩვენში რამდენიმე წლების განმავლობაში მენშევიკური ბაცილებით მოწამლული იყო ხალხი; ხოლო 1921 წელს კოხტრ („კომუნისტურ") ბაცილების შეშხაპუნებით განიკურნა და დღეს ჯანსაღია. „კომუნისტური ბაცილები" გაუჩნდა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ისინი უმეტესად მუშების საშუალებით ვრცელდება და ეუფლება კაპიტალს.

**„ყვავილი"** არის „სიყვარულის" (იხ. ლუთ **სიყვარული**) პირველი წინამორბედი ნიშანი. მინამ ადამიანი სიყვარულით დაავადმყოფდებოდეს, მას „ყვავილი" შეეყრება სიყვარული არის ყვავილის შემდეგი განვითარება და დასასრული. ყვავილნარი არის საშო სიყვარულისა. ყვავილს უნდა ერიდოს ყველამ და მით უფრო ქალმა, რადგან ამ სენმა ადამიანის დამახინჯება იცის.

**ჭლექი** სოციალური ავათმყოფობად ითვლება, მაგრამ ეს შეცდომაა; ყოველს შემთხვევაში ჩვენს დროში ჭლექი არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ავათმყოფობად, რადგან იმით შეპყრობილია მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტი მოსახლეობისა: ჩარჩები და, საერთოდ, ყოფილი ვაჭრები. ჭლექს მათში (ესე იგი: ვაჭრებში და ჩარჩებში) ავრცელებს კოოპერატივი, რომლის არსებობა მათ გულს უკლავს, რაც იწვევს ჭლექის დაბუდებას ორგანიზმში. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან, რომ:

— ის ვაჭრები, რომლების სავაჭროების წინ თუ მახლობლად წამოჭიმულია კოოპერატივი, ყველანი ჭლექით არიან დაავადებულნი. (იხ. სურათი მე-11-ე გვერდზე).

**წითელა** უმეტესად პოლიტიკურ ბავშთა ავათმყოფობაა, რომელიც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრს ემართება. იგი ადვილად გადადის ერთიდან მეორეზე; საკმარისია სამსახურის შოვნა და მოზრდილი თანამდებობის მიღება, რომ ადამიანი თვითონ ცდილობს წითელა დაემართოს მას.

მაგრამ კომპარტიის მიერ გამოგონებული წამალი (სახელწოდება მისი: გაწმენდა. „ჩისტკა") საჩქაროდ ჰკურნავს „ავადმყოფ ადამიანს" წითელასაგან და ნიღაბს ხდის. (ნიღაბი ხომ აუცილებელი საჭიროებაა იმათთვის, ვინაც „წითელა"-თია ავად). დღეს ამ სენით დაავად-

ბულთ მალე ,,ანთავისუფლებენ‘‘ სენისაგან; ასე რომ ეს ა;ათმყოფობა სახელმწიფოსათვის სრულიად არ არის საშიშარი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი თვითონ ცდილობენ „წითელა‘‘-ს მიღებას.

**სურდო** (ანუ ინფლუენცია) ევროპიული და, საერთოდ, ბურჟუაზიულ ქვეყნების ავადმყოფობაა; იმითი აგრეთვე შეპყრობილნი არიან ემიგრანტები, რომლებიც ცხვირის დაცემინებაზე საბჭოთა ხელისუფლების შესახებ ლაპარაკის დროს ერთმანეთს მხარზე ხელს დაჰკრავენ და ასე ანუგეშებენ:

— იმის (ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების) აქა მოსვლამდი, არაფერი გეტკინა.

ამავე დროს საბჭოთა გლეხიც, თუ კი ოდესმე დაცინვით მოიგონებს ემიგრანტებს და ცხვირს დააცემინებს, ასე ეუბნება მას მეორე გლეხი ხუმრობით:

— იმათ (ე. ი. ემიგრანტების) აქ მოსვლამდი არაფერი გეტკინა.

(ეს ზოგიერთი სიტყვები ჩემს მიერ ამოღებულია ტარტაროზის ენციკლოპედიურ სიტყვარიდან, რომლის ნაწილი ავტორის მიერ დამუშავებულია ჯერ-ჯერობით შავად).

ისელი.

„იუმორისტული ჟურნალი უებარი წამალია ყოველგვარ ავადმყოფობისათვის“.

ექიმი სიუორდ

ვისაც ჯანმრთელობა გინდათ, იკითხეთ სისტემატიურად ჟურ. „ტარტაროზი“.



ეს კაცი მინამ „ტარტაროზი“-ს მკითხველი გახდებოდა, ისე გამხდარი იყო, რომ ,,ტარტაროზი‘‘-ს ერთს სვეტსაც ვერ ავსებდა.



ხოლო როცა ,,ტარტაროზი‘‘-ს კითხვა დაიწყო, ისე გასუქდა და გაჯანსაღდა, რომ ,,ტარტაროზი‘‘-ს ერთს სვეტშიაც ვერ ეტევა.

საფრანგეთში ერთ-ერთმა მეცნიერმა საცდელად ძაღლს თავიდან ამოართვა ტვინი, რის შემდეგ უტვინო ძაღლმა წელიწად ნახევარი იცოცხლა.



**— რა გასაკვირია, შე კაცო, ჩვენი გამგე ორმოცი წლის არის და ორმოცს კიდევ გასძლებს ისე, რომ უტვინობა ხელს არ შეუშლის.**

# პირველი პრაქტიკა

— შვილი მყავს, მარა რა შვილი! ღმერთმა უშველოს მას, რომ ამაოდ არ ჩაგვიროვნია ამდენი შრომა... მთელი სოფლის თვალია, გვასახელა, ჩემო ივლიტე, გვასახელა. ერთი წელიწადი კიდევ და დოხტური შვილი გვეყოლება; აბა ვის ყავს ჩვენისთანა შვილი დამსახელე!!..

— კვიცი გვარზე ხტისო, ხომ გაგიგონია, ჩემო ყაისარ; კარგ დედმამას კარგი შვილი ეყოლება, რა თქმა უნდა!

ასეთი საუბარი ჰქონდათ ყაისარ ყბაყურაშვილს და მის ცოლს ივლიტეს ყოველთვის, როცა მათი შვილის იაკინთეს წერილს მიიღებდენ.

ყაისარს რომ შეხვდებოდით, გამარჯვებას ვერ მოასწრებდით მისი შვილის ამბის დაწყებამდე. თოხის სათხოვრადაც რომ მისულიყავი, ამასაც კი თავის შვილის ქებას დაუკავშირებდა. იტყოდა: „თოხი მგონი აღარ დამჭირდეს, ჩემო მეზობელო. ისეთი შვილი მეზრდება, მას უშველოს ღმერთმა, რომ მე კი არა, აწე მთელ სოფელს არაფერი უჭირს. დოხტურობას ცოტა უკლია, ერთი გაათავოს და მაგი თოხი შენი საჩუქარი იყოს... გუშინ მივიღე წერილი და მართალი გითხრა, — ისე ჩაუბარებია ანტანომია, რომ პაფისორები სულ პიჯვარს იწერენ და კითხულობდენ ვისი შვილიაო. თუ მომასწრო ღმერთმა მაგის დოხტურობა, მერე ყაისარს კითხე კეთილი ცხოვრება: სულ კატლეტებს გარდა არაფერი ჭამოს, შენ არ მომკვდე“.

საახალწლო არდადეგებზე იაკინთემ გააბედნიერა ჯერ თავისი მშობლები და მერე მთელი სოფელი მისი ჩასვლით.

დიდი ზეიმიც იყო ყაისარისას. სადღეგრძელოები იწყებოდა და თავდებოდა იაკინთეთი. „სოფლის განმანათლებელი“, „სოფლის გამკურნავი“, „სოფლის თვალი“, „განათლებული და ნასწავლი“ კაცი „სასახელო“, „საამაყო“, „რომელიცა რომა“ და სხვ. — ასეთი სიტყვების კორიანტელი იდგა ყაისარის ოჯახში ახალი წლიდან დაწყებული ნათლისღებამდე.

ზეიმი კიდევ არ გათავდებოდა, რომ უეცრად „დოხტურ“ იაკინთეს ბებიას ბევრი ჭამისაგან მუცელი არ ამლოდა და სასიკვდილოდ არ გამზადებულიყო.

— აბა, შვილო იაკინთე, რაღა მიჭირს, რომ სახლში მყავხარ. ამ დღისათვის მინდებხარ, შვილო, ახლა უნდა გამოიჩინო შენი ნასტავლობა. მიმართა შვილს ყაისარმა.

იაკინთემ ჯერ უარი სთქვა მკურნალობაზე იმ მოტივით, რომ თეთრი ხალათი თან არ წამოუღია, მაგრამ ივლიტემ მაშინვე ორი ხეწარი დასჭრა და სახელდახელოდ თავის შვილს ხალათი მოუმზადა.

რა ჯანი იყო. იაკინთე შეუდგა თავის პრაქტიკას. მთელი საათი ატრიალა ბებია: „აბა ისუნთქე“, „აბა დაახველე“, „პირი დააღე“, „გადაბრუნდი-გადმობრუნდი“ — ასე ასვალებდა იაკინთე ბებიას. შემდეგ მიუჯდა მაგიდას და მეცნიერის გამომეტყველებით ღაღადყო: „ფალარათი გავს“.

— აბა შვილო შენ იცი წამლები, აფთიაქი ქე გვაქვს ახლო, რასაც გამოსწერ, ეხლავე მოვიტან — გაუბედა დოხტურს მამამ.

რა გამოსწეროს იაკინთემ, რომ არც ერთი წამლის სახელი არ იცის, სად გაიგოს, ვის კითხოს. გაუგონია „კლიზმა“, მაგრამ რა იცის რა არის და როდის არის საჭირო. რამე ხომ უნდა გამოსწეროს, სხვა გზა არ არის.

— „კლიზმა“ უნდა დავალევინოთ — სთქვა იაკინთემ და დასწერა რეცეპტი: „კლიზმა სამჯერ დღეში“.

ყაისარი გაოცებული დარჩა აფთიაქში ოყნა რომ გაუხვიეს და ხელში მისცეს. ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე:

„ — ალბად ვერ გაიგეს რეცეპტი, თორემ ფალარათს ოყნა რათ უნდა, ან იქნებ ახალი გამოგონებაა — არაფერი სთქვა ყაისარმა და უსიტყვოთ წამოიღო ოყნა.

როცა „დოხტურმა“ დაინახა, რომ მამამისმა ოყნა მოიტანა, მკვდრისფერი დაედო, მაგრამ არ დაიბნა.

— რა ხალხში ვართ, რა უვიც ხალხში! ეს რა გამოუგზავნიათ, მე მაგათ უჩვენებ — დაემუქრა იაკინთე და გაეშურა აფთიაქისაკენ. იქ ნაცნობი ფარმაცევტი გამოიხმო, გააცნო დაახლოებით ბებიას მდგომარეობა და სთხოვა შინაურულად რამოდენიმე თავი სხვადასხვა წამალი, გამოართვა და დაბრუნდა სახლში.

— თუ თვითონ თავში არ ჩაუდევი, უბრალო წამალს ვერ დაამზადებენ, დასათხოვნი არიან სულ ყველანი—ცხაროზდა იაკინთე და ალაგებდა მაგიდაზე წამლებს.

— ოჰ შვილო, შენ გენაცვალოს ბებიაშენი, რა ღმერთმა გადმოგვიგდო შენი თავი ამ ჭაჭივრების დროს,—ლოცავდა შვილს ყაისარი

ბებია სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა, თვალების გახელვა უჭირდა, კრიჭა შეკროდა.

— ეხლა ეს წამალი დავალევინოთ, —სთქვა იაკინთემ და ხელში აილო კოლოფი, რომელზედაც წარწერილი იყო: „ცივ წყალში გააჩერეთ და შემდეგ დაალევინეთ“.

— ეს წამალი მაშინ არის საჭირო —განმარტა იაკინთემ—როცა ავადმყოფს დიდი სისუსტე და სიცხე აქვს. წყალში ჯერ სიცხეს დააქრობს და მერე ავადმყოფს მოაცოცხლებს, სისუსტე გაუვლის. ამიტომ მამა-ჩემო მოიტანე რაიმე დიდი ვარცლი გექნება, ავავსოთ წყალით და შიგ ჩავაწვინოთ ბებია. აბა ჩქარა!

— შვილო, ჩემი სწავლება რათ გინდა მარა, რომ გაცივდეს სიცხიანი ავადმყოფი, რაღა ვქნათ მერე!

— მამაჩემო, რა გამოვიდა თუ ექიმს არ დაუჯერებ... რომ გეუბნები ისე უნდა მოიქცე, შენ თუ ახლა დამიწყე ჭკუის სწავლება, ეხლავე ხალათს გავიხდი. შენ რა გესმის, ეს ახალი მეთოდია. საფრანგეთში ამ საშუალებით მკვდრებს აცოცხლებენ.

ყაისარმა თვალის დახამხამებაში გააჩინა ვეებერთელა ვარცლი, აავსო წყლით და დაალაგა ავადმყოფის ლოგინთან. გახადეს ავადმყოფს, გადმოიღეს ლოგინიდან და როცა წყალში ჩააცურეს, ბებიამ ერთი ამოიოხრა, თვალები გაახილა და ფეხები გამართა.

— ხომ ხედავთ, როგორ იმოქმედა, ეხლაც არ დამიჯერებთ. ბებია უკვე მორჩენილია. ეხლა ამ წამალს რომ გადაჰკრავს, სულ თავისით წამოხტება ზეზე. აბა მამაჩემო პირი გაუღე და მე წამალს ჩაუსხამ.

მაგრამ ბებია ისე მისჩერებოდა ჭერს, რომ წამალი კი არა, ამ ქვეყნის არაფერი უნდოდა. პირდაპირი მიმართულება აერჩია საიქიოსაკენ.

სეგეირ-პენ-შეის.

# მეგობრული შარჟი



ამხ. კუტაიძე (ჯანმრთელობის სახალხო კომისარი): მე გასაკეთებელი არაფერი მექნება, როცა ყველა ჩემსავით ჯანსალი იქნება.

# „კონსულტაცია“

ლოთი კაცი მიიყვანეს რკ. გზის საავადმყოფოში, სადაც იგი ისევ განაგრძობდა მალულად ღვინის სმას და თრობას. ცარიელ კვარტებს კი ტახტის ქვეშ მალავდა.

ექიმებმა ვერ გაუგეს, თუ ავადმყოფი რით იყო ავად.

და დაინიშნა კონსულტაცია.

**ქირურგი** (ჰკიდებს ხელს მუცელზე და ამბობს):—აპენდიციტი აქვს და ესაჭიროება ოპერაცია. „**შინაგანი“ ექიმი** (ტრუპკით შინჯავს და ამბობს): —ეს არის დაავადებული „მალარიით“; საჭიროა ქინაქინით წამლობა.

**ნერვიული ავადმყოფობის ექიმი**, (რომელსაც უჭერია ფეხი და პატარა ჩაქუჩს ურტყამს, — ამბობს):—ეს ავადმყოფი არის ნერვების აშლით ავად; თითქმის სახახევროდ შეშლილია ჭკუიდან: საჭიროა ეხლავე გაიგზავნოს საგიჟეში, თორემ მოუვლის სადაც არის და დაგვხოცავს ყველას.

**ავადმყოფი**: (წამოვარდება და ყვირილით) როგორ? მე ვარ გიჟი?! მე უნდა გამგზავნოთ საგიჟეში? (გამოიღებს ცარიელ კვარტებს და ესვრის ექიმებს).

**პსიქიატრი**: ხომ გითხარით, რომ ეხლავე მოუვლის მეთქი!? აი ეხლა ხომ დარწმუნდით რომ გიჟი ყოფილა?! (ავადმყოფს აცმევენ ხალათს და გაჰყავთ საგიჟეში). გიუმანუკა.

# ხერხი



**ლოთის ცოლი** (ექიმს): ექიმო, უთხარი, რომ თითქოს წამალს არ ასმევინებ, არამედ ღვინოს, და უარს არ გეტყვის წამლის დალევაზე.

# გრიპი

დაბა ჭორიკაანთხევში, მართალია კვირეში ერთხელ მიდის მაგრად შეკონილი გაზეთები, მაგრამ პეტრე ყურმოკრულაშვილი მაინც გულდასმით გადაიკითხავს ხოლმე ერთი კვირის ახალ ამბებს.

განსაკუთრებით საზღვარგარეთ გადახვეწილთა ამბავი, მათი „საქმიანობა“ აინტერესებს პეტრეს.

„სამწუხაროდ“, კარგა ხანია ამ მხრივ სასიხარულო არაფერი ამოუკითხავს გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ პეტრე მაინც იმედს არ ჰკარგავს...

ერთხელ პეტრე ქალაქში წავიდა... როცა ქალაქიდან სოფელში დაბრუნდა, მაშინათვე მეზობლად მცხოვრებ ექიმ არდაუჯერაძესთან გაექურა. ექიმი „კუშეტკაზე“ გათხლართულიყო და მიხეილ ჯავახიშვილის „პატარა დედაკაცს“ კითხულობდა. პეტრემ იმ დროს შეაღო კარები, როდესაც ექიმი ვნებამორეევით ჩასჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ბაკურიანის ფიჭვნარში პატარა დედაკაცი ეხლად უღალატურებს ცოლობას თავის პირველ ქმარს.

— სალამო მშვიდობის ბატონო ექიმო!

— ოჰ! ს პრიეხდომ, ს პრიეზდომ, პეტრეჯან! ხომ კარგი ამბები მოიტანე, პეტრე ქალაქიდან?!

— მშვენიერი, პირდაპირ გასაგიჟებელი ამბები, ექიმო... და აი, სწორედ ამიტომ გიახელი, რომ შენთვისაც გადმომეცა ყოველივე ის, რაც მე ტფილისში გავიგე.

აბა, აბა, დაიწყე, ჩემო პეტრე, დაიწყე!

— საქმე იმაშია, რომ ჟორდანიარამიშვილის „მთავრობას“ დახმარებია ერთი დიდებული კაცი. დასწყევლოს ეშმაკმა, იმ კაცის სახელიც თქვეს, მაგრამ... ნათქვამია: კაცს მჭადის სახელი დაავიწყდაო და მეც სწორედ ასე დამემართა.

— განაგრძე, განაგრძე პეტრე! მერე გავიგებთ!

— ჰო და, ის ზედმიწევნით ჭკვიანი და მოხერხებული ყოფილა. ისპანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და, საერთოდ, მთელს ევროპაში ისეთი კორიანტელი დაუყენებია, რომ მოკლულთათვის კუბოებსაც ველარ შოულობენო.

— შენ, პეტრე, გრიპზე ამბობ..

— ხო-ხო, გრიპი, გრიპი რქმევია იმ კაცს და ახლა თურმე საქართველოსკენ მოდისო, ექიმო, და ამიტომაც დიდ ფიქრში არიან ჩავარდნილი ეს კომუნისტები, მაგრამ... სულ ერთია, ვერაფერს გახდებიან. გაუმარჯოს, გაუმარჯოს გრიპს, ექიმო!

— პეტრე, გრიპი კაცი არ არის,— იგი სენია, რომელიც არავის დაინდობს, თუ ეს სიტყვები მართალია, მაშინ ძალიან სიფრთხილე გვმართებს, რომ გრიპის ეპიდემია არ გავრცელდეს და ისეთი სიკვდილიანობა არ დატრიალდეს, როგორიც 1918 წელში დაგვატყდა თავს იმავე გრიპის ან, რაც იგივეა, ისპანკის წყალობით.

— მაშ, გრიპი ავადმყოფობაა?

— დიახ, დიახ, გრიპი საშიში სენია და ეს, ჩემო პეტრე, ვერაფერი სასიხარულო ამბავი მოიტანე!..

— გრიპი... გრიპი... ღამე ნებისა ექიმო .. მშვიდობით...

— მშვიდობით პეტრე! ჯანმრთელად!

— ჯანმრთელად... გრიპი... გრიპი...

კოლოლი.

# ალთა-ბალთა



ექიმი: თქვენ ალბად ნაკლებ მოძრაობთ; ფილტვების და სუნთქვის განსავითარებლად საჭიროა ბევრი იაროთ, იმოძრაოთ...

შოფერი: მადლობა ღმერთს,—მე თუ სიარული და მოძრაობა მაკლია, ზღვას ქვიშა ჰკლებია, რას ამბობ, ექიმო!? მე თუ კიდევ სიარულს უმატე, ტროტუარს ყოველ დღე რემონტი დასჭირდება... ფრენა ხომ არ გინდათ მასწავლოთ? თქვენ დაჯდომა და მოსვენება გამომიწერეთ და, იქნებ, მაშინ გავხდე უკეთ.

# ლეგენდები

## ამბავი სოფლის მკურნალის შესახებ

ეს ქახლი იმით იყო განთქმული, რომ მრავალი ათეული წლების განმავლობაში ოჯახის ყოველი უფროსი წევრი ეწეოდა მკურნალობას და არჩენდა ხალხს.

სიკვდილის წინ მამა თავის უფროს ვაჟს გაუმხელდა საიდუმლოს, დაარიგებდა როგორ უნდა გაეწია მკურნალობა და რომელი წამალი რას უხდებოდა.

ამ ოჯახის ქება-დიდება შორს იყო გავარდნილი და ვინ მოსთვლის რამდენ სოფელში ახსენებდენ მის სახელს!

როცა მოხუცი მკურნალი კვდებოდა, მოიხმო თავისი ვაჟი და უთხრა:

— შვილო! შენც ხედავ, რომ ვკვდები. განუზომელია ჩემი მწუხარება, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიცოცხლეს ვესალმები, არამედ იმიტომ, რომ შენ სულელი ხარ და ვერ შეითვისებ ჩემი მკურნალობის სიბრძნეს. მაგრამ მე მაინც ავასრულებ წინაპრების დავალებას და გაგიმხელ საიდუმლეობას...

მამამ უამბო მრავალი რამ თავის ვაჟს, თუ რა საიდუმლოები იცოდა ადამიანის მოსარჩენად. სთქვა თუ არა, მოკვდა.

ვაჟი სულელი იყო და ვერაფერი ვუუგო მამის ნაანდერძევს. დაამახსოვრდა მხოლოდ ერთი წამლის სიტყვა: „აბუსალათინი“.

მამის სიკვდილის შემდეგ მან დაიწყო მკურნალობა.

თუმცა ვაჟი სულელი იყო და ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ყველა მაინც მასთან მიდიოდა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მამამ მკურნალობის საიდუმლოება გაუზიარა.

ვაჟი, ისე, როგორც მამა, ყველაფერს მკურნალობდა, მაგრამ ყველას ერთს და იმავე წამლით ექიმობდა. ყველას ურჩევდა „აბუსალათინი“ გადაეყლაპა.

ერთხელ მასთან მივიდა დედაბერი და სთხოვა მიეცა ისეთი წამალი, რომელიც დაკარგულ ძროხას აპოვნინებდა.

მკურნალმა გამოუწერა „აბუსალათინი“.

ქალმა გადაყლაპა აბუსალათინის ჯაკლები. პატარა ხნის შემდეგ წამალმა ისე იმოქმედა, რომ ქოხში ვერაფრით გაჩერდა და იძულებული გახდა ეზოში გასულიყო.

აბუსალათინი იმდენად ძლიერეული წამალი გამოდგა, რომ დედაბერს დაძინების საშუალება არ მისცა.

დედაბერმა, რადგან ვერც ლოგინში დაწოლა შესძლო, დაიწყო გარედ ღამეში ხეტიალი, იარა, იმდენი იარა, იმდენი ადგილი შეიცვალა, რომ ტყის პირად იპოვა ძროხა.

ეს ამბავი მეორე დღესვე მთელმა სოფელმა გაიგო.

ყველა ქება-დიდებას ასხამდა მკურნალს, რომლის წამლებს ისეთი ძალაც კი ჰქონდათ, რომ დაკარგულს ნახულობდა.

## ამბავი ქალაქის მკურნალის შესახებ

ერთმა ექიმმა სახელი გაითქვა შით, რომ მაჯას გაუსინჯავდა თუ არა ადამიანს, იმავე წუთში მიხვდებოდა რითი იყო ავათ.

ერთხელ ის მივიდა ავადმყოფთან. ერთ-ერთი თანაშემწე-ექიმის თანხლებით (მას ყავდა თანაშემწეებათ მრავალი ახალგაზრდა ექიმი და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ეინაიდან თუ გსურს კარგი ექიმი გამოხვიდე, კარგ მასწავლებელს უნდა მიებარო).

შევიდენ თუ არა ავადმყოფთან, სახელგანთქმულმა ექიმმა უპირველეს ყოვლისა აათვალიერ-ჩაათვალიერა ავადმყოფის ოთახი, შემდეგ ჩამოუჯდა ლოგინზე და გაუსინჯა მაჯა.

უეცრად სახე მოეღუშა და გაბრაზებით უთხრა:

— როგორ შეიძლება შენი მორჩენა, როცა არ ასრულებ ჩემ დარიგებას? მე ხომ აგიკრძალე მჟავე, შენ კი ფორთოხალი გიჭამია!

ავადმყოფს შეეშინდა ექიმის, ჯერ შეეცადა სიცრუე ეთქვა,—არ მიჭამიაო,—მაგრამ შემდეგ გამოტყდა დანაშაულში.

ექიმის თანაშემწე გაკვირვებული იყო. მასწავლებლის დიდი ნიჭის გამო დაინტერესებით კითხა, თუ როგორ მიხვდა, მაჯის გასინჯვით, რომ ავადმყოფმა ფორთოხალი შეჭამა.

— მაგას რა მიხვედრა უნდოდა უპასუხა სახელგანთქმულმა ექიმმა,—ოთახში შესვლისას მე დავინახე, რომ საწოლ ქვეშ ფორთოხლის კანი იყო შეყრილი. ყველა ადვილად მიხვდება, რომ ავადმყოფს ფორთოხალი უჭამია.

თანაშემწემ ეს დაიმახსოვრა.

როცა მან დამოუკიდებლად დაიწყო ექიმობა, დაუძახეს მას ავადმყოფთან. ოთახში შესვლისას მან მიაქცია ყურადღება იმას, რომ ავადმყოფის საწოლის ქვეშ დათვის ტყავი იყო დაფენილი. მან გაუსინჯა ავადმყოფს მაჯა, მიიღო მრისხანე სახე და დაიყვირა:

შენი მორჩენა შეუძლებელია! როგრ გაბედე და ექიმის დაუკითხავად შეჭამე მთელი დათვი?

რამდენი არ არწმუნა ავადმყოფმა, რომ დათვი არ უჭამია, ექიმმა არ დაუჯერა. მაგრამ ამის შემდეგ აღარც იმ ექიმის სჯეროდათ.

ოგრეს.

# ტარტაროზის სილამაზის



კუდა-ბზიკა, კუდა-გრძელა, ცხვირს რომ იწევს მალლა-მალლა...
ენა-გრძელა რომ სულ ლაყბობს და არ იცის რაა დალლა...
ხუცესი და ჩარჩ-ვაჭრები, მატყუარა და ცბიერი
ინსტიტუტში მიდიან, რომ შეიცვალონ მათ იერი...

## „დოხტური და კარა-გადინი"

— წაგიკითხნია პრედიდუში ტარტაროზი?.. ასმა სლედუიში ნუმერი საჰექიმო იქნებაო... ვა, რა მაზალოა და! ტარტაროზსაც რომ სადუხტუროთ გახდომია საქმე!.. ალბათ კოკლუში თუ შაეყარა, ცოტა ნეჟნი რამეა, ნუგბარია—ამ ჰავის პერემენებს ვერ აიტანდა!.. ან იქნება სტომაქში ზადი გაუჩნდა, ჩიხოტკაში ჩავარდა, ჰამაც ჟელტუკის კატარი მოუვიდა, რომ შიმშილისგნით კაპიწი შაეკრას, ლასლასი დაემართოს და პუპუზ, ხირურგიჩესკი აპელაცია უყონ!

მაშინ კი ნეპრემენი საქმეა, მაგის ჰაჯალი მოვა, მაგის წინწალი დაივსება და ჩემი ჰამქრის თელეთობაც მაშინ გათენდება ჰაა!..

მაშ როგორ ეგონა მაგ ბემურაზსა, ამტოლ ცოდოსა და ჩვენ ჰაბიდებს მაინელებდა? მოგეისია ეს ჰაკარაკი ფარსადანი და სულ მახსაროთ და მიშკინათ გაგეაკეთა! არა რომ არ შარჩებოდა! ამობენ თუო, ეს ფარსადანიც დოხტურების ხელში ჩავარდაო, ფეხში ბაცილამ უკბინა და დიდი ასლაჟენია მოუვიდაო, სლოვომ ნახევრათ უნდა მოაჭრანო რაღა ფეხი, აპელაცია უნდა გაუკეთონო... აი ერთი მაგათი ტაბლა მაჭამა და მერე სუფსარქისისთვის კურატი შამიწირია—ასტვაც ტერ-ასტვაც, ვენაცვალე იმის ჰუნარებსა!..

რაო? მედეცინსკი ნაუკა და დოხტურები უნდა გწამდესო, ასე უდიერათ არ უნდა ახსენოო? გიჟეს? კარაბადინი და მკითხავი აქ იყოს, მოლები და ჰექიმბაშები უსაქმობისგნით ბირჟა-ტრუდაში ეწერონ და მე დოხტურები ვიწამო? ახარ მაგათგნით რომელი ნავნები გახსოვს?..

მებნებიან, თუო ჰექიმები ავანტყოფობას არჩენენო!.. თითილბაზობაა, ეს ყველაფერი ამ კუდ-ვარდა ნასწავლების გამოგონილი რამეა, ასმა უჩონი ვართო და ძველი პარიატკა აღარა გეწამსო, როცა რამე აგტკივდება, ჰექიმთან წადითო!

ამ ჰექიმებსაც ეგ უნდათ, დოირანი აქეთ რაღა: თავი რომ აგტკივდეს—ფეხზე პინას გადებენ, ფეხი აგტკივდეს ოყნას გიკეთებენ, ტრუბკას მოგადებენ, ჯანდაგ ოკნებში გიტყაპუნებენ და გებნებიან: კარგი ჭამე, კარგი სვი, თავს მოუარე, ვიბრიონი არ ჩაყლაპო, საზამთრო შაწვი და ისე ჭამე, წვანილი მოხრაკე, ყინული მოხარშე—ერთის სიტყვით, თუ კარგად იქნები, ავათ აღარ გახდებიო! ვა, დიდი კოდელნინუა უნდა რაღა ამის გამოცნობასა!.. დოხტურობა ის იქნება თუ სადაც თავისი ისემე დაგადოს, წამალი რაღა—იქვე მამენტალნათ მოგარჩინოს! აი ეს სხვა თაბაუთი იქნება.

შორს რათ მისდიხართ?—მე მკითხე, საკუთარი ოპიტი გებნები, რაც მე ამ დოხტურებისგნით ჰოიჩები მახსოვს დიდ დავთარში არ ჩავა:

— ამ ათი წლის წინათ ფეფელო ავად გახდა, არც შალოცვამ, არც შანამ არ არგო, ამიტყდა თუო ჰექიმთან წამიყვანეო. წავიყვანე. ნიკალაის დრო იყო, ფული მქონდა, სასტაიანია მქონდა, დაჩებზე დავდიოთ, ვეჩოვრობდი რაღა.

ჰექიმმა გაშინჯა, რეცეფტი დასწერა და თქო თუო:

— ამას დაჩა უნდაო! ჩქარა წაიყვანეო. ეს წამალი სწორეთ ისე იხმარეთ, როგორც ზედ სპოსობ უპოტრებლენია სწერიაო, ეს უპატრებლენია ჭამის შემდეგ უნდა ჰქნათო.

წყნეთში სობსტვენი დაჩა გვქონდა. ფეფელომ ჰაკარაკათ აიხირა თუო ამალამვე წავიდეთო მამენტალნათ ვეშჩები ჩავაწყეთ და ყვინტლიან გველოს ჩევევრიკით წავედით. ჰამაც წამალი აფთიაქიდან იქ წავიღეთ.

მეორე დღეს, როცა კარგათ ვიზაკუსკეთ, ფეფელომ ამოიღო წამლის პუზურკა და წაიკითხა. გაეშინდა და მებნება თუო:

— გეოჯან, ეს რა სტრანი სპოსობია, რამტოლი წვალება სდომნებიოთ.

ვიღებ რეცეფტს, ვკითხულობ უდივლენია მამდის! ზედა სწერია: „სპოსობ უპატრიბლენია." „ტყეში სამჯერ, მაგრა დაანჯღრიეთ ისე რომ აქაფდეს, და მერე დალევინეთ". რუსულათ კი აწერია: „პოსლე პიშჩი"-ო.

ერთმანეთს შავხედეთ და მხრები ავიჩეჩეთ. ბოლოს მებნება:

— რა უყოთ გეოჯან, ნაუკაა. იმათ იფრო კარგათ იციან, ზნაჩიტ ასეა საჭირო. თუ მორჩენა მინდა სტროგათ უნდა შავასრულოო. ეხლა ხომ გვიჭამია და, როგორც ნათქომია—წავიდეთ ტყეში და იქ დავლევო.

— მერე მარტო როგორ უნდა დაგანჯღრიო ფეფელ, მაგოტოლა ფაშფაში დედაკაცი როგორ დაგძრა, აქ ხომ სწერია რომაო ისე მაგრა დაანჯღრიეთ რომ აქაფდესო?

ვიფიქრეთ და რეშნია ვქენით ამ საქმეში მოვიშველიოთ დალალ იაგორა, ჩვენი ნათელ-მირონია და მოსარიდი არაფერიაო. იაგორასაც დავუძახეთ და ტყეში წავედით. ტყეში ავწიეთ ეს ფეფლა და ვაჭანჭყალებთ, გეგონება კოლოტსა რეცხამენო!.. როცა ეს დედაკაცი კარგათ შავდლეიბეთ. პირში პენა მოუვიდა. მაშინ კი დავალევინეთ. მერე ვებნები:

— ფეფელჯან, აქ რუსულათ სწერია: „პოსლე პიშ-

# ინსტიტუტი



და ლებულობს კაბინეტში ტარტაროზი დოსტაქარი
(ათიდან სამ საათამდი ღია არის მუდამ კარი).
ხუცესს პარსავს... ცხვირს ასწორებს და ადიდებს ყურთა-ხმენას
ჩარჩს და ვაჟრებს ლიპს უჩუტავს და ამოკლ-ბს კუდს და ენას.

ჩიო". ეხლა შენ უნდა იწივწივო, ეს ალბათ ლიოხკების გასაწმენდათ არის - მეთქი.

ამ დედაკაცმაც კანარეიკასავით დაიწყო წრიპინი და გალობა...

ერთ კვირას ასე ვშვრებოდით. გვეგონა, რომ მორჩებოდა, ის კი კურაპატკინივით უკან-უკან წავიდა, ბოლოს თქო თუ: მე მაგ წამალს აღარ დავლევ, დანჯღრევისგნით მთელი ნუტრენოსტი მტკივაო. აქ ერთი სოფლელი ჰექიმბაში მკითხავი დედეკაცია და იმან იფროო მომარჩენსო. დაუჯერე. დაუძახეთ ამ დედაკაცს და შაულოცა, წამლებზე ატკაზი გვაქნევინა, საწირავი შამაავლო და თელეთისთვის კურატი მაყიდინა... ის იყო და ის! ფეფელა ნელ-ნელა მორჩა და ერთ თვეში ისევგასაღდა... მაშინ კი ჰექიმმა დაეერია დაკარგა ჩემ თვალში.. როცა წყნეთიდან ჩამოვედით იმ ჰექიმთან წაველი და დიდი ყალ-მაყალი გაუკეთე:

— მეთქი ეს არის შენი წამლობა? დედაკაცი აპტოლი გვანჯღრევინე, ჩიტის გალობა ასწავლე და მაგით უნდა მოგერჩინა, ეს რანაირი რეცეფი დაგიწერია შე ბემურაზო მეთქი?!.

— თუო წამალს როგორ ასმევდიოო?

— ისე, როგორც სპოსობ უპატრებლენიაში ჩამიწერე მეთქი:—ცისმარე დღეს სამჯერ ტყეში მიმყავდა, მაგრად ვანჯღრევდით და ბოლოს წამალს ვასმევდით მეთქი, ჰამაც ბოლოს კანარეიკასავით პისკლოვი ზვუკებს უშვებდა მეთქი.... გაბრაზდა, დამიწყო ჩხუბი და საყვედური:

— შე ღიპიანო, დედაკაცი კი არ უნდა დაგენჯღრია, თითონ წამლის პუზურკა უნდა დაგენჯღრია, „პიშჩი", წრიპინი კი არ არის, ქამაიო. ეს "ტყეში" რომ სწერია— პრავიზორის აშიპკააო, უნდა იყოს: „დღეში" და არა ტყეშიო. ზნაჩიტ, წამალი დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ უნდა გაგენჯღრია და ისე დაგელევინებინაო. თანაც მიყვირის: ასეთი რეგვენი საიდან გაჩნდი, კუპეწი კაცი ხარო!..

ჰიმანუმეს? იშკილი მიყო რაღა, თავისი ბრალი ისევ მე დამდო და გამამტყუნა.

იმას აქეთ. მე დოხტურთან აღარ შავსულვარ.—როცა რამე ავანტყოფობა გაჩნდებოდა ჩვენ სახლში, მამენტალნათ მკითხავი მამყავდა.

მაგრამ ამ ბემურაზ ფეფელას რამეს შაასმენ? ამას წინათ რადაც დოზანა შეეყარა, მოდნი ზალეზნა ყოფილა, გრიპს რომ ეტყვიან... აიხირა თუო. ეს მოდნი რამეა, ამის წამლობა მკითხავმა რა იცისო, დოხტურთან უნდა წამიყვანოო.

— ვებნები დედაკაცო. წყნეთის ამბავი აღარ გახსომს, დოხტურთან რა გინდა მეთქი?.. ბან ჩუნის? არ დამიჯერა და ჩვენი უბნის ჰექიმთან წამიყვანა. ეს ჰექიმი ერთი ჰაკარიკი ვინმე გამოდგა,—სტრახოვი კასის დოხტური ყოფილა და ამ დასტრახულებს სულ ჩაიზუსტნათ უწერს წამლებსა, არც შინჯამს, არც დალაპარაკების ნებას აძლევს. თუ ვინმემ რამე უთხრა, ის, დაუყვირებს, გეგონება უჩასკოვი პრისტავიაო!..

ჩვენც ასე მოგვექცა: შაველით თუ არა, დაგვიღრიალა: გავარი სკარეი შტო ბალიტო! პასუხი არც კი აღროვა ფეფელას და ებნება ენა გამოყავითო. დაა[illegible] გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დაუტყაპუნა და მერე დაიწყო რეცეფის წერა—აი, ეს ნარუჟნი წამალია, წაისვი და მორჩებიო. ვებნები:

—უსტა ჰექიმჯან, ამ დედაკას ნუტრენი ბოლეზნა აქვს, ნარუჯნი წამალი რას უშველის, ერთი ჯიგრიანი ასმოტრი უყავი მეთქი!..

— შტო ბალტაიშ სტარი ხრიჩ, ჰექიმობას მასწავლიო? ეს ნარუჯნი წამალია. ჰამა ისეთი იადავიტი აქვს, რომ, როცა გარედან დაადებ. შიგნითაც ვლიანიას უზამსო!.. ბოლოს მებნება თუო შენი ჩლენსკი ნუმერი მაჩვენეო.

— რა გაჩვენო?

— სტრახავოი კნიშკის ნუმერი, რომ რეცეფში ატმეტკა გიყოვო.

— ექიმჯან, სასტრახო ვინ შამარჩინა, ერთი ხელი მქონდა რასეისკი სტრახოვო ობშესტვაში დასტრახული, ჰამა ის ისპალკომმა ჩამამართვა და სტრახის ნუმერიც იმასა აქვს მეთქი.

— მე ლიჩნი სტრახკნიშკას მებნებიო..

— ჩვენ სტრახში არ გახლავართ, ჩასტნები ვართ მეთქი.

ვა, ისე გაუხარდა, ისე მოლბა, ვეჟლივი გახდა, ბარხატნათ დაგვიწყო ლაპარაკი, ვნიმატელნათ გაშინჯა და სულ სხვანაირი წამალიც გამოუწერა. როცა ვიზიტნი ფული სტოლზე დაუდე, წამოხტა ხელი მაგრა ჩამოგვართვა, კარებამდის გამომაცილა, და გვებნება:—პაჟალუსტა, კიდევ მობრძანდით ხოლმეო, თანაც მებნება თუო, უკაცრაოთ, მე დასტრახულები მეგონეთ და სტროგათ იმიტომ გელაპარაკეთო!..

წამოვედით, იმის წამალმა მაინც არ გასჭრა, ფეფელო ეხლაც კრაოტში წევს და კრუსუნებს, წამალს კი აღარ სომს თუო. ჰექიმებში ყისმათი არა მქონიაო...

აი შენი მედიცინსკი ნაუკა, შენი დოხტური და წამალი! მაშ ამას იქით კარაბადინს უფრო მეტი პაროტი არ მივცე?

ერთი ვნახოთ ამ ტარტაროზს რა ჰოინებს დამართამს მე კი შორიდან მაგის სეირს უყურეფ.

ფარხადან.

# ერთი მშვენიერი ოცნების დასასრული

ექიმმა დიდის კრძალვით და მოწიწებით მიაცილა პაციენტი ქალი კარებამდის.

— საერთოდ, უნდა გახსოვდეთ, ანუგეშებდა იგი ქალს, რომ ავადმყოფობაზე ფიქრი ,კიდევ უფრო აუარესებს ავადმყოფის მდგომარეობას.

— ოხ... რომ იცოდეთ, ექიმო.. ხანდისხან მთელი დღე ისე გაივლის, რომ სადილის შემდეგაც ვერ მომიხერხებია ძილი... სულ ფიქრი... ფიქრი..: ოხ, ოხ...: რომ იცოდეთ::: რომ იცოდეთ,,,,,,,,

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას.. ყველაფერი წარმავალია, მით უმეტესს თავის ტკივილი. იხმარეთ ეს წამალი, მე რომ გამოგიწერეთ, დაიცავით დიეტა: რაც შეიძლება მეტი კარაქი, კვერცხი, ქათამი, რძე, თაფლი და დიმერწმუნეთ, თუ დღეს ხუთ ფუთზე ცოტა მეტს იწონით, ერთ თვეში ექვს ფუთს ალარაფერი დააკლდება. ენდეთ ჩემს გამოცდილებას და სტაჟს...

პაციენტი-ქალი ძლივს გაეტია კარებში.

ექიმი თავის მაგიდას დაუბრუნდა.

— მე ოთხ ფუთს ვიწონი, ჩემი პაციენტი ხუთ ფუთზე მეტია და სისხლნაკლულობას უჩივის... საინტერესოა, რომელი საჭიროებს ჩვენ შორის წამლობას... ეჰ, ერთი ხეირიანი ავადმყოფი მაინც მოეიდოდეს, რომ ღირდეს მისთვის დროის დაკარგვა.

ექიმმა ჩახედა უჯრაში „ნავაჭრს“ და ზარი დააწკარუნა.

— შეიძლება?.. მოისმა ცოტა ხნის შემდეგ კარებიდან ისეთი მიკნავებული და დასუსტებული ხმა, რომ ექიმს სიხარულისაგან გულმა ცემა დაუწყო.

მისკენ ძლივს მოადგამდა ფეხებს ყაბალახ აკრული და გაცვეთილ პალტოში გამოკრული არსება, რომელიც, როგორც სჩანდა, ისე დაესუსტებია ავადმყოფობას, რომ ეს-ეს არის წაიქცევა და ველარ ადგებაო.

ექიმს ნაპერწკლებმა გაურბინეს თვალებში

— მადლობა ღმრთის, ერთი ნამდვილი ავადმყოფი მაინც მოვიდა... მობრძანდით... დაბრძანდით!..

ავადმყოფი უსიტყვოდ ჩამოჯდა სკამზე.

— რას უჩივით?.. შეეკითხა ჩვეულებრივად ექიმი.

ავადმყოფი თითქოს ვერ ბედავდა ლაპარაკს და მორცხვად იხედებოდა იქით-აქეთ.

ექიმი თითქოს მიხდა და მისი გული სიბრალულით აივსო.

— მე მესმის თქვენი მდგომარეობა, ნუ წუხდებით. გაჭირვებულს მე მუდამ ვეხმარებოდი და ლავეხმარები კიდეც.... სთქვით, სთქვით, ნუ მორცხვობთ:.. სამარცხვინო ავადმყოფობა არ არსებობს.. მაშ, რაშია საქმე?..

— ფეხმძიმედ ვარ... წაიჩურჩულა ავადმყოფმა.

— როგორ?.. ახ, უკაცრავად... მაპატიეთ. მე თქვენ მამაკაცი მეგონეთ.

— ადვილი შესაძლებელია..: სასოწარკვეთილებით სავსე, მაგრამ მშვიდი ხმით წარმოთქვა პაციენტმა.. მეც არ ვიცი ვინ ვარ.. მომეჭრა თავი საქვეყნოდ ყოვლად უდანაშაულო ადამიანს. რა უთხრა ცოლშვილს, რა თვალით შევხედო ნაცნობ-ნათესავებს.. მიშველეთ რამე. იქნებ გგონიათ. ვხუმრობ. ან შეშლილი ვარ. არა. გამსინჯეთ და დარწმუნდებით. განა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მამაკაცი გადედაკაცებულიყოს... ნუ თუ თქვენ არ გახსოვთ ფოთის შემთხვევა... ექიმო, მითხარით. მირჩიეთ, რა ვქნა, მიშველეთ რამე!..

ავადმყოფი შეწუხებული იჯდა სკამზე და თვალებიდან ორი კურცხალი ცრემლი ალმასის კაკლებივით მოგორავდენ მის სახეზე.

ექიმი ძლივს ფარავდა სიხარულს.

ოცნებაში იგი ნათლად ხედავდა, თუ რა წარმტაცი ასპარეზი იშლებოდა მის წინ.

ასეთი ავადმყოფი ას წელში და ას მილიონში იქნება ერთი აღმოჩნდეს. იგი შეისწავლის მას, გამოიკვლევს მიზეზებს, იქნებ ბავშვიც აყოლიოს (ცოცხალი ბავში და ვის? მამაკაცს). მისი (ექიმის სახელი გაუხედნავ რაშივით გაიჭრება მთელ ქვეყანაზე და მოწიწებით სახსენებელი გახდება ყველა სინდისიერ მეცნირისათვის. მას მიიწვევენ კონკრესზე, იგი მიიღებს ჯილდოებს, იკითხავს ლექციებს საუკეთესო უნივერსიტეტში. მიიღებს მონაწილეობას სამეცნიერო დისპუტებში და, რა თქმა უნდა, ყოველთვის გამარჯვებული გამოვა და... მაშინ ვერავინ მისცემს მას წინადადებას ხევსურეთში ან ლეჩხუმში წადიო ექიმად, და ჯანსახკომს ნუ აწუხებს, დღე-და-ღამ თხოვნებითო... მაშინ ვინ გაბედავს ამას! პირიქით, შეეხვეწებიან ,კიდევაც ტფილისში დარჩენას... იგი უარზე იქნება, მაგრამ თუ დარჩა, სერგო ქვესკნელში ჩააძვრენს მოქიშპე ექიმებს:.

ავადმყოფს, როგორც სჩანდა, უკვე გული ულონდებოდა, და რომ ექიმს არ მიესწრო დროზე, შეიძლება სკამიდანაც გადმოვარდნილიყო.

ავადმყოფი ბავშვივით მიეკრა ექიმს და მაგრად მოხვია წელზე ხელები.

— არ მოკვდეს, ეს ოჯახქორი, გაუელვა ექიმს საშინელმა აზრმა.

გრაფინში წვეთი წყალიც არ იყო, სასუნ წამლებს ეშმაკი ვერ ნახავდა განჯინაში, ისე იყო არეული ყველაფერი.

ექიმს ბევრი აღარ უფიქრია და სამზარეულოსაკენ გავარდა.

თუმცა ნახევარ ჭიქა წყლისთვის ძვირფასი ფაიფურის ჩაინიკი მაგიდას მიახეთქა და ორად აქცია, მაგრამ მას უკვე აღარაფერი ენანებოდა მომავალ დიდებისათვის.

როგორც მეორე დღეს, ჯანსახკომში თვით ექიმის ნაამბობიდან გამოირკვა, დაბრუნებისას პაციენტი ექიმს ,კაბინეტში აღარ დახვედრია. იგი უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. მასთან ერთად გამქრალიყვენ მთელი დღის „ნავაჭრი“, ქუდი, ძლივს-ძლიობით ნაყიდი პალტო და საექიმო იარაღები.

როდესაც რამოდენიმე ხნის შემდეგ საათისაკენ წაელო ხელი დროის გასაგებად, ისიც გამორკვეულიყო, რომ მშვენიერი ოქროს საათსაც იქით ენახა გზა, საითაც პალტოს და ხელსაწყოებს.

ასე უაზროდ და არასასიამოვნოდ ,დამთავრდა ერთი მშვენიერი და წარმტაცი ოცნება. **სინემატო.**



ექიმი (სიმულიანტს): აჰაააა! აქ არის რაღაცა!..
სიმულიანტი (თავისთვის): ჰო, მანდ არის ერთი კვარტი ღვინო.

# ჭლექი



— გეურქ, რამ დაგალონჯ... როგორ გამხდარხარ? რა უყავი შენს ლიპს... ვა, ვა. რა ფარგას დამ'გავსებიხარ!

— სარქის, ვერა ხედავ: აი პირდაპირ ცხვირის წინ წამომიჭიმეს ეს ოხერი კომპერატივი... ჭლექი გამიჩინა მაშ... დავდნი კაცი, დავდნი როგორც ანჩხატის ეკლესიაში თაფლის სანთელი.

## „უებარი წამალი"

კესარია ფარცუხით შემოიჭრა შინ და ფაცი-ფუცით შეუდგა თავის „სპეციალობას"—„უებარი" წამლების დამზადებას.

ოხრახუშა, ლენცოფა, კაციყურა, ოშოშა, ვარდო-კანაფა და ძირტკბილა ბალახი გადმოადუღა გვერდ-გამოტეხილ თუჯიაში და თიხის ჯამზე გადმოსწურა, გასანელებლად.

მოარბენინა სწრაფად და საგანგებოთ დამზადებული ხის მოზდილა კოლოფი, რომელსაც «აფთიაქას" ეძახდა და ამოალაგა: ქაფური, დანამასტაკი, მუდასაკი, თხის ნაღველა, ცხენის ძვალი, სადაფის ფოლაქი, ნაირ-ნაირი ბრჭყვიალა შუშები და შეუდგა „უებარი" წამლის შეზავებას. გარეთ კი კაკალის ჩრდილში მხართეძოზე წამოწოლილი ეფრემია უცდიდა ექიმ კესარიას და ელოდა, თუ როდის მიიღებდა „უებარ წამალს", რაშ ენიმე წუთი და კარზე მოდგა დაკაპიწებული „ექიმი".

— ისე ეს სული გაანათლოს მამა ღმერთმა, როგორც საგულდაგულო წამალი ეს იყოს! ორჯერ დალევნების მეტი არ დასჭირდება. შ...ი აადმყოფი კარგად შეიქნება, გამოჯანსაღდება, გამომთელდება და მას შვილებსაც მოესწრები.

ეფრემია წასვლას აპირებდა, მაგრამ კესარიას შეკითხვამ შეაჩერა.

— უკაცრავად ვარ შვილო. რა ქვია შენს ავადმყოფს?

— ეფისტ...ე...

— რას იტკენს, შვილო?

— თავბრუ ეხვევა, გულს ეჭიდება, კისერში ჯირყვლები აქვს, ჭამის მადა დაკარგული აქვს, ოფლს ასხამს, ფერდაკარგულია და გულზე ახიხინებს.

— კარგი, კარგი, შვილო, მივხვდი, როგორ არ მივხვდი, და ეს წამალიც სწორეთ სამაგისოთ დავამზადე, დედაშვილობამ. საგანგებო წამალია. გასწი, გასწი. ჩქარა, და დაალევიე ეს წამალი ჩემს გაიხეს...

— ეფისტინე ქვია, ბატონო...

— ჰო, უკაცრავად.

— დავბერდი, გულმავიწყი შევიქენი, თორემ ეფისტინე როგორ არ ვიცი, ჩემი ნატალიეს დისწული ასე შვილო. დაალევინე და ორი დალევების შემდეგ გაიანეს ტანში...

— ეფისტინე ქვია, ბატონო...

— ოჰ-ოჰ დასწყევლოს ღრმეთმა სულ გაინე მაგონდება. ძალიან ავადმყოფი იყო და რომ მე არა, მისი მორჩენა არ შეიძლებოდა.

ქალაქის ცყველა დიდი დოხტურები თავზე ეხვეოდა. გალყავდა კუდისრიკამდე მამამისი, ვალებში ჩავარდა, დაიგირავა მთელი საცხოვრებელი და მაინც ვერაფერი უშველა. ძვალი და კანილა იყო ჩემამდი რომ მოაღწია, დავალევინე თუ არა ჩემი წამალი, ჩიტივით დაიწყო ფრენა ჩემმა გაიანემ. გამომთელდა გამოჯანსაღდა სამუდამოთ. გაიანე ახლა სულ ჩემს მზეს ფიცულობს.

— ასე, შვილო ჩემო, ორჯერ დალევს თუ არა შენი ავადმყოფი ჩემს წამალს, ისე კარგათ შეიქნება, რომ ჩიტივით ფრენას დაიწყებს.

მიიღებს თუ არა ამ წამლებს შენი ეფისტინე, გაჯანსაღდება, დურბლისაგან, თავის ტკივილისაგან, თიაქრისაგან, შაკიკისაგან, საწერლისაგან, და მის ტანში არასოდეს

# ფსიქიატრიულ საავადმყოფოში



ავადმყოფი: ტრამ... ტრამ... ვაი... ტრამვაი... მოდის... ეხლა მოვა... არ მოვა .. კი მოვა... ცარიელია... „მესტოვ ნეტუ“ „ს ვას გავარიატ“.. „პრიამო“... სადილი ვახშამდ.

ბლარ გაივლის, არც ქარები, არც მუცლის ტკივილი, არც წელის, არც თვალების და არც სხვა რომელიმე სატკივარი. ორასამდე დურბლით ავადმყოფი მყავს მორჩენილი; ორმოცამდე თიაქრიანი; ორასამდე ქარებით ავადმყოფი; ასამდე მუცელაიანი, რომელ სატკივარს იტყვი, რომ ჩემი წამალი არ მიუდგეს, არ უშველოს, არ მოარჩინოს.

კესარია შეუჩერებლად ქაქანებდა და თან თვალით სინჯავდა მუშტარს, რომელსაც უბიდან ამოქონდა ცხვირსახოცში გამოხვეული ფული.

— ჩემი წამალი ერთი-ორად ღირს, მაგრამ სულის საცხონებლად ნაკლებს ვიღებ. სამადლოდ ვიქცევი. მე იმდენად ფულების ინტერესი არა მაქვს, რამდენათ ავადმყოფი მეცოდება და ვცდილობ დახმარება აღმოუჩინო.

— ეს წამლები რომ გამოილიოს, კიდო უნდა მეიკითხო, თორემ ეს ოთხი ბოთლი წამალი სრულიად ვერ გამოდევნის „უჟმურს“.

მეორეთ რომ მოხვალ, ისეთ წამალს გაგიმზადებ, რომ სულ გეიწმინდება შენი ეფისტინე ყოველივე სენისა და ავადმყოფობისაგან.

ამასთანავე არ დაგავიწყდეს, კაი „თავ-შემოსავლები“ უნდა წამომიღო: ფულად ორი მანეთი, შაქარი 3 გირვანქა; ორი გირვანქა უცეცხლური თაფლი; 5 მისხალი ზაფრანა; ორი ჩარექა შუში ღვინო და... კიდევ, კიდევ... ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეს შვილო ეფისტინეს მითხოვე კიდევ დედაშვილობას ერთი ხუთი-ოდე გირვანქა ბამბა, სამოსელი მაქვს წამოწყებული დამაკლდა და ეგებ წამომიღო. თქვენში, როგორც გავიგე, კაი მოსავალი ყოფილა ბამბის. ჩადებულება ექნება კიდევ ჩემს ეფისტინეს კანაფხალი და ქარხალი, ჩემ რძალს აწრიკიეს ენატრება ფეხმძიმეთ მყავს შვილო და ნუ დამამადლებ დაიმახსოვრე დედაშვილობას.

კესარიას კიდევ უნდოდა რაღაც დაებარებია, მაგრამ ამ დროს ეფრემმა ამოიღო და ჩაუთვალა ხელში ვერცხლის ფული თოთხმეტ შაურამდე.

— შენ არ მომიკვდე,—მიაყვირა კესარიამ, შვილები არ მომიკვდეს მანათს კაპეიკიც არ დააკლდეს. საგულდაგულო წამალია შვილო, მისწრებაა, უებარია! ნაკლებათ როგორ შეიძლება!

ბევრი ემუდარა ეფრემმა თოთხმეტ შაურათ მიეცა წამალი, მაგრამ კესარიამ არ ქნა.

მეტი რა ღონე ჰქონდა, დანარჩენიც მისცა, წამლები ჯიბეებში ჩაიწყო და შინ დაბრუნდა.

ეფისტინემ წამალი დალია და... თქვენი ჭირი წაიღოს ღამ.

ყველამ იყიდეთ და წაიკითხეთ
„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი (№ 88)
იქნებ 50 მანეთი მოიგოთ

# გულის სიდამბლე



ექიმი: (პაციენტს) თქვენ თემკომის თავმჯდომარე ხომ არ ართ ამჟამად?
პაციენტი: დიახ! გახლავარ.
ექიმი: ალბად იმიტომაც გაქვთ გულის ფრიალი და ხიცხე, გაივლის ხაბჭოთა არჩევნები, შედეგები გამოირკვევა და თქვენაც გაგივლის ეს ავადმყოფობა.

## თაგვების ატმოსფერა

პირადათ მე თაგვის არასოდეს არ მშინებია, რადგანაც მახსოვდა მეტად ბრძნული ანდაზა: „კაცს რომ თაგვის შეეშინება, იგი რაღა კაციაო", ან კიდევ: „რა კაცია ის კაცი, რომელსაც თაგვის ეშინია", ან ასეთი: „თაგვის წილხი კი არ მეწყინება, არამედ მეტკინება".

ამ ანდაზების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ უაზრობა იქნებოდა თაგვის შიში, რადგან კატა რომ კატაა, იგიც შეშინებული თაგვს ვერ დაიჭერს (კურსივი ჩვენია).

მიუხედავად ამ იგავ-არაკებისა, იყო შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როცა მე თაგვის შემეშინდა... არსებითად შემეშინდა არა თაგვის, არამედ იმ დაწესებულების ადმინისტრაციის, რომლის ხელმძღვანელობის და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ახლაც იმყოფება თაგვების კოლექტივი, ან არტელი, ან თუ გნებავთ, თაგვების ორგანიზაცია.

სამწუხაროდ მე არ მქონდა ბედნიერება (როგორც ამას იტყვიან ხოლმე) გამომერკვია ხსენებულ თაგვთა ორგანიზაციის რაოდენობა, ან მათი სოციალური ან ოჯახური მდგომარეობა. ამის საშუალებას არ იძლეოდა არც თითონ თაგვთა ბუნება და კულტურული დონე. მით უმეტეს შეუძლებელი გახდა ასეთი ანკეტების შევსება, რომ თაგვი, როგორც ქმნილება, უენოა, ლაპარაკი არ ეხერხება, მას შეუძლია მხოლოდ წრუწუნი.

ამ რიგად, ჩვენს წინაშეა მხოლოდ თაგვთა ბრბომასა, ან ჯგუფი, რომელიც, როცა ღამდება, შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას.

კონკრეტიულად რომ ვილაპარაკოთ, საქმე შემდეგშია. გავხდი ავად და მომათავსეს ფ.—თერაპიულ ინსტიტუტში (ძველში), მამაკაცების განყოფილებაში, რადგანაც მე თითონ მამრობით სქესს ვეკუთვნი. შეუდექი მკურნალობას, ესე იგი, ექიმები შეუდგენ ჩემს მკურნალობას. ჩვეულებისამებრ, დღისით მეღვიძა, ღამით მეძინა. (კურსივი აქაც ჩვენია). პირველ ორ ღამეს, მაგრად ვიძინე, მაგრამ ხომ იცით ავადმყოფი კაცის ამბავი: გამიტყდა ძილი და მეტის-მეტად ფხიზლად ვიძინებდი. მესამე თუ მეოთხე ღამით, დაახლოებით 12 საათზე, შემოესმა რაღაც საეჭვო ხმაური. გავიტრუნე. კიდევ განმეორდა. უკაცრავად პასუხია ვცქვიტე ყურები და აშკარად გავიგონე წრუწუნი, ამას შემდეგ კი ბევრი ფიქრი საჭირო აღარ იყო: ეს იყვენ თაგვები, რომლებიც ალბად სამკურნალოდ იყვენ შემოსული. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ სამი-ოთხი წარმოსადეგი თაგვი გამოძვრა კუთხიდან და ჩვენს ოთახში (ფ.—თერაპიულ ინსტიტუტის ოთახში—მესამე სართულზე) გამოისეირნა. ამასთანავე, ნუ დაგავიწყდებათ. რომ თაგვებს მეტად თავისუფლად ეჭირათ თავი. ეტყობოდა, რომ ისინი ისე დაძვრებოდენ აქ თავს, როგორც შინაურები. სრულებით თავისუფლად დარბოდენ აქეთ-იქით, ხმამაღლა (რამდენაც შესაძლებელი იყო) საუბრობდენ (იგულისხმება

# შ ე დ ა რ ე ბ ა



**მოქალაქე: (ყასაბს)· აი აქედან ჩამოხჭერი ბარკალს...**
**ყასაბი: შე დალოცვილო, ისე ლაპარაკობ თითქოს ხირურგი დოხტური ვიყო.**

წრუწუნობდენ), არხეინად მიირთმევდენ ნაყარ-ნუყარს და ერთი მეორეს მუჯლუგუნსაც უთავაზებდენ ხოლმე.

მე პირადათ თაგვის არასოდეს მშინებია და არც ამ სურათის ცქერით შემკრთალა ჩემი ავადმყოფი, მაგრამ მაინც მამაცი გული, მაგრამ საერთოდ არ მომეწონა ეს სანახაობა:—სად საავადმყოფო, სად თაგვები! ეს რომ რომელიმე ტრესტი და კოოპერატივი ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ საავადმყოფოსთვის თაგვები პირდაპირ შეუსაბამობა იყო. ამ ფიქრებში რომ ვარ გართული, ჰოი, თავხედობავ! ერთმა ახოვანმა თაგვმა ისკუპა და პირდაპირ ლოგინზე შემოხტა... მას მოყვა მეორეც...

მე უკვე მოგახსენეთ, რომ თაგვს მაინცა და მაინც არ შეუშინდები, და თუ საჭირო დარჩა, ხელჩართულ ბრძოლაშიც გავალ მათთან, მაგრამ იმ მომენტში, რომელზედაც მე მოგახსენებთ, უაზრობა იყო ყოველგვარ წინააღმდეგობაზე ფიქრი: მე ვიყავ ავადმყოფი და სრულებით შეუიარაღებელი კაცი, ისინი კი... ხომ მოგეხსენებათ თაგვის კბილების ამბავი... ერთი სიტყვით, იძულებული გავხდი სტრატეგიული მოსაზრებით უკან დამეხია და საბანი წამეფარებინა თავზე.

ასეც მოვიქეცი.

ვგონებ თაგვები მიხვდენ ჩემს მდგომარეობას და აღარ იკადრეს უიარაღო ადამიანზე ხელდახელ მისვლა. ამიტომ ისინი დაკმაყოფილდენ მხოლოდ იმით, რომ ერთი ნახევარი საათი ირბინეს ჩემს სარეცელზე და შემდეგ მომხსნეს ოკუპაცია.

ამასობაში ოთახში საკმაოდ მომრავლდა თაგვების რიცხვი. მათ გამართეს ნამდვილი „ვალპრუგიის ღამე“, რომელიც დილამდე გაგრძელდა. საერთოდ დიდებული გამოგონებაა ეს დილა, მზე, სინათლე და სხვა ასეთები, თორემ ის ღამე რომ არ გათენებულიყო, შეიძლება ამ სტრიქონებს არც კი ღირსებოდათ ამ ჟურნალის ხილვაც. ამით მე მინდა ვსთქვა, რომ თაგვები გადამწყვეტ იერიშზე გადმოვიდოდენ და შემცუცქნიდენ კიდეც.

დილით, როცა თაგვები მიიმალენ, მე ამხანაგ ავადმყოფებს გაუზიარე ღამის კოშმარი. მათ გაიცინეს მხოლოდ. თურმე მათთვის ეს ძველი ჭირია, რომელსაც ისინი საკმაოდ შეეჩვიენ.

მე კი?.. როგორ მოვიქეცი შემდეგ? მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი: თაგვების მხრივ ეს იყო ხულიგნობა და მეც რადგანაც იქ მილიციელი არ იყო, ადმინისტრაციის წარმომადგენელს გადავეცი ხულიგან თაგვების საქმე. ადმინისტრაციამ უარყო შეიარაღებული ინტერვენცია და... ხომ იცით ახლანდელი ბიუროკრატიზმი—სადღაც გადაგზავნა განცხადება ზომების მისაღებათ.

პირადათ მე, ვიმეორებ, თაგვების სრულებით არ მეშინია, მაგრამ ის საავადმყოფო მაინც დავტოვე... ვეღარ გაუძელ თაგვების ატმოსფერაში ცხოვრებას, მით უმეტეს ისეთ ხულიგან თაგვების, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან უიარაღო, ავადმყოფ ადამიანს თავს დაესხან და სიკვდილით მუქარის ქვეშ გაგათენებინონ ღამე.

ტერსიტი.

# პენსიონერი

კოწია პიპაძე ძველი ნამსახური კაცი იყო, 10 წელიწადს იყო „სტონაჩალნიკად“ „ვოინსკი პრისუსტვიეში“; საკანცელარიო სტაჟი და ღირსება დიდი ჰქონდა, სულ რაღაც 7 წელიწადი აკლდა სრული პენსიის დამსახურებას;

— რა უთხრა მე ამ ახალი დროების მომგონს, ძველი რეჟიმი რომ ყოფილიყო, მე ეხლა თვეში 55 მან. და 37 კაპ. მექნებოდა თვიური პენსია, შესჩივლებდა ხოლმე ხშირათ ცოლს უკმაყოფილო კოწია.

— ვერა ხარ, ვერა, ჩემო კარგო, მოხერხებული, უპასუხებდა საყვედურის კილოთი ცოლი, თორემ ეხლაც შეგიძლია პენსიის მიღება, 21 წლის ნამსახური კაცი ხარ; ვერ უყურებ აგერ დათიკო ბზიკაძეს სრული პენსია დაუნიშნა „სტრახ-კასამ“; რა უჭირდა იმას, შენი ჭირიმე, საპენსიოთ, მე შენ გეტყვი მოხუცებულია, ხელი აკლია თუ ფეხი?

— არა, ბოშო, მაგას „ხრანიჩესკი" თიაქარი ქონდა.

— არაფერიც არ ჭირდა, მაგრამ მოხერხებული კაცია!

— არა, მე ქალო, მე არ ვიცი? ჩვენთან როცა მსახურობდა მისი მუცლის გვრემა ყველას გვესმოდა.

— არა, არა, გააწყვეტინა სიტყვა კოწიას გაანჩხლებულმა ცოლმა, ყველაფერს მოხერხება უნდა; შენზე უფრო გლახები ახერხებენ აგეთ საქმეებს და შენ რა ღმერთი გაგიწყრა არ ვიცი; აგერ ვანო ბენდუქიძის ცოლი, ოლღა, შარშან „კაზიონი სჩოტზე" გააგზავნეს აბასთუმნის „დაჩაზე", ჭლექი ჭირსო, რა უგავს ჭლექიანს?

ჩავარდა კოწია საგონებელში; დღე და ღამ სულ იმაზე ფიქრობდა, როგორმე პენსია მოეხერხებია;

— ავად მაინც გავხდებოდე, ეს ოხერი, ფიქრობდა თავის გულში კოწია, იქნებ კომისიაში გავტარდე და რამე მოვახერხო!

აუსრულდა კოწიას ნატვრა: ერთხელ აბანოდან რომ დაბრუნდა, გზაში გაცივდა და სურდო დაემართა; მთელი ღამე არ უძინია.

— ეხლა მეშველა! ეუბნებოდა იმედიანათ კოწია ცოლს, ხვალ შენ ტალონი აიღე და ექიმი დროზე მოიყვანე, უსათუოდ მოხერხდება რამე.

მეორე დღეს ექიმი მართლა ადრე მოუყვანა ცოლმა; ექიმმა გაუსინჯა მაჯა ავადმყოფს; რომელმაც კვნესას და ხველას თანდათან უმატა.

— რამდენი დღეა, რაც ავადა ხართ?—შეეკითხა ექიმი ავადმყოფს.

— მე-ექ-ვ-სე დღე-ა, ძლივს წაილუღლუღა მომაკვდავის ხმით კოწიამ.

— კაცო, ქართველები რატომ ხართ აგრე დაუდევარი, რატომ ამდენხანს არ შემატყობინეთ? აბა, გამოყავით ენა! კოწიამ ძლივსძლივობით აჩვენა ექიმს ქარსალივით წითელი ენა; ექიმმა საეჭვოდ გადაქნია თავი; კოწია კი მას თვალს არ აშორებდა; ექიმმა ჩაუდო ტერმომეტრი, დაადვა ყური აქეთ, იქით, წინ, უკან, გადააბრუნა, გადმოაბრუნა: კოწია კი ამ დროს საცოდავათ კვნესოდა, სულ ვაიდედას იძახოდა: სადაც ექიმი ხელს შეახებდა, ყველგან „მტკივაო" იძახოდა.

— ნუ გეშინია, გენაცვალე, ანუგეშებდა ცოლი, როგორმე გაუძელი, ექიმს აცალე გასინჯვა.

ექიმმა გაათავა „ავადმყოფის" გასინჯვა. დახედა ტერმომეტრს ძლივს იყო 36.5 გრადუსი.

— ჭამის მადა თუ გაქვთ, ან ღამე როგორ გძინავთ?

კოწიამ დააპირა პასუხის გაცემა. რაღაც გაუგებრად წამოილაპარაკა ძალზე დასუსტებულის ხმით, მაგრამ ცოლი მიეშველა:

— არა, ბატონო, წუხელი სულ შფოთავდა. ერთი წვეთი არ უძინია, ჭამის მადა ხომ სულ დაეკარგა. გუშინ ორი კოვზი კისელი ძლივს გადავაყლაპიე, ეს იყო და ეს, დღეს კი წყალიც არ მოუთხოვია. ტუჩები სიმძიმილისაგან სულ უყოუალობს.

— ფილტვებში არაფერი აქვს, მაჯა ნორმალური, სიცხეც არა აქვს. მე მგონი საშიში არაფერი აქვს, მალე გაუვლის; ჩემი მოსვლა არც იყო საჭირო, ამბულატორიაშიაც შეეძლო მას წასვლა!—ცოტა საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა ექიმმა.—ავათმყოფობის ნიშნებიც არა აქვს...

— რა ნიშნები გნებავთ,—გააწყვეტინა სიტყვა მოთმინებიდან გამოსულმა კოწიას ცოლმა,—კაცო ძილი აღარ აქვს და მოსვენება, დღე და ღამე სულ კვნესის, ჭამის მადა სულ დაკარგული აქვს, სხვა რაღა ნიშნებია საჭირო არ ვიცი.

— აი მაგალითად ტემპერატურა არა აქვს აწეული, თან კიდევ ერთხელ გადახედა ექიმმა ტერმომეტრს.

— ტემპერატურა, დაგიჯინიათ თქვე მამაცხონებულებო, გააწყვეტინა სიტყვა ექიმს გაკაპასებულმა ცოლმა, მე ვიცი ეხლანდელი „ფარშივი" ტერმომეტრების ამბავი: 10 წუთს კი არა 1 საათს რომ გაუჩერეთ ავადმყოფს, მაშინაც ვერ აჩვენებს სიცხეს სწორეთ.

— რა ვქნა, ქ-ნო, ჩემს განკარგულებაში სხვა საშუალებანი არ არსებობს ავადმყოფობის აღმოსაჩენათ, შეიძლება ამას ნერვიული მოვლენები ქონდეს, კოწიას ცოტა იმედი ჩაუნერგა გულში ექიმის უკანასკნელმა სიტყვებმა.

— სწორედ ეგ არის, დაემოწმა ცოლი „ნევრები", ამას კარგი ხანია რაც აშლილი აქვს, ხშირათ ხელსა და ფეხს სულ წაართმევს ხოლმე; გაწერეთ თქვენი ჭირიმეთ საავადმყოფოში, იქნებ იქ რამე უექიმონ ემუდარებოდა კოწიას ცოლი.

— მიშველეთ როგორმე თუ მოვრჩები საავადმყოფოში თორემ სახლში წოლით კიდევ უფრო ამეშლება ნერვები, დაუწყო ხვეწნა კოწიამაც.

— შეუძლებელია თქვენისთანა ავადმყოფის საავადმყოფოში გაგზავნა და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი „ავადმყოფს".

— თქვენი ჭირიმეთ მიშველეთ, გაწერეთ საავადმყოფოში, მაგას რომ რამე გაუჭირდეს თავი უნდა მოვიკლა, ხუთი სული მაგის კისერზე ვართ ჩამოკიდებული, და თან კოწიას ცოლს ცრემლებმა დაუწყეს ღაპა-ღუპით დენა.

ექიმმა გულკეთილამ ვეღარ გაუძლო „საცოდავი" ქალის ცრემლებს და თანაც გაიფიქრა, იქნებ მართლა რაიმე ნერვიული მოვლენები აქვს და ჩვენი კოწია ჭიპაძე მართლაც გასწერა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ცოლ-ქმრის სიხარულს საზღვარი არ ქონდა; კოწია სასიამოვნო ოცნებამ გაიტაცა: პენსია, კიდევ სხვა რამე გამოჩნდება, არც „საკრაშენიეს" შიში. არც გამგის წყრომა-რისხვა, იცხოვრე და იყავი არხეინათ, ფიქრობდა ის.

იმ დღეს კოწია მაგრათ გამოძღო; მეორე დღეს კი ცოლმა საჭმელი აღარ მისცა.

— შე ოხერო ნუ ჭამ, მკვლელი ხომ არ გყავს შიგ მუცელში, ორ დღეს მოითმინე, იქნებ ცოტა დასუსტდე, თორემ საავადმყოფოში მართლა არ მიგიღებენ; კოწიასაც ჭკუაში მოუვიდა ცოლის რჩევა და ორი დღის განმავლობაში მას წყლის მეტი არაფერი არ მიუკარებია.

კოწია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში საერთო განყოფილებაში მოათავსეს გაუსინჯავათ უბნის ექიმის „ტალონის" თანახმად; პირველ დღიდანვე არ ღებულობდა საავადმყოფოში საჭმელს,—არ მინდა. ავადა ვარო.

მე-7-დე დღეს ჩამოუარა ავადმყოფებს ექიმმა, ყველას გადახედ-გადმოხედა და ახლად მოსული „ავადმყოფი" კოწია ვერც კი შეხიშნა: კოწიას ეს არც წყენია; გავიდა დღეები, კოწია უჭმელობით მართლა დასუსტდა, ტემპერატურამაც, როგორც იქნა 38 გრად. აუწია; სულ ბოლოს დაიწყო ცოტა კისელისა და რძის მიღება. ორი კვირის შემდეგ ძალზე დასუსტებული კოწია დანიშნეს „სტრახკასის" ექიმების კომისიაში, რომელმაც დაადგინა: „გადაირიცხოს სიკვდილამდე დამზღვევ სალაროს პენსიაზე სოციალურ ავადმყოფობის („ნევრასტენია") ნიადაგზე შრომის უნარ დაკარგული- შინ. საქ. კომისარიატის საქმის მწარმოებელი დაზღვეული კოწია ჭიპაშე" კოწიას მისცეს ეს დადგენილება და სხვა საჭირო საბუთებიც და გამოსწერეს საავადმყოფოდან. კოწია შინ. რომ მოვიდა დაიწყო „დიეტით" კვება: დღეში 5 გირვანქა პური არ ყოფნიდა, ერთი კვირის შემდეგ ბუღასავით გახდა. შემდეგ წარადგინა ყველა საბუთები სადაც ჯერ არს და ჩვენ კოწია ჭიპაძეს დაუნიშნეს თვიური პენსია მისი ჯამაგირის მიხედვით 65 მან. და 75 კაპ. და ამგვარად ოცნება სინამდვილეთ გადაექცა. პირველი პენსია რომ აიღო. წავიდა თავის სოფელ როდინოულში, ფულად აქცია თავის მამაპაპისეული სახლკარი. და მიყო ხელი კომერციას, რომლის ნიჭი თავიდანვე ემჩნეოდა. ეხლაც არხეინათ ცხოვრობს ჩვენი პენსიონერი.

გრი.

# სანიტარი ექიმი

მეტის-მეტი მგრძნობიარე ცხვირი მაქვს. თითქმის ოთხი წელი ვგრძნობდი ჩემი ოთახის გადასწვრივ ეზოდან შემაძრწუნებელ სუნს. ამის შესახებ რამდენიმეჯერ განუცხადე კიდეც ჩვენს სახლის პატრონს, მაგრამ მან ასე მომიგო: ნეტაი ისეთი სუნი დატრიალდეს, რომ სუყველა ერთ დღეს ამოიხრჩოთო.

ამის შესახებ შევიტანე განცხადება კომისარიატში. მაგრამ ოთხ დღეს ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მეხუთე დღეს გავიარე იმ ოთახის წინ, რომელიც წინად ფეხსალაგი იყო და ჩვენმა სახლის პატრონმა ოთახად გადააკეთა. კარების გამოღება და სიბინძურით სავსე ტაშტის გადმოღვრა ერთი იყო: სიბინძურე ნახევარი ჩემს ტანისამოსზე შეიელეწთა, ნახევარი ეზოში გადაიღვარა. რადგანაც მტკიცე საბუთი ზედ ტანზე მეცხო, გავქანდი კომისარიატში, კაი განცხადებაც დავწერე და შევუტანე კომისარს; კომისარმა გაბრაზებით რაღაც წააწერა წითელი მელნით და საჩქაროდ გადასცა მორიგეს. დამშვიდებული წამოველ: ვთქვი, ეხლა კი ეტირება დედა მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სამი დღე და ღამე ველოდი სანიტარულ ექიმს. სამსახურში მოვცდი, დრო დავხარჯე და მაინც არაფერი გამოვიდა.

მეორე დღეს გამოვედი სამსახურში წასასვლელად და გასვლისთანავე ეზოში ვიპოვე ერთი მშვენიერი ბანბანერკის კარტონის ყუთი, შეხვეული და შეკრული იმნაირად, თითქო შიგ ბრილიანტები ეწყოთო. გამეხარდა. აქეთ-იქით მივიხედე, ხომ არავინ მიყურებს მეთქი და, როცა ვნახე არავინ იყო, დავტაცე ხელი, ამოვიფარე კალთის ქვეშ და გავძუძგე შინ. გული ძლივს მოვითქვი სახლში. შეეშინდათ კიდეც შინაურებს, რა ამბავიაო, მაგრამ მე სიხარულით გამოვიღე კალთიდან ყუთი და მოწიწებით გავხსენი ყუთი, რომელშიაც აღმოჩნდა მშვენივრად ჩაწყობილი ვირთხები.

ფეშანგი ფაშვბერტყაძე.

# სამკურნალო „მეორე ინტერნაციონალი"



არ მოკვდე, შენი ჭირიმე,
არ დაგვაგლოვო ჩვენაო,—
თორემ, იცოდე ჭირათა
ჩვენ შეგვეცვლება ლხენაო.

თავს დაგტრიალებთ წამლებით,
გვწადს შენი გადარჩენაო.
შენა ხარ ჩვენი მარჯვენი,—
და შენი ჩვენ მარჯვენაო.

ალმასკომის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩი ქ. 68

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 88 კვირა, 20 თებერვალი 1927 წ. № 88



50 მანეთი ამ სურათზე უკეთესი წარწერისათვის

(იხ. მე-16-ე გვერდი)

# თანამდროვე

## მხოლოდ შენ ერთს...

### ქმარი უმღერის ცოლს

პაროდია.

მხოლოდ შენ ერთს რაც რომ ჩემთვის
მოუციათ ჯამაგირი,
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს
მაგრამ მაინც შენ მიყვირი...

მხოლოდ შენ ერთს, რაც ჩემ ჯიბეს
ჰქონებია ოდეს ფული, —
მაგრამ მაინც ვერ შევსძელი,
რომ მომეგო შენი გული...

მხოლოდ შენ ერთს ყველა ჩემი
ჯამაგირი და „ზედმეტი"—
მაგრამ შენგან მაინც თავზე
მე მეცემა სახრე-კეტი...

მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს
რაც ვიშოვნე ყველაფერი...
მე როდესაც დარდი მახრჩობს,—
შენ დაცინკით ტკბილად მღერი...

შენი თავი ჩემთვის ტანჯვად
მოუცია მაღლიდან ღმერთს...
კარგი თუ რამ ნახე,— ა ბობ:
„მარტო მე ერთს... მარტო მე ერთს" ..

მხოლოდ შენ ერთს წასვლა-წოსვლა,.
სიყვარული, სიხარული...
მე კი სახლში მარტოდ გდება,
სამსახურში სიარული.

მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს
პოეზია, ჰარმონია...
შენ რომ „წმინდათ" დადიოდე
არა მჯერა, არ მგონია...

ვისურვებდი ვყოფილიყოთ
შენ შენთვის და მე კი ჩემთვის...
საფლავშიაც, აქაც, იქაც
შენ შენთვის და მე კი ჩემთვის...

ისელი.

# პუშკინი თოვლის ფაფახში

ახლახან მის გარდაცვალებიდან 90 წლის შესრულების გამო



# ლიტერატურული ამბები

დაისელის „სალამო"

ერთხელ „დაისელს"
რის შემოაკლდა
ჯიბის ქანქარი,
ველარ იყიდა
პაპიროსი და ჩაი შაქარი,
დაწვა მშიერი
და დაეკარგა
მას პოეტური
შნო და იერი...
ნახა სიზმარი:
დადგა „სალამო"
„უმსგავსოებით"
სავსე, „საამო"—
და შეადგინა
პოეტთა სია,
გულს მოეფინა
ვარდი და ია.
მეორე დღეს
შეთხზა აფიშა.
მეტრი მან სამი,
(არც ის გამოდგა
ამ დარგში ხამი).
აივსო კასა,
მეტი არც ჩავა,
(პოეტთა შორის
გამოცხადდა
მხოლოდ ჩაჩავა)
აზვირთდა ხალხი,
როგორც მდინარე
ძველი იორი,
(თან დაიღრიჯა
ვითომ ექამოსთ
მყრალი ნიორი).
მე ვამოწმებდი:
მე ვამშვიდებდი.
— ნუ ღელავთ, ხალხო,
ესე ამბები
არ არის ერთი
და არცა ორი...
მაინც იძახდეს:
მოგვეცით ხელში
ჩვენ აფიორი.
(ხუტავ, რას ფიქრობს
ამის შესახებ
მწერალთ კავშირი,
ან სხვა ორგანო?!
ნუ თუ ყოველთვის
უნდა ატყუონ
ხალხი ბოგანო)?!

## ნოე ჩხიკვაძის წერილი

ს. აბაშელს და ნ. ზომლეთელს

პოეტო—ძმებო!
რამ გადაგრიათ,
რით არ მასვენებთ
აქ მაინც ეულს?!
რატომ მიგზავნით
საქართველოდან პოეზიაზე
თქვენ სიტყვას სნეულს?!
დეე, იყვიროს
ხარმა მთებიდან—
და ლექსთა წყობა
თქვენ შეაზავეთ
ნაზი ხმებიდან.
ლექს ნუ ახრჩობს
წვრილი ამბები.—
ამას გიბრძანებსთ:
მე, პოეზია და
„წმინდა მამები“.
„ჩემი სტიქია
იყო წარმტაცი“...
სილარიბეში მე მომკლეს კაცი.
თქვენ მალ, გეტყობათ.
კარგად ბრძანდებით,
მუდამ ქეიფობთ,
იძახით: „ურა“
ჩემ დროს კი ლექსებს
ბედი არ ჰქონდა
და მუსრს ავლებდა
მკაცრი ცენზურა,
მაინც ვიყავი
მუდამ „ბუნტარი“
არ იყო მაშინ,
თუმც გონორარი.

გრი.

# ჩვეულებრივი ამბავი



დეპუტატები: ჩვენ შეზღუდული ვართ პილსუდსკის რეჟიმით... ეს დაუშვებელია... პროტესტი უნდა გამოვუცხადოთ პილსუდსკის (ვილაცა დაიყვირებს): პილსუდსკი მოდის...



ამ სურათს წარწერა არ უნდა.

# ქუთაისის თეატრი

გამარჯობა ტარტაროზო,
მოგიტანე ძღვენია;
შეიწირე შესაწირი—
ხომ არავის გრცხვენია!
სიმღერებში ძლიერ მიყვარს:
„ვაი-ვუი“-ს არია;
ქუთაისის დრამის საქმე
ნეტავი რამ არია?
რეპერტუარი ამ სეზონს
გაჭირვებით მიათრევს;
კისოებს ფული ამძიმებს,
დეფიციტი თეატრებს.
ქუთაისის ჯამაათნო,
უნდა გითხრათ ერთი რამე,
რომ უდროოთ დაგვიბერდა
ჩვენი სახელმწიფო დრამა.
მაჩაბელ მაინც იმედი გვაქვს
გამოჩნდება შტეინახი;
(ჩვენ უთხრათ ეს ამბავი,
საიდუმლოთ შეინახეთ).
თუმცა ჯერ კი არავინ ჩანს,
დღეები დღეს მისდევს
გოძიაშვილი ამზადებს
მიშას „კონტრაბანდისტებს“
დადგმის სურვილი, რომ გქონდეს
არ კმარა მარტო ესაო;
სათქმელი ბევრი მაქვს, მარა,—
პარასკევია დღესაო.
სეზონი რომ ჩააბარეს
მანაგაძეს შოთასა;
ნეტავ ბარველი რა იქნა?
(იქნებ სადმე შფოთავსა).
ტაშტი გატყდა ხმა გავარდა,
მარა ეტო ნიჩავო;
დაგველოცა ზაკონ პრავა
მილიციის ნიჩაფო.
თეატრის წინ ბლომადა გვყავს
მოფუტურ-პოეტ ხალხია;
და თუ კიდეც ხულიგნობენ,
თქვენზე აშკარად ახია.
რა დასმაც რეპერტუარი,
ჩაბრინჯოს, ჩაიფლავოსა;
„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბალნაროსა“.
ავჭალაში „ზაჰესია“
ლენინგრადში „ვოლხოვსტროი“
ძველს რომ ახალი სჯობია
რაზე ამაზე სპორ სტოიტ?!
ჩორთ ვაზმი ჩუტ ნე პაზაბილ—
ჩიანელის „ბეთქილი“,
რომელიც რომ დადგმისაგან
შუა იქნა გახეთქილი.
ბეთქილმა სთქვა ჩირგვში ვზივარ,
არვინ მოვა ჩემზედაო;
გამწიეს და გამომწიეს
ჩამომკიდეს ჭერზედაო.
შოთამ სთქვა სახელქებულმა:
არ მომივიდა ძილიო,
რომელ პიესას მივადექ
გამოვუთხარე ძირიო.

### ეპილოგი:

ნ. გოძიაშვილი:
ძველი გემი დაიღუპა!
შ. მანაგაძე:
ჯერ მთლად არ დაძირულაო!
დასი:
კმარა თეატრზე გალობა,
პერესიადკა ძირულაო.

ჩაგო.

## მიმოხილვა

კაფეში დაგპატიჟებ,
ჩაის მოგართმევ რძიანს.
მიაქვთ ქუჩაში გიჟებს
„ამერიკანსკი ძია“.
რუსთაველის თეატრს „ძიამ“
კარგი საქმენი უქნა...
ოპერის დეფიციტებს
გააქვს შურასთან ბუქმა.
თავში მაქვს ალბად თივა,
ტვინს არ სჭირია დამბა...
შუბლიდან ლექსი მდივა,
ბეჭედას ვერ ასწრებს სტამბა.
სომნაბულელსა ჰკითხეთ—
ლექსს როგორ უნდა მოვლა.
მთვარეზე აფრენს იხვებს
წვერშელებილი მოლა.
მუშათა თეატრს ეხლა
თავი ჰგონია ბერლინს...
ქართულ პიესებს ვერ ჰხნავს
მუხლები ბებერ მერნის.
მიაქვს ნანშირი ჭაკ ვირს...
„ტავარს დაუკლეს ცენა“.
იქ კატასავით ჰკივის
რადიო-გადაცემა.
ვფიქრობ ფულს ვინმე მომცემს,
ტვინში ვიჭედავ ლურსმანს,
და ხულიგნების კონცერტს
ეხლა უფასოდ ვუსმენ.
კინოებს ხალხი მისდევს,
ქალაქი ისევ შფოთავს;
თუ გინდა ნიძლავს მოგცემთ
— ძეგლს დაუდგამენ შოთას.
მიეცით მწერლებს „კორმა“,
წიგნების ბეჭვდის ნება...
ნელ-ნელა უკლებს ფორმატს
„საბჭოთა ხელოვნება“.
ქალაქს რა რიგად ათოვს,
ცა სჩანს გაბერილ ბუშტად...
ო, ძვირი ფასი „მნათობს“
უკარგავს ურიცხვ მუშტარს.
გათავდა ლექსი ასე
ამბის პირველი თავი.
გამოგიგზავნი სავსეს
მეორე ამბავს ნავით.

ბეუან ხვლინცკი.

## მოუთმენელი მშობელი



დედა: ეს არის შე ძიყაგასახეთქო რომ ამბობდი გამგესთან ჩემი დაახლოვება კარგ ნაყოფს გამოიღებსო?!
ძალი: ასეც იქნება, დედი! ჯერ ხომ ცხრა თვე არ გასულა!

## კახეთისაკენ მგზავრობა

(თოვლის გამო ტყვეობაში)

მატარებელი გასცდა ვაზიანის ქარბუქს და ნამქერმა ჩვენს უკან ჩაკეტა კარები. სადღეგრძელოებსა სვამს ხალხი, რომ გამოვცდით ჯოჯოხეთს. ჩვენთან ერთი დაბრანძული გლეხი ზის.

— სად მიხვალ ძმობილო?

— აი, იქით მივდივარ, შენი ჭირიმე.

— მეც ვიცი რო იქით მიდიხარ, მაგრამ რომელი სოფლელი ხარ?

— ჩვენი სოფელი?.. რა ვი, მაგი პატრონი დედაც...

— გეშინიან შენი სოფლის დასახელება?

— რაზე უნდა მეშინოდეს, მანდ რა... მე ვიცი მიდან არ წამართოთ...

— როგორი თემალმასკომი გყავთ?—ვკითხავ მე.

— ნათესავი ხო არა ბრძანდები იმისი, შენი ჭირიმე?

— რაზე მკითხავ მაგას?

— იმაზე შენი ჭირიძე, რო თუ ნათესავი ხარ, ძაან კაი ბიჭია. მაგითანა კაცს დედა ადვილად ვერ გააჩენს.

— არა, მე ნათესავი არა ვარ, ისე ვკითხულობ.

— მართლა ბრძანებ?

მართლა.

— მართლა და მაგაზე მურტალ და გაფუჭებულ კაცს ეს ქვეყანა ვერ გააჩენს.

— მერე როგორ გაძვრა არჩევნებში მაგითანა კაცი.

— ქრთამი ჯოჯოხეთსაც გაანათებს შენი ჭირიმე, შენც რო დაიჭირო ხელში სველი ხელადა ყველგან გაძვრები. აი, შენი ჭირიმე იმდღეს იგრე მცემა...

— როგორ? გცემა?

— დიახ შენი ჭირიმე!

— მერე ციხეში არ ჩასვეს?

— ცემითვი რო კაცს ციხეში ჰსვამდნენ, ჩვენ სოფელში ალარავინ დარჩებოდა... ნათესავი ხო არა ხარ, შენი ჭირიმე, ჩვენი თემალმასკომისა?

— არა, არა, ნუ გეშინია... ინტელიგენცია როგორია? არ დაუახლოვდა ხალხს?

— ინტლიკლენცია შენი ჭირიმე ძალიან კარგი გვყავს. ძველ დროს ჩვენთან ლაპარაკიც კი ეთაკილებოდათ და ეხლა კი...

— ეხლა თქვენთან ერთად მუშაობენ, არა?

— არა, მუშაობისა კი რა მოგახსენოთ, აბა მასწავლებელმა და ექიმმა ჩვენთან როგორ უნდა იმუშაონ და ქეიფით კი ჩვენთან იგრე ქეიფობენ, რო კიდეც გვჯობიან. იმ დღეს ერთად დავითვერით, ექიმი მასწავლებელს შააჯდა, მე ექიმს და დიდხანს ეგრე ვიგორავეთ, ვიცინეთ, კაი დრო გავატარეთ. ძველ დროს შენი ჭირიმე ვინ მოგვცემდა ამის ნებას.

— მერე, არავინ აგიხსნით, რომ ეგ კარგი კი არა ცუდია?..

ავედით კიდეც სოფელში. ქეიფის ხმა ისმოდა. ერთ გლეხს ქორწილი ჰქონდა. ერთმა ერთი კაცი გამოიყვანა ქორწილიდან და ოროლბეში დაუწყო ხმამაღლა ლაპარაკი.

— რატო არ იხდი „ნალოგს“? რა ხანია დრო გაგივიდა. მდიდარი ხარ, ფული გაქ, რაღას აგვიანებ? — მდიდარი სდუმდა და მხოლოდ უყურებდა „ნალოგის“ მოამბეს.

— შენ არ გეუბნები, რატო არ იხდი „ნალოგს“?

მდიდარი ისევა სდუმდა.

კიდევ ბევრჯერ ჩასძახა მდიდარს ყურში და, როცა თავი მოაბეზრა ერთი და იგივეთი, მდიდარმა შეჰყვირა:

— ხო ჰხედავთ ხმა არა მაქვს. წადი და ვისაც ხმა მიეცით, ნალოგიც იმან მოგცეთო.

ეს რა თავხედი და ხელაღებული ხალხი ყოფილა! ვიფიქრე მე. ნუთუ ყურისმგდებელი არა ჰყავთ? ამდროს ქორწილიდან ვიღაცამ გამოიხედა; როგორც წესია სოფელში, დამიძახა:—მობრძანდი ძმობილო, ღვინო მიირთვიო.

შევედი ზრდილობისათვის და აღარ გამომიშვეს.

ქეიფის დროს ცხენებით ვიღაცები გაჩერდნენ გარეთ და შემდეგ დაუკითხავად შემოვიდნენ შინ. მხიარულად მოეივეივე ხალხი ისე გაიკანკა, თითქო ქორმა წამოუქროლა წიწილებსაო.

— ალმასკომი მოვიდა. წყნარად წარმოსთქვეს.

სუფრის მასპინძელი შეიქნა თემალმასკომი, თამადაც გამოცვალა, თვითონ აიღო თამადობა და მოჰყვა სადღეგძელოებს. გრძელ-გრძელი „რეჩები“ წარმოსთქვა, სადაც ბურჟუებსა და თავხედებს, ხალხის შემაწუხებლებს ლანძღავდა. ბოლოს ქალთა თანასწორობაც ადღეგძელა და ამ დროს პატარძლის დედამთილს გული მოეცა და გაბედულად უთხრა ძალად მაცხონე თამადას:

— რა გული გაგვიწყალე! თუ ჩვენი თანასწორობა გჯერა, პატივი მეცი და წადი აქედან, დრო თავისუფლად უნდა გავატაროთო.

— დიახ ქალთა თანასწორობა მჯერა და სწორედ მაგნაირი „აბიდისთვის“ ისე გაგმათრახავ, როგორც მამაკაცსაო და სცემა პატარძლის დედამთილს.

ამაზე აყალ-მაყალი გახდა, და თემალმასკომმა მოითხოვა მასპინძლისაგან, ეტლი მომგვარე უნდა წავბრძანდეო. მასპინძელი საიდან მიიყვანდა სოფელში ეტლს და მოახსენა, თუ გნებავს ურემს შეგიბამო. ამაზე თემალმასკომმა ერთი კარგად მიტყეპა და გალეშილი წავიდა.

მე გადავწყვიტე მეორე დღესვე წამოსვლა ქალაქში. ჩაველი სადგურზე და მითხრეს, რომ მატარებელი სამგორს გასჭედია ყელში და ნიავი ნამქერს აყრისო.

ნუთუ ერთი დღე აქ დარჩენა მიწერია კიდევ? რა დავაშავე ისეთი? — ვეუბნები ჩემ თავს და ვბრუნდები სადგურიდან, თუმცა გული და გონება უკანა მრჩება.

ავედი ისევ სოფელში. გლეხებს ტყიდან აუარებელი ნედლი ხე-ტყე მოჰქონდათ.

— განა შეიძლება ამდენი ნედლი ხე-ტყის მოჭრა ტყეში? ხომ გაფუჭდა ტყე? ვკითხე ერთ გლეხს.

— რატო შენი ჭირიმე, მთელი წელიწადი თემალმასკომი ნებას არ გვაძლევდა და ერთი ჩხირი ვერ გამოვიტანეთ.

— ეხლა რაღად მოგეცათ ნება?

— რა ვიცი, მალე ახალი არჩევნებია და ისევ მე ამირჩიეთო.

ფეშანგი ფაშვბერტყაძე.

# რაც მოგივა დავითა,



— ამ ზამთარს კარგი პირი უჩანს—მზიანი ამინდებია... ფეჩი და პალტო გავყიდე, ფული ავილე და გადავკრავ...

# ყველა შენი თავითა



— ნაკლებ არ იქნება... ხომ ჰედავ როგორი ზამთარი დაიწყო?!

— შე ოჯახდასაქცევო, ხამი დღის უკან ეს ფეჩი და პალტო მე მოგყიდე ხუთ მანეთად; შენ კი ეხლა ოც მანეთად გინდა მომყიდო?!

# სახელგამი



**მიწიშვილი**: ო, რა მძიმე ყოფილა ეს სალარო, თუმცაღა შიგ არაფერია...

**„ხმა ზეციდან“** (ლორთქიფანიძისა): გამხნევდი, გაუძელი... სამაგიეროთ მესამე სართულზე დაეზარებათ მწერლებს ამოსვლა და ჩვენაც მოვისვენებთ.

რეჟიმ ეკონომია
უნდა გავატაროთო.

—:—

ჯამაგირებს არ ვითხოვთ
რაც გვერჩიან „საჩისტკავს“,
არ გვინდა პუდრა-დუხი,
არ ვაბეზრებთ ამით თავს.

—:—

არ გვქირია ინდიგო,
შევიოტ-კოვერკოტი,
ჩვენთვის წუმპე-ტალახი,
რკოა და მწვანე ყლორტი.

—:—

ჩვენ პოჭოკებს მრავალჯერ
ვლია დიდი გზანი,
მაგრამ რძის ფულს არ ვიღებთ..
არც შევრო, არც კაზანი

—:—

თუმცა ცოლებსაც ვიცვლით,
მიჯნურობაც გვაქვს ხშირი
მაგრამ რით გავაკოტრეთ
ან ეპო, ან კავშირი??

—:—

არ ვხარჯავთ ათასობით,
არც „სტრახ-კასას“ ვაწუხებთ,
წლიურად ცამეტ გოჭს ვშობით,
მაგრამ რძის ფულს არ ვიღებთ...

—:—

არ ვითხოვთ შეღავათს,
ბახმაროს, არაზინდოს;
ორივ დაგვილოცნია
პორტფელი ვინც ხელთ იგდოს.

—:—

ხედავთ თუ ჩვენი საქმე
რა რიგად დაიბანდა
რაც მოდათ შემოიღეს:
შობის დღე და კალანდა...

გოჩა

# ისკაპლენია

**წერილი სოფლიდან**

ნეტავი თუ საიდან
შემოიღეს ეს მოდა?!
ბევრმა გლეხმა გაყიდა
ამ საქმისთვისა ოდა.

—:—

ყველა კუთხეს მოედო
ეს უჯიშო სენია,
ქალიშვილებმაც იცის:
რაა „ისკაპლენია“...

—:—

აკუშერკებმაც ნახეს
ამ ხელობით შანსები,—
ოსტატურად დანიხრეს,
აუწიეს ფასები.

—:—

ვინ დათვლის თუ რამდენს
გაუციეს მათ კერა.
მწარ სიცილ-ტირილში
„მოთქმები“ ჩაეკერა.

—:—

თუ ქალის მორჩენაზე—
ის სამ მანეთს ლებულობს,
ამ „ახალ“ ხელობაზე—
თუთხმეტზე არ კლებულობს.

ამ საქმისთვის ტარტაროზ,
გვინდა თქვენგან „დეკრი“
რომ სულყველამ გაიგოს
და არ იყოს „სეკრეტი“....

—:—

თორემ ლამის აგვიკლებს
ეს უჯიშო სენია
ახ., მოგიკვდეს მომგონი
შენ..., შენ „ისკაპლენია“...

ძნელოღლი.

# სარქისას გოდება

ზუტკა შტოლი!?! ჩემი ცოლი
დღეს რომ მყავდეს შესართავი,—
მაშინ, ძმაო, მე უცოლოთ
დამრჩებოდა თავის თავი.
მადლობა ღმერთს — ძვირობის
ოროს
ის რომ დამრჩა მე შერთული,—
თორემ ეხლა მე სა მქონდა
მოსაყვანი მისი ფული?!
მართალია: მეტად ხშირად
ის ამიწევს მაგრად ყურებს,—
მაგრამ როცა ხალისზეა—
სიტკბოების კაპლს მაპკურებს!
თვალს ჩამიკრავს, ჩაიცინებს
და გამიქნევს კუდს ცბიერად;
მამენტალნათ შაიცვლება,
გარდიქცევა მაქციერად.
თვითონ მღერის ბაიათებს,—
მაკვრევინებს მე კი თარსა...
კარგი არის ის წყეული
თუ უცებ არ დაითარსა.
მიყვარს, რა ვქნა... და ვერ უძლებს
მის ზაკაზებს ჩემი ჯიბე.
აღარ ვიცი სად წავიდე,
ვერ მივადგა მე ცას კიბე.

პატარა მორიელი

# ვაი სიყდვისაგან

მე ყოველ დღე ცოლის ჩხუბმა
თავს დამისხა რეტი;
„პალტო უნდა შემიკერო
ტრი ტისიაჩა ტრეტი“,
„კალოშები აღარა მსურს,
მინდა მქონდეს „ბოტი“.
გაზაფხულზე დამჭირდება
პალტო კოვერკოტი“.
„აბრეშუმის კოფთა მინდა,
ფერად „ტემნო-სინი“;
ზაფხულში კი მომინდება
კაბა „კრებდეშინი“,
შლაპკა უნდა შევიძინო
„ზაგრანიჩნი“ ბანტით,
ერთი სიტყვით: გამომაწყვე
სულ მთლად კონტრაბანდით“.
დავჯექ და ვიანგარიშე,
სულ დამესხა რეტი...
ცოლის გამოწყობა ჯდება
ას თუმანზე მეტი...
დაილოცა ძველი ქალის
ლეჩაქ-ჩიხტი-კოპი,
იაფად ყიდის დალოცვილი
ზაკტპო—ერკოოპი!..

# ღორთა გოდება

როგორ[illegible] ცაროს მოვესწარით,
თავზე დაგვატყდა კრახი,
აღარც ერთს არ გვინდობენ
ბიზეი ვიყოთ გინდ ტახი...

—:—

ასე გვეუბნებიან:—
„ჩისტკაო“—მაგარი;
არ გვყოფნის მარტო ხორცი,
იგვსურსო—თქვენი ჯაგარი“

—:—

სიმინდი გაძვირდება,
ყველა რომ დაგტოვოთო,

# ეგრძვის




— რა ამბავია, კაცო, რომ ამდენ ღვინოს სვამ?!
ლოთი: აი, წაიკითხე, ის წარწერა და მერმე მითხარი საყვედური... როცა მაგრად დავთვრები, მართლაც რომ ძირს დავეცემი:

## „იალღიში"

(არშაკ ყარყუმიანცის ოინი)

— ახში ნაობახტიც მაჩვენეს რაღა ამ სიბერის დროსა, ქურდების დავთარში ჩამაგდეს, რეციდივიჩიკი დამარქვეს!.. შიში და აბიდაც სხვა იყო!.. სულ ამ ბემურაზ ქანქაჩ გიგოლას ბრალი კია ყველაფერი: ჰაკარაკათ ამიტყდა თუო—ფითოევის ტრიატში წავიდეთ, ნაინტერეს რაძესა ვნახავთო. ამერიკანცკი ძიას აჩვენებენო და ჰამაც ორთაჭალის ბიჭები თ ვის მარიფათებსა შვრებიანო, სიმღერა, ტანცი რამე—ყველაფერი იქნებაო.

ვებნები—ახმახ, ტრიატი რა ჩვენი მაზაა, ამერიკანცკი ლაპარაკი როგორ გავიგებთ, ცირკის მეტი არაფერი გვინახავს მეთქი.

— თუო, ფიქრი ნუ გაქვს, ის ამერიკანცკი ძია ისეთი ნასწავლია, რომ ქართულიც იცისო, მარტოხელი კაცი ხარ, ქვაწვიობას თავი დაანებე, წამამყე და დაოლნი გახდებიო.

წავედით. ჰამა, დავითარსეთ: ამ მუტრუკ გიგოლას იალღიში მოუვიდა, ამერიკანცკის მაგიერ რაღაც დეზერტირკა ყოფილა... ვებნები:

— მუნდრეგ, დეზერტირკას რა ნახვა უნდა, სულ დეზერტირკებში არა ვართ? დეზერტირცკის უგლაოში ვცხოვროფ, მეთევზე არტემა ჩემი ნათელ-მირონია, დღე არ გავა, იმასთან არ გაეიარო და არ ვიყიდო რებეცი, შამაია, დოში რამე, სულ იქ არა ვყუდივარ ტერტერას ჯოხივითა? არ მომეშვო, ასმა ეს ტრიატის დეზერტირკაა და დიდი ზაბავნი რამეა, უექველათ შამოდიო...

ვიყიდეთ შვიდაბაზიანი ბილ თები და შაველით. ვსხედვართ ეს ორი ვირისთავი გალიორკაში და უცქირით ფარდის ახდას, აქეთ-იქით ვიყურები, რა სიფათის ხალხი გინდა იქ იყო: ქართველი, ოუსი, სომეხი, ურია, უტია, ვინ იცის?

ბოლოს რაღაც ღოროტოტო დაუკრეს და ზანავესკა ავიდა! ვა, ვიცანი, ჩვენი უგლაო, სახლი, დუქანი, ხალხი ყველაფერი ტოჩ-ტოჩათ გვაჩვენეს. ბოლოს რაღაცა დატრიალეს და ახლა სხვა ფასონის სახლი, კნიაზები და ღენერლები! იმ ბემურაზებს არც კი შეეშინდათ, ნიკალაის პესნა დაუკრეს: „ბოჟე ცარი სახრანიო", მერე მენშევიცკის სტროია გააკეთეს და ჩვენისთანა ხალხსა ყარაიაზში შეშაზე გზავნიდნენ,—მერე მენშევიცკი მოშალეს და ბალშევიკები ძაიყვანეს და ბოლოს ნამდვილი დეზერტირცკი ქნეს!

ვა, ვა, ვა, ლაზათი იყო რაღა, ნაინტერეს პანიატნი რამე იყო. ყველაზე მეტათ კი ჩვენი ძმა და პირის ზიარება ნიკალაი სიმონიჩი ძამეწონა, აი ჩვენი გოცირიძე როა, თურმე ისევ ტრიატჩიკი ყოფილა ის ბემურაზი, დიდი პავიშენიაც მიუციათ, რესპუბლიკანცკი გაუხდიათ რაღა, მენდალი, ფული, სახლები რამე მანთაშოვის შაძლება უშოვნია. ძველმა ღრუბელნატორმა მიქაროს იმასთან—ისეთი დიდი ვინმეა.

ჩვენისთანა ჰარიფი ვაჭარსა თამაშობდა, პეტრუზა-

# „არჩევანი“




— ვის უფრო ირჩევდი: პასუხისმგებელს, საეცს, სეადას თუ თავისუფალ პროფესიის კაცს?

— არც ერთზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა თუ ყველა ესენი ჩემი ოთახის წინ რიგში იდგომოდენ „ბეზრაბოტნებივით“.

იყო, დეზერტირკაზე შარვლის ნაჭრებსა ჰყიდიდა. ისეთი რამეები თქო, რომ სულ ჯიგარი დამეწო რაღა!

— იყიდეთ რაღა, უშარვლოთ ხომ არ ივლითო, პურის ფული არა მაქვსო.

მე ველარ მოვითმინე და ვეძახი:

— ნიკალაი სიმონიჩ, მაგ ერთ შარვალს მე გაგისაღეფ, აქეთ გამაატარე მ თქი! — აქეთ იქიდან გიჟივით დამიწყეს ყურება და სიცილი. ერთი ქალი ჯავრობით მებნება — თუო:

— ღრაჸდანინ! შენ იალლიში მოგდისო, აქ პარიატკას რო არღვევ, ნამდვილი დეზერტირკა ხომ არა გგონიათ? ჰამაც ცოტა იქით მიაბრუნე შენი ყამიშივით ცხვირი, ჩასნოკომ პახნეშო. ნუ სლოვომ, ჩუ-ჩუთ ხათაში არ ჩავარდი, გაითავებას აღარ დაუცადე და მარტო წამოვედი. ის მუტრუკი გიგოლა კი ვიღაც ნიანკებში ჩავარდა.

პრიკლუჩენიაც აქ იყო ჰაა!

ახარ შე დარდაკო ჩემო თავო, რომელი ყარამან ყათილი შენა ხარ, რომ მარტო მიეთრევი სახლში, ეხლა ქრისტიანს მარტო გეევლება? იმ ღამეს ჰაკარაკათ ეს ლიხტრიჩესკი ზაოტიც მოშლილიყო და ქუჩებში ისე ბნელოდა, რომა ზაგესის ბოძები სახრჩობელებათ მეჩვენებოდა. ნუ, რაღას ვიზამდი, გულში პუგლივი ფიქრები მაქვს და ფეხ აკრეფით მივდივარ... ერთიც ვნახოთ უკან მოვიხედე. პუპუზ ერთი ცხვირ ჩაჰყლეტილი ბულდუკის ძაღლი არ მამდევს!? ნახევარ არშინი ენა გადმოუგდია და ისე გააბოტებს, გეგონება ბალდახინის ცხენიაო. შემეშინდა და სტოოგათგა უჯავრდი.

— პოშოლ დურაკ, რომელი ძროხის არტალა მნახე რომ ამდევნებიხარ მეთქი?..

ბან ჩუნის? მითომ არც კი გაეგონოს! ძაან ჟუტკათ გავხდი და შაგს მოუმატე. მივალ მომდევს, ვდგები, დგება, გადაუხვევ გადმოუხვევს! ვა, გულმა პიოსერცკი ბარაბანივით დაგა-დუგი დამიწყო.

ვფიქროფ: არშ კ, აქ პრასტოვი რამე არ არი. ძაღლი ჰაკარაკათ მოგდევს, ჰამაც აერში ნიუხიტსა შვრება, ზნაჩიტ ეს რაზისკნოკი ძაღლია და კვალს ეძებს. ძას წიხათ გაზეთში აკი ჩეეგდოთ რომაო. ერთი პისკუნი ვინმე მოუკლავთო და ტერორჩიკები გაქცეულანო, ეხლა ყველა ძაღლები გამოუშვიათო და როზისკი შვრებიანო.

ვა, ხ თა მეტი გინდა? ერთიც ვნახოთ ამ ძაღლმა მტაცა კანჭში კბილი და მილიციაში მიმიყვანა — ასმა მკვლელი კიპოვნეო! ჯერე ციმბირი ხომ უკან დამრჩება! მოდი შენ და ძაღლს ჰკვა სთხოვე! კაცი იყოს, ჩემსას ვეტყვი, თავისას მეტყვის, ერთ კვარტ ლ ინოს ჩამოუსხამ რამეს გავაგებინებთ; ამ ძაღლს რა ველაპარაკო?

ბოლოს, როცა ჯავრობით ვერაფერი შავასმინე, დელიკატნათ დაუწყე ლაპარაკი:

— ძაღლოჯან, პოჟოლუსტა ხელი აიღე ჩემზე, კაზიონი ქუჩაა, სმირნათ მივდივარ, თოლ წავიდე რაღა, ახარ დალოცვილო მკვლელი ვიყო, ტრიატში წავალ მეთქი? ის კი ისევ თვალებში მიყურებს და ჰაა, საცაა უნდა შამამახტეს! გავიქეცი. უგლაოს რო მოუხვიე, მილიციონს შევეფეთე. ჰამა ზედ არ შევხედე და გავრბივარ. ერთიც ვნახოთ, ამ მილიციონმა შუშტუკი არ გამცა!

— სტოი, ატო ბუდუ სტრელიატო. თან მკლავის სიგრძე ისეძე ამოიღო ლევროვი რაღა. ვა, შიშისგანით ქოროცის თავს დაევემგვანე და საცვლები მამეჩტალჩათ მოკრი გამიხდა ოფლისგნითა. სტოლპასავით გავშეშდი.

— რა გარბიხარ შე რაზბონიკო, ამ შუაღამისას ნაპადენია ხომ არ გაუკეთე ვისმესაო!

# „თავს უვლის“



ქმარი (ცოლს): რაშია საქმე, რომ დღეს სამსახურიდან ჩემს დაბრუნებას ასე ცივად შეხდი?! აკი უწინ კარებში მხვდებოდი და მკოცნიდი;?

ცოლი: ეხლა გრიპია და... კოცნას უნდა ვერიდო...

ქმარი: შვილოსან, გრიპი კი არა, ხოლერაც ვერ დაგაკავებდა, რომ დღეს ჯამაგირის მიღების დღე იყოს.

ვებნები—უსტა მილიციონ, ერთი შამ-მხედე რაღა, ბიდას რათ მაძლევ, მე ისეთი კაცი ვარ, რომ მაგისთანა კლევეტა მიყო?

— ეს ძაღლი ვისიაო!

— არ ვიცი ძმაოჯან ქრისტეს სახის მადლმა, ჩემი სიუმის მზემ ესე ჰაკარაკათ ამედევნა და ამას გაურბოდი მეთქი აძ აბესნენიაში რო ვართ, მეორე ძუჩიდან შუშტუკების კვრითა და ყალ-მაყალით დორნიკები არ გამიორბიან?

— დერჯი ემუ, ნი პუსკაი გრაბიტელჩიკ პაბეჟალო! ამ ჩვეხმა მილიციონმაც პირდაცირ ზედ გამადო ლევროვი და არ მიშვებს! დორნიკები ცოფიანებივით მოცვივდენ და იძახიან თუ, ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ ნუმერში ერთი კვარტერანტი ქალი გაცარცვესო და ჰაძაც აბესჩესტია უყვესო, გრაბიტელი აქ თ გამოგვეგცა და სლავა ბოლუ დვგიჰერიათო! არც აცაეს, არც აცხელეს და უჩასტკისაკენ არ გამაქანეს?! ვყვირი, ვეხვეწები, ვეფიცები, კაი ლაზ თიან ქეიფსაც ვპირდები. ჰამა, ყურს არავის მიგდებს. ხეპრემენი ხათაბალაში ჩავვარდი რაღა!

ამ უჩასტკაში ძაღლიც თან მოგვყვა. თურიე ეს ძაღლი დაკარგული ყოფილა და ერთ ჰაშარ დედაკაცს მილიციატი ზაიავლენია შაუტანია რომაო გამპარესო, ესა და ეს ნუმერი აბიაო, შავანი და მავანი პაროდაა და სახელიც ფლანი ჰქვიანო. უნახეს, ნომერი ისა აქვს, პრიმეტებიც ტოჩ-ტოჩია, სახელი დაუძახეს, კუდის ქნევა დაიწყო... ის ირთი, რომელიც რომ სტარში იყო მიყვირის:

— ჰაი, შე რაზბონიკო, გაძებდით და გიპოვნეთო, შენ პრაჟესიონალი ძურდი და რეციდივჩიკი ხარო, ეს ძაღლიც მოგიპარიაო, შეგიჩვევიაო და უკან დაგდევსო, ჰამაც ამ ორი საათის წინ ერთი ქალისთვის ნაპადენია გიქნიაო. ეხლა კი ველარ წაგვიხვალო.

ვებნები, კამისრებოჯან, თვენ იალლიში გამოგდით, მე. არჩაკ ყარყუმიანცი და ქურდი, ნაპადჩნჩიკ, რეციდივჩიკი? ეე, ცოტა ღმ რთსაც შახედეთ და! ტრიატში ვიყავი, სახლში მარტო წამოველ, აძ ძაღლს პირველათა ვხ დავ, ნუ რა უყოთ, რომ უკან მომდევს, ახოტნიკი ძაღლი ჩანს, იქნება ჩემი უკანა სიფათი მოეწონა მეთქი. მაგის შაჩვევა მე საიდან შემიძლიან, ათი წელიწადიია, ურწან კეკელას ვეკურკურები და ვერ შავიჩვიე მეთქი. ნაპადენია და აგრაბლენია აბა რა ჩემი საქმეა, დუქანი მაქვს, კაცს მეძახიან, ნალოგს მართმევ ნ' და საკეტის არჩევის ხება მაქვს, თქვენ რა აბიდას მაძლევთ მეთქი.

— მნოგა ნე ბალტაი, რეციდივჩიკ, მაგას სუდია გაიგებსო. მკრეს პანღური და უგალოვნი ზარაშოტკაში ჩააგდეს. ე-ეს, ნუღარ მკითხავთ, რაც მე იძ გადამხდა! ღმერთმა უშველოს, ისევ იმ სუდიამ რაზბორი ქნა და გამამიცხადა თრო იალლიში ყოფილა და სლაბოდნი ხარო.

ვა რა მაზალოა და! ჰალალ-მართალი კაცი დამწვეს, ორი კვირა ვირის აბანოში მამყოფეს და მერე მებნები-ან იალლიშიაო. მოდი და მაგათ ღმერთი სთხოვე. მაშ ერთი ლაზათიანი შტრაფი არ ეკუთვნით?

**ფარხადან.**

# „ალიმენტი"

გრიგოლ ბოცვაძე ახალგაზრდობის დროს მეტად ღარიბად ცხოვრობდა. მას არავი ნ იცნობდა, რომ პროტექციით მოწყობილიყო ადგილზე. ამიტომ იძულებული გახდა ფოსტის უბრალო ჩინოვნიკათ ემსახურა. ორმოცი წლის გრიგოლი უკვე კარგათ მოეწყო, ყველა გაიცნო, ყველას გაეცნო და წარჩიაებაც დაიმსახურა. გრიგოლს ცოლი არ ყავდა და არც ფიქრობდა ცოლის შერთვაზე. ბევრს უნდოდა გრიგოლის ცოლობა, განსაკუთრებით წარჩინების მიღების შემდეგ, მაგრამ გრიგოლი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე — ცოლს არ ირთავდა, მიზეზათ თავის ხნოვანებას ასახელებდა.

— რაღა დროს ჩემი ცოლის შერთვაა — ორმოცდა ერთი წლის შევიქენი უკვე; ადრე შემერთო, კიდევ ჰო, და ეხლა რაღა დროს ჩემი ცოლის შერთვააო" — იტყოდა ხოლმე ის.

ამნაირად გრიგოლი დარჩა უცოლოთ. მსახურებდა. კაპეიკს კაპეიკზე ადებდა და ქონებას იძენდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა გრიგოლმა მიიღო აღმასრულებელი ფურცელი, რომლის მიხედვით გრიგოლს ყოველ თვიურად უნდა ეხადა ალიმენტი. აღმასრულებლის განმარტება გრიგოლს სიცილათ არ ყოფნიდა, რადგანაც მას არც ცოლი და არც შვილი არ ყავდა.

სასამართლოს აღმასრულებელს გრიგოლის მიერ უარის თქმა ალიმენტის გადახდაზე არ გაჰკვირვებია, რადგანაც მის პრაქტიკაში ასეთი უარი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აღმასრულებელი უმტკიცებდა გრიგოლს, რომ ალიმენტს უეჭველად გადაახდევინებდენ.

გრიგოლს დავიწყებული ჰქონდა ალიმენტი, და მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა ბუხგალტერმა ერთი მესამედით ნაკლები ჯამაგირი გამოუწერა.

— კიდევ ალიმენტი! რას ამბობთ? რის ალიმენტი, როცა ცოლი არ მყოლია არასოდეს!? — ცხაროზდა გრიგოლი.

— მე არ ვიცი, ცოლი გყავდათ თუ არა, მაგრამ აგერ აღმასრულებლის ფურცელი მაქვს, რომ დავიქიროთ ყოველთვიურად ჯამაგირის ერთი მესამედი თქვენი შვილის სასარგებლოდ, რომელიც ქალაქ ბაქოში ცხოვრობს.

— როგორ ბაქოში?! რას ამბობ კაცო! რომელი ბაქო. მე ტფილისს არც კი გავშორებულვარ.

— არ ვიცი, აქ ასე სწერია და მეც მოგახსენებთ. ცოლი რომ არ გყოლიათ, ეს არაფერია, იქნებ ვინმეს შეხვედით დროებით და შვილი ეყოლა. ხომ იცით, ფაქტიური შეუღლების კანონი?! შეიძლება ის ქალი აქ იყო და შემდეგ წავიდა აქედან ბაქოში.

— რაო, რაო? ჰო შესაძლებელია. იქნებ მართლაც ასე მოხდა.

უკაცრავათ, ხომ არ სწერია მანდ ქალის სახელი ან გვარი?..

— არა, ქალის სახელი არ სწერია, არის მხოლოდ თქვენი შვილის სახელი და მისამართი.

მეტი გზა არ იყო, გრიგოლს ალიმენტი უნდა ეხადა.

ჯამაგირის ერთი მესამედით შემცირებამ, საგრძნობლად შეარყია გრიგოლის ბიუჯეტი.

ერთი წლის განმაელობაში იხდიდა გრიგოლი ალიმენტს. დაბოლოს კი მოთმინებიდან გამოსულმა გადასწყვიტა წასულიყო ბაქოში.

გრიგოლი ასეც მოიქცა.

მესამე დღეს გრიგოლმა ბაქოში ამოყო თავი, ინახულა ბავში და ქალი, რომელიც აღმოჩნდა ტფილისშივე მცხოვრებ სხვა ვიღაც გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბოცვაძის შვილი.

მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ გრიგოლმა, რომელმაც ამდენი შეწუხება გამოიარა და ნივთიერადაც დაზარალდა, გადასწყვიტა ამ ქალის შერთვა.

— „რადგან ამდენი ხარჯი გავწიე და წვალებაც ბევრი გამოვიარე, უმჯობესია ეს ქალი ხელიდან აღარ გავუშვა. ქალი ლამაზია, ბავშვი ხომ ერთი წელიწადია ჩემს მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა და ამაზე უკეთეს საქმეს აბა კაცი როგორ შეეყრება". — ამბობდა გრიგოლი თავის გულში.

გრიგოლმა მიიღო ქალის დასტურიც.

და ერთი კვირის შემდეგ გრიგოლ ბოცვაძე ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს აცნობდა თავის ახლად შეძენილ ცოლსა და ბავშს.

შ. გორისელი.

# ...შარჟი



ლერმონტოვი (ბარსკის): გმადლობ ვლადიმერ გრიგოლის-ძევ თქვენ და აგრეთვე სახკინმრეწვსაც... დავიწყებული ვიყავი და...

ბარსკი: უგულითადესი მადლობა ჩემგან მიხეილ იურიევის-ძეს; თუ არა თქვენ, მე ისევე ჩავფლავდებოდი ეხლაც, როგორაც ყველა ჩემს სურათებში...

# მოლოდინში

— სხვა, როგორ ბრძანდებით, ექიმო? — შევეკითხე ნაცნობ ექიმს, როცა მას ვიზიტი გაუკეთე და გახუნებულ სავარძელში მოვიკალათე.

— გმადლობ, გვარიანათ... ნელა თუ ძმა ხარ, სავარძელი არ დამიმტვრიო, პრუჟინები დაწყვეტილი აქვს.

— გამოცვალე შე კაი კაცო!

— გამოცვალე, მაგრამ ფული არ არის გენაცვალე.

— რატომ?

— პაციენტები არ არიან.

— რატომ? ავადმყოფების მეტი რაა ამ ქალაქში?

— არის მაგრამ, ექიმები უფრო ბევრია. მერე ხალხი ნაკლებათ ხდება ავად ამ ბოლო დროს. — შემომჩივლა ექიმმა.

— ეგ კი არ არის ლამაზი. გავეხუმრე მე.

— შენ ხუმრობ ყმაწვილო, მაგრამ მართლაც არ არის ლამაზი ეს ამბავი. წინათ, მახსოვს ხალხი სულ ავად იყო, ჩემი ნაცნობები ლოგინს არ აცივებდენ, ერთი ადგებოდა, მეორე წვებოდა, მეორე მოიკეთებდა, მესამე ჩავარდებოდა ლოგინათ და შემდეგ, ერთი სიტყვით პერპეტუმ მობილე იყო ავადმყოფობის, ახლა კი, ხომ ხედავ ჩემ აბსტახოვკას, როგორ მოძველდა, ჩემ ნაცნობებს იმდენი სინიდისი და ამხანაგური გრძნობა არა აქვთ, რომ თვეში ერთი ორიოდე დღით იავადმყოფონ და ამით ცოტა შემოსავალი მომცენ... ე-ეხ!..

— მართლაც რომ აღმაშფოთებელი ფაქტია. — დავემოწმე.

— მაშ კაცო! ზაფხული იყო და ვინც ავად იყო საავარაკოდ წავიდა. დადგა შემოდგომა, შემდეგ როგორც მოგეხსენებათ, დადგა ზამთარი. ვიფიქრე, თუ მომეხმარა ღმერთი, ახლა, თორემ საქმე გაჭირდა თქო. მართლაც, ზამთარში იცის გავრცელება ქუნთრუშამ, ყელჭირვებამ, სახადმა და სხვა ასეთებმა. შენც არ მომიკვდე! არავითარი მაგის მზგავსი; ავადმყოფობამ პირი მოგვქცია. წარმოიდგინე ეს ოხერი ჯანმრთელობის ორგანოები აპირებენ საქმეს თავის პროფილაქტიური ზომებით. გაჩნდება თუ არა რაიმე გადამდები სნეულება, ეგ ულმერთოები შეუდგებიან პროფილაქტიური ზომების მიღებას: ეს აცრაო, ეს ლექცია-საუბრებიო, ეს კინო, ეს გაზეთი, ერთი სიტყვით დაკვრითი წესით შეუტევენ. ამის შემდეგ, თუ ძმა ხარ, როგორ შეიძლება რომ პატიოსანმა ავადმყოფობამ ხეირი ნახოს ამ ქალაქში და ჩვენც — კერძო ექიმებს მოგვეცეს ხეირი.

— ჩემი აზრით კიდევ გაქვთ ერთი გამოსავალი. შევაპარე სიტყვა.

— რა, თუ ძმა ხარ, მითხარი, ნუ დამიმალავ!

— სულ ერთია, აქ ქალაქში ხომ მაინც ვერაფერს შოულობთ, წადით სოფელში, იქ იმუშავეთ. ჯამაგირიც კარგი გექნებათ და გამორჩენაც...

— აჰ! არა ძმაო, არ მინდა! წამოხტა ექიმი ფეხზე. სოფელში რა წამიყვანს? იმ ტალახის ზელას აქ სიკვდილი მირჩევნია.

— კი მაგრამ სოფელში კაი ცხოვრებაში ჩავარდებით; ჯამაგირი ბევრი, პურ-ღვინო რამდენიც გინდა, პატივისცემა.

— თავით რომ მარილი დამინაყონ მაინც არ წავალ.

— მაშ რას აპირებთ?

— არის კიდევ ერთი იმედი, თუ არ გამართლდა მაშინ არ ვიცი...

— რა იმედი?

— შემოსავლის.

— საიდან?!

— საიდან?! საიდან და ხომ იცი ვინ მოდის, რა მოდის! თუ ის ჩამოვიდა ჩვენშიაც, მაშინ ჩვენს — კერძო ექიმების ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— ვინ კაცო, ვინ მოდის? მენშევიკებს ხომ არ ელი?

— არა, რა შუაშია მენშევიზმი.

— მაშ ბოლდუინი ხომ არ აპირებს ჩამოსვლას?

— ეშმაკსაც წაუღია ბოლდუინიც და ჩემბერლენიც.

— მაშ ვინ მოდის კაცო, დელეგაციები რომ მოდიან ევროპიდან ხოლმე, იმას ხომ არ ამბობ?

— არა ძმაო, რა თავში ვიხლი დელეგაციას.

— მაშ ვინ მოდის, რა მოდის, ვის ელოდები ასე სასოებით?

— ვის ველოდები? გითხრა? ვის და... გრიპს. გრიპი მოდის. უეჭველად ჩამოვა, როგორ დაგვტოვებს. ევროპას მოედო, აქაც ჩამოვა. მაშინ მიყურე! ერთი ვიზიტი ათი მანეთი. დღეში ას მანეთს ავიღებ.

მერე რომ იცოდე, რა სიმპატიური ავადმყოფობაა, ყველას ედება და ისიც ძალიან ადვილად. ჩემი გრიპი, ჩემი გრიპუნია, გრიპოჩკა.

მოდის, მოდის... მობრძანდი გენაცვალე, კარები ღიაა... სოფელში მაინც არ წავალ... გაჰყვიროდა ექიმი ფერშალაძე და თან ხტოდა როგორც ბავში.

მე კარებისკენ გამოვემართე.

ქუჩაში კარგა ხანს მესმოდა ექიმის აღერსიანი ძახილი: სოფელში მაინც არ წავალ... მოდის ჩემი გრიპი... გრიპუშკა...

ალლარ-ალლარხან.



ლორის ვიჩინის დამზადების უფასო საშუალება თეატრის ბუფეტებში.

# პატა-მსახური



მიკიტანი (კატას): კიდევ მოუსვი ენა საინს და გასუფთავდება... მა რა ოხრობისთვის გაჰმევ პურს...

# ტელეფონი

— სადგური. სადგური.—მაღალი ხმით ჩასძახოდა ტელეფონის მილში ერთ-ერთ დაწესებულების გამგე—მარკოზ ტიკაძე, რომელსაც დაღლილობისაგან ისე ჩახრინწოდა ხმა, თითქოს ისპანახი უჭამიაო.

სადგურის მორიგეები: თამარა, ნინა, სონია და მარუსია ამ დროს ტკბილ ბაასში იყვენ გართული.

— არა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ქალიბო, რა მშვენიერათ გავატარეთ წუხანდელი ღამე. უ მენია ბილა ოდნა სტარაია, ძველის ძველი პადრუგა, რომელიც დიდი ხანია არ მენახა—ღიმილითა და ხელების ფათურით ლაპარაკობდა ნინა.

თამარამ დაწვრილებით გააცნო თავის ამხანაგებს ახალგაზრდა ვაჟის ვინაობა, რომელმაც უკვე აუხსნა სიყვარული. მარუსიამ ცხელ-ცხელი ჭოროები გამოაცხო ტელეფონის სადგურის დანარჩენ თანამშრომელ ქალებზე, რომლებიც, თურმე, მორიგეობის დროს ეარშიყებიან უცნობ ვაჟებს და უნიშნავენ ერთმანეთს პაემანს. სომიას კი მათ ლაპარაკში მიეყრდნო თავი ტელეფონის ყურზე და ტკბილად ჩასძინებოდა.

სხვადასხვა დაწესებულებები და მათ შორის მარკოზ ტიკაძეც ეძახის სადგურს, მაგრამ მორიგეებს თითქოს არც კი ესმით ზარის წკარუნი.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი ბაასი, რომ უეცრად არ შეეღო სამორიგეო ოთახის კარები უფროს თანამშრომელს, რომლის დანახვაზეც მორიგეებმა დაიწყეს მუშაობა. მათ ხმაურზე გამოეღვიძა სონიასაც და იმის მაგიერ, რომ აბონენტისათვის გაეცა პასუხი, დაიჩოქა და შეევედრა კედელს:—ოღონდ ნუ დამითხოვ სამსახურიდან და... ამხანაგებს ჩასქდათ სიცილი. ეხლა კი მიხვდა სონია, რომ ის სიზმარში ყოფილა და არა გამგის კაბინეტში.

დაურეკეს ტელეფონი.

— ცენტრალნაია.—უპასუხა თამარამ არა ბატონო, სადგური კი არა ცენტრალნაიაა... აპა, თქვენ სადგური გნებავთ. უჟე გატოვა...

— ბიჭო კოწია. არ გესმის კაცო. მეიხედე აქეთ ჰო. დღეს... ისმის ხმა ტელეფონში.

— ვინ ხარ კაცო, ვინ... კოწია კი არა მარკოზა ვარ.

— რა ჯანდაბათ მინდიხარ ვინცხა მარკოზა თუ მარტიუზა. მე სხვას ველაპარაკები, ნუ მიშლი ხელს.

— გოგი, თუ გიყვარდე-დაანებე თავი იმ დაპრანწულას იმასა, ხომ მხედავ, რომ მე რევნუიუ, როდესაც შენ მას ელაპარაკები—ისმის ქალის ხმა.

— გისმენთ სადგურის მორიგე—უპასუხა ვიღაცას ახალმა ხმამ.

მარკოზამ ამოიოხრა, „მადლობა ღმერთს"-ო სთქვა და დაუძახა:—შემიერთეთ, პაკალუსტა, 24—08.

— რაიო?

— 17—08 შემიერთეთ.

— კაცო, შენ სიცხე ხომ არა გაქვს? რა უნდა შეგიერთო! რკინის გზის სადგურის მორიგე გისმენთ, გესმით, მორიგე!?

— კი მარა, ვინ დაგიძახა, ძმია, რა გინდა. მე ტელეფონის სადგურს ვეძახი და არა რკინის გზისას.

— სლუშაი ნატელა, დღეს აუცილებლივ გამომიარე სახლში, ანი ტოჟე პრიდუტ და კარგ დროებას გავატარებთ.

— გოგი, ხვალ მოხვალ თუ არა. დანიშნულ ალაგას.

— კი მოვა კი, შენ ამოგიწყდა ოჯახი, კი—ისმის უცნობი ხმა.

— ჰა.

— რაო?

— გავარიტე!?

— გავარიმ, გაკარიმ, ნე მეშაიტე პაკალუსტა.

— გოგი, გესმის ხალხის ლაპარაკი.

— კი მესმის შენ გენაცვალე,—კი.

— რა ექნა, რატომღაც შენი ხმა აღარ მეცნობა. ხომ არ გაციებულხარ... ან იქნებ თქვენ სხვა ხართ.

— სხვა კი არა მე ვარ, გოგი მატრონაშვილი.

— აქამდე მიმხვდარიყავი შენ ამოგიწყდა ოჯახი—მიაძახა მარკოზამ და ჩამოკიდა მილი.

ცოტა ხანს შემდეგ, მარკოზამ, ხელმეორეთ აიღო მილი ხელში და დააპირა რა დაძახება, მაგრამ ტელეფონში იმდენი ხმაური ისმოდა, რომ ვერც კი არჩევდნენ ერთმანეთის ლაპარაკს.

— ანეტა, დღეს გამოგიველი, და თეატრში წავიდეთ, „ამერიკელი ძია" მიდის.

— კი გენაცვალე, წამოვალ მხოლოდ ისეთ დროს მოდი, რომ მარკოზა კრებაზე იყოს წასული, თორემ ხო იცი,—ეჭვს აიღებს და ჩვენს საიდუმლოებას ფარდა აეხდება.

მარკოზამ ამ ხმაზე ყურები აცქვიტა... ქალის ხმა კი ჩემი ცოლის ხმას ჰგავს, მაგრამ ის კაცი ვინღაა ნეტავ?!—ეკითხებოდა თავის თავს მარკოზა და ვერ დარწმუნებულიყო იმაში, რომ თავისი ცოლი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, ულალატებდა... კარგა ხანი უგდო ყური თავის ცოლისა და ვიღაცა კაცის არშიყობას და ბოლოს, როდესაც გაიგო თავისი ცოლის საიდუმლოება, ტელეფონის მილი გაუშვა ხელიდან, ჩაკიდა თავი და ნაღვლიანად სთქვა:

„ნათქვამია, ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო. მადლობა სადგურის მორიგეებს, რომ საშუალება მომცეს გამეგო ჩემი ოჯახის საიდუმლოება".

ვან-ნან.

# სატარტაროზო

## კიცხის თემი
### (შორაპნის მაზრა)

კოპერატივი დაკეტეს,
სიკვდილს გადაყვა წვალებით;
სხვაც ბევრი მოხდა აქეთკენ
რომ კაცმა ნახოს თვალებით.

შორს მოერიდენ სიარულს
დუქანი სკოლის გვერდშია;
ერმინეს ნახავთ მხიარულს
რომ სწვავს ფულების გერშია.

სოფლის გზებს არა ეშველა,
ვერ გასცილდებით ტალახებს.
გლეხის ცოლი და ბალღები
გზებზე გადადის მალაყებს.

პროვიზორს საჭირისუფლოთ
ფერშალი გაუჩენია
ღვინო, ჭიქა, და ყანწები
არსად არ დაურჩენიათ.

ტარტაროზ შევევედრებით—
გაგვიგოს რაც გვაწუხებსა
ლეო აძვირებს შიგრიმებს
საშიკო კიდევ წულებსა.

ვიგინდარა.

## ჩოხატოური

ჩოხატოურში ხშირია
ჩხუბი და აყალმაყალი;
ამიტომ შველა გვჭირია
და წყლულზე კიდევ წამალი.

საავადმყოფო ხომ ჩვენთვის
ალბათ რომ მეტი ბარგია,
რადგან ექიმი დოლიძე
სულ არაფერში გვარგია.

ღვინო, ლამაზი ქალები
მის დარდის გადამყრელია;
უცდიან ხშირად კარებზე
და შველას ტყუილად ელიან.

ან „კაბინეტში" არშიყობს,
ან კიდევ სადმე მთვრალია;
ასეთ ნაირათ ხალხს ბრიყვობს
ღვინოზე გადამკვდარია.

ტარტაროზ—წამოგვეშველე
იომართე შენი ჩანგალი
შორს სადმე გადაისროლე
მოგვწამლავს მაგის „წამალი".

ჭ-ელი.

## სადგური ბათომი

(ცნობილია აქ ყორჟიკა,
(ხარებავა გახლავთ გვარათ).
კედლის გაზეთს ხელმძღვანელობს
თვით კი გახდა ლაზღანდარა.

ლამაზ ქალებს თვალს ჩაუქნევს,
ეტყვის: „უნდა შეგიყვაროთ"
ან და ჩემი რისხვა ნახოთ
და თვალთაგან ცრემლი ღვაროთ.

იცით: „გაზეთს ვხელმძღვანელობ,
თქვენი სული ხელთ მიპყრია.
ვინც „ატკაზი" მტკიცა, იცით,
მათ ხეირი არ დაყრია".

საყუდშიაც ნახავთ კიდევ
არის მემანქანეები
ბერგერ, ოტტო, მეცხრიკაძე,
როგოვი და კვლავ სხვანები;
გალეშილი ცხადდებიან
მატარებლის მისაღებად...
(ცნობა არის უტყუარი
თუ ღირსია ყურადღებათ).
ტარტაროზის ჩანგალს კიდევ
ვერ აცდება ვანო სიმონ
გული რომ ბრაზით აივსონ
და თვალებიც დაისიონ.

ინგუში.

## სუფსისათვის

ჯარისმან და ერდიშხანი
აქ ცნობილი ჩარჩებია;
ნეტავი თუ დიდი ხანი
ასე მსუქნად დარჩებიან?!

მათთვის გლეხის ნაოფლარი
ჯიბის გამსქელებელია,
და მაცდური ოინები
თვალის დამყენებელია.

დაბაში რომ გაგვისუქდენ,—
სოფელს მიჰყვეს ახლა ხელი;
გლეხებს ზურგზე შესხდომიან
ჭამხდარან მის სისხლის-მსმელი.

სამიკიტნოც კი მოაწყვეს
„თვის გემოზე" ჩვენ დაბაში
დღე და ღამით ლანძღვა არის
და მუდამ კარტის თამაში.

ჯარისმანს გაიძვერობით
არ ჩამორჩება არც ქ-ლ-ი..
ტარტაროზ შენი ჭირიმე,
სად არის შენი ჩანგალი!?

კალამი.

## ბურჯაანი
### (სიღ. მაზრა)

თემსაბჭომ და ალმასკომმა
მოაგვარეს საქმე დიდი:
გაიყვანეს შარა-გზები,
შეაკეთეს ბოგირ ხიდი.

გლეხკომი გავს კუროპატკინს
უკან მიდის საქმე მისი
ხელმძღვანელნი მოიკოჭლებს,
სხვაც აქვს ბევრი დანაკლისი.

„ეპო"ფართლის მაგიერად
ეზიდება პუდრს და დუხებს;
ცარიელი ყაფაზები
გლეხს სულსა და გულს უწუხებს.

სასოფლო ბანკს არა უშავს,—
მაგრამ სძინავს მასწავლებლებს..
სძინავს გამგე ჭყონიასაც
და აგრეთვე მათ მეზობლებს.

ტარტაროზო, საჭიროა
ჩანგალი და შენი სუსხი,—
თემის ორგულთ დააფრთხობს და
ჩვენს გლეხობას გულს გაუხსნის.

უაითმაზ.

## ჯუმათი

პროფესიით მკერვალია,
უყვარს მუშტი-კრივი:
(მასაც უწევს ძაან ხშირად
ყბაში სილა ცივი).

შესაკერად რასაც მისცემ
დალუპულა ისა:
თუ გინდ იყოს ათი მეტრი
არ გამოვა ქისა.

ჩვენი სკოლის პედაგოგმა
დიდი წვით და დაგვით
შეიძინა ძლივს საპალტო,
(ჰქონდა ფერი თაგვის).

შეევედრა ამ ჩვენს მკერვალს:
—იყოს სრული ფართო,
რომ გამოდგეს ამ ზამთარში
საბნათ, ლებათ, პალტოთ...

ვადაზე რომ მიაკითხა,—
დახვდა შეუკერი.
პასუხია:—არ გამოდის,
მიტომ არ დავსჭერი.—

ელდა ეცა, თითქოს თავზე
ჩამოენგრა ჭერი...
ჰყვირის, სტირის პედაგოგი:
—ეს რად გადასჭერი?!

რად დამაფსე ოჯახ-ქორო?
რა ვქნა ამ ზამთარში?!—
მკერავი კი შემოუტევს:
—გაეთრიეთ კარში...

ასეთია ტარტაროზო,
ჩვენი ეს მკერვალი...
მისი მაგრად შეხურება
შენი არის ვალი.

ჩახუნდარიძე.

## სამტრედია
### (კუპლეტები)

**ჩვენი სადგური ტარტაროზ,**
მე ასე დავაფასეო:
ხან სამარეა ცოცხალთა—
ხან ქარბუქს დავამსგავსეო.
**(თევზმა სთქვა: ვიტყვი, მაგრამა
პირი წყლითა მაქვს სავსეო".)**

**თარალაშვილო სოსიკო,
(შინაურულად სიკოო)**
რეჟისორი ხარ და კლუბი
მთელად არ დაიბრიყვოო.
**(„ჭინკები გუდას ბერავდენ,
ღვინო კი არსად იყოო").**

ადგილკომის კაბინეტში,
მუდამ ჟამს ქარი ჰქროდაო!
ცანავას შემოულია.
რაღაც ახალი მოდაო.
**(„თაგვხა ბუმბულში აწვენდენ,
სოროში მიძვრებოდაო").**

ჩვენი „ეპო"-სა დიდება,
კუოდლელსა აეკიდება!
დღეს რომ „ბრძანებას" გამოსცემს,
ხვალ იგი უკვე იდება.
**(ამბობენ: „ქვასა მგორავსა
ხავსი არ მოეკიდება").**

**დეპოს უფროსი სისხოთი,**
მგონი დეპოზე მეტია!
მუშისთვის თითს არ გაანძრევს,
რომ დაჰკრა თავში ჰკეტია.
**(ვეტყვი: „მგლის შიშით, ცხვრის ფარა
აბა ვის გაუწყვეტია"?!).**

გეიმანს—ხიდის ინჟინერს
ერთხელ ვასმინე რეკაო!
და ახლაც ვკადრებ: — ბიძია,
ხიდს უნდა ჯამოჩეკაო.
**(„კაცი რომ იხარჯებოდეს.
აღარას არგებს დრეკაო")**

კაი ბიჭი ხარ კოსტავჯან,
მაგრამ ეს არა კმარაო!
პროფკავშირების ყრილობამ
ნეტავ რა დაგაბარაო?!
**(„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო")...**

**ჭაგნელი ბზიკი.**

# მეოთხე ცოლი

სწორედ მოგახსენო, ბატონო, ქორწინების ეხლანდელი კანონი მე ძალიან არ მომწონს... და ან რა მოსაწონია?! წავლეს, შენი ჭირიმე, ის რაღაც, (უკაცრაულია პასუხია, გამოთქმაც კი მეჩოთირება) მაჩში, რუსულად რო ზაქსი ჰქვიანო და დავთარში ხელს მოაწერეს, გეგონება კანდრახტი შეკრესო და მორჩა, დაცოლქმარდნენ! არც მღვდელი, არც დიაკვანი, არც სახარება და არც გვირგვინები, არც მეფე-პატარძალი ჩანს და არც იმათი მაყრიონი. ისე გამოვლენ ჩუმათ,—გეგონება გაბუტული არიან და ან სტკივათ რამეო.

ჰაი, დედასა! წინად რა კარგი იყო და! მაყრიონი წინ სიმღერით მიდიოდა, ეკლესია გაჩაღებული, მღვდელი დალოცავდათ: გამრავლდით ვითაარცა აბრამ და სარაო, იაკობ და ისაკიო და კიდევ ვინ იცის რამდენ ძველ წმინდანებს ჩამოსვთლიდა.

ჯვარის წერის დროს დიაკვანი რო სამოციქულოა წაიკითხავდა თავის ხრინწიანი ხმით... მე ის ბოლო სიტყვები ძალიან მომწონს: **„და ცოლსა ეშინოდეს ქმრისასაო“**. გაგიხარიან მე დღეს დავაყრიდი ხოლმე ჩემს ცოლს. სიტყვას რო შამომიბრუნებდა და არ გამიგონებდა, მაშინათვე მოვაგონებდი:—გახსომს დიაკვანმა რო წაგვიკითხა ეკლესიაში ქორწილის დროს: **„და ცოლსა ეშინოდეს ქმრისაო?“** მე ხომ ძალათი არ წავაკითხე შენს შესაშინებლად!? მოციქულს ეგრე დოუწერია—თან გულში ვფიქრობდი: უთუოდ იმ საწყალ წმინდა მოციქულს ანჩხლი ცოლი ეყოლებოდა და იმიტომ დაუწერია, თორემ რა ძალა ედგა!?

მართლაც და ცოლს რო ქმრისა არ ეშინოდეს, ერიჰააა; დედაკაცი რას არ ჩაიდენდა? ტყუილად კი არ არის ნათქვამი ჰკვიანი ხალხისაგან: თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა უღელი ხარი ველარ დაიმაგრებსო; ანდა; დედაკაცის თმა გრძელი და ჭკუა მოკლეო!

მაგრამ, ეხლანდელი ჯვარის წერა კი, უკაცრავად ჯვარის წერა კი, არა საქორწილო კანდრახტის შეკვრა, სულ სხვაა: დღეს რო შეიყრებიან, ხვალე გაიყრებიან. ერთი წლის განმავლობაში ზარე ათჯერ შაეყრებიან და გაეყრებიან.

ახლა რო ჰკითხავ რად გაიყარენითო, ათას სულელურ პასუხს მიიღებთ: ქალი ამბობს, რომ ხასიათით ვერ შევეწყენითო, ლოთი იყოო, ქაღალდის თამაშობა უყვარდაო, სხვებსა ჰყვარობდაო, ღამე გვიან მოდიოდაო, არ მაცმევდაო, უჯამაგიროდ დარჩაო, რადგან შეამცირესო და ბევრი ასეთები...

ახლა კაცს რო ჰკითხოთ, ის კიდევ ასე ამბობს, რომ ოჯახს ყურს არ უგდებდაო, სულ სარკის წინ იჯდა და იგლისებოდაო, გარედ გარბოდაო, ხან ვის აეტორლიალებოდა და ხან ვისაო, ერთავად ჩაცმა-დახურვაზე მეჩხუბებოდაო, მეზობლები სულ დალანძღა და ყველა მოიმდურაო, პაპიროზსა სწევდაო და... რა ვიცი კიდევ რას არ იტყოდა.

კაცო! ისე გაადვილეს ეს შეყრა-გაყრა, რომ ამას წინად ჩვენი მეზობელი ქალს რო ათხოვებდა, მეორემა ჰკითხა:—რამდენი თვით ათხოვებო... ვაიმე, ვაიმე, როგორ თუ რამდენი თვითა? ქვაბი ათხოვა, ვირი ათხოვა თუ გოდორი?! გათხოვება დროებითი კი არ უნდა იყოს, გათხოვილებმა ესე იგი ჯვარ-წერილებმა სიკვდილამდის უნდა ერთად იცხოვრონ.

პირველი ცოლი რო შევირთე სულ 23 წლისა ვიყავი, ჩემმა ცოლმა მშვენიერი მზითები მოიტანა. მაგრამ საწყალს სიჭლექე გამოაჩნდა და მალე დავქვრივდი. მაჭანკლებმა მოსვენება არ მომცეს და წლის თავზე კიდევ დავქორწინდი. ღვთის წინაშე, იმასაც კარგი მზითევი მოჰყვა. იმასთან ოთხი შვილი მყავანდა. მეხუთეზე რო დასაწოლი იყო, გაცივდა, რაღაც მოეკიდა და გარდაიცვალა. საწყალი ძალიან კარგი ადამიანი იყო: დინჯი, ცოტა ნასწავლიც იყო, ხელსაქმეც კარგი იცოდა.

აბა წვრილშვილს ვინ მოუვლიდა და ძალა-უნებურათ მესამე ცოლი შევირთე. ისეთი ქალია, ისეთი რომ ჯან-ღონით სავსე, სულ წითლად გაღუის. იმასთან ექვსი შვილი მეყოლა; გეგონებათ ზაკაზი აქვს მიცემულიო—ყოველ წელიწადს თითო-თითო ბიჭს ისვრის...

მაგრამ ამ წყეულმა იგეთი ხასიათი გამოიჩინა, რო სულ იმ მკვდარ ცოლებსა ვიგონებ. ეს შეჩვენებულ-წყეული ისეთ დღეს მაყენებს, რო ლამის სახლიდან გავიქცე, მაგრამ სად ჯანდაბას წავიდე? წამოავლებს ხელს სახრეს და თუ თავი არ გავარიდე, ნამდვილად მომკლავს. რამდენჯერმე გაუძალიანდი, მაგრამ მაჯობა იმ წყეულმა. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ის საწყალი წყნარი დედაკაცები ხელიდან გამომაცალა და ეს ანჩხლი და ქოფაკი კი თავზე მომახვია. ეს ოხერი ვერც შვილის შობამ მოდრიკა, არც არაფერი ავადმყოფობა ეკარება. ღვთისმშობელს მუდამ სანთელს ვუნთებ, რომ მომაშოროს ეს შეჩვენებული, მაგრამ ეს ოხერი თანდათან უფრო და უფრო სქელდება. სახრე კი არა, მუშტი რო მომიქნიოს მე ისიც მეყოფა, ფეხზე ვერ დავუდგები.

ეხლა კი მეცა ვფიქრობ წავიდე მაჩის ნაჩალნიკთან და ვთხოვო, რომ გამყაროს, ოღონდ ამას მოვრჩე და ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება. კაცო, სხვები მეათეს ირთავენ, კანონიერია თუ უკანონო ამას ვინა კითხულობს და რა ღმერთი გაუწყრება მე მეოთხეს შერთვის ნება არ მომცენ? მაჭანკლებს კი აღარ ვენდობი, იმათ დამღუპეს, იმ შეჩვენებულებმა.

**მათე.**

## „თვით მკვლელობა“



ერთხელ კოოპერატივში, სადაც გამგემ და ნოქრებმა ყველაფერი „შესჭამეს“ და ვირთხებს აღარაფერი დარჩათ, სარჩოთ, ამ უკანასკნელებმა სიმშილობის ნიადაგზე ბაწარზე კუდით თავი ჩამოიხრჩვეს.



ჯმაჯურას (ქიათურა): ცხრა წლედის შესახებ გვწერთ:

ზოგ მასწავლებლის მხრიდანა
საგნის გაცდენა ხშირია.
გაკვეთილ გაუცდენელად
არ გავა ერთი კვირეა.

ჩვენც ასე გეტყვით, ჯმაჯურა!
— ესე ამბავი ხშირია;
მაინც ვერაფერს გავხდებით
თუნდაც „მივამტვრიოთ ცხვირია".

უშბას (ზედა-ხუნწი, სენაკის მაზრა): თუ კი მასწავლებელ კოკიას ქოოწილში

სტუმრებმა სცემეს ერთმანეთს
აგლიჯეს ურთიერთს წვერია...,
კოლია დადის დღეს მარტო
როგორც გელათის ბერია.

ყველას მიუღია თავისი კუთვნილი, და ტარტაროზს რაღა დარჩენია აქ კიდევ განაჩენის გამოსატანად.

ეკლეს (ლაგოდეხი): გვწერთ, რომ იოსება ისაევი თავისი ცოლ-სიდედრით

კოოპერატივში მიმავალთ
გლეხებსა გზაში ხვდებიან
დატვირთულ გასასყიდლებით
დუქნისკენ ერეკებიან;
ნახევარ ფასადართმევენ
მათ ნაშრომს ოფლით მონაგარს;
ჩირის ფასადაც სწუნობენ
საქონელს გლეხის მონა ტანს...

აქ გასაკვირი არაფერია, — ასეთია ჩარჩის ბუნება და საქმენი... ხოლო გასა ვირი ის არის, რომ ისაევი ეპოს მადლიერი არ არის, მაშინ როცა

„ეპო"-ს დუქნიდან გატანილს
საქონელს იაფ ფასებით, —
ისევ მეორედ ჰყიდიან
ნიხრისა ორჯერ მატებით.
თან აფრთხილებენ ყველასა:
„ეპო"-ა უვარგისიო...
მობრძანდით, ჩვენთან ივაჭრეთ
ნუ ხართ მუშტარი მისიო.

ისაევი მართალია, როცა „ეპო"-ს უვარგისოპ-ზე ამბობს. თქვენი მათრახი „ეპო"-სკენ უფრო უნდა იყოს მიმართული, რადგან იგი ჩარჩებს აძლევს საქონელს.

ორ სუფსელს: სათითაოდ დასწერეთ და იქნებ რამე გამოვიდეს.

შურას (სამტრედია) მეტად უმნიშვნელოა.

დევნილ სიძეს (ტაბანათი) მართლაც ახალი არაფერია თქვენს „ახალ არაფერში". თუ თქვენ წაგიკითხავთ „ჩანგი", ალბად ნახავდით შიგ ამ ამბავს უკეთესად დაწერილს

## კონკურსი № 1.

ნახეთ სურათი პირველ გვერდზე, დაფიქრდით და გამოუგონეთ მას შესაფერისი წარწერა. დაჯილდოებული იქნება ორი წარწერა: ერთი— 30 მანეთით; მეორე—20 მანეთით. ამის გარდა გამოცხადებული იქნება აგრეთვე ხუთი წარწერის ავტორები.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება „ტარტაროზი"-ს № 90-ში. ამოსჭერით აქვე დართული ტალონი, შეავსეთ იგი და გამოგვიგზავნეთ.

სურათის სათაური . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
სურათის წარწერა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
სწორი მისამართი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ხელობა (პროფესია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# ორი მამლაყინწა

გერმანია-პოლონეთის ურთიერთს შორის დამოკიდებულება ისევ გამწვავდა. შეწყდა მათ შორის სავაჭრო მოლაპარაკება. (დეპეშებიდან)




ჰინდენბურგი და პილსუდსკი (ერთმანეთს):
მართალია: ჩვენ ერთმანეთს ვემსგავსებით მეტად დიდათ, —
მაგრამ მაინც ერთმანეთში ვერ ვიქნებით ძმურად, მშვიდათ...

ბლმასკომის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩა, 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 89 პარასკევი, 25 თებერვალი 1927 წ. № 89

23 თებერვალი 25 თებერვალი



ნ. რამიშვილი. რაშია საქმე მოქალაქენო, რამ შეგაშინათ! დემოკრატიის სახელით ფიცსა ვდებ, რომ აქედან ჩვენ ფეხსაც არ მოვიცვლით!

ნ. რამიშვილი. (ძუშას). რაშია საქმე, ამხანაგო, რომ ასე უზრდელათ ეპყრობით ჩემს აღმატებულებას?..



ჟორდანია: როდემდის ვათრიო ეს ქონება...

# ემიგრანტის გოდება

შირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ შავი ფიქრები.
ნეტავ თუ მუდამ განწირული ასე ვიქნები?
სად გაქრა ტკბილი მოგონება, თბილი ადგილი,
(„სულის ობლობა“, არ ყოფილა ხედავთ ადვილი).
საქართველოდან ხედავთ გვითხრა ყველამ უარი.
„უცხოეთში, რომ სიცივე გვკლავს, ხან კი უგარი“.
ტვინის უგარი და მასთან გვაქვს მუცლის ანთება...
გავხდი და წავხდი, ახ არ ვიცი რა მემართება...
შინ დავბრუნდები რამიშვილი გამიჯავრდება.
(ახ თავი ჩემი უპატრონოდ სად ჩაძაღლდება?!)
„ყველა ხარობს და იცინის მე კი სულ ვსტირი“,
ვტირი ცრემლით, რომ ამომევსო ბედკრულს ცხვირ-
პირი.
ტანზე ჭუჭყი მკლავს და თვალებიც მტვრისგან
მევსება.
შინ დავბრუნდები აქ რომ დავრჩე რას ემსგავსება...
შინ დავბრუნდები, მაგრამ როგორ, გროში არა მაქ.
თორემ ღმერთმანი ჟორდანიას ჯავრი არა მაქ...
ვიყავ „გუბერნსკი კომისარი გუბერნატორი“
შემდეგ მინისტრი—მბრძანებელი და მეფის სწორი.
დღეს როგორ ხედავთ, ყველგან ყველა ჩემი მტერია
რადგანაც „თავო ხედავ ბედი, არ გიწერია“.

ფელმა.

# ორის „საუბარი“

6 წელი შეგვისრულდა
რომ ჯიუტობ
რაღას ელი?
ეხლა დროა,
გონს მოხვიდე
და გახდე შენ
„ახალ-გზელი“.
არ კითხულობ
შენ „პრომოთეს“
რა უქნია
საზღვარ-გარეთ
პავლეს, ნიკოს
და კიმოთეს?
რუმინეთში უთქსიათ
მათ ბოლოკი
პოლონეთთან
კი შეუკრავთ
მტკიცე ბლოკი;
რომ გაივლის
ეს ზამთარი
აულერდება
შვების თარი,
რომ დადგება კვლავ
ივლისი
კარს მოგვადგება
ინგლისი...
უტყუარი ცნობა არის
ასე გვწერდა რამიშვილი,
თორემ აგვეწვა მუცელი
და სადღაც ჩაგვკლავს
შიმშილი.
— ჭორებია, ჩემო კარგო,
მეტი არ რა იცია,
რად დაკარგე
საბოლოოთ
ძველი ინტუიცია,
არც შეგფერის
ძველსა მებრძოლს,
იყო ბრმა, უვიცია,
ან რა წუნს სდებ,
ან რა წუნს სდებ
ამ მთავრობას,
რად ჩადიხარ
შენ აობას
თუ გგონია გზას უკაფავ
შენ რომელიმე თაობას?
გადახედე არე-მარეს,
ყველაფერი ააყვავეს
ახალი რომ ააშენეს
ძველი მთლად დაასამარეს;
იქ „ზაჰესი“,
აქ ბაღები
გაუმართეს ყველას ბრძოლა:
დააარსეს ყველგას სკოლა
გაუმართეს ყველას ბრძოლა
მე შენ გირჩევ
ჩვენთან მოდი,
მენშევიკო, ძველო კოლა!
მართალია ყველაფერი
გაახარეს ჩაგრულთ გული
დღეს აღარ მსურს სხვისა მზერა
ჭორებში ვიყავ დაფლული,
გაუმარჯოს ექვსი წლის თავს
შეუერთდეთ კომუნარებს
ჩვენ არც გვსურს და არც გვინდა
„რამიშვილი სად ამთქნარებს“.

მე—ვარ.

# მენშევიკების პანაშვიდი უცხოეთში

ერთ მოქმედებათ

სცენა წარმოადგენს ნოე ჟორდანიას ბინას

ნესტორ (მღერის თავისთვის და თან პატარა გალიას აკეთებს). უგუნურებამ, უმეცრებამ კლანჭი მაგრათ ჩაგვჭიდაო.

უცხო მხარეს გადმოგვაგდო, უცხო ხეზე დაგვკიდაო...

რეს გადმოგვაგდო, უცხო ხეზე დაგვკიდაო...

დიდი ნოე (დივანზე წამოწოლილი. სიმღერას რომ გაიგონებს, ჯავრობს). რა ძალა წაიღე შენ ოხერო, სიმღერით! ხომ იცი, რომ დღეს სხვა დღეა, კვიმატი დღეა და ცოტა სხვანაირათ უნდა თავის დაჭერა!

ნესტორ. რათ არის სხვანაირი დღე? მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვამჩნევ დღევანდელსა და გუშინდელ დღეს შორის. მზე დღესაც აღმოსავლეთიდან ამოვიდა და, გარწმუნებ, ჩვეულებისამებრ დასავლეთით ჩაესვენება.

დიდი ნოე (უფრო გაჯავრებული). კიდევ გადაკრული სიტყვები! როდის დაანებებ თავს კაცო მაგ მასხრობას?

ნესტორ. მასხრობას? რათ უნდა დავანებო? თუ იტყვი, რომ ეს ცუდი ხელობაა, რაღათ მეცილებით ამ ხელობაში? თქვენ ხომ ყველამ დიდი ხანია, ამ ხელობას მოჰკიდეთ ხელი!..

აკაკი (წამოვარდება ელდანაკრავივით). დასწყევლოს ღმერთმა შენი სახსენებელი!.. ყველანი ღრმა მწუხარებით ვართ შეპყრობილი და ეს ეშმაკის კერძი კი, ვერ ხედავთ, რა მხიარულ გუნებაზეა!

ნესტორ (ბოდიშებით). მაპატიეთ ამხანაგებო! მე მინდოდა თქვენს სულიერ განწყობილებაში, თქვენს დაღრეჯილობაში სიმხიარულე შემეტანა... კინაღამ დამავიწყდა, რომ დღეს ჩვენი საერთო უბედურების მე-8 წლის თავია. მაგრამ, გარწმუნებთ, რაც უნდა ვილაპარაკო, რაც უნდა მხიარულათ მოგაჩვენოთ თავი, გული ჩემი, სწორეთ ისეა, როგორც თქვენი, უდიდესი მწუხარებითაა დალარული.

(ისმის ზარის ხმა. ყველანი ფეხზე წამოდგებიან).

დიდი ნოე. ვინ უნდა იყოს ამ დილა ადრიან?

აკაკი ნოე იქნება, რამიშვილი, სხვა ვინღა დარჩა ამ წყეულ შვეიცარიაში ჩვენი უბედურების თანამონაწილე!

ნესტორ. ის არის სწორეთ! ხედავთ როგორ ამაყათ გამოიყურება! ასე გგონია კვლავ დემოკრატიული საქართველოს მინისტრი იყოს... ნამდვილათ კი გუშინ ორი საათი გააყანათლა ბელგიის ელჩის დერეფანში და კაბინეტში შესვლის ღირსი ძლივს გახადეს...

ნოე რამიშვილი (შემოდის). ეგრე გეგონებათ! გუშინწინ, ალბათ, ყავა არ დავლიე. ამხ. ვანდერველდეს პირად მდივანთან! მერე რა ყავა!ანტიკა იყო, პირდაპირ ანტიკა!

ნესტორ (გაკვირვებული). ყავა დალიე ვანდერველდეს პირად მდივანთან? ბარაქალა, მედაჩემმა ღმერთმა. ბარაქალა! არა გევხარ აკაკის, რომელსაც, ამ ბოლო დროს ისე გაურბიან დიპლომატები, როგორც ქეციან ძაღლს. მიდგომა არ იცის, მაგ უბედურმა, მიდგომა! ჩაივლებს თუ არა ხელში ვინმეს, არც აცივებს, არც აცხელებს და მოყობა თავის წილადობილას: თქვენ ვალდებული ხართ დაეხმაროთ საქართველოს დემოკრატიას, რომელიც გმინავს და სხვ..... ან და ახე: მოსკოვის მთავრობამ შეიმუშავეს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ შემოტევის ახალი გეგმა: ისინი დაუკავშირდნენ ჩინეთის ნაციონალისტებს, ინდოეთის სვარაჯისტებს, ლონდონის—სუფრაჟისტებს, ოსმალეთის ფაშისტებს... შექმნეს მთლიანი ფრონტი და უნდათ თქვენი დანგრევაო... საქართველოს დემოკრატია და მისი დემოკრატიული მთავრობა მზათ არის დაგიფაროს თქვენ ბოლშევიკური ხათრეხისაგან... მაგრამ მას უჭირს ფული, სულ ორი მილიონი ფრანკი საკმარისია.:: თუ ამას გაიღებთ, ბოლშევიკები ვერაფერს გაბედავენ...

აკაკი (გაჯავრებული მივარდება ნესტორს). ვისზე ამბობ ყმაწვილო მაგას! ვინ არ იცის მიდგომა? ნოე რამშივილ მჯობია მე დიპლომატობაში!

ნესტორ. სწორეთ რომ გჯობია!

აკაკი. რით? იმით რომ ვანდერველდეს მდივანმა ერთ სტაქან ყავაზე მიიპატიჟა? მე ლორო, ყავა კი არა, რაც მაშხი და ძეხვი იყო ჩვენიგავლენიანი ამხანაგების საკუჭნავთში სულ მე შევჭამე, ფულიც ბევრი ვიშოვე, დაპირებაც ბევრი მომცეს, მაგრამ რა! ჩვენ ისევ-ისე გატეხილი ვარცხლის წინაშე ვდგევართ და ჩვენ უბედურებას დასასრული არ უჩანს?

დიდი ნოე. გეყოფათ ყმაწვილებო ჩხუბი და აყალ-მაყალი! გახსოვდეთ რომ მტერი ჩვენი, რომელიც აგრეთვე მტერი არის განათლებული ქვეყნების დემოკრატიის, კვლავაც ძლიერია. შეიძლება ითქვას, უფრო ძლიერი, ვინემ იყო ექვსი წლის წინათ, როდესაც...

ნოე რამიშვილი. როდესაც შენი ხასიათის სისუსტის გამო, ჩვენ იძულებული გავხდით იარაღი დაგვეყარა მტრის წინაშე და უცხოეთში გადმოვხვეწილიყავით...

ნოე. თუნდ ასეც იყოს... ამით ხომ საქმის ვითარება არ იცვლება!

ნოე რამიშვილი. და არც შეიცვლება, სანამ ჩვენ არ გადავდგამთ გაბედულ ნაბიჯებს....

ნესტორ (თავისთვის). კვლავ აჯანყების მოწყობა თუ უნდა ამ გადარეულს... ეტყობა ზურგი აქავებია და საბაჟოზე ქარებს უნდა მიადგეს.

აკაკი (ნოე რამიშვილს). მე ვერ გამიგია ყმაწვილო, რის იმედი გაქვს, რომ აგრე მაგრათ ლაპარაკობ! ან ვის უჯავრდები, ვის ამტყუნებ ჩვენს უბედურებაში! ამ ექვსი წლის წინათ, ძალაუფლება, რაღაც ძალა-უფლება იყო, მთლიანათ შენ ხელში იყო. მართალია ჩვენც მინისტრები ვიყავით და ზოგი ჩვენგანი მინისტრებზე მეტიც (დიდ ნოეს გადახედავს), მაგრამ ყველას შენ ბაჟშვივით გვათამაშებდი, ჩვენ არაფერს გვეკითხებოდი, და, როცა საქმე წახდა, ჩვენა გვთვლი ამაში დამნაშავეთ?

ნოე რამიშვილი. სწორეთ თქვენ! აკი შენი პირითა სთქვი —ჩვენ მინისტრები ვიყავით, მაგრამ რესპუბლიკის ბედ-იღბალი მთლათ შენს ხელში იყოვო! მეც მაგას ვამბობ! თქვენ ჯამაგირებს იღებდით, სახელმწიფო კი ჩემს კისერზე იყო და, რა გასაკვირველია, ველარ გაუძელი და წავიქეცი...

დიდი ნოე. ისე ღმერთი შეგარცხვენს! მაშ ჩვენ ვირისთავები ვყოფილვართ! რაღაზე მოდიხარ ჩვენთან? წადი და ჰქმენ ისე როგორც გინდოდეს! (გაჯავრებული დადის ოთახში)...

ნოე რამიშვილი. (ხმამაღლა) რაშია საქმე კაცო! რატომ გაბრაზებით ლაპარაკობ. ნუ თუ მთლათ გადაგიწყდა იმედი და სასოება!! ასეთი სულმდაბლობა არ შეშვენის დემოკრატიის დიდებულ ბელადს!..

ნესტორა. მედა ჩემმა ღმერთმა, როგორ შეშვენის! გაგვიძეხ წინ, დიდო ბელადო და დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენს ძარღვებში კვლავ სჩქეფს ძველ ივერიელთა სისხლი და საგულეში კოლხელთა მძგნებარე გული ბუდობს... გაგვიძეხ.

ავთანდილი (რომელიც ამდენხანს კუთხეში იჯდა და კამათში არ ეროდა). დიახ. გაგვაძღე ბელადო, თორემ მშივრებს როგორ უნდა ვიბრძოლოთ!

ყველანი იცინიან. (ნესტორის მეტი).

ნესტორ. ჩუ... როგორ ბედავთ დღევანდელ დღეს სიცილს. ნუ თუ დაგავიწყდათ 25 თებერვალი!

ავთანდილი. რა ეშმაკი დამავიწყებს მაგ თარიღს! იმ დღეს იყო სწორეთ, რომ ხუთი ყუთი რძიანი ფოხსერვი, ოცი ფუთი შაქარი ორმოცი წყვილი ფეხსაცმელი, 25 შინელი და სხვა ბევრი რამ საშკაული მივზიდე გვარდიის საწყობიდან ჩემს სახლში... დედა, დედარავა ოხრათ ექარა იმდენი ქონება! ყველანი გარბოდნენ და მე რომ ჭკუა მქონდა, ერთი მილიონის საქონელს მაინც ჩავიგდებდი სულ ადვილათ ხელში. მაინც,სულო ცოდვილო, უკაცრავათ არ დავრჩენილვარ და რაც წავიღე სრული ორი წელიწადი მეყო...

ისმის ზარი

დიდი ნოე. ვინ უნდა იყოს!

ნესტორა. ვინმე ჩვენი ოხნრი იქნება! მაშარა-და ამერიკის ელჩი მოვიდოდა ჩვენთან სამძიმრის გამოსაცხადებლათ.

შემოდის ფოსტალიონი.

ფოსტალიონი. დაზღვეული წერილი გახლავთ ამერიკიდან.

ყველანი. (სიხარულით გამოსტაცებენ ხელიდან წერილს ფოსტალიონს).

ნოე რამიშვილი. (ბრძანების კილოთი). აქ მომეცით წერილი.

დიდი ნოე (გახარებული). ეს ულვაში მომპარხეთ თუ ეს წერილი კაროლისაგან არ იქნება გამოგზავნილი! ახდა, ახდა ჩემი სიზმარი.

ნოე რამიშვილი (საჩქაროთ ხსნის წერილს და ათვალიერებს). ეს არის სწორეთ... ამერიკელი მილიონერის ქვრივმა შემოგვწირა ორასი დოლარი...

დიდი ნოე (სიხარულისაგან სტირის). ოჰ, რა ბედნიერებაა, ქვრივებიც კი გვეხმარებიან დემოკრატიის განთავისუფლების საქმეში! აი, რას ნიშნავს, მეგობრებო, დემოკრატიული ქვეყანა, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი! მეხი კი დაეცა რე ამხ. ვანდერველდეს და მაკდონალდს, რომელთაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ქართველთ დემოკრატიის სასარგებლოთ, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ —ბოლშევიკებს ვერ ვაწყენიებთო.

ნოე რამიიშვილი. სმენა იყოს მეგობრებო, სმენა! (განაგრძობს წერილის კითხვას). ნავთის სინდიკატის მდივანმა გადმომცა 1000 დოლარი, ავანსის ანგარიშში... ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსმა შემოგვწირა 800 დოლარი... სულ შეგროვდა...

ყველანი (მოუთმენლათ). რამდენი?—რამდენი შეგროვდა?

ნოე რამიშვილი (განაგრძობს კითხვას). სამი ათასი დოლარი... აქედან მე ავიღე 800 დოლარი საკომისიოთ, დანარჩენს გიგზავნი ამხანაგეო.

დიდი ნოე. სად არის კაცო, ფული? რატომ წერილში არ არის?

აკაკი. ფული წერილში რათ იქნება? წერილში ბანკის ჩეკი იქნება უხათუოდ.

ნოე რამიშვილი. დიახ, აქ არის.

ავთანდილი. (გაკვირვებული) რათ, რა თქვი კაცო, 800 დოლარი მე ავიღე საკომისიოთო! ასეთი დიდი კომისია ვის გაუგია!

აკაკი. შეარგოს ღმერთმა! ნახევარ რომ გამოგვიგზავნოს, ზარალში ვიქნებით?

**ნოე რამიშვილი** (კალნიერებით). დაილოცა ისევ გურული კაცი! ხალხნო, არ გიკვირთ, როგორ გაიკაფა ამ ვასილამ გზა ამერიკელ მილიონერებში! თუ გვიშველა რამე, ისევ ამერიკელი დემოკრატია გვიშველის, ისევ ვასილა დაგვიხსნის გაჭირვებიდან, თორემ შენი მტერია, ჩვენ შიმშილით დავიხოცებით.

**ნესტორ.** ჩვესი რა მოგახსენოთ, და თავის-თავს რომ კარგათ შველის ეს ეში ვალია, ეს კი ცხადია. სულ ორ წელიწადში მილიონერი გახდება უსათუოდ! (თავის-თავს) ნეტავი მისი ნათესავი მაინც ვიყოს!

**ნოე რამიშვილი.** ააშენა ღმერთმა, მისი ოჯახი! ამ მწუხარების ჟამს და სამწუხარო ისტორიული მოვლენის 6 წლის თავზე იმან მოგვფინა სიხარულის სხივები. თუ ფული გვექნა, მე ვიცი როგორ გავაჩაღებ ანტი-საბჭოთა კამპანიას აქაც, იქაც, მარჯვნივაც, მარცხნივაც, აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც.

**ნესტორა.** (მღერის) უგნურობამ, უმეცრებამ, კლანჭი მაღლა ჩაგვჭიდა....
უცხო მხარეს გადმოგვაგდო, უცხო ხეზე დაგვკიდაო.

**ავთანდილ** (ისიც მღერის). უფულობამ, უგულობამ, ცუდი საქმე წაგვკიდაო.
ვისაც ვსთხოვეთ შემწეობა, ყველამ გვითრა არ გვინდაო,
ვასილი კი გვაიმედებს—ამერიკა დაგვპირდაო.

კოლონა.

# მენშევიკური „დამოუკიდებლობა“




იქნებ ჩემი ბედაური, ევროპაში გავასაღო?




ევროპას ვერ შევატყუე, საბლინთანაც უნდა ვცადო?

# „გ ა დ ა ვ შ ჩ ი ნ ა“

### (ქარხალოვის მონოლოგი)

— ნახე ამ ბემურაზ კომუნისტებს რა დორანი დაეცათ?—ციცირის კეერცხივით ისე კრეპკათ გამაგრდნენ, რომ გადავშჩინა, გადავშჩინაზე უდგებათ; სლოვოძ, სულ პრიზნაკებში არიან რალა!

აი, ეხლაც დიდი ჩირთი-ფირთები შერებიან მთელ ქალაქში ლიხტრიჩესკი ლუმინაციებს აკეთებენ. ასმა შაიტყეთ რალა ექვსი წლის სავეცკი გადავშჩინა შაგვისრულდაო, ეხლა ძალიან გავმაგრდითო და ჰამაც დიდი დასტიჟენიები გავაკეთეთო, მტრებს უნიჩტოჟი ჟუკავითო და ჰიეროპიატ ძალიან დავაშინეთო. ყველამ ჩვენთან თითი მოკაკვა და ეხლა თუ კიდევ სადმე ჩვენი ორგული დარჩენილხართ, ნეპრემენი პრეზნარია უნდა გვიყოთ.

ვა: ბემურაზ, გიცნო რომელია, ახაო ვიზიტნი კარტიჩკას ხომ არ გაუგზავნი თუ ბოლშევიკებოჯან, იცოდეთ, მე, გარეგინ ქარხალოვი გცნობთ. ბალი-ალა გებნებით და ისკრენი ღრაჟდანინი გიხდებით მეთქი?

მიცვნია რალა: თავიდანვე მიცვნია! კაცს არ ვიცნობდე ამოტოლა სასტაიანიას ისე მივცემდი? ორი სახლი ჩამომართვეს, და ჰამბალა მუშებს გადასცეს. ჩემ მაღაზიაში კაპერატია გააკეთეს და საქონლის მაზანდა დააფოლეს.

ახარ ჩვენთვის ატკრავენათ რო ვთქვთ, ჰუზურში სხვა აჲიდანიებიც მქონდა: მებნებოდნენ თუ—გარეგინ, ფლანი და ფსტანი გასუდარსტვა მოდისო, ზღვაში უეე ფლაგიანი გემები დადიანო, ზნაჩიტ, ჩადეჟნა იმედია. არა რომ მაგათ ხელში არ ჩაგვყრიანო! გაუძლოთ მაგ ბემურაზებს. მაგათი კანეცი სამ-ოთხ თვეში იქნება და რაც რომ მიგვიცია, დვაინოვათ მოგვცემენო. ჰამაც ლაპარაკობდნენ თუ

— მაგათ მარტო დანგრევა შეუძლიანთო, სტრაიტელსტვა არ იციანო, რაცა აქვთ, მაასპობენ და პუპუზ, ისევ წავლენო.

ჩაივნი ვიყავი, მჯეროდა, გული კრეპკათა მქონდა და უცდიდი!..

ბან ჩუნის, რის ოთხი თვე, რის ქუფთა და ბოზბაში!?. ოთხი თვე გავიდა, წელიწადი მოვიდა, მეორე წელიწადი წავიდა, მესამე შესრულდა, მეოთხე გათავდა, მეხუთე მორჩა და პუპლუზ. ექვსი წლის გადავშჩინა დღესა აქვთ?

ნუ, მახლაზ, ყისმათია რალა, ყისმათს პრიმირენია უნდა!

შართლაც, რომ რაზრუშიტელები ყოფილან ეს ბემურაზები: დაანგრიეს ჩემი ბუკეტივით ოჯახიც, შიგ რაზდორი და რაზნალლასია შამამიტანეს და ბოლოს ისეთი საქმე მიყვეს, რომა სახლში ბაბილონსკი ბაშნია ამიშენეს:

ჯერ იყო და ჩემი ცოლი ოსანა მოდებს აჰყვა. ჟენადელს შეეჩვია. ჩიქილა მაიხადა, და შლაპკა დაიხურა, ბოლოს ისიც მაიგლიჯა და თმები შააკრეჭინა ასმა—ახალ ცხოვრებას პირდაპირ შაგში უნდა მივყვეო. ოჯახზე გული აიყარა, კლუბებზე და დაკლადებზე ფოშტის ცხენივით დიქენაობს და სახლში გათენებისას მოდის.

ეს ჩემი ლაწირაკი შვილი არშაკა, პიონერცკი შკოლაში შავიდა, ჩემი ქალი შუშიკა კომსომოლკა გახდა.

ამას წინათ ვეკითხები.

— გოგო, შე მიწაგასახეთქო, ამტოლ ხანს სად იყავი?

— ამხანაგებში, პაპაჯან, იქ ახალმოდნი ფიზიჩესკი უპრაჟნენია ვაკეთებდითო.

— ვინ აზრიან შენი ამხანაგები?

— ახალგაზრდა ფიზკულტურნიკი ვაჟებიო!

— ვებნები: გოგო, ამ ბიჭებში ფიზიჩესკი უპრაჟნენია შენ რა ხეირს დაგაყრის, ჯერ თექვსმეტი წლისა ხარ მიწას არ ამოსცილებიხარ, ოჯახს რაზე მირცხვენ მეთქი?.. ვა, მტრისას რაც მე დღე დამადგა: აქედან ოსანა მამვარდა, იქიდან არშაკა, ეს გოგოც იმთ მარაქაში შეერია და პირდაპირ ნასტუპლენია გამიკეთეს:

— შენ ეხლა ძველი სტროა ხომ არა გგონია, რომ ისეთი ტირანია გვიშვრებიო? ეხლავე იაჩეიკაში წავალთ და ჰამაც მთელი შენი კანტრევოლიუციას, გაზეთში ჩავაგდებთო, არ იცი, რომ ახალი დროა, ახალ ვეიანიაში ვცხოვრობთ? ეხლა ოჯახის მონები კი არა ვართ აბშესტვენი რავნაპრავნი ჩლენები ვართ!

ვა, ენა ყელუდკაში ჩამიგდეს რალა, რას ვიზამდი? ერთი სიტყვით ამ სატანჯველში ჩამაგდეს, ჰამაც ზედ დაუმატე რაც ჩასტნი სობსტვენიები ჩამომართვეს?

ახარ თითონ კი რა ქნეს ამ ექვს წელიწადში?

ვა, რაც მართალია, მართალია, მაგათგნით ჯიგარი დამწვარი მაქვს, ჰამა, მაინც ატკრავენი უნდა ვთქო: ქრისტიანო, მაგ ბემურაზებმა რამტოლი ჰუნარები და მარიფათები გამოიჩინეს, მთელი ზაოტები მამენტალნათ გაალეს, პრაიზვოსტვა გააცოცხლეს, ეს ქალაქი დაპლანეს და ძველი, ჯაგლაგი სახლები ისე გადაალაგ-გადმაალაგეს, გეგონება ლოტოს კოჭებიაო. წინათ სიონის ქუჩაზე რომ ჩავივლიდი ხოლმე, აქკებს ვიკეთებდი და წინ ვიყურებოდი, ნავსტრეჩნათ მსხვილი კაცი არავინ მოდიოდეს და ამ ვიწრო ქუჩაში ერთმანეთს მუცლებით სტალკნავენია არ გაუკეთოთ მეთქი. ეხლა ნახე რა ქნეს? ისეთი შოროქანი გააკეთეს, რომ ზედ პარახოტები ჩაატარო, გვერდის ახვევა არ დაგჭირდება.

მაგრამ რაც გლავნია ის კიდევ სხვა არის, ის ლიხტრიჩესკი სტრაიტელსტვაა. სადაც კი წყალი დაინახეს, ყველგან ლიხტრიცკი ზაოტი ააშენეს! შენ ზაგესი თქვი! ამობენ თუო ეს ისეთი რამეა, რაც რომ მთელი პერევაროტი უნდა ქნასო: მთელი ქალაქი, მთელი სოფლები ლიხტრითიკაცია უნდა ქნან, ახალ-ახალი ფაბრიკები გაალონო და ეს ჰოტროველა მუშები და ტეტია გლეხები სულ პრაჟიხტორივით უნდა გაანათონო!

ახრიზამანში ისე გამოდის, რომ ჩვენი აშიპკა იასნია, ეგენი აქედან წასვლას არც აპირებენ და ის ფლაგიანი გემებიც ზღვაში თურმე ჩვენთვის არ დადიან! ჩვენ ეგენი ახლოს აღარ გვიკარებენ და ამ ტრუდოვი ნასელენიას კი ხამოთხესა ჰპირდებიან. ნუ სლოვომ, მე რომ გულში მაგათგნით დიდი აზიდა არა მქონდეს, მაგათ პლატფორმაში მეც დავიდოდი, ჰამა ცოტას კიდევ დაველდი, იქნება თვითონ შემეხვეწონ, მე მაგათა ვცნობ, ჰამა მაგათაც უნდა მიცნონ თუ არა?

ფარსადან.

# რადიო-ჭორი



იცი მალე ომი იქნება! ამ ორ კვირაში...
ვაა!.. მართლა?... შაი გვეშველა!

# დ უ ე ტ ი

**პირველი:**
გამარჯობა ვანო,
მითხარ, მოხვალ სიდან
თუ გაიგე ძმაო
რამე ევროპიდან?...
**მეორე:**
არაფერი, სანდრო
თუმცა ისმის ხმები
ვგონებ ვერას გახდნენ
ეხლაც ჩვენი ძმები...
ექვსი წელი გადის
გვესმის მხოლოდ ჭორი,
ისევ ვიხევთ უკან
როგორც დიდმის ჯორი...
დროა მივატოვოთ,
ჩვენ აზრები ძველი,
საჭიროა გავხდეთ
ყველა „ახალ-გზელი"...
**პირველი:**
იცი, ჩემო სანდრო,
რას ამბობენ ეხლა?
გაზაფხულით ადრე
მოხდებაო შეხლა...
პოლონეთში თურმე
შეადგინეს ბლოკი:
კომუნისტებს უნდა
წაუჭირონ თოკი...
**მეორე:**
ვაი ჩვენი ბრალი,
ვაი ჩვენი ცოდვა,
მართლად მიგვაჩნია
რამიშვილის ბოდვა...
დროა გონს მოვეგოთ
დავიფხიკოთ ყური,
სულ არ დავივიწყოთ
მშრომელთ სამსახური...
გაახილე თვალი,
რა კეთდება ყველგან,
ამის მესხედი
სადღა იყო ჩვენგან?...
რაც გვატყუეს დღემდე,
ჩვენთვის ისიც კმარა,
ან რამდენი სისხლი
ტყვილად დაიღვარა...

*ქორიდა.*

# ს ა დ ღ ე ი ს ო
(პაროდია)

არ მაქვს ფული და არც თბილი ოთახი;
(ეს არ ვარგა მამიჩემის ცხონებამ,
როცა ჯიბე გაჭრილია ოთხადა)
აბრალოა უბიანაოს ცხოვრება.
უნაბდოთ მთლად გამეყინა გვერდები:
ზამთარს ალბათ როგორ გადაურჩები,
ო, მიშველე, ღმერთო შენ გევედრები
ჰოი, ქარო, შენ რაღას მეურჩები
სამსახური მაინც მომცა ნეტავი.
თბილად მაინც გავატარებ ზამთარსა;
ო, საწუთრო რისთვის გამომედევე,
და სიცოცხლე რისთვის... რად დამითარსე?
უწინ დროში ბევრი ვნახე ხეირი.
უდარდელად ვატარებდი დროებას.
მქონდა მუდამ ღვინო თვალის სეირი,
მქონდა მაშინ ლხინი და მყუდროება...
მე არას დროს არ მიხნავს—მითესია,
თავადისთვის მითხარ გეთაყვანები,
ხვნა და თესვა რა რიგი და წესია,
მაგრამ როცა ჩამომართვეს ყანები
მაშინ, მაშინ დარდები მომესია.
დღეს სად მძინავს მე თვითონაც არ ვიცი;
ეხლა აქ ვარ ამ დასაქცევ ქალაქში,
შიმშილისგან ლამის არის წავიქცე
რომ დავდივარ ამოსვრილი ტალახში...
შემომეხა ახალუხი და ჩოხა,
შემრჩა წელზე დაჟანგული ხანჯალი;
განვიზრახე მტკვარში თავის დარჩობა.
ანდა ხეზე დავეკიდო ხვანჯარით.
წინად ვიყავ ჩვენს მაზრაში პრისტავი,
გაჭედილი ჩინ-მენდალ—პაგონებით;
ვიყავ მაშინ მეფე და ერისთავი
მომდიოდა ქრთამი მე ვაგონობით.
რა ვქნა, ეხლა, ძმებო, ნეტავ ვიცოდე.
ვის მივმართო: კომუნისტურ პარტიას?
ვიცი ეხლა არვინ არ შემიცოდებს!..
ისიც კმარა რაც ცოდვაც მაპატიეს.
უნაბდოთ მთლად გამეყინა გვერდები;
ზამთარს ალბად ველარ გადაურჩები,
ო, მიშველე, ღმერთო, შენ გევედრები....
ჰეი ქარო, შენ რაღას მეურჩები...

*ზორბა.*

# მოწყალება მოიღეთ



ემიგრანტი:—შემოსწირეთ რამოდენიმე კაპიკი ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად!

ბურჟუა:—ეჰ! დალოცვილო, მილიონები დავხარჯე მათ წინააღმდეგ და არაფერი გამოვიდა და კაპეიკები რას უშველის!

# 24 ~~25~~ 26

## ემიგრანტის სიზმარი

შავად, თეთრად და შინდისფერად მოფენილ-მოგებული დიდი ოთახის შუა ადგილას, კედლის ახლოს მიდგმულ მაგიდასთან რბილ სავარძელში ხალვათათ მოთავსებულიყო საკმაოდ ხანში შესული, საშუალოზე უფრო მაღალი აგებულებისა, მოგრძო პირისახისა და ზედ ბოცორიკა წვერის პატრონი, გამხდარი და შავგრემანი კაცი. იდაყვზე დაყრდნობილი ხელი შუბლისთვის ბურჯივით შეედგა, ხოლო მეორე ხელით რაღაცას გამალებით სწერდა.

წერის დროს შავგრემანი მალი-მალ მიიხედავდა კედლისკენ, სადაც მუყაოს ჭრელ ფირფიტზე მიმაგრებულ კედლის კალენდართან საკმაოდ გარკვევით გადმოიყურებოდა მსხვილი ასოებით მოხაზული: **24 „Fevrier“** (24 თებერვალი).

— „ხვალ... დიახ, ხვალ... ოოხხ, ამ საძაგელი დღის მოგონება!.. და მომჭიღული ხელი კბილების ხრჭიალით შუბლიდან მაგიდაზე დასცა შავგრემანმა კალმა.

შავგრემანს სახე ისე შეეჭმუხვნა, რომ ზედ გარკვეული სიცხადით აღებეჭდა ზღვის ღელვიანი გზა, რომელიც მან ამ ექვსიოდე წლის წინად გადმოლახა.

სულ „თუთხმეტი დღით“ სტოვებდა მაშინ შავგრემანი საყვარელ ნაპირებს. სულ „თუთხმეტი დღე“ უნდა გაგრძელებულიყო მისი ეს უსიამოვნებით სავსე „დედის ძუძუსაგან“ ულმობელი მოწყვეტა და ტანჯვა.

მაგრამ „ბუჰხალტერიამ“ უღალატა და ჰა, აგერ უკვე მეექვსე ზამთარს ითვლის.

იმ ღამეს შავგრემანმა უსიამოვნებით შეაღო თავისი საძილო ოთახის კარი, უსიამოვნოთ გაიხადა ტანსა და ფეხზე, უსიამოვნოთ აშალა ლოგინი, უსიამოვნოთ ჩაწვა შიგ, უსიამოვნოთ მოუკიდა პაპიროსს, უსიამოვნოთ გაშალა გაზეთი, უსიამოვნოთ ამოიკითხა შიგ პირველად თვალში მოხვედრილი უსიამოვნო ცნობა—კანტონის ჯარების გამარჯვების შესახებ—და უსიამოვნოთ ჩაეძინა.

ხმელთა შუაზღვის მტრედის ფერი ატლასივით გადაჭიმულ მკერდზე მისი გემი გურულ ნანინასავით მიირხეოდა. —

ახდა მისი დიდი ხნის სანატრელი წუთი. მტერი დაეცა თავის თავად. განიავდა.

და პირველი, რაც მან მოიმოქმედა, როცა გემიდან ნაპირზე ფეხი გადმოსდგა, ეს იყო ის, რომ შეუდგა დანგრეულ და აოხრებულ ადგილების დათვალიერებას.

რადგან პირველად ბათომში მოუხდა ნაპირზე გადმოსვლა, ამიტომ აღარ დააყოვნა და მიაშურა იქვე აჭარის წყალს, სადაც ნახა გათხრილ-აყრილი მიწა.

შავგრემანმა ულვაშებში გესლიანად ჩაიცინა.

— შევიარო უნდა ოზურგეთშიც!.. გადაჭრით გამოუცხადა მან თავის თავს მეორე დილით და ჩაჯდა მატარებელში.

— ეტლი! მაინც წამოიძახა მან, მატარებლიდან ძირს რომ ჩამოვიდა.

— საით ინებებთ? შეეკითხა თავაზიანად მეეტლე.

— აქაური მეეტლეები და ასეთი თავაზიანობა?! გაუკვირდა შავგრემანს მაგრამ მაინც კატეგორიულად გამოუცხადა თავის წინაშე მდგომს: „ოზურგეთში.“

— როგორ თუ ოზურგეთში? როგორ მოხდა ეს?

ოზურგეთში უკვე ბრძანდებით. მოუჭრა მეეტლემ სახტად დარჩენილს.

— სრულიად უბრალოთ!.. სამი წელიწადია, რაც მაგ „ურჯულოებმა“ ნატანებიდან აქამდე ძველი გზა ააოხრეს და ეს შეჩვენებული რკინის გზა გამოიყვანეს ცხენები გვეხოცება... ჩვენც ტყავი გაგვძვრა... შინ ცოლშვილი შიმშილით გვეღუპება...

შავგრემანმა ფხრები შეიჩეჩა, ულვაშებში მეორედ ჩაიცინა და თანაც ისეგესლიანად, რომ ამას მოჰყვა რაღაც გულის შემზარავი კივილი, რომელიც იქვე შორიახლო ერთი გრძელი ქვის ახალი შენობიდამ მოიჭრა.

— რა ამბავია? გაიკვირვა შავგრემანმა.

— ეს აღგლობრივი აბრეშუმის ქარხანაა. მუშებს ალბათ საუზმის დროს დადგომა აცნობეს!.. აუღელვებლათ აუხსნა იმავე მეეტლემ.

უსიამოვნო შთაბეჭდილებით გულ-ამღვრეული შავგრემანი შეტრიალდა და ქვევითათ აუკიდებდა სვლას, რომ იმავე წუთსა მატარებელი არ აღძრულიყო და მისული უკანვე არ გამოებრუნებინა.

ყველგან ერთი და იგივე სურათი! ყველგან რკინა, თუჯი, ფოლადი, დუღაბი, „მელიორაცია“, „ელექტროფიკაცია“.

როგორც იყო, მცხეთამდის მოაღწია. შორიდანვე მიასწორა თვალი რაღაც ბარბაროსობის კიდევ უფრო ძლიერ, კიდევ უფრო არაჩვეულებრივი გამოჩენების მოლოდინს და სადგურიდან უკვე ვაგონის ტალანს აღარ მოშორებია. რათა უფრო ახლო შეეხედნა სინამდვილისათვის უტიფარს თვალებში. როცა მატარებელი ეგრედ წოდებულს „მთავართ სანათლავს“ გაუსწორდა და შავგრემანი თავს წამოადგა მტკვარში არაგვის შესართავთან დაყენებულს ტბას, რომელსაც ერთად ერთი წისქვილი, აქ ძველად მდ. არაგვზე არსებული, სრულიად დაეფარა და შეუბრალებლად დაეძირა. შავგრემანმა თავი ველარ შეიკავა, გაქანებულ მატარებლიდან ერთი ღონივრად ისკუპა და პირდაპირ...

...ლოგინიდან ძირს იატაკზა ბრაგვანი მოადინა...

— უჰ, რა ცუდათ მეძინა!.. წამოიძახა მან, სირცხვილის ოფლში გაწურვით ისევ ლოგინზე აცოცებულმა. სადაც რგი დაჟეჟილ გვერდებს იზელდა და ხელს შუბლზე მზრუნველობით იცურებდა ყალყს დასობილი ბალანის გადასასწორებლად...

დილით პირადი მდივანი რომ მის კაბინეტში შევიდა, ბატონის გულის მოსაგებათ, კედლის კალენდარს ზედიზედ ორი ფურცელი ერთად ააცალა...

და როცა შავგრემანი ჩვეულებრივზე ცოტა მოგვიანებით თავის კაბინეტში შემობრძანდა, დაღვრემილი, გულში ტყვია-ჩასხმული ჩადუღებული, ხოლო შუბლზე ხმელთაშუა ზღვის ღელვა ასახული იგი თავის საწერ მაგიდას დინჯად მიუახლოვდა, რბილად მიუჯდა დათვალები უიმედოთ მიაპყრო კედელს, სადაც კედლის კალენდარი ეკიდა.

მაგრამ ჰოი, საკვირველებავ!.. უცბათ თვალები გაუბრწყინდა, შუბლზე ხმელთა-შუა ზღვის ღელვა დაუცხრა, ჯანლი გადაეფანტა და მთელ სახეზე ისევ აღებეჭდა მძლავრი კმაყოფილების აშკარა ბეჭედი.

კედელზე კალენდარი უტიფარი სიცრუით ლაღადებდა: „26 Fevrier“ (26 თებერვალი).

**ონისიმე.**

# ვ ი ზ ი ტ ი

მაგიდას მიუჯექი და ფელეტონის დასაწერად მოვემზადე, რომ ვილაცამ დააკაკუნა.

კარი გაიღო და შემოვიდა ერთი შუა ხნის კაცი, ჩემი ძველი ნაცნობი; იგი მამასახლისობდა, შემდეგ ბოქაულის თანაშემწე გახდა, ომის დროს ჯარში გადავიდა, აფიცრობა მიიღო. რევოლიუციის შემდეგ სპეკულიანტობდა, მერე რომელღაც ტრესტში მსახურობდა, იქიდან დაითხოვეს ფულის გაფლანგვისა და სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობისათვის.

— რა დაგემართა, რატომ ხარ ასე დაღონებული? შევეკითხე.

პაპიროსი გააბოლა, დაღონებით შემომხედა.

— ი, ისე მეკითხები თითქოს არ იცოდე... ხომ იცი ხვალ 6 წლის თავია...

— რის?

— როგორ თუ რის? საქართველოს გასაბჭოების...

— მერე და მაგან დაგაღონა? ეს მოსალოცი საქმეა.

— შეიძლება შენთვის მოსალოცი იყოს, მაგრამ ჩემთვის რა— ?ოგახსენო.

— კი მაგრამ, რა დაგიშ?ა გასაბჭოებამ?

— როგორ თუ რა დამი?ავა, ვითომ არ იცი ისე ლაპარაკობ: ჩემი ავლა-დიდება ხომ გახსოვს რა წონის იყო, ახლა კი კურდღელს აეკიდება. იღუპება ქართველი ერი.

— ქართველი ერი? მთლიანად თუ მისი ერთი ნაწილი?

— რის ნაწილი ყმაწვილო, იღუპება ქართველი ერის საუკეთესო მომავალი... ბრწყინვალე თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ძველი, დოვლათიანი ვაჭრები და სხ...

კი მაგრამ მუშები და გლეხები? მათზე რატომ არაფერს ლაპარაკობ?

— მუშებს და გლეხებს რა ესმის, მათ რა გაეგებათ...

— მაინც რას უწუნებ საბჭოთა საქართველოს?

— რას უწუნებ? ყველაფერს. ეს კომუნისტები იმდენს იზამენ, რომ ბოლოს და ბოლოს ევროპა იცნობს და, ჩვენ დავრჩებით წყალ წაღებული.

— როგორ?

— როგორ? ხომ ხედავ რეებს ჩადიან? ეს ზაგესი ხომ ააშენეს;

— მერე, მერე?

— მერე... რომელი ერთი ვთქვა... ეს რკინის-გზები, რომ გაყავთ ეგ არაფერი? ტრანსპორტს აჯანსაღებენ.

— მერე?

— რაღა მერე? მიწად მოწყობა რომ ტარდება, ეგ არაფერია? რაც მიწები იყო ყველას ბოგანო გლეხებს ურიგებენ.

— შემდეგ?

— ეს აბრეშუმის და ბამბის ქარხნები რომ დახსნეს, ჩვენ ბამბას და აბრეშუმს წაიღებენ და გადაამუშავებენ იმ ქარხნებში. საჩოხე ძაფს არ დატოვებენ, რომ ქალებმა ჩოხა მოგვიქსოვონ...

ნუ თუ ყოველივე ეს ამბავი შენ არაფერს გეუბნება?

— მეუბნება, მაგრამ ცუდს არაფერს.

— როგორ თუ არაფერს? იცი შენ ასეთ მუშაობას რა მოყვება?

— რა?

— რა და ის, რომ ის ბოგანო ხალხი წელში გასწორდება, ღონეს მოიკრებს და ჩვენ სამუდამოთ დაგვასამარებს...

— თუ კი ღარიბი ხალხი წელში გასწორდება, მაგას რაღა ჯობია!..

— მაშ შენც მაგათ მხარეზე გადახველი? მერე იცი კიდევ რა იქნება?

— რა?

— სამუდამოთ გამარჯვებულები დარჩებიან.

— ეგ ხომ სულ უკეთესი!

— კი, მაგრამ ქართველი ერი ხომ დაიღუპა? ხომ გაკომუნისტდა ხალხი? დაიკარგა ჩვენი ქართველური იერი, სუფრა, ყანწი, ხმალ-ხანჯალი, სარწმუნოება?..

— გადაგვარდეს, ჩვენც მაგათ გადაგვარებასა და სრულ დასამარებისათვის ვიბრძვით.

ჩემს სტუმარს ელდა ეცა გულწასული იქვე ჩაიკეცა.

**ალლარ-ალლასან.**

# ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა

ძალიან ძნელი შეიქნა ქართულად ლაპარაკი. კიდევ ღმერთმა საქართველოს სახკინმრეწვს უშველოს, თორემ ველარავინ გაბედავდა ამ უძნელესი ენით ლაპარაკს.

თუ რა დამსახურება მიუძღვის ამ საქმეში სახკინმრეწვს, ამის შესახებ ბოლოში მოგახსენებთ, მანამდე კი შემდეგი ჩემი გასაჭირი უნდა შემოგჩივლოთ: ქართულის მეტი ენა არ ვიცი, დღეს კი ჩემდა საუბედუროთ დავრწმუნდი, რომ აღარც ქართული მცოდნია.

ერთ დღეს ადგილკომმა გამოგვიცხადა: ხვალ კრება არის ორი მოქალაქე ზის. ერთმანეთს შორის საუბარი აქვთ:

— ამხანაგო, კრება პლენარულია?

— პლენარულია და ძალიანაც პლენარული.

— მეც მგონია, რომ პლენარული უნდა იყოს.

— პლენარულიცაა და ქვორუმიც ისეთია, რომ...

— ვითომ ქვორუმიც არის?

— ისეთია, რომ შენი მოწონებული!

— მადლობა ღმერთს, გველირსა! მიყვარს, როცა პლენარულზე ქვორუმიც მოგროვდება. გულს უხარია, სული ოფოფივით იშლება!

— მართალს ამბობთ, ამხანაგო. ჩვეულებრივი კრებები მოსაწყენი გახდა, გული ვერ ეგუება, პერმანენტული წყლის ნაყვა გამოდის და მეტი არაფერი.

— სრული სიმართლეა, კონკრეტიულათ, რომ ვთქვათ.

კონკრეტიულათაც მართალია და აბსოლიუტურათაც.

ჩვენ დროში, ამხანაგო, პერმანენტული ინდუსტრია გვინდა, ადგილკომი კი პლენარულ სხდომებს ასე იშვიათათ აწყობს...

— დღეს ჰკუაზე მოსულა ჩვენი ადგილკომი. პერმანენტულათ პლენარული იმართება და ინდუსტრიის საკითხებიც, ასე ვსთქვათ, კონკრეტული ხდება... გიხარია, კაცს... სული ოფოფივით იშლება!..

თუ რატომ იყო მათი სულები ოფოფივით მხიარული, ეს ვერ გავიგე.

ამ ლაპარაკის გაგონებამ კი ერთი სამადლო საქმე ჰქნა: დავრწმუნდი, რომ ქართული არ ვიცი. ვხედავ, ენა წინ წასულა, მე კი ჩამოვრჩენილვარ, უნდა ვისწავლო, აბა როგორ იქნება!

გუშინ სახკინმრეწვის ახალი სურათი „ბელა" ვნახე და სულ დამიღონდა გული. ისე ჩაწყდა, რომ აღარ ვიცი ჩადგება თუ არა საგულეში.

„ბელას" წარწერები როცა წავიკითხე, საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ ველარასოდეს დავეწევი ქართული ენის მცოდნეთ. აი სად მომხდარა ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია!

რუსულად სწერია:—„Нас беспокоила ваша судьба".

ქართულად ითარგმნება:—„შენთვის ადრეა ცხენოსნობა თქვენი ყოფა".

რუსულად სწერია:—„Тебе-ли тягаться с джигитом"?

ქართულად ითარგმნება:—„შენთვის ადრე ცხენოსნობის სწავლა".

რუსულად სწერია:—„Казаки изрубили его"...

ქართულად სწერია:—„ყაზახებმა აჰკუწა ხმლით".

რუსულად სწერია:—„Знать это ожидало джигита".

ქართულად სწერია:—„შუბლზე ხომ არ სწერებია".

ასეთი ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტებით სავსეა სურათის წარწერები და ამის შემდეგ როგორ შემიძლია დავეჭვდე, რომ ჩვენი სახკინმრეწვი არ ახდენს ქართული ენის პერმანენტულ ინდუსტრიალიზაციას.

**ნიკ-კარტ.**

# უ ც ხ ო ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი

(ტარტაროზის პოლიტიკური მიმოხილვა)

„გენერალი სუნ-ჩუან-ფანი გადადგა. მისი ჯარი განადგურებულია და უწესრიგოთ იხევს".
(დეპეშ[illegible]დან).



ეს ბრწყი[illegible]ალე გა[illegible]ალი
სუან-ჩუან-ფანი
შეებრძოლა კანტონს, მაგრამ
ჩაეფუშა პლანი.
ეხლა დაჯდეს და მიირთვას
„კიტაიას" ფლავი.

სან-რემოში მუსოლინიმ და შტრეზემანმა საიდუმლო ხელშეკრულება დასდვეს და დიპლომატიურ მოკავშირეებათ გამოაცხადეს თავი. (დეპეშიდან).



ეს ლორდი გას[illegible]აკეთ დიდათ მომთმენი,
როგორც ნაცნობი ერთი ცხოველი.
ცაჰრობის არის მოსიყვარულე
და ჩვენი მტერი დაუცხრომელი.
ჩემბერლენივით ის არა ცმუტავს,
უცდის, როს ღმერთი მოსპობს სტიქიონს.
მე [illegible]ი მგონია:—სანამ ჩინეთი
ამოჰკრავს პანჩურს ოთხას მილიონს.

„ინგლისის მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთა თავისებურად გა[illegible]ნაგრძობს მოღალატეობას",
(დეპეშებიდან).



გადასცვალა ფრაკზე
მუშის ბლუზა ლურჯი.
თუ ნამუსი შერჩა,
უნდა იყვეს მუნჯი.
მეფის ლაქიაა,
ჩემბერლენის სწორი.
მისი პოლიტიკა
ბერწია ვით ჯორი.

„14 თებერვალს სან-რემოში ერთმანეთს შეხვდენ მუსოლინი და შტრეზემანი. გაზეთების აზრით, მათ დასდვეს საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლის ძალით ისინი მოვალენი არიან მომავალში იმოქმედონ როგორც დიპლომატიურმა მოკავშირეებმა".
(დეპეშებიდან).



სან-რემოში პაემანზე
ჩასჩურჩულებდენ „სეკრეტებს".
სთავაზობდენ ერთმანეთსა
ტკბილ სიტყვებსა და ჭრელ ლენტებს
ბოლოს ვნახოთ—ვინ ვის მოსთხოვს
საარსებო ალიმენტებს.



# „დ უ რ უ ჯ ი ა ნ ა“

### პროლოგი:

იყო ეგვიპტეს „ზაგმუკი“
ტფილისში საშა სვიანი;
ამერიკელმა ძიამა
ხალხი მოზიდა „მზიანი“.
თუ „დეზერტირკა“ დაძველდა
და სურს აწ გაიპაროსა;
„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბალნაროსა“.
ყოტე თუ ასად დაფასდა
ათასად ოდო ხმოვანი
სჯობს „ვილჰელმ-ტელის“ დადგმასა
სიკვდილი სეხალოვანი.

### სიმღერა პირველი:

დურუჯელები შემოკრბენ
ამაზე ჰქონდათ ქადილი;
თუ „ბიძიაც“ დაგვიძველდა
რაღათი ვჭამოთ სადილი.
ჩვენი ხსნა კომედიაა
ან და ლამაზი სატირა,—
თორემ „ჰამლეტმა“—„მალშტრემმა“
ვერავინ ველარ ატირა.
კომედია პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი;
ჭკუათხელთა გასაგონი
მსმენელთათვის დიდი მარგი,
არც რეჟისორს დასჭირდება
დადგმისათვის ჭკუის ბარგი,
თუ ის იქნა მხატვრისაგან
აჭრელებულ დანაქარგი.
კომედია სულ სხვა არის
არ დრამისა დასადარი
იგი სხვაა, დრამა სხვაა
შუა უზის დიდი ზღვარი
და სანამდე ეს დურუჯი
სახელმწიფო დასადარი
კომედია მილიონჯერ,
რომ დაგვიდგას ის მზად არი.

### სიმღერა მეორე:

ძმაო ეხლა საჭიროა
მასხრობა და ოხუნჯობა;
რას მიქვია ტრაგედია,
(მას სჯობიან სულ მუნჯობა,
დღეს თეატრში თუ არ ვნახავთ
ჩვენ ძველებურ „კოხინჯრობას“
მაშინ ძიავ დაგვბრალდება
ჩვენც სიძველე და ბრინჯობა.
ამისათვის მოვუწოდებთ
ყველა მწერალს ჩვენ აშკარად;
რომ შეუდგენ დღეიდანვე
კომედიის წერას ჩქარა;
(თორემ ვაძლევთ გაფრთხილებას
არ იქნება მათი შველა).
ოცდა ცხრაჯერ დავდგათ თვეში
კომედია ან და ფარსი;
აი მესმის ეს იქნება
თეატრის და დრამის ფასი.
თორემ დოდომ თუ დაგვიდგა,
ქიდეც თ[illegible] ტელი“
მაშინ ალბად გამოჩნდება
„ოჩერედის“ მაკრატელი.

### სიმღერა მესამე:

ვილჰელმა გადინადირა
ქედი მაღალი ტყიანი;
ვერც მოკლა იხვი, ვერც კვატი
და ვერცა ხარი რქიანი—
მოთავსდა იქვე ხის გულში
ნაწყენი და სევდიანი
[illegible] ზე ჯაიხედა
ჯდა „ჩიტი“ წითელ თმიანი
რქვა თუ ეს ჩიტი არ მოვკალ
მე ვიყო მართლა რქიანი
და მოხდებოდა უთუოდ
„საშვილთა შვილო“ ზიანი
რომ იმ „ჩიტს“ არ დაეხარა
იმ წამში თავი მზიანი.
თურმე შეშლოდა ვილჰელმსა
და „ჩიტი“ ოქროს თმიანი
ყოფილა ჩვენი დრამისა
დირიჟორ—გველესიანი.
და იღბალს უნდა ვუმადლოთ,
რომ არ ატირდა იანი
დრამის ორკესტრის იანი,
თორემ მთლად გადაგვლეკავდა
იმათი ცრემლი გვიანი—
და მის ჯოხს დაიკავებდა,
სხვა უფრო დიდი რქიანი.

### სიმღერა მეოთხე:

სადაც სიყრმითვე ვყოფილვარ
ჩემი თეატრი ის არი
სადაც მეგულვის უუანგი
ჩემი ოცნების ისარი
სადაც დღე და ღამ ვათენებ
როგორც მოჩითი ციცარი.
(აბა თუ კარგი ბიჭი ხარ
ვინა ვარ უცებ მიცანი)
და თუ ვერ მეტყვი გაგიტყდეს
უცებ კრაოტის ფიცარი.
არ გავცვლი დრამის თეატრსა
უკვდავებისა მიწაში;
მე ყოველ ღამე იქა ვარ
როგორც საკუთარ ბინაში.
თითქმის ყოველთვის იქ არი
ნუცა, თამარ და აგნესა
(რომელთაც ვუძღვნი შემდეგში
ამაზე უფრო კარგ ლექსსა.)
უნდა კი გითხრათ სიმართლე
ავეცვი რაღა ანკესზე
რამდენ ლამაზ ქალს შევხედავ
იმდენჯერ ჯავრი მაკვნესებს.
მე აღარ მჯერა არავის
(და რომ ყრუც ვიყო და მუნჯი)
ვიტყვი, რომ ქვეყნად ორი მწამს:
კომედია და „დურუჯი“.

**რაგოდარ.**

# ჩ ე მ ი ა ღ ს ა რ ე ბ ა

დიდი ხანია ჩემი ამბავი
არვის გაჩრია მგონი ყიაში.
უკვე გამიცვდა იგი ფარაჯა
შარშან რომ მომცეს მილიციაში.

წელს კი ადგილი გამოვიცვალე,
და შემომაკლდა სპექტანსაცმელი.
რადგან ახალი ვერ შევიძინე,
მოვაკერინე მე მინ ცოლს ძველი.

სიცივე დადგა და მაკანკალებს
ქუჩაში რბენით დავიარები;
რომ შემიძულა ოჯახში ცოლმა,
აბა სხვას როგორ შევეყვარები?!

ყველა მიყენებს მოთხოვნილებას,
არვინ დაეძებს თუ რომ მაქვს ფული,
ვერ შეუსრულე,—მიჯავრდებიან
და უსაბუთოთ მოუდისთ გული.

დედა შალსა მთხოვს წამოსასხმელად,
ცოლს უნდა პალტო და ფეხსაცმელი;
(სტუმრები ღმერთმა კარგად მიმყოფოს
თუ კი უშოვე სასმელ საჭმელი).

მამა მოხუცდა, მაგრამ არ სჯერა;
ალბად მოუკრავს მას სადღაც ყური;
მთხოვს, რომ ვუყიდო „„სეკარის სითხე“
ჯირყვალებიდან ამონაწური.

მეზობლები და ნათესავები.
ამხანაგები, თუ ძმა-ტოლი.
ექვთიმე სიკე, ალექსის ქვრივი,
პეტრეს დისწული და ნიკოს ცოლი
ჩემსას არიან შემოხიზნული.—
და თუმცა ბინა სავსეა მათი.
მაგრამ მესტუმრა გუშინწინ თეკლე,
გუშინ ელპიტი და დღეს ალათი...
თალიკოს ბიჭი გამოეგზავნა.—
მთხოვს დაუყენო იგი ადგილში,
(ჩემი ხელფასი არ მითავდება
მარტო წყალსა და ერთხელ სადილში).

ასე ამგვარად ვატარებ დღეებს
და აბა რაზე მეშლება ხელი?!
ჯამაგირი მაქვს რეგისტრატორის,
კლუბის გამგისა მხოლოდ სახელი.

მეტი რაღა ვთქვა საყურადღებო
ჩემი ამბავი ვის რამების?
მინდა შეგჩივლო, ძმაო ტარტაროზ,
ღირსი გამხადე მეც ყურადღების.

**მ. ობოლი.**

# ლეღვან-მარელისი

ლეღვან—მარელისი (შორაპ. მაზრა).

სად წაიყვან სადაურსა სად ალუფხვერი, საით ძირსა,
ყოველი შენზე მონდობილი დაიმტვრევენ აქ ცხვირ-
პირსა,

გზა, რა გზაა... ღელის პირებს ტყით და ჯაგით ერ-
თობ ხშირსა,

საცალფეხო ბილიკიდან ეცემიან ცხვირით ძირსა...

ასე ამბობდა თავისთვის სადგურ მარელისიდან სოფ. ლალევანში მიმავალი ნიკო.

თოვლით და ყინვით გასიპულ საცალფეხო გზა წვრილზე, რომელიც მისდევდა მდ. ლეღვნულს, გეგონებოდათ ბეწვის ხიდიაო. გაშტერებული ნიკო მიყვებოდა გზა წვრილს, მოსჩანდა შორიდან მაღალი მთები, და ლამაზი ნაძვნარი. ბუნება იშვიათია ხოლო პატრონობა და იყო საჭირო, რომ აქაური მცხოვრებ გლეხობისათვის დახმარება აღმოუჩინა ვისმეს და გზები და ხიდ-ბოგირები შეეკეთებინათ.

მაგრამ, როგორც ნიკო რწმუნდებოდა გულშემატკივარი არავინ არ ყოლია. არ ყოლია რადგან ფეხებს გარდა ნიკო ხელებსაც იშველიებდა და ისე მიდგორთხავდა გზა წვრილზე.

ნახევრად წყალში ამოწუნპულმა და მუხლისთავებ გადატყავებულმა ნიკომ თვალი მოკრა ნაძვნარს.

— აქ სკოლაა,—ლეღვან-მარელისის შვიდწლედი უპასუხა გლეხმა ნიკოს, რომელიც მას გზაში შემოეყარა.

— სკოლა? სოფელი საითაა?

— სოფელი კი აქეთ გადმოღმითაა. ცხოვრობს 500-დე გლეხი. არვინ გვიპატრონა;—გზები და ხიდები შეუკეთებელი გვაქვს. სკოლაც მოუწყობელია. დაუხურავი, პარტები არ არის სკოლაში, ბავშები იატაკზე სხედან. პარის დროს პირქვე დამხობილი თითქოს მეტანიათ იდგენო, ისე სწერენ.

— როგორ, არავინ აქცევს ყურადღებას თქვენს გაჭირვებას?

— აბა რა ვიცი, გვეგონა, რამე გვეშველებოდა მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არაფერია და...

გულდაწყვეტილი ჩაილაპარაკა გლეხმა და გაუდგა გზას.

უეცრად გამობრუნებულს ნიკოს კი ფეხი აუსხლტა და ერთი მაღალი ქვიდან პირდაპირ მდინარეში მოიდინა გლეჯა.

— დასწყევლა ღმერთმა, კიდე კაი, რომ მდინარე დიდი არ იყო თანაც ნახევრად გაყინულია თორემ შენი მტერია ცოცხალი ველარ ამოვიდოდი ამ ღლოწიდან.—ჩაილაპარაკა ნიკომ და თაგვივით წყალში განცქუმფლული გაუდგა გზას.



ჰაიდეებიდე წუთი და ნიკო სკოლის ეზოში ესაუბრებოდა გზებზე ერთ-ერთ შვიდწლედის მასწავლებელს, სოფლის ჭირვარამზე, ხიდებზე, სკოლის შესახებ და სხვა.

— როგორ მოგწონთ ჰა ამხანაგო დიდებული ნაძვნარია არა, მოუჭრა სიტყვა მასწავლებელმა ნიკოს და მიუთითა მართლაც მშვენიერს ცამდის აწვდილ ნაძვის ხეებზე, რომელიც ლამაზათ ერტყა ნახევრად სახურავ გადახდილ სკოლის შენობას.

— ნიკომ პასუხი ვერცკი მოასწრო, რომ განაგრძო იმავე მასწავლებელმა. მე დიდი გულშემატკივარი ვარ ხალხისა. როგორც ბუნების მეტყველების მასწავლებელმა აღვძარი შუამდგომლობა, მაზრის განათლების განყოფილებასთან, სახ. განათ. კომისარიატთან, მიწადმოქმედების კომისრიატთან, ჩაქვის „სახალხო მამულის“ გამგე-თან, სკრის „სანერგის“ გამგესთან, რომ ჩვენი სკოლის საჭიროებისათვის დაგვეთმოს რამდენიმე ასეული ცალი ფეებს შევასწავლო და დაუმტკიცო, თუ ზემოჩამოთვლით როგორ ფიქრობთ, ამას უსათუოდ მოვახერხებ. აი აქ უნ ტროპიკული მცენარეებისა: ლიმონი, პალმები და სხვა და სხვა. რომ გავალამაზო ეს სკოლის ეზო და თან ჩემს მოწაფეებს შევასწავლო და დაუმტკიცო, თუ ზემო ჩამოთვლილ მცენარეებს რამდენათ შეუძლიანთ აქაური ჰავისა და განსაკუთრებით ძლიერი ყინვა-სიცივეების შეთვისება. თქვენ როგორ ფიქრობთ ამას უსათუოდ მოვახერხებ. აი აქ უნდა გავაშენო „დეკორატიული“ ბაღი და უჩვენა მასწავლებელმა ნიკოს ნაძვებს შუა დაგეგმული მიწის ნაჭერი.

— ნიკოს სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, სოველი ტანსაცმელი ხორცზე მიყინოდა, ულვაშიბზე ყინ...



— მასწავლებელი თავაზიანათ, შეუძღვა ნიკოს სამასწავლებლოში, სადაც გახურებულ ბუხარს მოსხდომოდენ, რამდენიმე მასწავლებელი.

ნიკო ყველას ზრდილობიანათ მიესალმა და ბუხარს მიუჯდა. მიიკითხ-მოიკითხეს აქაურ-იქაური. ჩამოაგდეს სიტყვა „კომპლექსზე“, „დალტონურ“ მეთოდზე. ზარი დაირეკა მასწავლებლები კლასებში წავიდენ. სთხოვეს ნიკოსაც, ნიკო გაკვირვებული დარჩა, რომ სამასწავლებლოში დიდი სისუფთავე დაინახა: მაგიდაზე ქაღალდიანი, ლობიოიანი ქათამი, ჰადის ნამტვრევები და კიდევ ერთი კედლიდან მეორემდე თოკზე ჩამომწკრივებული მსუქანი ღორის ღორის ნაჭრები, ნიკოს არა უთქვამს რა.

სასწავლო ოთახებში შეყვა მასწავლებელს. სიცივე, ფანჯრები ჩამტვრეული, კარები ჩამოგდებული და საცოდავი ბავშები, რომლის უმრავლესობაც იატაკზე ეყარენ და გაბლიკებული ხელებით სწერდენ პირქვედამხობილი. მასწავლებელს კი სიცივისაგან კბილებს აცემინებდა და მაინც განაგრძობდა ბავშების ამ მდგომარეობაში სწავლებას.

ვა სოფელო რა დღეში ხარ, რა გაწუხებს რა გი-
ჭირსა,
სკოლა თავგადახდილია, რა უშველის ხიდ-ბოგირსა,
თოვლი მოდის, ყინვა ცვივა და გიმატებს ჭირზე-
ჭირსა
ქარი ქრის „დეკორატივნ ბაღზე“ მანდარინებს
მოაყრისა.
ლიმონი და ფორთოხლები მოილებენ თუ კი პირსა
მაშინ ცრემლებს შეგვიშრობენ სიცივეში ანატირსა.

ოდილმადი.

# ვირთხები საწყობში

პირველ ღამეს ვირთხამ დახრა ძველ ქაღალდის რამოდენიმე თაბახი, რომელიც გადასაყრელად იყო მიგდებული კუთხეში.

როგორც სჩანდა, ვირთხა გამოუცდელი ან მეტად პატიოსანი პიროვნება იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ძველი ქაღალდი დახრა მაინცადამაინც, როდესაც გვერდით ახალ ქაღალდის დასტები ოხრად ეყარა.

ასე თუ ისე, საწყობის გამგემ ვირთხის ნამუშევარი შეამჩნია, მოიშველა დარაჯი, ერთი-ორი თანამშრომელი კანტორიდან, გადაჩხრიკეს მთელი საწყობი და კუთხეში აღმოჩენილი ხვრელი შუშის ნატეხებით ამოავსეს.

მეორე ღამეს ვირთხა სამუშაოზე არ გამოსულა. არც მესამე დღეს გამოსულა, ისე იყო ალბად გულგახეთქილი.

დარაჯი და თანამშრომლები უკვე გამარჯვებას ზეიმობდენ.

მხოლოდ საწყობის გამგე კი რაღაც დაფიქრებული დადიოდა.

მესამე დღეს ორჯერ-სამჯერ შევიდა იგი საწყობში, გადაათვალიერა იატაკზე დაწყობილი საქონელი, რამდენჯერმე დადგა ამოვსებულ ხვრელთან და დიდხანს, დიდხანს უცქეროდა მას. შემდეგ ღრმად ამოიხვნეშებდა და ერთხ კიდევ გადაავლებდა თვალს საწყობს.

— მმ... რაღაც უცნაურად წყნარი ვირთხაა, ჩაილაპარაკებდა გულში და გამოვიდოდა კარში.

მეოთხე ღამეს ვირთხას მოეკრიბა მთელი თავისი სიმამაცე და გამბედაობა, გამოსულიყო და ისევ ძველ ქაღალდებს მიდგომოდა, და ისე სუფთად ევახშმა, რომ ქაღალდის ერთი ნამცეცი არ ეგდო იატაკზე გაფუჭებული.

ასე შეეძლო მოქცეულიყო მხოლოდ მაღალ წრეში აღზრდილი ვირთხას სათანადო განათლებით და აღზრდით აღჭურვილს.

მეორე დღეს საწყობში მომუშავე თანამშრომელი აღელვებული გამოცხადდა გამგის წინ.

— ვირთხა ამოსულა კიდევ!.. რა ვქნათ?

— მართლა?.. წამოვარდა გამგე.

ორივე სირბილით გაიქცა საწყობისაკენ. ნაამბობი მართალი გამოდგა. გამგეს აღელვება ეტყობოდა.

— დავიღუპეთ!.. მოშენებულან... აქ უკვე მთელი ჯოგი მუშაობს!.. წამოიყვირა მან.

ისევ დაუძახეს დარაჯს, ითათბირეს და იმ ღამესვე საწყობში დადგმულ იქნა ხაფანგი.

ხაფანგში ისე კოხტად და თვალის მომტაცებლად ეკიდა ქონის ზორბა ნაჭერი, რომ ამ თავიდვე შეიძლებოდა თქმა, რომ მიღებული სასტიკი ზომა გასჭრის, ავაზაკი შეპყრობილი იქნება და დასჯილი სამაგალითოდ.

თუმცა გამგის ბინა საწყობთან ორი ვერსის მანძილზე იყო, მაგრამ გამგეს მთელი ღამე არ ძინებია.

იგი ხშირად გამოდიოდა აივანზე და გულხელ დაკრეფილი დიდხანს იცქირებოდა საწყობის მიმართულებით.

მაგრამ საწყობი შორს იყო, და რა ხდებოდა იქ ეხლა, ეს მხოლოდ ჩამოწოლილმა უკუნმა ღამემ იცოდა.

გამგეს არ ეძინებოდა.

სახალხო ქონება არ აძლევდა მას მოსვენებას.

გულში ჩუმად ლაპარაკობდა ვიღაც:

— ვაი თუ... შეუძლებელია... ის გამოცდილია... მაგრამ, ვაი თუ?..

ასე ადრე გამგე საწყობში არასოდეს არ მისულა. გულის ფანცქალით გააღო მან საწყობის კარები და დაინტერესებულ დარაჯთან ერთად შევიდა საწყობში.

ხაფანგში თვალებს კუსავდა საშუალო სიდიდის ვირთხა და თავგანწირულად ეხეთქებოდა მავთულის კედლებს.

დიდხანს უყურებდა გამგე ხაფანგს, სანამ დარაჯმა არ გაიტანა ის თავის ჯალათური მოქმედების შესასრულებლად.

ნახევარი საათის შემდეგ ვირთხაზე ღირსეული სასჯელი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ასე უდროოდ დაიღუპა ეს, შეიძლება, შედარებით პატიოსანი ვირთხა.

მაგრამ, როგორც ეს უმეტესს შემთხვევაში ხდება, პატიოსან პიროვნებას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ სდებენ ფასს.

ჭეშმარიტად, ამ ვირთხის საფლავზე სიტყვა-სიტყვით შეიძლებოდა თქმა იმ საერთოდ მიღებულ სიტყვებისა, რომლებიც ასე ამაყად ღაღადობენ:

„შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახელი მუდამ დარჩება ჩვენში სახსოვრად. იძინე ტკბილად ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო ვირთხავ!.. შენ დაიღუპე, მაგრამ არ დაღუპულა ის იდეა, რომელსაც შენ ემსახურებოდი... განისვენე ტკბილად... და სხვ.“..

ვინაიდან, გამგის სიტყვით ვირთხები მოშენებულიყვნენ, იმ ღამეს დადგმულ იქმნა ერთბაშად სამი ხაფანგი. დაყრილ იქნა იატაკზე მოწამლული საჭმელი და რომ დარაჯს ვირთხებისთვის ხელი არ შეეშალა, ის განთავისუფლებული იქნა იმ ღამეს დარაჯობიდან.

მეორე დღეს საწყობში საშინელი სურათი დახვდათ.

ხაფანგები ცარიელი იყო. მოწამლული საჭმელი თავთავისს ალაგას იყო.

სამაგიეროდ მთელი საწყობი გადაბრუნებული იყო.

სჩანს ვირთხები შურს ძიობდენ დაღუპულ ამხანაგზე.

შეეჭამათ რამოდენიმე ათასი ფურცელი ქაღალდი. სრულიად გაენადგურებიათ ტყავეულობა. არსად სჩანდა ორი ყუთი ლურსმანი და ბევრი სხვა რამე.

გამგე გაფითრებული იდგა და დორბლებს ყრიდა.

— დავიღუპეთ!..

იმ დღეს ხმა არავის ამოუღია და ელოდენ მეორე ღამეს, იქნებ მაშინ მიკარებოდენ ვირთხები ხაფანგს და მოწამლულ საჭმელს.

მეორე ღამეს უარესი ამბავი დატრიალდა.

ვირთხები არ ინდობდენ არაფერს. ფანქრები, კალმები, კალმის ტარები, შუშეულობა, ფართლეულობა სულ ძირიან ფესვიან ამოეგდოთ, და სოროებში ჩაეტანათ, და ისე მოხერხებულად, რომ ნიშანკვალიც კი არ სჩანდა, არც გატაცებულ საქონლის და არც სოროებისა.

შეუდგენ თვალყურის დევნებას და უნდა ითქვას სიმართლე, რომ იმ ღამის შემდეგ საწყობში ყველაფერი რიგზე იყო.

ვირთხები, როგორც უცბად მოშენდენ, ისევე უცბად გადაშენდენ.

მაგრამ გამგის მდგომარეობა აუწერელი იყო. განადგურებული იყო 800 მანეთის საქონელი. რომელი რევიზია დაიჯერებს, რომ ამაში მხოლოდ ვირთხებს მიუძღვისთ ბრალი და არა სხვას ვისმეს.

არც ერთი.

მაგრამ საერთო ძალღონით უბედურება აცილებულ იქნა.

ერთი კვირის შემდეგ, კანტორაში გამგის სახელზე მთავარ სამმართველოდან ასეთი მომართვა მოვიდა:

**„თანახმად თქვენი თხოვნისა, მუშაობის გადიდების გამო, ნება გეძლევათ აიყვანოთ ერთი თანაშემწე მე-17 ხარისხის განაკვეთით და სათანადო დატვირთვით. აიყვანეთ სურვილისამებრ“.**

ამნაირად კანტორის შტატში გატარებულ იქნა კიდევ ერთი მოხელე, ვინმე ამხ. ვირთხა.

საუბედუროდ გამგის არჩევანი ვერ გამოდგა იღბლიანი.

მთელი სამი თვის განმავლობაში აღნიშნული ამხ. ვირთხა სამსახურში არ გამოცხადებულა, რამაც ერთის მხრით 900 ეკონომია მისცა საწყობს, და საშუალება მისცა გამგეს ხელახლად შეეძინა ვირთხების მიერ განადგურებული საქონელი, თუმცა, მეორეს მხრით, უთანაშემწოდ მეტად ძლიერ უჭირდა.

ერთხელ, როდესაც საწყობში შევიდა ერთი გაზეთის კორესპონდენტი და გამგეს თხოვა, — თუ შეიძლება, მოგვეცით ცნობა რა გაკეთდა თქვენს საწყობში მომჭირნეობის ფრონტზეო, გამგემ გაიღიმა, სთხოვა აღნიშნულ კორესპონდენტს დაბრძანებულიყო, და შემდეგ კმაყოფილებით წარმოსთქვა:

— ბევრი რამ. შევიძინეთ საქონელი გაცილებით უფრო ნაკლებ ფასებში ვიდრე უწინ. გარდა ამისა, მე შუამდგომლობა აღვძარი, რათა შემცირებულ იქნას ჩემი თანაშემწე, რაც დაახლოვებითი გამოანგარიშებით თვეში იძლევა 300 მან. ეკონომიის, წელიწადში 3600 მ., ათ წელიწადში 36.000 მან., და ას წელიწადში

3 მილიონს და 600 ათასს მანეთს. მე მგონია, ყველაფერი ნათელია. ციფრები თვითვე ლაპარაკობენ.

ცხადია, ამ ამბავმა მიაღწია მთავარ სამართველობამდინაც და, როგორც მოსალოდნელი იყო, მომჭირნე გამგეს გამოცლოდნელი იყო, მომჭირნე გამგეს გამოეცხადა ულრმესი მადლობა და გამოეწირა მადლიერმა გამგემ არ დაივიწყა კანტორის თანამშრომლების ერთგული თანამშრომლობა და მიღებულ თანხიდან მათთაც უთავაზა ცოტა.

ამხ. ვირთხა კი, რა თქმა უნდა, მოხსნილ იქმნა სამსახურიდან.

დარაჯი კი ისევ დარაჯობდა საწყობს, და საჩუქრის შესახებ არაფერი იცოდა.

მაგრამ, სჩანს, მანაც იცის ცოტა რამ, რადგან, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მილიციაში აპირებს წასვლას და იქ ერთ უცნაურ ამბავის მოთხრობას, თუმცა მისი ცოლი ამის სასტიკი წინააღმდეგია.

წავა?..

წავა!..

სინემატო.

# კოსტაიას ნაამბობი

(ლანირ-ქუტირისათვის)

საშა კილაძის არ იყოს, ამ ძველ გახუნებულ ნააზნაურებს ხუმრობა კი არ მოსწყინდებათ. გამოდგებიან ქუთეის ამ გულვარდის კიდეზე და მასხარაობენ, ხუმრობენ, ლაზღანდარობენ, პირდაპირ მაკვირვებს მე მაგათი საქმე. ეს ოჯახ-დაქცეულები სულ ბაზარში რომ ჰყრიან, ვინ არჩენთ ნეტეი? რამდენჯერ ჩავალ ქუთეის პარასკეობას, ქე არიენ ეს ჩვენი კულაშელი აზნავირები ატუზული გულვარდის კიდანეზე ანჩის ხატებივით.

დაგლეჯილი შინელები აცვიათ, მარა იხტიბარს მაინც არ იტეხენ დადგებიან ამ მალოჩნების წინ და იჩხრეკენ კბილებს, ვოთომ და ყოველდღე რეს. „ბორჯომში" სადილობენ ისაკო კვერნაძესთან. გასკტებიან ხაშით ფილიმონია მეხაშესთან სხვის სჩოტზე და გამეირჭვებენ ბატის ფთას კბილებში, ვითომ, რაი-და, დიდი ნაქეიფარი იყონ მაგათმა თავის გატეხამ.

ახლა რო ქუთეის ვიყავი, ვნახე ჩვენი ყულაშელი აზნაური ბონდო—ჩვენი მოუცილებელი ჭირი რომ იყო. რო ნახო, ველარ იცნობ. ქე რო მის აზიაცკებს ჭრიჭი-ჭრიჭინი გოუდიოდა, სადღაა—ფეხზე ახლა გურული წუღა აცვია... მისი იღბაალი ისაა, რომ წყალი შედის, მარა შიგ არ რჩება—ქე გამოდის გარეთ. როგორც კი გავიარე დიდი კომპერატია როა ტრეატრის გვერდზე, შევხედე, აგერ ეს ჩვენი მიქელაძე პაპიროს ყიდულობს,—ყიდულობს მარა ღერობით; სამი კაპიკის პაპიროსი იყიდა, ჩაალაგა ჯიბეში. შემხედა თუ არა,—მეცა, გადამკოცნა.

— რავა ხარ კოსტა შენ გენაცვალე, ცოლით, შვილით, ბიძაშვილებით, მამიდაშვილებით და რა ვიცი, ყველა მეიხსენია. გამიკეთა პორდოჩკი და გამაგულავა,— აქითკენ გევიგულავოთო, ვითომ საგულავოთ ვიყავი ჩასული ქუთეის...

მიმათრია ვილაცა ფილიმონა მეხაშეაო; შემიყვანა შით, მოატანია ორი პორცია ხაში და გვარიანათ გამომასკინჩილა. ქე დახარჯა ბარე ექვსი შაური, (ორი აბაზი იყო, მარა ორი შაური ყინვაზე დოუწერეს).

გამოვედით იქიდან, დამიწყო ღვინოზე ლაპარაკი— ესო და თქვენ დიდ ჭურში ღვინო იცოდითო, როგორ დგებაო, რამდენი დააყენეო,— და სხვა.

ეხ! მივხვდი მისი კუჭის ტკივილს, ვიფიქრე: ერთი ექვს აბაზ დავხარჯავ ამ კაცთანთქვა და დავპატიჟე ღვინოზე იქავე დათიკო ჭეიშვილის დუქანში. იმანაც შეიფერა, წინასწარ მადლობა გამომიცხადა და ქე შემომყვა პიწკათ. მიკიტანს ორი პორცია ბორში და ერთი ბოთლი ღვინო მოვატანიე თავის პურით. ვადღეგრძელეთ ერთიმეორე; ის ის იყო ვათავებდით, რომ ჩემმა თამადამ მიდღეგრძელა ყველა განათლებულები; ჩამისხა ღვინო ჭიქაში, მაგრამ აღარ იკმარა ღვინომ. ვფიქრობ:

— ამ ოჯახ-ამოსაბუქავმა რაფერ გამოიანგარიშა ეს მამაძაღლობა?

რას ვიზმდი—დავუძახე მეორე ბოთლს... სამადლობელი უნდა დავლიო.

ახალი მოტანილი იყო მეორე ბოთლი, რომ შემოდის ჰაკუნა მიქელაძე, აქა შვიდობაო და, ზედ მოუჯდა ამ ჩვენს სტოლს. ახლა რას იზამ? ამასაც პატივის-ცემა უნდა;

გავიდა ერთი ხანი, ეხლა ჭიკი შემოდის... აქა მშვიდობაო... მას მოყვა სხვა ოთხი მიქელაძეები, აქა მშვიდობა, აქა მშიდობა, აქა მშვიდობაო და ქე არ ეიმსო ეს სამიკიტნო მიქელაძეებით! დატრიალდა თამადა, აქეთ ღვინო, იქით გოჭი, აქით პაპიროზი და შეიქნა მშვენიერი ხელჩართული სმა. ასათ მიქციეს ჩემი ქონება. ფეხზე ადგომით მადღეგრძელა ჰაკუნამ; გამჭიმეს გრძელ-გრძელი სიტყვებით.

მშვენიერი ადამიანი ბრძანდებით, ბატონო კოსტა... მუდამ პურმარილიანი იყავი და მალადეც, რომ განაგრძობ ძველ გზასო... რა ვიცი რააები არ იყრანტალა; გამასივა, გამბერა, ჰაერში ამიყვნა, ღმერთის ამხანაგი გამხადა. ისინი რომ ბაასობდენ, მე ცალი ხელი ჯიბეში მქონდა და გროშებს ვითვლიდი—ვაი თუ არ მეყოს და ნაბადი დამატოვებიონ-მეთქი. კაი გვარიანათ შეფიანიცდეით და ზურნაც მოიყვანეს; (რასაკვირველია ჩემს სჩოტზე). გახურდა ცეკვა-სიმღერა. საიდანაც არ იყო, შემოცვინდა მილიცია:—ზურნა აღძალულიაო. კულაშლებმა ეს არ დაანე?ს, შეიქნა დაკ-დაკა; ქე არ გაგვასკანჩეს სუყველა! დახლიდარმა სჩოტი მომცა—16 მან. 49 კ. გვიბოძეო... მეც ვუბოძე. წაგვიყვანეს კუტუსკაში. პირველათ მე დამიძახეს:—შენ ვინა ხარ?

— გლეხი ვარ, ბატონო!—ვუჩვენე დაბედებული ხელები და თან ყველაფერი კაკლა-კაკლა მოვუყევი... ქე არ გამამიშვეს იმ ოჯახ-აშენებულებმა. მიქელაძეები შენც არ მომიკვდე, ეხლაც იქ ყრიან და ბარე ორი დღე იქნება ისინმა მათი ძვირფასი კოსტა ველარ ნახოს.

შიხლინსკი ბომბ.



## შორაპანი

შორაპნის კლუბს თავიდან,
ყავდა ერთი რაინდი;
თეთრი მოყავს შავიდან
თუ დაუდგა ამინდი...

—

ვასო ჰქვია სახელათ,
შუბლმაგარი, ლიპითა,
„ჩემი არის ეს სცენა“,
ყვირის მუდამ რიხითა...

—

„ყველა კბილებს დაგამრობ,
უთხრა ერთხელ გრიგოლსა,
თავში ხელი წააველო
თავს პრასივით წაგამრობ...

ასე მეფობს ნავარდობს,
ვასო ენა მოქნილი.
მისთვის ყველა ერთია...
ამაყი თუ ქედ მოხრილი.

კუკუ.

## ს. ლიხაური

სოფელ ლიხაურისათვის
ბაზარი ხომ აღარ ბაზრობ
თავგასული მენავენი
საჯაროთ ხალხს ტყავს რომ აძრობს;

—

შუქზე ბოგირს აღარ ველით,
ოთხი წლის მომლოდინე;—
ვართ უხიდოთ, ვით კუნძულზე
გაჭირვებაში მომთმინე.

ბოგირისთვის მოტანილი
დაუსილავს რკინა ქვიშას,
(ყოველ წლივ თუ პლანს და გეგმას
რადგან ეხედავთ რაღა გვიშავს).

—

ჩვენში კარგათ ცნობილია
ხელს რომ გვიშლის იაგორა
არგამტანი ფლიდი, მელა.
ნეტავ აქ რამ მოაგორა?!.

—

აღარ არის აქ წესრიგი
ყველა თავის ნებაზეა
აიწეწა ჩვენი საქმე
ვჩივით ძალამ რომ ასეა...

ბადლაჯუნა.




**ტრიოს (ქუთაისი)** გვწერთ: რომ რკ.-გზ. კლუბის გამგეობას „სალაროგუთი“ შეუძენია, რომელზედაც თურმე თქვენ ასე აომღერებიხართ:

ვყიდით კასას ვისაც უნდა
ჩვენი საქმე უკან ბრუნდა
—გეტყვით თუმცა აგრე იყოს
ვინ გიშველის ვინ რა გიყოს.
თქვენმა ლექსმა თავი იქოს
და გოდორში იჭიკჭიკოს.

**„ახიას“ (სამტრედია)**

ეხ ნიკა რას შეხარი რასა
ნუ თუ მართლა გგონია
რომ ქატა შობს ცხვარსა.
—ამ ლექსზე ხომ ახია
გადაფრინდეს გოდორში
სწორედ სივაგლახეა
თავს მისდევდე სოროში.

**შვიდობაურელს:**

თქვენი წერილი „დარჩუას ნაამბობი“
ფარსადანმა წაიკითხა
ულვაშებში ჩაიცინა
ს, მართალი მოგახსენოთ
მან დასწერა ამას წინად.

**ტრიოს. (ქუთაისი)** გეთანხმებით, რომ „დიდი შეხლა-შემოხლაა“ რუსთველის დაბადების წლის გამოსარკვევად.

**ა. ოროველს. (ამაღლების თემი).** თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია: როგორც გვწერთ მიზანშეწონილათ ვსცანით, რომ თქვენმა წერილმა უფსკრო გოდორში ჰპოვა განსასვენი. ბინ.

**კიკოლიკას. (სად. აგარა)**

იწერებით აგარა,
სადგურს რომ ეწოდება,
სასაცილო გამხდარა.
აქ ლვინოსთვის გოდება...
—გეტყვით: ჩემო კიკოლიკო,
საქმე ვსცანით როგორც იყო,
ლექსის წერა თუ კვლავ იწყო
გოდორი არ დაივიწყო...

# ორ ცეცხლ შუა



ქართველი მენშევიკი: იქ, საქართველოში 6 წლის თავი მიწუხებს გულს, აქ კი—ჟორჟანიას მთავრობის 6 წლის უთაობა!..

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 90 კვირა, 6 მარტი 1927 წ. № 90




**50** მანეთი ამ სურათზე უკეთესი წარწერისათვის

(იხ. მე-15 გვერდი)

# ნოტა ტარტაროზს

მოვიფიქრე, გადავსწყვიტე
და გადავდგი
მე ნაბიჯი,
არ გეგონო
გლახა ვინმე
ყოჩაღი ვარ,
კარგი ბიჭი.
ჯოჯოხეთის ბრძანებელო,
ნუ გეძრახვის
რჩევა ჩემი,
თუ გინდა, რომ
აქ იხარო,
და იხარო
„იქ" ედემი.
გვერდზე ნუ ხარ,
რას იბუტვი
მოიწიე ჩემსკენ ცოტა
და ბოლომდე წაიკითხე
მოწერილი ჩემი ნოტა;
კარგად იცნობ
შენ ჩემბერლენს
მელანდება,
სიზმრათ ძილში,
ჩანგალიც კი გაგიყრია
საბოდიშო მის ნაწილში...
დღეის იქით
არ გაბედო,
არ ახსენო მის სახელი,
მე შენ გირჩევ
ღმერთი თუ მრწამს
და ბიჭი ვარ
მე კახელი.
არ დახატო,
არც დასწერო
მაზე ცუდი
თუ გახურავს
ტარტაროზის
მძიმე ქუდი.
მუდამ აქე
და ადიდე,
და არც მეტი,
თუ არ გინდა
თავში მოგვხვდეს
მოღერილი მისი კეტი.
არ გასწიო
მის შესხებ
„მავნე აგიტაცია",
ან რას ერჩი
მეტად კარგი,
„დეპლომატი" კაცია,
უყვარს თავის სამშობლო
და წვრიმალი ნაცია;
ამას მოწმობს
საბუთები არა ერთი,
ეხლა ჩინელთ
ეხმარება შეეწია
„ლორდთა" ღმერთი.
რა უყოთ, რომ
არ მოსწონს
მას საბჭოთა კავშირი
გაფიცვებიც „ჩააქრო"
გააძვირა ნახშირი,
ან რომ უყვარს
სხვის[illegible]ინება",
პარლამენტში გამუდმებით
ბოლშევიზმის გინება,
და ამ ქვეყნად
ყველაფრის აქვს
მას ნება
შენგან კი
სულ ცოტა ეწყინება.
ასეთია, ძმაო, მისი
საბუთები „თეორია"
და ყოველთვის დაუჯერე
რომ ორჯერ ორი, ორია,
თორემ გაწყრება, იცოდე
მუდამ მზათა
ყავს ჯორია...
გაუფრთხილდი, დაიცავი
„მისი კონსტიტუცია".
ნუ გგონია
შენ ის მუდამ
უზრდელი, და ტუტუცია:
ამას გწერ, აასრულე,
შენზე კარგი
ჩვენში არ მეგულება,
და თუ არა, სამუდამოთ
დაირღვევა
ჩვენი ხელშეკრულება.

გრი.

---

# რაციონალიზაცია

(გურული სცენა)

დეიქცა შენი ჭირიმე ქვეყანა და აგია! ბიჭო რავა ამისანა წახთენის დღეი ჩემს მტერს დაადგა რავარც ჩვენ გვადგია.

ოი ღმერთო ამოაგდე იმისი ოჯახი ვინცხა აი „ბალშეიკები" მეიყვანა ჩვენს ქვეყანაში.

ბიჭო რავა გინახავს ამფერი ამბავი?

ჯერ იყო და სანამ პარიატკაში მევიდოდენ სულ ტყავი გააძვრეს ჩვენ დიდკაცობას; მერე მეიგონეს რაცხა „საკვრაშენიე"! მერ იყო და არცერთი წარჩინებული აზნოური არ დააყენეს ამ ქვეყანაზე. ალარც აგი აკმარეს და ხმაიც კი წაართვეს საბჭოში.

თუმცა ხმაი ისეც წამხდარი ქონდათ „ბოლშენიკების" შიშით და გარეთ ველარ გამოდიენ.

ყველა ამას, რომ თავი დავანებოთ ბოშო ახლა შემოიღესრაცხა ჯანდაბა „პრაწიოფაცია აპრატი". უარეს დღეს აყრიენ ქვეყანა. იქინე თბილის ქალაქში, რაცხა ზაყრაიყონი ყოფილა უჩრეჟდენიე, და ამ უჩრეჟდენიას ვინცხა ღურბელა ყოლია იმფერი, რომე მტერის ოჯახში შევიდა.

იმას გიჩივოდი, რომე წამუა თურმე აი ღრუბელა, დიეცემა რაცხა უჩრეჟდენიას და შავ დღეს აყენებს იქოურობას. მერე ბოშო გამუა იქიდან და სწერავს გაზეთებში იმხელა სტრატიებს, რომე ჯაჯიკაი მობრუნდება ზედ.

აქაო და „რეჟიმკომია"არიო, ქვეყანა იფსება „ბრუნჯეტი" ირღვევაო და რავიცი....

თუმცა ბოშო პაწე შეწყენილი ქივიყავი ამ ბოლშენიკებზე მარა ახლა ისე შემიყვარდა ამ „ბრუნჯეტით", რომე რა გითხრა!..

ამას წინად გამოაცხადეს „არავინ დაზოგოთ და „ბრიუჯენტით" იცხოვრეთო". მეც ეს მინდოდა: დოუძახე ჩემს ეფიზელას, კოსანდილას, ივანიკას, ყაფლამას და უთხარი ბრუნჯეტის შედგენის შესახებ ამბავი.

ეფიზელამ პაწაი ქი გაკაპასთა, მარა ძალით დევითანხმიე, და დავადექით ერთ აზრზე, რომ საჭიროა „ბრუნჯეტი". (კოსანდილამ და ივანიკამ თავი შეიკავა) ბოლოს შევადგინეთ „ბრუნჯეტი" ყოლისფერის დაზოგვით. ჩემი ეფიზელა ავარდა დავარდა და მითხრა: შე საწყალო ყაისარა ნავთი რომ არ გვაქ შეტანილი „ბრუნჯეტში" მაგი რაფერიაო.

ოი შენი გამომცემელი დეინაფთა საცხა, შენ კისერ მოსატეხო, ნავთი ხომ დასვრის „ბრუნჯეტს" და მიტომ დავზოგე მეთქი. ერთი კი გადმომისტიქინა და მოყვა წილადობილას: „სიფჩქას ფული უნდა", „ციცას კაბა არა აქო ფული უნდა, ქადს და ლობიას[illegible]-ო.

ოი შენ ამოგქამა დომბიამ თვალები შენ ქვეყნის სამოწყალო შენ! რავა გაზეთში არ წერია თუ არ გეყოს არაფერი არ დაზოგოო. მეც არ დაგზოგავ და ქი გიკრავ თავს მაჩვში და მოგაცემიემ სამზვოდს.

ოი შენ გადაგიბრუნდა კაკალი გული რავა შენ მომკალი აი მკტარი ქალი. მაჩვის და მგლების სახორცეთ მეიქეცი შენ თვარა მე ჯვარი მწერია. რავაც იქნა მე ჩემი გევიტანე. ახლა „პრაწიოფაციაც" მინდოდა დემეწყო და ამაზა მიველი ჩემს მეზობელ ესიკელეს ბიჭთან ნამეინშოიკარია ბატონო). შევეკითხე რა იყო აგი ფაცია რალაც არის მეთქი. მიეელი თუ არა მოუშუა ბრლანს და ქი გამალანძღვია თავი: „რავა აქამდი თუ მაგი არ იცოდი ჭურში ხომ არ იყავიო". ეს არის რაციონალიციაო და ნიშნავს „ჩვენს ქვეყნის ზედმეტ სიმდიდრეს და ქონებას ბალშენიკები ზღვაში გადაყრიენო; მუშებს დეითხოვენ და ვაჭრებს

## ქალი სარკის წინ

ნეტავ ვიცოდე თუ შემხვდება
მე კარგი ქმარი?
როგორც კი მხედავთ
მე ვარ აწი გასათხოვარი.

ვიშ რა ტანი მაქვს? ლერწმი ვარ
ამონატყორცნი;
ამ სიცივეში მხ! ჩემ დუშკას
როგორ ჩავკოცნი?

ცოტა სახეზე „იამები“
მრჩდილაჲენ მარა,
ზედ ლორიგანი მოვაყარო
ისიც კი კმარა.

ვიცი, ჩემ გამგის ვკუსისა ვარ,
სულ მაკვირდება,
როს მანქანასთან ის ბეჭდვის დროს
გვერდს მომიჯდება.

მთელი საათი ხანაც ორი
არ მომცილდება,
მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, პუდრი
სახეს სცილდება.
მომწყინდა შრომა დამეფარა,
მე მინდა მარი,
გამგე, თან სპეცი, ბიუროკრატი
პირ-მოღიმარი.

მიდის სარკესთან უნლა
მიდის სარკესთან უნდა ნახოს
როგორ უხდება,
ტუჩის მიტანა ტუჩთან, როცა
მას მოუხდება.

გაიღიმა და მღიმარ ბაგეს
ის დაეჯახა,
თავს კედლის სარკე, რომ დაემსხვრა
მაშინღა ნახა.

რომ ცხვირმა თურმე შეუშალა
რეპეტეცია,
დაღონდა მწარედ გულ ნაღველი
რომ დაექცია.

შიხლინსკი ბომბ.

## პლეხანოვის გამზირი.



პირველი მოქალაქე: როდის ველირსებით, რომ თავისუფლად გავიაროთ ქუჩაზე.

მეორე მოქალაქე: ფრთხილად თორემ ხომ უყურებ ამოდენა ქვების გროვას!..

დააყენებენ მათ ადგილზეო. დედა! დედა! რაფერ მომენთო ცეცხლი და მივაყოლე; ვაი შენს პატრონს, უბედურს შენ შენ ქვეყნის გლახავ მეგონა რაცხა იცოდი მეთქი. რომ წაგიბუებია მაგი ცხვირი გომის მთასავით და წაგძელებია მაგი ენა ნაბელლავის შარასავით, რავა ბალშეიკები შენ გადაგიყრის რამეს, შენ ეფოიეს გლახავ? ეგება იმიზა უფშვტენ მასე, რომე საბჭოში პაწიე უკაცრავად დავრჩით და ვერ გაგიყვანეთ

ზღვაში უნდა გადაყარონ გორის ფულიო, რავა რაც გადაყარეთ და წეიღეთ აქედან აღარ გეყოფიენ? ეგება კიდომ ფიქრობ რამეს გაუგზავნიენ შენს მენშოიკებს საზღვარგარეთ ერისთავის მწევარივით, რომ დადიენ გამოწანწლული შიმშილიდან?

— არა თუ შენ იცი მე რას მეკითხებიო.

— შენ გლახა როფება და სინცრუე კი იცით სხვაი სიკეთე თვარა. რომ იძახით ჯორდანია მუა და ჯარს მეიყვანს ანგლიცკი ჯორებითო, სათაა მერე. აგერ ექვსი წელიწადი შეუსრულდათ უკვე ბალშეიკებს და თქვენ მაინც იძახით ჯუმათის ფოცხვერივით და სუფსის ყვავსავით „მუა, მუა“-ო. რეიზა არ მევიდა ჩემო ბიძია თუ კაი მოსასვლელი პირი აქ?!

ახლა კი მივხდი რაც ყოფილა აი „პრაწიოფაცია“. ალბად ზღვაში შენისანა ხალხი უნდა გადაყარონ, რომ ასე აგეწვა კუდი. ასე არ თქუა ჩვენმა თავჯდომარემ, რომეო გასაბჭოების მეშვიდე წლის თავზე ჩვენი ქვეყანა ყოველმხრივ უნდა დასრულდეს და გასუფთავდესო? თუ კაია იგი შენი მენშოიკები ბიძია რავა, რეიზა უკან არ წაყევი, რომ წაბრძანდენ. ერთი შენც ნახავდი სეირს, რომ გამოგიხმებოდა კუჭი შიმშილით.

შენი ისე ჩამიგდე ენა მუცელში, რომ მეშინია ბალშეიკი ყოფილხარო—მითხრა.

— შენ გლახა შენზე ბალშეიკიც კი ვარ და ლენერალიც. წამობძანდი ახლა აგერ მიტინგზე და იქანაი გეტყვიან ვინ უნდა გადაყარონ ზღვაში.

შენ ჩემო ბიძია პაწე ჭკუით იყავი კულუმბურივით რომ იყურები თვარა იგი ღრუბელა ჩვენშიც გამეიარს ერჯელაც იქნება და მაშინ ნახავ შენ ვის წეიღებს იგი ზღვაში.

ახვალცჯიხო.

# გლეხის ნაამბობი

ნავთლუღის სადგურზე ჩამოვედი, ხურჯინი გვერდით მივიდგი და ამხანაგს ვათვალიერებდი, რათა ერთად წავსულიყავით ქალაქში. უცბად მივიხედე და ჩემი ხურჯინი ვიღაცას მიჰქონდა. გამოუდექ. დავეწიე ვაგონებში, მაგრამ მან რევოლვერი მომიშვირა და შეშინებული უკან გამოვიქე ყარაულის დასაძახებლად. ყარაულს ვინტოვკა ეკიდა,პატრონტაში ერტყა და ალხეინად სეირნობდა ბაქანზე.

— ამხანაგო! ჩქარა, თუ ძმახარ, გამძარცვეს.

— მერე მე რა უყო?

— წამო, კაცო ჩემი ქონება სულ იმან წაიღო.

— არა მცალიან..

— რას აკეთებ?

— ვყარაულობ!

— რას ჰყარაულობ?

— რა ვიცი რასა ვყარაულობ!

— როგორ თუ არ იცი: იქნება ის მიაქვთ ქურდებს; რასაც შენა ჰყარაულობ, არ უნდა იცოდე!!

— მე მითხრეს აი აქ იყავიო, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლი.

— მილიციელი მაინც არავინ არის?

— როგორ არ არის. რუსთველის პროსპექტზე არიან..

სანამ ჩვენ ლაპარკს გავათავებდით, ქურდი ალბად უკვე ნაქურდალის შეჭმასაც მოასწრებდა და მონელებასაც, რაღათ უნდა წავსულიყავ რუსთველის პროსპექტზე მილიციელის საძებნელად?! წავედი ქალაქში ცარიელი. ერთად-ერთი საქულაჯე შალი, რომელიც ხელში მეჭირა, შემრჩა ნუგეშად.

სირაჩხანას რო ჩავცდი და მიხვეულ-მოხვეულებში გავები, ვიღაც კინტო მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ძია საათი არ გინდა? კაი საათი მოგყიდო.

— რა ეშმაკად მინდა საათი! უთხარ გაბრაზებით და განვაგრძე გზა. ამდროს მეორე კინტო წამომეწია და მკითხა:

— ძია, რას გეუბნებოდა ის კაცი?

— საათს მასყიდებდა.—უთხარ მე:

— მომარიგე იმ კაცთან და სადალალოს მოგცემ.— მითხრა მან.

ვიფიქრე, ეს ზარალი მოვიდა და მოდი ამ დალალობაში მაინც ავიღებ რასმე მეთქი და დავთანხმდი. მათ წამიყვანეს ვიწრო ქუჩებისაკენ და გზაში ვაჭრობდნენ, თან მეკითხებოდენ, მეც „ვარიგებდი". ბოლოს მიმიყვანეს მიყრუებულ ალაგას და რაღაცნაირად საქულაჯე ხელიდან გამომაცალეს და გაქრენ. შეწუხებული აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ახლო ვერავინა ვნახე მეშველი.

ბოლოს ერთი კაცი შემხვდა, ვკითხე მილიციელი სადა დგას მეთქი და იმანაც ასე მიპასუხა რუსთაველის პროსპექტზეო.

— კაცო, რა ღმერთი გასწყრომიათ, რაღა სულ იმ რუსთველის პროსპექტზე დგანან?!

— იმიტომ, რომ რუსთველის პროსპექტს ისე უხდება მილიციელის დგომა, როგორც თვით მილიციელს წითელი ჯოხი, ისინი რო იქ არ იდგნენ ის წითელ ჯოხს ვიღა აიშვერსო.

დაღონებული და დაძმარებული მივედი ჩემს მოყვარესთან.

მითხრა, წამიყვა, სად გაგძარცვესო. მეც წამოვიყვანე. სწორედ მაშინ დიდი თოვლი იყო. ქალს გარედ აღარ გაესვლებოდა. ყველა კუთხეებში ახალგაზრდა ბიჭები იდგნენ და ესროდენ გამვლელ გოგონებს. ერთ კუთხში მილიციელებსაც დეეგროვებინათ გუნდები და ელოდდენ ქალს. უცბად ფანჯარაში გამოჩნდა ქალის სახე, მილიციელმა მოჰკრა თუ არა თვალი, სთხლიშა და კარგად დაგუნდავებულ თოვლს შუშა შეაფხვნევინა. ფანჯარა და ქალის სახე უნდა შემცოდებოდა, მაგრამ ამ დროს მეც მომხვდა ტყვიასავით მწვავე გუნდა შიგ ყურის ძირში და დავრეტიანდი წაქცევას ვაპირებდი, მაგრამ მოყვარემ ყურის ექიმთან ამბულატორიაში წამიყვანა. შევედით. ჩემამდე სხვა გაშინჯა.

— აქეთ მოიხედე, იქით მოიხედე—უთხრა ექიმმა: ავადმყოფმაც მიიხედ-მოიხედა და:

— სხვა არაფერი.—უთხრა ექიმმა: აი ამ „პარაშოკს" მიიღებ.—დაუმატა ბოლოს მან. ავადმყოფი ადგა და რაღაცა უნდა ეკითხა ექიმისათვის, მაგრამ ექიმი უკვე სხვასა ჰსინჯავდა, რის გამოც ველარაფერი ჰკითხა და ეჰვიან— გაურკვეველი წავიდა. მეც ასე უცბად გამსინჯა და რაღაც ფხვნილი გამომიწერა.

— უკაცრავად, ხვალე მოვიდე?—ვკითხე ექიმს.

— თქვენი ნება არ არის?

— როგორ ჩემი ნება...

— მობრძანდით, მობრძანდით—მითხრა ექიმმა და ახლა სხვას დაუწყო უკვე სინჯვა.

მეორე დღესაც მივედი და, წინა დღეს რომ ჩემზე წინ კაცი გასინჯა, რომელსაც „პარაშოკი" გამოუწერა მისალებად, იმისი ცოლი მოვიდა.

— ბატონო ექიმო, კაცი მოიწამლა თქვენი გამოწერილი „პარაშოკით".

— როგორ მოიწამლებოდა „პარაშოკით", რას ამბობ?, უთხრა ექიმმა.

— ისე, ბატონო, რომ თქვენი გამოწერილი ყურის „პარაშოკი" ენაზე დაიყარა და მიიღო.

— ენაზე რათ იყრიდა ყურის წამალს..

— მაშ როგორ უნდა მიეღო; თქვენ არ უბრძანეთ მიიღეო?..

ამის გამგონეს შიშისაგან ყური მომირჩა. ავდექი და გამოვიპარე. ქალაქიდანაც წამოველ სოფელში და გადავწყვიტე აღარასოდეს აღარ ჩამოვიდე მანდ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!.

**ფეშვანგი ყაშვიბერტყაძე.**

# ტფილისის მონადირეები

როცა ზამთრობით თოვლი თოვლს მისდევს
ზვავი, შვავები ფეხზე დგებიან
მაშინ ტფილისის მონადირენი
ყეელა სასპორტოთ ემზადებიან.

—:—

სდგებიან დილით გუნდათ თუ ჯგუფად
ყველა საომრად დაიყოფიან
და რონოდებში შეხვდებით ძაღლებს
და მათ პატრონებს ყველა თოფიანს.

—:—

აქ არის კოკა „როკი"-თ რჩეულით
გიჟი სეტერით და ლავერაკით
ფეხს აწკაპუნებს ყველას აწუხებს
ანეკდოტებით და ლაპარაკით.



„მიკვირს რათ მოგყავთ „ჯიპსი" თუ „ლონდა"
ათასი მოვკლათ მოიტანს „როკი"
ვერ შემედრება ძაღლის გაწრთვნაში
პაჭუ, გაიოზ, პაოლო, კოკი.

—:—

ორბელიანი უკვე მოვკალი
მსურს გავაფასო ან პაჭუს „ლონდა"
მას მივაყოლო „აბრეკ", „ამირან"
„დეზი" ლამაზი ვით ჯიოკანდა.

—:—

„როკი" ხომ ყველა ძაღლებსა სჯობნის
ყნოსვა აქვს იმას მუდამ მართალი
პავლოვსკის ვურჩევ „ჯიოს" კუდი მოსჭრას
და გააჩუქოს ვით ფორთოხალი.

ბრაზობს ქიჰიკო გოგიბერიძე
და ვალოდია ფიქრში გართული
კობალაძეც კი დადუმდა ისე
ველარ მონახა სიტყვა ქართული.

—:—

ხუტულაშვილი ჩუმად იცინის
მას იმედათ ყავს „აბრეკ", „გოლეტა"
მეგრელს ლაგამი ამოვდო პირში
როდის იქნება მაისი ნეტა.

—:—

ფიქრობს მიეცა ფანცხავა მხოლოდ
„ალმა" ავად ყავს ის ქალთა სქესი
„როკის" სისხლი აქვს—ასე ამბობენ
იგი ლამაზი და უკეთესი.

—:—

ბერელაშვილი თავს იქნევს მწარედ
მას გვერდში უწევს მოხუცი „ჯიპსი."
ეტყვის „რა გიყო დამიძაბუნდი
ვაი! სირცხვილო გჯობს „არმაისი".

—:—

ამ საუბარში, ისევ გუგუნებს
და ორთქლმავალი შორს მიდის შორსა
დამძიმებული მრავალ მგზავრებით
მიუახლოვდა ის სადგურ წნორსა.

—:—

დაწყვილდენ, ძაღლთან ბარგი ბარხანით
ყველანი უცებ ფეხზე დგებიან
მცირე გზა აქვენ ფეხით სავალი
სადაც ხოხბები ეგულებიან.

—:—

ერთმა ათი კრა და ათმაერთი
ვინ სულ ვერ მოკლა და ვინაც ათი
პაჭუ სხვის მოკლულს გამოედევნა
ასეა მისი წესი ადათი.

—:—

ფიცავს მე მოვკალ კითხე პაოლოს
და მოწმათ მოყავს „აბრეკი", „ლონდა".
ბერელაშვილი თუმცა იცინის
ამბობს ხოხობი მოკლული ქონდა.

—:—

ფანცხავაც თითქმის ამართლებს—ეტყვის
„პაჭუს" მე ვიცნობ ნადირობაში
საგარეჯოში მე რაც მოვკალი
მან ჩაილაგა ჩუმად ჩანთაში.

**ირმა.**

# მიმოხილვა

აბადელი, ლალე, ლალე
გინდა დღეს და გინდა ხვალე.
ტვინში რაღაც მიღიტენებს
შავ კისერში გეხვანხვალე.

---

არც ბუხარი და არც შეშა
(მამა ღმერთმა გაგაშეშა)
არც ლები და არც ზეწარი.
თვითონ შენ ხარ უმეცარი.

---

ლილა-ხანა, ყავა-ხანა,
ჰარამ-ხანა, ჰაშპაშ-ხანა,
სირაჯ-ხანა, ჯაბა-ხანა,
დურუჯი და „დრამა-ხანა".

---

ოდელია ია, უა
სად მოზვერი და სად ფური.
არც ტვინი მაქვს და არც ჭკუა
სად კიტრი და სად შამფური!?

---

სტუდენტი და მაუზერი,
„უჩიტელი" პიონერი,
დიაკონი მეთულუხე,
მღვდელი მილიციონერი.

---

ზარძაყამდე მოკლე კაბა
მოშვლეპილი კისერ მკლავი,
წელში მეცა არ გამიშვა
მომიჭირა მოსართავი!

---

ირიახო, ურუახო,
მომეხმარე ერთი წუთი,
თავზე წყალი გადამარე
(პორთფელი მაქ სამი ფუთი).

---

ზაფხულია ტვინი მიდუღს
ზამთარია მაინც ცხელა,
სახაზინო ფული უყლაპე
„ეედ ბივაიტ ტაკლი დელა".

---

აბა დელი, დელი, დელა
აღარ მარგებს შენი შველა,
მაყურჯი და ჩემი თავი
ხან მცივა და ხანაც მცხელა.

---

უფულობა რას მიქვია?
ოპერაში ქე შევძვერი,
პარიკმახერი რათ გინდა?!?!
შეიტრუსე. ულვაშ-წვერი!..

---

ნუმაკავებ, არ მოგიცდი
სულ რომ მირტყა თავში კეტი.
მტკვარში უნდა გადავარდე
მომიწია „ოჩერედი".

**ა. აბუსალათინი.**

# სახელგამის გათომის განყოფილება




სახელგამის ვივესკებზე,
დაიხარჯა ათასები,
ეგონათ თუ მოიგებდენ,—
რომ მოსტყუვდენ მით სავსებით.

გარეგნულად ლამაზსა
მაღაზიაც არის დიდი
წიგნებიც უამრავი არის
ვიტრინებზე გასაყიდი....

მაგრამ არვინ ეკარება,
მიასნიკოვს გვერდზე ხედავთ,
მუშტრები რომ დასევია,
ეს „სახელგამს“ აწევს სევდათ...,

# გრიპი




ვინაიდან მოქალაქენი არ ერიდებიან გრიპის სნეულებას, ამიტომ „ტარტაროზის“ რედაქცია განაგრძობს ბრძოლას გრიპის წინაღმდეგ.

# ოზურგეთის მატარებელი



საკვირველი საქმე არის
ამ ყინვებში ამ ზამთარში
რონოდებს, რომ არ ათბობენ
გვაცახცახებს, გვცივა ქარში.

სიცივეა გათბობაზე
არვინ ფიქრობს არვინ ზრუნავს
ახ ვიცოთე ნეტავ მაინც
ამ საკითხს ვინ ამოსწურავს.

# ორი ხულიგანი

1. ვფიცავ ჩემ სიყმეს და სინიდისს,
ცუდი ბიჭი ვარ... არა...
ხულიგანს კი მეძახიან—
ტაში-ტუში, ტარა-რა...
2. მეც ისე, ვით ჩემს ამხანაგს
მეძახიან ავარას...
მისთვის რომ ქუჩაში ჩხუბით
ვამბობ ტუში-ტარა-რას...

—:—

1. განა ეს ხულიგნობაა,—
რომ ქუჩაში ვღრიალებთ?
და, ვინც ხმას გაგვცემს, მაშინ—
ბებუთებს ვატრიალებთ?!
2. იმისთვის ვართ ავარები,
რომ ვერვინ გვჯობნის სმაში?
ან რომელ მომღერალ არტისტს
ვერ ვჯობთ ხრინწიან ხმაში?!

—:—

1. ხულიგნობა არის განა,
რომ სხვის ჯიბეში ვყოფთ ხელს?
მილიციაში ყოველ დღეს
ციცინებთ ჩვენს ახლებს...
2. ხულიგანი ვართ მიტომ რომ
გზაში ქალებს ვეხლებით?

1. ხულიგანი ვარ მიტომ რომ
დავდივარ კაზინოში?
ლოტოში კარტებს ვიპარავ—
და ჩხუბს ვტეხავ კინოში?!
2. ხულიგნობა არის განა,
რომ მეზარება შრომა?
ბნელ ქუჩებში ქურდობისთვის
ფანჯრებში გადაძრომა?!

—:—

1. ხულიგნობა არის ის, რომ
მშვიდ ცხოვრებას ვარღვევთ?!
თუ ვნახეთ, არვის დავინდობთ,
და ყველას დავარბევთ...
2. ხულიგნობაა, რომ მუდამ
ვზივარ კამერაში?!
ვიღაცას, რომ შევუკურთხო,
ო, ვსტყუი მე რაში?!

—:—

1. ხულიგნობაა, ვითომ ის,
რომ ვიღაცას გავკრა?
შუაღამისას, ყვირილით
არე-მარე შევძრა?!
2. ხულიგნობა ჰქვიან განა
მეეზოვის ცემას?!
მშვიდობიან მოქალაქის
პატივის არ ცემას?!

1. ხულიგნობაა განა, რომ
მილიციელს ვურბით?..
ზოგი პოეტივით, ღვინის,
არა გვყოფნის რუმბით?!
2. ხულიგნობაა სადგურზე
სხვისი ბარგის პარვა?
ან და კლუბში, უბილეთოთ,
ჩუმათ შემოპარვა?!

—:—

1. ხულიგნობაა კლუბში, რომ
წესებს არ ვიცავდე?
წითელ სასადილოს გამგეს
კვარტს თავში ვურტყავდე?!
2. ანუ პაპიროსის ნამწვსა
იატაკზე ვყრიდე...
და, ან შენებრ, მანდ, რომ ზიხარ
ფურთხს ყოველგან ვღვრიდე?!

—:—

ერთად. ძმაო ვასო, ძმაო სედრაკ,
გვეყო აქ რაცა ვსთქვით,
თორემ დამსწრეთ მოეწყინათ
თავს გაგვიტეხენ ქვით...
წამო, და ამ გამსახლიდან,
როცა გავალთ გარედ...
ჯერ კიდევ ბევრს ავატირებთ
აქ დამსწრეებს მწარედ...
წამო, თორემ ხულიგნებს
არავინ დაგვლოცავს...
შეხედე, მილიციელი,
ო, აქეთ მოცოცავს...

ტარზან

# „სუფ-სარქისის გაშმაკება“

(ჩამჩილოკიაანთ იაგორას პრიკლიუჩენია)

— აი ჩემი ცოდო ატაროს, ვინც რომ ეს ვსეობშჩი ჟენსკი რავნაპრავია მაიგონა და ამ ჩვენ დედაკაცებს ტვინის პერევაროტი გაუკეთა! ვა. ქრისტიანო, ველარ გამიგია შე გავგიჟდი, თუ ქვეყანა საგიჟეთათ გადაიქცა? კაცსა ნაინტერეს საგული-გულო საქმე რომ გქონდეს, დედაკაცთან ველარ დაგილაპარაკნია, — იმტოლს იჩალიშებენ, რომ ბოლოს აქიას ქალების რავნაპრავიაზე ჩამააგდებენ და პტყელ პტყელ რეჩებით ზაჰლას წაილებენ:

— თუო ეხლა „მუჟსკი“ და „ჟენსკი“ მაისპო და რავნაპრავნი გავხდითო, ეხლა ქალებიც იმას აკეთებენ, რასაც მამაკაცებიო — სლუჟბა, არჩევნები, ვასპიტანია, რამე— ყველაფერში ურავნიტი გვიყვესო...

ამ პემურაზმა კეკემაც კაჰკაჰივით ნაიზუსტათ გაიზეპირა ეს სიტყვები და იმტოლი იჭიჭინა, სანამ ჩემი უფროსი ქალი მარუსაც არ ამიცუნცრუკა. ჰუზურში საქმე იმით გათავდა. რომა სახლში უსაყდროთ და უბლაღოჩინოთ შვილი-შვილი შამამიყვანეს, მარუსა გაუთხოვრათ დაქვრივდა და კეკემაც „ჟენსკების და მუჟსკების“ გაერთიანებაზე ლაპარაკს თავი დაანება... მახლაზ, რაღა დროს? თავნ სარგებელი გასწორებულია და წამხდარ საქმეს ველარ ეშველება!..

სულ-ქვეშ რო ვთქოთ, მეც კი მინაოთობა მიმიძღვის და ახრიზამანში ველარავის ვამტყუნეფ! ახარ შე დარდაკო ჩემო თავო, რატო არ ჩაფიქრდი, რაზუმენია არა ჰქენი: სუფსარქისი რუსულ „მამაოჩვენოს“ გეტყოდა? არა რომ აქ რაღაცა ჰიშკილბაზობა იყო, კარს რას ულეპდი, იმ გოგოსთან მარტო რას უშვებდი, ანგელოზმა თავისი გზა თითონ არ უნდა იცოდეს?

ჰოო, მე სულ დამავიწყდა, რომ შენ ამ საქმისა ჯერ არაფერი გცოდნია! თავიდან გეტყვი, კრიალოსანივით ჩაგითვლი, დასამალი რაღა მაქვს?—სულ ერთია, ოკროჟნი სუდი რაზბორს იზამს და ქვეყანა გაიგებს: ის ჰაკარაკი გენუა გაზეთში ჩააგდებს.

ყველაფერი წუმიდან დაიწყო რაღა! ნუ, სახლში ქალებს წუმს როგორ დაუშლიდი? ვაჭარი კაცი ვარ, წუმი და სუფსარქისობა მწამს, მუდამ თელეთში დავდივარ, შავნაბადას სახელზე კელეპტრებს ვანთებ, სლოვომ, რაც სულის საქმეა, ყველაფერი მწამდა!.. მებნებიან, რომაო—შენ პრაისხაჟდენიით ქართველი ხარ და სუფსარქისი და სუფგეურქი რა შენი საქმეა, შენ იოვანე ნათლისმცემელი და მიქელ-გაბრიელი უნდა გწამდესო! გადაყარე! მე მაგისთანა ნაციონალისტი ხატები არა მწამს! მე თბილისელი ღრაჟდანინი ვარ, კუპეწი კაცი მქვიან, მეშჩანცკი უპრავაში ღლასნათ ვიყავი ათადან-ბაბადან დარჩენილ ადათებს დიდი პაჩოტით და უვაჟენიებით ვასრულებდი, რის ქართველი, რის უტია? სიზმარმა და სუფსარქისმა ეგენი იცის?

მაგრამ რას მოვიფიქრებდი თუ ეს მიწა-გასახეთქი, ახალმოდნებში გაზდილი მარუსაც სუფსარქისობას აჰყვებოდა და წუმს შაინახავდა?..

შარშან, სუფსარქისობას მთელი კვირა მშიერი იყო: სადილს მოვიტანთ, ყველანი ვჭამთ, ის კი ზის,—პირში არაფერს უშვებს. ვებნები:

— გოგო, მარუს, ჭამე შვილო, რა კაპიწი შაგკვრია, ბალეზნი ხომ არაფერი შეგეყარა?

— არა პაპაჯან. აპიტიტი არა მაქვსო..

თურმე წუმს არ ინახამს?!.

სუფსარქისობა ღამეს ვეძის-კვერა გამოუცხვია და ქოსმენივით მარილით გამძღარა, რა არი სიზმარსა ვნახაო და ვინც რომ ჩემი ბედია, სუფსარქისი მამიგზავნის, წყალს დამალევინებს და ზაოჩნი აბრუჩენიას მიზამსო.

მეორე დღეს, ზაკუსკაზე რო ვსხედვართ, ეს გოგო მე და კეკეს ურცხვათ გვებნება თუ

— მოსარიდი რა არი, რაც რომ გულში მქონდა, ამისრულდა და თქვენც იცოდეთ, რომ წუხელ ჩემთან სპალნაში იყო, პრიდლაჟენიაც გამიკეთა და იმის მეტი არავინ მინდაო.

— რას ამოფ გოგო, ვინ იყო, ვინ გაგიკეთა?

— თულუხჩიაანთ იოსებამაო.

— მერე შენთან, სპალნაში როგორ გაბედა შუაღამისას?..

ეტყობა ძალიან გავბრაზდი რაღა, გულში ფინთი პრეჩუსტვიები ამეშალა და თვალები დავაბრიალე. მარუსა შეშინებული მებნება:

— პაპაჯან, წუმი შავინახე და სიზმარში ვნახეო. ის და სუფსარქისი აკოშკიდან გადმოძვრენო, სუფსარქისი კედელთან დადგა და უთხრა:

— იოსებ, მიდი, ნუ გეშინიან, საპანი გადაჰხადე და წყალი დაალევინეო, ჰამაც უთხარი, რომ ყისმათის დავთარში ოქვენი სახელი უკე ჩაგდებულია და ხვალვე მაგის მამა თუ არ დამიძახებს და თავისი ნებით არ მოგათხოვებს, დაითარსებითო. მე ხვალ ისევ მოვალ და გავიგეფო, იმანაც ჯერ საბანი გადამხადა, წყალი მამაწოდა და პრედლაჟენია ნეჟნათ გამიკეთაო. ეხლა, დღესვე დაუძახე და შენი საგლასია მოგვეცი, თორემ როგორც სუფსარქისმა თქო, დავინავსებითო,—შენებურათ სტარი ზაკალებს კი ნუ დაიწყებ, ეხლა ყველაფერი პრასტოვათ კეთდებაო, მე ქალის რავნაპრავია ნებას მაძლევს უშენოთაც გავთხოვდე, ჰამა შენი ხათრი მაქვსო.

— ვა ეს რო მითხრა, პირდაპირ ისე გავბრაზდი, რომ თუტბოლ ხი ბურთივით შავხტი და დავეცი. მეთქი-მაგოტოლა გოგო ხარ, თავში ჭკვა არა გაქვს? იმ ჰარამზადას სახლში როგორ შამოუშვეფ? ძალაჩივო რომ სუდენტია, სუდენტი შენ მამა აბრამის ბატკანი ხომ არა გგონია? ჯერ ნახე, ჩისტკა იყოს, ისე გამოაპანღურებენ რომ პანღურისგნით კუკუზნაკი ჩაუდრიკონ!—ფინთი ვინმეა, ჰავარაა, სატივოზე მტრედებს აფრენდა. ზარულის კედლებზე რამეებსა სწერდა; ეხლაც ულვაშები გაუპარსია, ტრიატებში თამაშობს, ზამთარში უქუდო დადის, ჰამაც იძახიან, ფუტურისტიაო!—ხატი არა სწამს და ჯვარი—მაგას სუფსარქისი როგორ მიეკარებოდა მეთქი მაგ ლუპუსტაცსა?

ერთი სიტყვით, ცივი ატკაზი დავარტყი... ის გოგო ატირდა და იძახის:

— მე არაფერი ვიციო, ამაღამ სუფსარქისი კიდევ მოვა და თუ იმის სიტყვა არ შევასრულეთ ფინთ საქმეს გვიზამსო. დაიხურა შლაპკა და სადღაც გავარდა.

იმ ღამეს, მარუსა სტალაოში გამოვიყვანეთ, ვთქვით თუ კაცნი ვართ, გუშინდელი პეჩატლენიით სიზმარი არ გაუმეორდეს და არ შეშინდესო, მე და კეკე იმის სპალნაში დავწექით.



ლუა-ლაძეა, გვძიხავს. ერთიც ვნახოთ, აკოშკაში რაღაცა ჭრიალი გავიგონე, თვალები გავაჭყიტე. გულმა შიწინგნით დიპლიპიტო დაუკრა: აკოშკა გაიღო და პუპუზ, ვიღაცა, თავიდან-ბოლომდე თეთრ ჩადრში გახვეული ოთახში შამოვიდა. მე გავიტრუნე, კეკე ხვრინამს. მინდა დავიყვირო, ხმა ვერ ამამიღია, ცივმა ოფლმა დამასხა და ჰამაც ნაჰალზე რაღაც სხვანაირი სისველეც ვიგრძენი. ეს თეთრი კაცი ჩემსკენ მოდის, ანგელოზის პახოტკა აქვს— ნამდვილი სუფსარქისია რაღა! მოვიდა, საბანი გადამხადა, ხელს მიცაცუნებს და თან მებნება:

— ჰაა, მარუს, პირობაზე როგორა ხარ, მამაშენი სალლასნია?

მე ენა ჩამივარდა ჰამა ჩრეზმერნი შიშისგნით რაღაცა ამოვილუღლუღე. ისიც ჯერ გაჩუმდა. მერე კი რუსულათ ძაბაოჩვენო დაიწყო:

— ოჩა ნაშე, იჟე ესე, ნა ნებესე... ნუ შეგეშინდება მე სუფსარქისი ვარ, გული მაიბრუნეო.

კეკემ გამოიღვიძა, წამოვხტით, პირჯვარს ვიწერთ და ვ:ხვეწები:

— შენი ნაფეხურების მკოცნელი ვარ, შენი მადლისა და მურაზის ჭირიმე, ჩვენზე ავი თვალით ნუ იქნები და რასაცა მთხოვ, მომცემი ვართ...

— მნოგა ნი ბალტაი ბარან გალავა, თუ ხვალვე იოსებასთვის არ მიგითხოვებდა მარუსა და ჰამაც კაი მზითევი ნატარიუს: ო არ დაგიმტკიცებია, სახლში ხორველა გაგიჩნდებაო. ეხლა კი მითხარი მარუსა სად არისო.

— აი, იმ ოთახშია, სუფსარქისოჯან, შადი, შენი პირჯვარი დასწერე, რაც რომ გითქვია, ბესპრეკასლოვნათ შავასრულეფ მეთქი... შავიდა. და კარები მოხურა.

მე და კეკე დიდხანს გაქვავებული ვიყავით. ბოლოს პირჯვარის წერა და ლოცვები მოვყევით. მერე ავდექით და წმინდა სანთლები ავანთეთ, საკმელი ავაბოლეთ. სუფსარქისს ესიამოვნებაო. ვიცდით, მარუსასგნით როდის გამოვა, რომა შავიდეთ და ფეჩატლენიები უთხრათ.

ბან ჩუნის?.. შუალამე გადავიდა. სუფსარქისი მაინც არა სჩანს. მარუსას ოთახიდანაც ხმა არ გამოდის. ბოლოს კეკე მებნება:

— არ იცი ქაა, რომ ანგელოზი ნქვიძიმი რამეა? ყველაფერს ხომ ჩვენ არ გვაჩვენებდა? წუმის საქმეზე იყო, რაც რომ ბედი იყო გვითხრა და ისჩეზნუტი ქნა რაღა, ვენაცვალე იმის მადლსა და ძალას...

წამოდი შავიდეთ, მარუსასთან...

კარები შავაღეთ და სანთელი შავანათეთ.

ვა, ვა, ვა, ნუღა მათქმევინეფ, ეხლაც გულის რაშირენია მამდის, პრაზისგნით ეპილეპჩესკი პრიპადკა მემართება, ჩემი სირცხვილის სოკში ყაურმასავით ვიხარშები!.. იცი რა ვნახეთ? თურმე რის სუფსარქისი, რის ანგელოზი. ის აკოშკიდან შამოსული თეთრ ჩარსავებიანი პრივიდენია, ეს რაზბოინიკ, გულუხჩიანთ იოსება არა ყოფილა!?

თურმე იმასა და მარუსას მოლაპარაკება ჰქონიათ, რომ ასეთი შტუკით მე სალლასნი გამხადონ და რახან ჰარიფათ მოვეჩვენე და მიამიტათ ყველაფერი დაუჯერე. შასულა და ამ გოგოსთან ალხეინათ ლასკოვი აბესნენიებში ჩავარდნილა! ერთი დილმურათ დავიღრიალე და მივდიეარ. იმან წამოხტა და ღია აკოშკიდან პირდაპირ ქუჩაში ისკუპა. ფეხსაცმელები და პრასტინები იქ დარჩა.

— ჰაი, შე რაზბოინიკო, აფერისტო, შენ გგონია გადამირჩები? სადაც დაგიჭერ, კალუშებიანათ შაგჭამ შე ლაწირაკო ჰარამზადავ შენა, მილიციონ, დერჟი ემუ. არ გაუშოთ, ოჯახი შამირცხვინა მეთქი... ხელი სტაცეს. ბევრი იჩალიშა, ჰამა მაინც უჩასკისკენ გააფრინეს. იქიდან ნაობახტში გავაგზავნინე.

რაც რომ მარუსას დღე დავაყენე, მტერმა ნუ ნახოს. ჰამა რა გამოვიდა? იმ დედაბერისა და კარების დახურვისა არ იყოს, ნეზაკონნათ ყმაწვილი ეყოლა. მე მინდოდა ჩუპათ დეტსკი პრიუტში მიმეცა და ერთ დილა ჰუზმოზე პრავიზიის კალათით წავიყვანე, ჰამა არ მიიღეს. უკან რო ვბრუნდებოდი, უჟე ხალხი აირია ქუჩაში. ბოლოკი ვიყიდე და ამ კარზინკას ზემოდან დავაყარე—ვითომ პრავიზია მიმაქვს მეთქი.



ძაგრამ იმ ძაღლის ლეკვმა შუა ქუჩაში კნავლი და ფეხების ქნევა არ დაიწყო? მთელი ქუჩა დამედო, მე კი გიჟივით გამოვრბივარ და სახლში როგორ მოვფრინდი, აღარ მახსოვს.

იმას აქეთ, წელიწადი გავიდა... მარუსას თავის საზრდო მივეცი. და სახლიდან დავითხოვე. ის ლაწირაკი იოსება გუბერცკის ციხეშ ზის; სუდში მიმიცია, რაზბორი მალე იქნება. ადვაკატებთან საქმე უჟე დამიჭერია: მესხიოვი, ბარათოვი, ღვამიჩოვი—ყველანი უნდა ვალაპარაკო, რომ იმ რაზბონიკს ციმბირი აქეთ დავაგდებინო. იმისი ფეხსაცმელები ვეშჩესტვენი დაკაზატელსტვათ წამილია,—ფარსადანმა იმათ სუფსარქისის ბაშმაკები დაარქვა.

სახლში კი სტროგი პრედუპრეჟდენია მიქნია, რომ სუფსარქისი ხმა მაღლა არ ახსენონ, რავნაპრავია არ გამაგონონ და წუმი აღარ შაინახონ.

ფარსადან.

# გაზაფხულის პირზე



**პირველი მოქალაქე:** ნეტავი მალე დათბებოდეს რომ ეს ჩემი დახეული პალტო თავიდან მოვიშორო.

**მეორე მოქალაქე:** ეგ კაი საქმეა, მაგრამ მე რო პალტო გავიხადო, შენს მტერს შიგნიდან ბლუზა-შარვალი სულ ოანაფლეთებულია.

# მუყაითი მუშა

— პოლიკარპეს ვახლავარ, პოლიკარპეს!

— ჰო! ნიკოდიმეს გაუმარჯოს! რასა იქ? როგორა ხარ?

— ისე, როგორც თავისუფალ მოქალაქეს შეეფერება.

— როგორ, მუშკოოპში აღარა ხარ?

— ჰე?.. გენაცვა კაი ხანია რაც თავი დავანებე.

— რატომ?!

— მაგ შარიანი ხალხის თავი სად მაქ! მოგეხსენება ჩემო ნიკოდიმე, დიდი ხნის ნამსახური ვარ, სად არა ვყოფილვარ, რა არ გამიყიდია, ერთი სიტყვით ჩემისთანა სტაჟიანი კაცი მუშკოოპს არა ჰყავდა.

გავიგე, ჩემო ბატონო, ალაგიაო, შევიტანე განცხადება და ხელად მიმიღეს. მომაქციეს ისეთ მაღაზიაში, რო, რა გინდა სული და გული იქ არ ყოფილიყო: შევიოტები მეტრო 17 მანეთი, ფარჩები ოც მანეთიანი, ქალის საცვლები 17 მანეთიანი, დუხები, ოდეკალონები, პუდრები, სუყველაფერი რაღა, შენ წარმოიდგინე საპონიც კი ხუთმანეთიანი იყო. ახლა ტორტებიო, კექსებიო—საბავშო სათამაშოები ოც მანეთიანი, სერვიზები ოთხას—ხუთას მანეთიანი —აი რა მაღაზიაში მოვხდი. სწორე გითხრა გამიხარდა. 25 წელიწადი სულ უფანჯრო დუქანში გამიტარებია და ასეთ სიმდიდრეს რომ ვხედავდი ჩემი თავი სამოთხეში მეგონა. მაშ! უბრალო ურიის დუქანი ხომ არ არის, რომ ორშაურიანი ჩითი, ექვსშაურიანი ბამბაზია და შაურიანი საპონი ჰქონოდათ.

— ჰო და ვარ, ჩემო ბატონო ამისთანა მოწყობილ და მშვენიერ მუშათა კოოპერატივში, სულ ვკვიწიალობ, მაგრამ რა უნდა გააკეთო ამისთანა შეუგნებელ და მოუმზადებელ ხალხში! ეხ! რაც უნდა ეცადოს გამგეობა განუვითარებელ ხალხს გემოვნებას ვერ შეუცვლის. ან სად არის ეხლა ნამდვილი მყიდველი? შემოდიან მუშები, მუშის ცოლები—იმ ოხრებს თვალები არა აქვთ ამისათანა მშვენიერი შევიოტები, ატლასები, დრაპები ჰკიდია და ისინი ჩითს, მიტკალს და ბამბაზიას თხოულობდენ. ჩვენც ეგრე ვექცეოდით. შემოვიდოდა თუ არა მუშა, პირის დაღებას ვერ მოასწრობდა, რომ იმ წამსვე მივაძახებდით: „არა გვაქ, თქო“. სუყველამ ჩემო ბატონო თავის ალაგი უნდა იცოდეს იმათ რომ ჩვენთან ივაჭრონ ხომ დეზერტირკა დაიკეტება. ვიყავით ჩემო ბატონო არხეინად, ჯამაგირი ჯამაგირად მოდიოდა, პრემია-პრემიად, სტაჟიც გვემატებოდა—ამხანაგობა, ძმობა ერთმანეთში არ დაგვიკარგავს. ვერთობოდით ვმუსაიფობდით და ქვეყნის საქმეს ვაკეთებდით...

— იფიქრა, იფიქრა ჩვენმა გამგეობამ (ალბად თავისუფალი დრო ბევრი აქვთ ჩვენსავით) და ყველა მაღაზიაში ყუთები ჩამოჰკიდეს.

— რა ყუთები?

— აი დასაბეზღებელი ყუთები. ვითომ მყიდველებმა საჩივრის წერილები ჩააგდოს უწესობაზეო. ჩვენც გიჟები ხომ არა ვართ რუსებმა იციან „შენი ხალათი შენთან უფრო ახლოაო“—დავნიშნეთ მორიგეობა. ე. ი. ერთ-ერთს თვალი უნდა გვედევნებია, ჩააგდებდენ თუ არა საჩივრის თვალი უნდა გვედევნებია და ჩააგდებდენ თუ არა საჩივარს უნდა ამოგვეღო. ჩემ მორიგეობაში ერთმა ვიღაც მაიმუნმა ჩააგდო წერილი და ამაყათ გავიდა. ვეცი ჩემო ბატონო და ამოვიღე. ეწერა:

# ცოლ-ქმარი



ქმარი: ორი წყვილი ჩულქი მაქვს და ორივე დახეულია დაგეკერა მაინც!...

ცოლი: ჩა ცვი ერთი ერთმანეთზე და უთუოდ წახვალ...

---

ბევრად კარგი იქნებოდა ყუთების მაგივრად იაფი საქონელი შეეძინათ და ნოქრებისათვის კარგი ,ასაღვიძებელი ზარიო·

აბა ნახე კლიენტების უმადურობა. რვა საათი ხალხს ვემსახურებით, სამშობლოსათვის ფეხზე ვდგევართ და დიდი საქმეა, რომ ნოქარს ცოტა წასთვლიმოს?—რაც შეეხება იაფ საქონელს განა ამისთანა მშვენიერ მაღაზიას შეეფერება იაფი საქონელი, მაშინ კერძო კაცმა რაღა უნდა გაყიდოს.

— მე მაინც არ მესმის რისთვის დაანებე თავი სამსახურს!

— ეხლავე მოგახსენებთ. სუყველაფერი ჩემი მუყაითობის ბრალია! ვერ მოვიშალე ძველი ხასიათი! კაცო შენი დუქანი ხომ არ არის ეგდე რაღა შენთვის წელიწადში ორ მეტრო შევიოტს გაჰყიდი—დაისვენე რაღა. ქვეყნის საქმე შენ ხომ არ უნდა გააკეთო, მაგრამ კაცს რო ბედის წერა აიტანს, მე, როგორც, კარგათ იცით სპეციალობით მეთევზე ვარ, მაგრამ ფართლეულობის მაღაზიაში ვიყავი, ჩემ გვერდზე კოლონიალური განყოფილება იყო. იქ ერთი დამსახურებული ნოქარი მუშაობდა ესე 70—75 წლის ვაჟკაცი. ცოტა თვალს აკლდა და დიდ სათვალეებს იკეთებდა· როცა ხალხის სამსახურით დაიღალებოდა, მოიხსნიდა სათვალეებს, იქვე ტომარაზე დასდებდა თავის დამსახურებულ თავს და შრომის გამო ცოტათი თვალს მოატყუებდა ხოლმე· შემოვიდა ერთი ებრაელი. მეკითხება: ვანილი ხომ არა გაქვთო. გახლავს მეთქი და კოლონიალურ განყოფილებაში გადავედი. ვნახე ყუთი სავსეა ვანილით, ზედ 70 კაპეიკი აწერია. რამდენი გნებავთ მეთქი? თოთხმეტი შაურისაო.

აუწონე ერთი გირვანქა და თან ვფიქრობ, კილო უნდა თუ გირვანქა მეთქი· (გამგე ძალიან გართული იყო მოლარე ქალთან და ვერ შევაწუხე), რა ღირს განაო, ვიფიქრე ეძვირა მეთქი ამ ოხერს. გირვანქა თოთხმეტი შაური მეთქი. სულ რამდენი გაქთო? ესე ხუთი გირვანქა იქნება მეთქი. ამიწონეთო. აუწონე ჩემო ბატონო და მივართვი. როდესაც შრომის გმირს, ჩვენ დამსახურებულ ნოქარს გამოეღვიძა მე ვახარე ვანილი სულ გაგიყიდე მეთქი, ცენტრში მოთხოვნა მიეცი კიდევ გამოგიგზავნიან თქო· გაუხარდა. მაშ სალაროში შვიდასი მანეთი შევიდოდაო. შვიდასი კი არა არც შვიდი მეთქი. შენც ხო შევიოტებს არ ჰყიდი მეთქი.—გააჰყიტა თვალები: ცალი 700 კაპიკი ღირს, გირვანქა ოცი თუმანიო. გამისკდა გული. რაღა იქნებოდა· ავიღე და თავი დავანებე. ეხლა უალაგოთა ვარ ჩემო ნიკოდიმე. თუ სადმე აღმოჩნდეს შენ იცი—სუყველაფერის სპეცი ვარ აი კოლონიალური საქმეც შევისწავლე.

სარ—დან·


გამოიწერეთ ჟურნალი

ტარტაროზი

# გრიპი

თუმცა „გრიპი“ შორს არის,
ძნელი მოსარჩენია...
მუშფაკს მაინც სწვევია,
ამ ნაირი სენია.

მინუსების „ხოლერით“,
ბალნიცები გაივსო,
ისევ შენ თუ უშველი
აპრილო და მაისო.
დაწყევლილი—ზოგიერთს
მრავალ ადგილას მოედო
კრედიტების ვალებიც
ზედ კისერზე დაედო.
ვერვინ უგებს ამ სენსა,
რა წამალი არგია,
ან სად გადაიტანოს,
მისი ბოლჩა ბარგია.
პედაგოგიურ საბჭომ
ეს ზომები იხმარა;

ექიმების კრებული
საკითხზე დაიხმარა:
და წარმოსთქვა: რომ სენი
არ მოედვას ყველასო,
ამ საათში შეუდგეთ,
ზოგიერთის შველასო.
ვისაც სენმა ანახა
რამე გასაჭირიო
მუშა იყოს თუ გლეხი
სახლისკენ ქნას პირიო.
შემდეგ დეზინფექციით,
იატაკი მოვრწყოთო,
ბაცილები თუ ვნახოთ,
დავიჭიროთ, მოვცხოთო.
აქ კი ახალ ბიჭებით,
ჩვენ შევამსეთ სკოლასო,
ნასწავლები სჯობია,
უსწავლელთა ყოლასო.
და ამ რიგათ უშოვეს
ამ სატკივარს მალამო
სწერე არ მიღალატო,
სწერე ჩემო კალამო.

**ძნელ-ოლლი.**

# სათენიკას თავგადასავალი

კეკე. უკაცრავად! გონი თქვენ ადვოკატი ბრძანდებით-ბიჭარა?

დამცვ. დიახ მე გახლავართ. რა გნებავთ.

კეკე. ერთი პატარა საქმე მაქვს ოკრუჟნოი სუდში და შეგიძლიათ ამ საქმეს ხელი მოკიდოთ. რასაც მთხოვთ იმას მოგართმევთ, ოღონდ კი იმ კინტოშკას ჯავრი ამომაყრევინეთ.

დამცვ. დიდი სიამოვნებით, რატომ არ შემიძლიან. ფულის საქმე არ არის, საქმის შინაარსი მიამბეთ.

კეკე. ეჰ, შავ და უკუღმა ყოფილიყო ის დღე, რა დღესაც მე და პოლოსამ გალავინსკზე გავისეირნეთ.
დამცვ. უკაცრავად ეს პოლოსა ვინ არის.

კეკე. ჩემი ქმარია გენაცვალე. იარმუკაში. რომ თევზის დუქანი აქვს:

იარმუკაში, ქარვასლავში, შეითან ბაზარში და ავლაბარში განთქმულია მისი სახელი და ნუ თუ თქვენ აქამდის ვერ გაიცანით.

დამცვ. ხო. ვიცნობ! ვიცნობ! მუცელი, რომ სილოტკის ბოჭკას მიუგავს.

კეკე. დიახ, სწორედ ის არის! რებეცებსაც რომ ჰყიდის.

დამცვ. მერე, განგრძეთ.

კეკე. ჰო, იმას ვამბობდი! ერთ მშვენიერ საღამოს გალავინსკის პროსპექტზე ვსეირნობდით. მე, პოლოსა და ჩემი ჩემი ქალი სათენიკა.

სეირნობის დროს, პოლოსას ყურში უჩურჩულე: პოლოსჯან ერთი ხანია თეატრში არ ვყოფილვარ და მოდი ამეღამ შევიდეთ მეთქი.

მებნება, თუ დედაკაცო რა დროს თეატრია ჩემ ჯიბეში, რომ თაგვები ბალდადურს თამაშობენ ვერ გაიგე. ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი კრიჟანკი იყო და ძველი ხურჯინივით ჩამოვეკიდე და საშუალება არ მივეცი.

პოლოს! თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაგ კრიჟანკობაზე ხელი აიღე და შევიდეთ თეატრში მეთქი. ვაჰ მე მამაცხონებულო გაზაფხულის ედემში ხომ არა ხარ, რომ სიყვარულზე მეჭიკჭიკებიო. მეც გავიცინე, თვალი ჩაუკარ და რუსთაველის თეატრის კასასთან ოჩერედში ჩავდექი.

რაღა თავი მოგაწყინო, იმ ღამეს მზის დაბნელება ვნახეთ და დიდი ნასიამოვნები წავედით სახლში. თურმე ნუ იტყვით იმ ჩემ გასაგლეჯ სათენიკას იმ ღამეს გაეცნო ერთი კომსომოლისტი და სიყვარულის წერილები ერთმანეთში მიეწერათ. დილით, რომ ლოგინს ვალაგებდი ერთიც ვნახოთ წერილი არ აგდია ჩასახზედ. ავიღე და ვკითხულობ, მაგრამ ვაი იმ წაკითხვას ისეთი რამეები ეწერა ჩემო ადვოკატო, რომ ენა ვერ მოსთქვამს. პირდაპირ გულ-მუცელი უცეცხლოდ დამეხრაკა.

დამცვ. განა რა ეწერა ისეთი, რომ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილხართ!

კეკე. ეხ. ისეთი რამეები დაეწერა იმ მიწა დასაყრელს, რომ პირდაპირ სირცხვილით დავიწვი. თუო სათენიკაჯან მე რომ უბორნიაში გაკოცე. შენი ტუჩები ისეთი ტკბილი იყო, როგორც თაფლი და შაქარიო.
დამცვ. მარტო ეკოცნა?

კეკე. არა გენაცვალე, ექიმთან მყავდა მოწმობაც ვცილე.

დამცვ. მერე?

კეკე. ჰო იმას მოგახსენებდით. წერილის წაკითხვა. რომ მოვრჩი, უცბათ გული წამივიდა, ძირს დავეცი და დაკლული ინდაურივით ფართხალი დავიწყე ჩემი ქმარი კი გულგახეთქილი წამოხტა კრაოტიდან საცვლებისამარა და ერთი ვედრა წყალი თავზე დამასხა. ნახევარ საათის შემდეგ, როგორც იყო მოუკულიერდი და საქუღლა მეუბნება, თუ კეკელ ჯან ეგ რა დაგემართა, მამიტალნათ გული წაგივიდაო? მეც უჩვენე წერილი და თავიდან ბოლომდე მთლად გადაიკითხა. სიბრაზისაგან გაწითლდა, გაშავდა და რაზნი რაზნი ფერი დაედო და ერთბაშათ იძგირა სათენიკას და ერთი ლაზათიანად გატყეპა. ცემით, რომ გული მოიჯერა მეუბნება, რომ აბა, კეკე ჩქარა ჩაიცვი და წავიდეთ იმ არამზადას სანახავად, რომ ჩვენ ქალს ასეთი ასკარბლენია და შტუკა უყოვო და იარმუკაში გამოჩენილი თავი, რომ მომჭრა. სათენიკას, იმ სასიკვდილეს ადრესი გამოვართვით და წავედით მის სახლში მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ჩვენმა ცდამ, იმ არ გასახარელმა ბიჭმა უარი განაცხადა ჩემი ქალის შერთვაზე, დედამაც თქვა, რომ მე სომხის ქალი რა ეშმაკად მინდაო. რაღას ვიზამდი გაცრუებული დავბრუნდი სახლში. ერთი ძველი ჩინოვნიკი მყავნდა ნაცნობი და იმას ერთი ლაზათიანი ზაიავლენიე დავაწერიე და ოკრუჟნოი სუდში მივეცი, რომ პასუხი მოეთხოვოს იმ კინტოშკას ჩვენი ასეთი გამაიმუნებისთვის და გაპახპულებისთვის.

**მ. ციცინათელა.**

# დ უ ე ტ ი

1. დიდი ტუზი თუ რომ მწყალობს,
რას დამაკლებს ვინმე ჭორით?!
და ნესტორას მიტომ ვმადლობ,—
გამაგზავნა მალე „სკორით“.
2. მე გლეხობა თუმცა მწყალობს
და ხანდახან ალმასკომიც,
დიდი ტუზი თუ ყლუნწს მიზამს
რას მიშველის თვით გლეხკომი?

———

1. ტფილისს დავყავ მე ხუთი დღე,
ქუთაისიც მოვიარე;
პაკეტები დამაქვს ხელით,
მოვწყენილვარ შინ თუ გარეთ.
2. ქუთაისსა და ტფილისში
რა ჩვენი ნაცნობებია
ძრომიალი ვისაც უყვარს
და უშველის ან ბებია.

———

1. ბარათი მაქვს პროტექციის
გადმოვქენდი თეთრი კვიცით
შერცხვეს მისი ყოფა-ქცევა
სიმართლის თქმა ვინც არ იცის.
2. თხოვნა არ დამჭირვებია
„ბრძანებაც“ ხომ ისე მომდის
თუ არ გშველის პროტექცია
ცდათ იქცევი წლის ბოლომდე.
1. თითქოს მარცხი მომივიდა,
გადამაგდეს საჩხერეში,
ძიდევ კარგი რომ მოსამართლე
არ დავეცი კლდეს—და ღრეში...
2. ვსთქვი, არ მეთქვა? რისთვის არა
ან ამ ოქმით რა დაშავდება
ჩემი ბრალი ხომ არ არი
ნესტორა თუ გაცსარდება.
1. ეს წყალობა „ნაცნობებო“—
მხოლოდ თქვენი სიტყვით მერგო
და მიიღეთ თქვენ მადლობა
რომ გთავაზობს თქვენი სერგო.
2. სიმართლის თქმამ დამამარცხა,
სხვა ან კი რა მოვიგონე
ვინც ჩემი საქმე აფარცხა
მათაც მადლობს ნეონ.

ნეონ.

**ქ უ თ ა ი ს ი ს თ ვ ი ს**

ბიქტორმა სთქვა „ვიქ მე საქმეს
საარაკო გასაკვირსა,
ვიწყებ მუქთათ ხეტიალსა
ეგებ რამე ვარგო კბილსა.
სულ სიმართლე ხომ არ ვარგა,
მუდამ დღე საომარია,
რა არის დღეს სამსახური,
ან რა მაქვს საკვეხარია...

———

ანტრე პრენიორი გახდა
მხატვრობს, მღერის, თან არტისტობს,
„სატირას“ ქმნის, ნოტებსაც სწერს,
რას არ ჩადის, რას თაღლითობს...

———

მასთან დასდევს განუყრელი
საყვარელი მეგობარი,
„ტყუილი“ ყოველ ნაბიჯზე
უსაშველო, უებარი.

———

ასჯერ მისგან გამამწარებს
სიტყვას გეტყვის იმისთანას
პირიქით შენ გაგამტყუნებს
გაგიშეშებს თავზე ბალანს.

———

ყველაფერს ქმნის, ვერაფერს ქმნის!
ვინ არ ეძებს, ვინ არ დასდევს,
**„ტარტაროზ“**-ჯან ჭკუა ჰკითხე
**ბიქტორა ცრუპანტელაძეს.**

**..კოსტაიდი“.**

# ს ო ფ ე ლ ი ფ უ თ ი

**(შორაპნის მაზრა)**

**(წერილი მეგობარს)**

გადმოვხტი სოლოდ ტაიციაზე და შევუდექი ფუთის ტალახებს. ღმერთის წინაშე თავი კი დევიჭირე, რომ მეზობლებს დიდი საქმის კაცი ვგონებოდი... მერე შენ ხარ ჩემი ბატონი... იმას ვამბობდი. იცი რა გზებია აქეთკენ... სამარგალიტო: ჩვენში ხომ იტყვიან: ლაფშა ვერ გაატანდა შიდ. რის ვაი ვაგლახით ღობის მარგილებზე ხელ-მოკიდებით გავლიე ტალახი და მივადექი ჭიშკარს...

— არ მოგეწონა ქალაქის ტროტროებთან ჩვენი გზები? გამარჯობის შემდეგ მეკითხება მეზობელი გლეხი.

— ეგ რა არის?——განაგრძო. შენ კვართებელაის ორი ღობები უნდა ნახო კვართებელაის.

სწორეთ ჯოჯოხეთია მე და ჩემმა ღმერთმა. რალაც ეშმაკად ჩემი პაწია ელეფთერაი შევიყვანე კლასში... იმის საცოდაობით აღარ ვარ კაცი, მთლად გასვრილი და გაყინული ბრუნდება შინ.

მერე არ იკითხავ თითონ კლას ყმაწვილო? ლამფა იმას არ აქვს და პოლი, აკოშკა და სახურავი ნახევარზე თუმცა ფული მოვაგროვეთ ამისათვის, მაგრამ სად გაქრა არ ვიცი, ისე გაქრა შენი დამაწყევარი, როგორც ის ფული გამქრალი იყოს..

ვაი—დეიფსო მიხაილოვას ოჯახი... იმას ჩვენი ბოვშების არაფერი ენაღვლება. რომ გამოუქირა სიცივემ, გამოჭრა უშველებელი ყვერი და ერეკება ბოვშებს გარეთ..

შენ მამაგანათლებულო კაი ამინდები კარზე გვაქს, სად გააქრო ჩვენი ნაოფლარი წვითა და დაგვით ნაშოვნი ფული.

პასუხს არ აგებს თუ იცი? გვეშველება რამე?

მე სოლომონ ბრძენივით თავს ვუქანჩალებდი...

— ახლა სკოლაში რო შეხვალ, კედლიდან კედლამდის არის გაყოლებული ორი თუ სამი გრძელი სკამეიკა... თუ გამოუძახა „უჩიტელმა“ ბავშს, შეიქნება ერთი ხტომიალი სკამიდან სკამზე.

სიცილით მოკვდები, რომ დეინახო რა დღეშია ბავშები... ბუხარში, რომ შეძვრებიან „უჩიტელი“ და მის „უროკი“ ფეხებზე ჰკიდიათ. სახრემაც ვერაფერი გააწყო. ცივათ და რა ქნან?

—ასეთ დღეებში ვართ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს

მალე გაზაფხულიც მოვა, მაგრამ ჩვენი ფული ტყვილა რათ უნდა შეჭამონ?

— ვეცდები... ვუპასუხე — ვითომც სადარაჯოზე ვიყავი... აღმოგიჩინოთ დახმარება დიდი კაცების და გავემზადე წასასვლელად.

— არ მოგიკვდეს სპირდონას თავი, შენ, მაჯრე გაგისტუმრო ეხლა.... ძლივს დაგინახე ყმაწვილო სოფელში ეხლა მაგრე წახვალ.

— გმადლობთ, ვუპასუხე მე, გამოვეშვიდობე და გაუდექი ჩემს გზას.

**ჭირისუფალი.**



ჭაჭეთელს (გურია). იწერებით ლექსად მასწავლებელ პავლეს შესახებ, რომელიც ბავშებს თურმე სხვადასხვაგვარი სახელებით ნათლავს: ჯორის თვე, ბატის კვერცხე,

ქათმის ტვინე, წიქორიე,
შავგულე და შავნიორე,
კძელცხვირე და ლოქორიე..

**როგორც სჩანს ხსენებული მასწავლებლის ბიოგრაფიიდან ის თურმე ჩვეული ყოფილა წინად ნათლობებში, „პირისგემოს და დროს ტარებას“ ამიტომ გასაკვირიც არ არის „დიდებულთ დროთა“ დამკარგავ პავლესათვის, რომ მოწაფეობაზე იყრიდეს გულის ჯავრს.**

თხინარელს (საჯევახო). მეწისქვილეების შესახებ, რომელნიც თურმე სისტემატიურ ქურდობას ეწევიან თქვენი სოფლის წისქვილში გვწერთ: ჩვენი მეწისქვილეები მინატან საფქავს აკლებენ, იპარავენ და როგორ მოვიქცეთო და დასძენთ ლექსათ:

მე ამ ლექსებს ბევრსა დავწერ.
სულაც არ გამიჭირდება,
მაგრამ ვფიქრობ ეს ქურდები
გეიგებს აყიყინდება...

**გირჩევთ ლექსებს თავი მიანებოთ და ქურდი მეწისქვილების წინაალმდეგ მიმართოდ უფრო შესაფერ საშუალებას.**

**ზღვისპირელი** (სად. ნატანები). ასე მიამბო ლუკაიამ:
მოსაწყენია და ნაძალადევი. როგორც სჩანს პირად ინტერესებზეა აშენებული და ამიტომ არ იბეჭდება. მიაკითხეთ გოდორს.

ა. ორლველს. საყვედურობთ თემ-საბჭოს თავმჯდომარე და მდივანზე რომლებიც თურმე ხშირად ესწრებიან ქორწილებში:

როდესაც ხელს მოაწერენ,
ქელეხ იციან ცხარეო,
ალმასკომიდან ქორწილში,
მათ მისდეეს თავმჯდომარეო...
ქორწილში თამადობას სწევს
ყანწიც უჭირავს ხელშიო
დღეს აქეთ წაუქეიფებს
ხვალე კი გალმა სერშიო.

კარგი ხელობა აურჩევია თქვენს თავმჯდომარესა და მდივანს. სწორეთ რომ ძველებური ღვდელ-დიაკვნური წესია, და ამისათვის მადლობის ღირსიც არიან.

ტარტაროზის ახალ მეგობარს.

მეგობრობა სულ სხვა არის
არ თქვენ სცენის დასადარი,
იგი სხვაა „წერა“ სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი...

**გირჩევთ: ტარტაროზის მეგობრობა ხელს არ მოგეცემთ, რადგანაც მეტად დაუნდობარია წერილების განხილვის დროს...**

**მარძახაო** (შორაპნის მაზრა). ემდურებით „სიბერისაგან ტვინ-გამორეკილ“ მატარებლის რევიზორს და გვწერთ:

კარგი ხანია, რაც რომ კოწიას,
არ აუღია სახარჯო ფული,
ეს ამწარებდა, დიდს რომ ყვიროდა,
ცარიელ ჯიბით იძულვილ ქმნილი...

**ხსენებული რევიზორი, როგორც თქვენ ახასიათებთ ჯერ-ჯერობით ისიც ეყოფა სასჯელათ, რომ ჯიბე ცარიელი და სიბერისაგან ტვინ-გამორეკილი ყოფილა...**

მანის (თავჯსის თემი). თავმჯდომარემ თავასისა

ფული ხანხლა მან მრავალი,
მიხა არის შეყრილაძე
წელში წვრილი ტან-მაღალი...
**„სანამ ქონდა ფულები,**
**ჭამა მოხრაკულები,**
**თემ-საბჭოს გადარჩევის დროს,**
**ჩამოყარა ყურები...**
**ალბათ მაგარ პასუხს,**
**მას თხოვს თემის საბჭო მას ახალი,**
**და ამით მგონი დასრულდეს.**
თქვენს თემში აყალ-მაყალი...

შავს. (ქუთაისი)...**თქვენს სამაზრო საბჭოთა კლუბში დიდი გართობა ყოფილა: ნარდი და ლოტო, კარტი და ჭადრაკი. სასადილოშიაც დიდი სისუფთავე და გაცილებით დიდი სიაფე ყოფილა, ამიტომ გვაეჭვებს თქვენი წერილის კილო, რომ მეტად აღშფოთებული ხართ მიუხედავათ ამგვარი დიდი მიღწევებისა.**

# ვის ერგო 50 მანეთი

## № 1 კონკურსის შედეგები



### 1 № კონკურსის სურათი

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 2.359 კაცმა. ამათში პროვინციიდან—743 კაცმა, ხოლო ქ. ტფილ[illegible]ან 1.616 კაცმა.

სონაწილეთა სოციალური მდგომარეობა ასეთია: მუშა—478, მოსამსახურე—1.141, გლეხი 52, მოსწავლე—637, სხვა—53.

უნდა აღინიშნოს, რომ პროვინციას კონკურსში არ მიუღია ისეთი მონაწილეობა, რომელსაც ელოდა რედაქცია.

ჟიურის შეფასებით არც ერთი წარწერა არაა სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ, ვინაიდან ეს იყო პირველი კონკურსი, ამიტომ ჟიურიმ მაინც დააჯილდოვა მათ შორის ყველაზე უფრო უკეთესი ორი წარწერა, რომელიც მოგვყავს ქვევით.

### პირველი ჯილდო 30 მანეთი ერგო წარწერას:

**უფრო უკეთესი...**

მაჟი: ოჰ! რა კარგი ცურაობა გცოდნიათ?!

ქალი: გაცურება უფრო უკეთესი ვიცი...

**წარწერის ავტორი:**

ბუხნიკაშვილი ალექსანდრე ვარდენის ძე.*)

ქ. ტფილისი, რუსთველის გამზირი № 38.

### მეორე ჯილდო 20 მანეთი ერგო წარწერას:

**პროტექცია**

ქალი: როგორ აჩრდილივით დამდევ ყოველთვის?

მაჟი: ეგებ ვინმეს თქვენი ქმარი ვეგონო და კარგ სამსახურს მომცემენ.

**წარწერის ავტორი:**

ჰეცაძე პლატონ პეტრეს ძე.**)

სოფ. რიონი ქუთაისის მაზრა.

*) რედაქცია სთხოვს ამხ. ბუხნიკაშვილს შემოიაროს გაზეთ „მუშა"-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 6) ჯილდოს მისაღებად.

**) რედაქცია სთხოვს ამხ. ხეცაძეს გვაცნობოს უახლოესი ფოსტის მისამართი, რომლითაც მას გადაეგზავნება ჯილდო.

## კონკურსი № 2

ნახეთ სურათი პირველ გვერდზე, გამოუგონეთ მას შესაფერისი წარწერა. წარწერა უნდა იყოს მოკლე და სურათის სიუჟეტის დამახასიათებელი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა რედაქციის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისა.

დაჯილდოებული იქნება ორი წარწერა: პირველი 30 მანეთით; მეორე—20 მანეთით. ამის გარდა გამოცხადებული იქნება აგრეთვე ხუთი კარგი წარწერის ავტორები.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება „ტარტაროზი"-ს № 93-ში რომ ამით (ხანგრძლივი ვადით) საშუალება მიეცეს ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველებს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ამოსჭერით აქვე დართული ტალონი, შეავსეთ იგი და გამოგვიგზავნეთ.

კონკურსის შედეგების გამოცხადების თანავე დაჯილდოებულ წარწერების ავტორები მიიღებენ პრემიას.

მისამართი: ტფილისი

ჟურ. „ტარტაროზი" კონკურსისათვის.

სურათის სათაური . . . . . . . . . . . .

სურათის წარწერა . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სწორი მისამართი . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ხელობა (პროფესია) . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# შეურაცხყოფილი



ვირი (თავის პატრონს) თუ გინდ კუდიც მომაწყდეს, ფეხს მაინც არ მოვიცვლი აქედან. მე ხომ ყველას მიერ აბუჩად აგდებული ვარ! აბა ვნახოთ თუ არ შემძლებია ხელი შეუშალო ქალაქის მოძრაობას.

ალმასკომპის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩა № 6